ვალერიან მელქაძის სახელობის სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული
პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

მერაბ ვანიშვილი

საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების საშინაო და საგარეო ეკონომიკური ასპექტები

- თეორია
- მეთოდოლოგია
- პრაქტიკა

თბილისი
2003

უაკ (UDG) 338.439

ВАНИШВИЛИ М.М., ВНУТРЕННИЕ И ВНЕШНИЕ ЭКОНОМИЧЕСКИЕ
ვ186 АСПЕКТЫ ПРОДОВОЛЬСТВЕННОЙ БЕЗОПАСНОСТИ ГРУЗИИ.
Теория, Методология, Практика. – ТБИЛИСИ, 2003. – 305 с.

ISBN 5-89512-198-5

В монографии, исходя из соответсвующих литературных источников и богатого фактического материала, последовательно рассмотрены как теоретико-методологические, так и практические вопросы продовольственной безопасности; раскрыта сущность продовольственной безопасности; определены ее структура, уровни, критерии, показатели и параметры; показаны усилия государств, имеющих различные уровни экономического развития, при решении проблемы продовольственной безопасности. В книге, на основе глубокого и всестороннего анализа рыночных преобразований, происходящих в агропродовольственном секторе Грузии, оценено современное состояние национальной продовольственной безопасности; показаны основные внутренние и внешние факторы, обусловливающие ее проблемный характер; определены возможности, перспективы и конкретные направления решения проблемы.

Монография предназначена как для ученых-экономистов, специалистов государственного управления и предпринимателей, так и для преподавателей, аспирантов, магистрантов, студентов высших учебных заведений экономического профиля, а также для широкого круга читателей, заинтересованных в вопросах продовольственной безопасности и национальной аграрной экономики.

Печатается по решению Ученого совета Научно-исследовательского института социально-экономических и региональных проблем имени Валерьяна Мелкадзе (Протокол № 29, 23 сентрября, 2003 г.).

Редактор: **ТАМАЗ ЧИКВАИДЗЕ** – доктор экономических наук, профессор

Рецензенты: **ВАХТАНГ БУРКАДЗЕ** – доктор экономических наук, профессор

ТЕМУР ШЕНГЕЛИЯ – доктор экономических наук, профессор

უაკ (UDG) 338.439

ISBN 5-89512-198-5 © Ванишвили М.М., 2003

© Международный союз Грузии "Общество Знание"

SCIETIFIC-RESEARCH INSTITUTE OF SOCIALI-ECONOMIKAL AND REGIONAL PROBLEMS
AFTER VALERIAN MELKADZE

MERAB VANISHVILI

INTERNAL AND FOREIGN-ECONOMIC ASPECTS OF FOOD SECURITY OF GEORGIA

- Theory
- Methodology
- Practices

TBILISI
2003

უაკ (UDG) 338.439

VANISHVILI M.M. INTERNAL AND FOREIGN ECONOMIC ASPECTS OF FOOD
ვ186 SECURITY OF GEORGIA: theory, methodology, practices. – TBILISI, 2003. – 305 p.

ISBN 5-89512-198-5

In the monograph, based on relevant references and reach empirical data, are thoroughly discussed theoretical-methodological and practical issues of food security; the essence of food security is exposed, structure, levels, criteria, activities and parameters are defined; efforts for solving food security problems of countries with different level of economic development are shown. In the monograph through deep and detailed analysis of market changes in Georgian food sector, current status of national food security is evaluated; internal and foreign factors of existing problems are determined; possible ways, prospectives and concrete directions of solving the problems are defined.

The monograph is designed for research-economists, public administration specialist, entrepreneurs, Economic-oriented high school teachers, post-graduate, graduate and under-graduate students as well as for and wide range of population interested in food security and national agricultural economics.

Published according to the decision of Scientific Council of Scientific-Research Institute of Social-economical and Regional Problems after Valerian Melkadze (Minutes № 29, September 23, 2003)

Editor: TAMAZ CHIKVAIDZE – Doctor of Economic Sciences, Professor

Reviewers: VAKHTANG BURKADZE – Doctor of Economic Sciences, Professor

TEMUR SHENGELIA – Doctor of Economic Sciences, Professor

უაკ (UDG) 338.439

ISBN 5-89512-198-5 © Vanishvili M.M., 2003

© International Union of Georgia " Sazogadoeba Tsodna"

შინაარსი

შესავალი 13

თავი I. სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის წარმოშობის ისტორიული წანამძღვრები და მისი გადაწყვეტის ზოგადსაკაცობრიო ტენდენციები 16

თავი II. სასურსათო უსაფრთხოების კონცეფციის როლი ქვეყნის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში. 27

2.1. სასურსათო უსაფრთხოების არსი, მისი მიღწევის მიზნები და ამოცანები. 27

2.2. სასურსათო უსაფრთხოების სტრუქტურა და დონეები. 39

2.3. სასურსათო უსაფრთხოების კრიტერიუმები, მაჩვენებლები და პარამეტრები. 46

2.4. სასურსათო უსაფრთხოება და ქვეყნის მაკრო ეკონომიკური განვითარება კლასიკურ და ტრანზიტულ პირობებში. . 64

თავი III. ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონის სახელმწიფოთა ძალისხმევა სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტაში. 75

3.1. განვითარებული ქვეყნების სასურსათო უსაფრთხოებისა და აგრარული პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები. . . . 75

3.2. აგრარული გარდაქმნები და სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობა განვითარებად ქვეყნებში. 85

3.3. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა აგრარული რეფორმებისა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზოგადი ტენდენციები. 94

3.4. აგრარული სექტორის რეფორმირება და სასურსათო უსაფრთხოება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სისტემაში. 114

თავი IV. საბაზრო რეფორმირების ზოგადი ტენდენციები და სასურსათო უსაფრთხოების თანამედროვე მდგომარეობა საძართველოში. 137

4.1. აგრარული გარდაქმნები და მათი გავლენა ქვეყნის სასურსათო პოტენციალზე. 137

4.2. სასურსათო უზრუნველყოფის ტენდენციების ზოგადი დახასიათება რეფორმირების პერიოდში. 155

4.3. სასურსათო უსაფრთხოების თანამედროვე დონის მაჩვენებელთა ფაქტორული ანალიზი და საერთო შეფასება. 167

თავი V. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრიორიტეტები და პერსპექტივები. 180
5.1. სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების თეორიულ-მეთოდოლოგიური და მეთოდური საფუძვლები. 180
5.2. სასურსათო უსაფრთხოების საკანონმდებლო-სამართლებრივი უზრუნველყოფა. 189
5.3. აგროსასურსათო კომპლექსის მდგრადი განვითარებისა და სასურსათო ბაზრის სახელმწიფოებრივი რეგულირება. 198

თავი VI. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საგარეო ეკონომიკური ასპექტები. 211
6.1. საქართველოს როლი საერთაშორისო სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანობაში. 211
6.2. საქართველო ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სისტემაში. 223
6.3. საქართველოს აგროსასურსათო კომპლექსის საგარეო-სავაჭრო კავშირების ეფექტიანობა. 239
6.4. საქართველოს საგარეო ეკონომიკური კავშირების ოპტიმიზაცია და ეროვნული სასურსათო უსაფრთხოება. 245

დასკვნა. 256

ბიბლიოგრაფია. 266

დანართები 277
1. ძირითადი სახეობის კვების პროდუქტების ექსპორტ-იმპორტის მდგომარეობა 1995-2002 წწ. 277
2. საქართველოს სასურსათო ბალანსები 1996-2002 წწ. 280
3. ძირითად საკვებ ნივთიერებებზე ენერგიის წლიური მოთხოვნილება შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისათვის 1996-2002 წწ. 288
4. კვების პროდუქტების საშუალო სულადობრივი მოხმარება და კვების დღე-ღამური რაციონის ენერგეტიკული ფასეულობა 2002 წ. . . . 291
5. ერთი თვის კვების რაციონის ქიმიური შემადგენლობა მოხმარების რაციონალური ნორმებით და ფაქტიური მოხმარებით 2002 წ. 294

რეფერატი (რუსულ ენაზე) . . . 297

Содержание

Введение 13

Глава I. Исторические предпосылки возникновения проблемы продовольственной безопасности и общечеловеческие тенденции ее решения 16

Глава II. Роль концепций продовольственной безопасности в обеспечении устойчивого развития страны 27

2.1. Сущность продовольственной безопасности, цели и задачи ее достижения 27

2.2. Структура и уровни продовольственной безопасности 39

2.3. Критерии, показатели и параметры продовольственной безопасности 46

2.4. Продовольственная безопасность и макроэкономическое развитие страны в классических и транзитных условиях 64

Глава III. Усилия государств, с различным уровнем экономического развития, для решения проблемы продовольственной безопасности 75

3.1. Основные приоритеты продовольственной безопасности и аграрной политики развитых стран 75

3.2. Аграрные преобразования и состояние продовольственной безопасности в развивающихся странах 85

3.3. Общие тенденции аграрных реформ и обеспечения продовольственной безопасности государств Центральной и Восточной Европы 94

3.4. Реформирование аграрного сектора и продовольственная безопасность в системе Содружества Независимых Государств. 114

Глава IV. Общие тенденции рыночного реформирования и современное состояние продовольственной безопасности в Грузии. 137

4.1. Аграрние преобразования и их влияние на продовольственный потенциал страны 137

4.2. Общая характеристика тенденций продовольственного обеспечения в период реформирования 155

4.3. Факторный анализ и общая оценка показателей современного уровня продовольственной безопасности 167

Глава V. Приоритеты и перспективы обеспечения продовольственной безопасности Грузии 180

5.1. Теоретико-методологические и методические основы разработки стратегии продовольственной безопасности 180

5.2. Законодательно-правовое обеспечение продовольственной безо-

пасности. 189
5.3. Государственное регулирование устойчивого развития агропродовольственного комплекса и продовольственного рынка. 198

Глава VI. Внешнеэкономические аспекты обеспечения продовольственной безопасности Грузии. 211
6.1. Роль Грузии в деятельности международных продовольственных и сельскохозяйственных организаций. 211
6.2. Грузия в системе Всемирной торговой организации. 222
6.3. Эффективность внешнеторговых связей агропродовольственного комплекса Грузии. 239
6.4. Оптимизация внешнеэкономических связей Грузии и национальная продовольственная безопасность. 245

Заключение 256

Библиография. 266

Приложения 277
1. Состояние экспорта-импорта основных видов продуктов питания в 1995-2002 гг. 277
2. Продовольственные балансы Грузии в 1996-2002 гг. 280
3. Годовая потребность энергии на основных пищевых веществ для мужщин трудоспособного возраста в 1996-2002 гг. 288
4. Среднедущевое потребление пищевых продуктов и энергетическая ценность суточного рациона питания в 2002 г.. 291
5. Химический состав месячного рациона питания, соответствующего рациональным нормам потребления и его фактически уровень в 2002 г. 294

Реферат (на русском язике). 297

CONTENTS

INTRODUCTION 13

CHAPTER I. Historical and worldwide tendencies of food security problems 16

CHAPTER II. Role of food security conception in sustainable development of country 27
2.1. The essence of food security, objectives and goals of its reaching..... 27
2.2. Structure and levels of food security 39
2.3. Criteria, activities and parameters of food security 46
2.4. Food security and macroeconomic development of a country in classic and transitional environment 64

CHAPTER III. Efforts for solving food security problems of countries with different level of economic development 75
3.1. Main priorities of food security and agricultural policies of developed countries 75
3.2. Agrarian reforms and food security status in developing countries.... 85
3.3. General tendencies of agrarian reforms and food security of central and east-european countries 94
3.4. Agrarian reforms and food security in Commonwealth of Independent States 114

CHAPTER IV. General tendencies of market reforms and current state of food security in Georgia 137
4.1. Agrarian reforms and their influence on country's food potential..... 137
4.2. General tendencies of food provision during reforms 155
4.3. Factor analysis and general evaluation of current level data of food security 167

CHAPTER V. Priorities and prospectives of food security of Georgia..... 180
5.1. Theoretical and methodological bases for drafting food security strategy 180
5.2. Legislative provisions of food security 189
5.3. State regulations of sustainable development of agricultural sector and food market 198

CHAPTER VI. Foreign economic aspects of food security provision of Georgia 211
6.1. Role of Georgia in activities of international food and agricultural organizations 211
6.2. Georgian in World Trade organization 223
6.3. Effectiveness of foreign-economic relations of Georgian agricultural sector 239

6.4. Optimization of foreign economic relations of Georgia and national food security..... 245

CONCLUSION..... 256

BIBLIOGRAPHY 266

ATTACHMENTS 277
1. State of Export-import of main sorts of food products in 1995-2002.... 277
2. Georgian food balances in 1996-2002..... 280
3. Anual energy demand on main food products for active menfolk in 1996-2002 288
4. Per capita consumption of food products and energetic value of daily food allowances in 2002 291
6. Chemical composition of monthly food allowance with rational consumption norms and factual consumption in 2002..... 294

SUMMARY (in Russian language) 297

წარმოების გაჩაღება არის ერთადერთი ჩვენი ხსნა, უნდა მოვახერხოთ გარეთ მეტი გავიტანოთ გასაყიდი, ეიდრე უცხოელს ვთხოვთ საყიდ საქონელს. სანამ მოსახიდი მეტი გვექნება, ვინემ გასაზიდი, მონობას ვერ აეცილდებით.

ნიკო ნიკოლაძე

შესავალი

ახალი ათასწლეულის დასაწყისში, უდიდესი მნიშვნელობის ტრანსფორმაციულ პროცესებთან დაკავშირებით,* მსოფლიო თანამეგობრობა თავისი განვითარების თვისობრივად ახალ ფაზაში შევიდა. იმ ფართე წრის აქტუალურ პრობლემათა შორის, რომელთაც კაცობრიობა აქ წააწყდა, განსაკუთრებული სიმწვავით გამოირჩევა სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემა.

სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მისაღები დონის მიღწევა წარმოადგენს არა მხოლოდ პირველხარისხოვანი მნიშვნელობის გლობალურ, არამედ აგრეთვე აქტუალურ ეროვნულ პრობლემას. იგი ცენტრალურ ადგილს იკავებს ცალკეულ სახელმწიფოთა მდგრადი და უსაფრთხო განვითარების სტრატეგიებში, მათი ეროვნული უსაფრთხოებისა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის ფუძემდებლური ვექტორია.

ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების ქვეშ იგულისხმება არა მხოლოდ სურსათის საკმარისობა და მასზე ქვეყნის ყველა მცხოვრების გარანტირებული ხელმისაწვდომობა, არამედ აგრეთვე — სახელმწიფოს უნარი ეკოლოგიურად სუფთა კვების პროდუქტებით უზრუნველყოს მიმდინარე და საგანგებო მოთხოვნები საკუთარი რესურსების ხარჯზე.

დღეისათვის ამგვარ უნარს მოკლებულია მრავალი სახელმწიფო, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის მათში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესებს, აფერხებს მათი ეროვნული ინტერესების შესატყვისი მიზნების რეალიზაციას და ემუქრება მათ სტრატეგიულ პერსპექტივებს.

---

* მხედველობაში, უწინარეს ყოვლისა, გვაქვს თანამედროვე მეცნიერულ ტექნოლოგიური რევოლუციის დაჩქარებულად გაფართოების, სრულიად ახალი მაღალგანვითარებული ადამიანის ტიპის ჩამოყალიბების, პოსტინდუსტრიული საზოგადოების თანდათან დამკვიდრების, საყოველთაო გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის ტენდენციების გაძლიერების ურთიერთთან დაკავშირებული პროცესები.

ამ თვალსაზრისით გამონაკლისი არც საქართველოა, რომელიც, სხვა პოსტსოციალისტური ქვეყნების მსგავსად, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში, ღრმა სტრუქტურულ და სოციალურ-ეკონომიკურ რეფორმებთან დაკავშირებით, ერთობ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. განსაკუთრებული სიმწვავით იჩინა თავი ქვეყნის სასურსათო კრიზისმა.

საგულისხმოა, რომ მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან მკვეთრად გაუარესდა საქართველოს აგროსასურსათო კომპლექსისა და მისი პროდუქციის ბაზრის მდგომარეობა, სტრუქტურა და დინამიკა. წლითიწლობით მცირდება სურსათის ეროვნული წარმოებისა და მოხმარების მოცულობები, უარესდება მათი სტრუქტურა. საკმარისია აღინიშნოს, რომ, ოფიციალური მონაცემებით, ამჟამად საქართველო დაახლოებით 20%-ით ვერ უზრუნველყოფს საკუთარ მოსახლეობას რაციონალური კვებით, მათი უდიდესი ნაწილი (26-30%) კი რეალურად შიმშილობის ზღვარს მიღმა იმყოფება.

ქვეყნის მოსახლეობის კვების დონისა და ხარისხის დაქვეითება მათი ცხოვრების ხარისხის გაუარესების ერთ-ერთი გადამწყვეტი მიზეზია. ისეთი უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური მაჩვენებლებით, როგორიცაა მოსახლეობის სულადობრივი შემოსავალი, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, სურსათის მოხმარების კალორიულობითი დონე და ხარისხი, საქართველო სუსტად განვითარებულ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება.

სამამულო სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრმა დაცემამ მიგვიყვანა იქამდე, რომ ამჟამად ჩვენი სასურსათო ბაზრის 50 პროცენტზე მეტს შეადგენს იმპორტირებული კვების პროდუქტები, მაშინ როდესაც ამ მაჩვენებლის ზღვრულად დასაშვებ ნორმად მიჩნეულია 20-30 პროცენტი. სასურსათო ბაზრის ასეთი ძლიერი დამოკიდებულება იმპორტზე პარადოქსია ქვეყნისათვის, რომელიც ფლობს მრავალფეროვანი და ხარისხიანი კვების პროდუქტების წარმოებისათვის საჭირო უნიკალურ ბუნებრივ-საწარმოო რესურსებს.

საქართველოში შექმნილი მძიმე სასურსათო მდგომარეობის დასაძლევად, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემასთან დაკავშირებული საკითხების სისტემური მეცნიერული შესწავლა და ანალიზი. თანამედროვე პირობებში ამ საკითხების კვლევისადმი სწრაფვა არავისთვის არ უნდა იყ-

ოს საეჭვო, რამდენადაც ისინი უშუალო კავშირშია ადამიანის სასიცოცხლო ინტერესებთან და საერთოდ, ქვეყნისათვის სასურველ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობასთან.

სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტით კვლევა შედარებით ახალია ჩვენს ქვეყანაში. აღნიშნული პრობლემის ცალკეული თეორიული და პრაქტიკული საკითხების დამუშავებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილის მიუხედავად, ბუნებრივია, ქართველ მკვლევარებს არ შეეძლოთ კომპლექსურად გადაეწყვიტათ ამ რთული და მრავალპლანიანი პრობლემის ყველა მხარე და საკითხი, საჭირო სტატისტიკური მონაცემების არარსებობის ან უკმარისობისა და ბოლო პერიოდში სიტუაციის სწრაფად ცვალებადობის გამო.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნოლოგიურმა რევოლუციამ, საყოველთაო გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის ტენდენციებმა და ქვეყანაში მიმდინარე საბაზრო რეფორმებმა სადისკუსიო გახადა სურსათის ეროვნულ მწარმოებელთა სახელმწიფოებრივი მხარდაჭერისა და პრობლემასთან დაკავშირებული მრავალი სხვა საკითხი.

საბაზრო რეფორმების მრავალი პრობლემური საკითხის სადისკუსიო ხასიათმა, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანებასთან დაკავშირებით ქვეყნის ეროვნული ბაზრის დაცვისა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვისებრივად ახალი მექანიზმის შემუშავების აუცილებლობამ განსაზღვრა მონოგრაფიული გამოკვლევის თემის შერჩევა და მასში განსახილველ საკითხთა სპექტრი.

მონოგრაფიის კონკრეტული მიზანია ქვეყნის აგროსასურსათო სექტორში მიმდინარე საბაზრო გარდაქმნების სიღრმისეული და ყოველმხრივი ანალიზის გზით ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემის გამოვლენა; მისი გადაჭრის შესაძლებლობების, პერსპექტივებისა და კონკრეტული მიმართულებების განსაზღვრა. ჩვენ არა გვაქვს პრეტენზია, რომ ამ ურთულეს პრობლემასთან დაკავშირებული ყველა საკითხი სრულყოფილად და ამომწურავად განვიხილეთ. ნებისმიერი მკითხველის ყველა კონკრეტულ შენიშვნასა და რჩევას დიდი მადლიერებით მივიღებთ და მომავალ გამოკვლევებში გავითვალისწინებთ.

I თავი

სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის წარმოშობის ისტორიული წანამძღვრები და მისი გადაწყვეტის ზოგადსაკაცობრიო ტენდენციები

კაცობრიობა ახალ ათასწლეულში შევიდა შიმშილისა და არასაკმარისი კვების სერიოზული საფრთხეებით. ამიტომ უკვე 21-ე საუკუნის დასაწყისში აგროეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა, რომელიც, გარემოს დაცვის, ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენებისა და მრავალ სხვა აქტუალურ საკითხთან ერთად, მსოფლიოს გლობალურ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება.

გასაგებია, რომ სურსათი წარმოადგენს ადამიანის სასიცოცხლო საშუალებათა ფონდის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს, რომლის დეფიციტი აღიქმება უბედურებად და მოითხოვს სწრაფ რეაგირებას. ისიც ცხადია, რომ სურსათი არის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული რესურსი: ვინც მას ფლობს, იგი ბატონობს ეკონომიკასა და პოლიტიკაში; სურსათის იმპორტისაგან ძლიერი დამოკიდებულება კი არსებითად ასუსტებს სახელმწიფოს ეროვნულ ეკონომიკურ და, შესაბამისად, პოლიტიკურ დამოუკიდებლობასაც.

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ სასურსათო პრობლემა მეტად მრავალმხრივი და მრავალასპექტიანია. იგი ერთდროულად ბუნებრივი მოვლენაცაა, ეკონომიკურიც და პოლიტიკურიც, რომელიც აისახება საზოგადოების ცხოვრების თითქმის ყველა მხარეზე და საფრთხეს უქმნის სახელმწიფოთა სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობას. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ამ პრობლემისადმი მიძღვნილია მდიდარი სამეცნიერო და პოპულარული ლიტერატურა მსოფლიოს მრავალ ენაზე.

სადღეისოდ, ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განსაზღვრულია ადამიანთა კვების სამედიცინო ნორმები და, შესაბამისად, თვით შიმშილისა და არასაკმარისი კვების ცნებები. გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებული სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) შეფასებით, კვების სამა-

გალითო ნორმა ერთი ადამიანისათვის შეადგენს 2400-2500 კკალ. დღე-ღამეში.* მკაფიოდ გამოხატული არასაკმარისი კვების მდგომარეობა დგება მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებელი ეცემა 1800 კკალ-ზე ქვემოთ, ხოლო აშკარა შიმშილის მდგომარეობა, — მაშინ, როდესაც ის გადის „კრიტიკულ ზღვარს" (1000 კკალ დღე-ღამეში). კვება, რომლის დროსაც არასაკმარისია არა მარტო კალორიები, არამედ აგრეთვე ცილები (უწინარესად, ცხოველური წარმოშობის), ცხიმები, ვიტამინები, მიკროელემენტები, იწოდება არასრულფასოვნად. მას ფარულ (ქრონიკულ) შიმშილსაც უწოდებენ.

სასურსათო პრობლემა ახალი არაა. იგი ერთ-ერთი უძველესია კაცობრიობის გლობალურ პრობლემათა შორის. შიმშილი, როგორც ამ პრობლემის უკიდურესი გამოვლენა და დიდი სოციალური უბედურება თავს ჰქონდა მოხვეული ადამიანთა ფართო მასებს უძველეს დროშიც, შუა საუკუნეებშიც და ახალი ისტორიის ცალკეულ პერიოდებშიც. ამაზე მეტყველებს თუნდაც ძველი რომის, შუა საუკუნეების ევროპის, ინდოეთის, რუსეთისა და ჩინეთის მაგალითები.**

საგულისხმოა, რომ სხვადასხვა მიზეზით განპირობებული შიმშილი ყველაზე გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენდა ძველ დროში; ცენტრალური ამერიკის ინდიელების მითოლოგიაში შიმშილის გაღმერთებაც კი არსებობდა. შუა საუკუნეებში მოუსავლიანობის გამო მთელი რიგი რეგიონები და ქვეყნები აღმოჩნდნენ განადგურების ზღვარზე ან გადააბიჯეს კიდეც ამ ზღვარს.***

იგივე შეიძლება ითქვას ადრეულ ახალ ისტორიულ პერიოდზეც. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა რუსეთის შიმშილიანი წლების

---

* იგულისხმება, რომ აღნიშნული მაჩვენებელი შესაძლოა რამდენადმე ვარირებდეს სქესის, ასაკის, დასაქმების სახეობის, ბუნებრივ-კლიმატური პირობებისა და ზოგიერთი სხვა ფაქტორისაგან დამოკიდებულებით.

** უკანასკნელ პერიოდამდე ჩვენს ლიტერატურაში შიმშილის მოვლენა შეფასებული იყო უპირატესად კლასობრივი, იდეოლოგიური პოზიციებიდან და პირდაპირ უკავშირდებოდა კაპიტალისტურ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ სისტემას, მაგრამ ბოლო წლებში მისი არსებობა აღიარებულ იქნა სოციალიზმის სხვადასხვა (სტალინისეული, მაოძედუნისეული და ა.შ.) „მოდელების" პირობებშიც.

*** აღნიშნულ ისტორიულ პერიოდთან მიმართებით, ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი ფ. ბროდელი შენიშნავდა, „საუკუნეების განმავლობაში შიმშილმა დაისადგურა ისეთი დაჟინებით, რომ გადაიქცა ადამიანთა ბიოლოგიური რეჟიმის ელემენტად, მათი ყოველდღიური ცხოვრების წესად"[6.8, გვ.1].

გახსენება მე-16 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში. აღსანიშნავია ისიც, რომ მე-18 საუკუნეში ევროპა იმყოფებოდა „ქრონიკული შიმშილის" მდგომარეობაში. ამავე საუკუნეში შიმშილმა ინდოეთში გაიყოლა 10 მლნ. ადამიანის სიცოცხლე. მე-19 საუკუნეში ევროპამ კვლავ გადაიტანა კარტოფილის მოუსავლიანობით გამოწვეული „დიდი შიმშილი". ინდოეთში კი ამავე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში შიმშილისაგან დაიღუპა დაახლოებთ 15 მლნ. კაცი.

მთლიანად, მე-20 საუკუნის განმავლობაში რამდენადმე გაუმჯობესდა მსოფლიოში მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფისა და კვების რაოდენობრივი მაჩვენებლები. თუ 30-იან წლებში საშუალო მოხმარება ერთ კაცზე გაანგარიშებით შეადგენდა 2100 კკალ. დღე-ღამეში, 60-იანი წლების დასაწყისისათვის აღნიშნული მაჩვენებელი გაიზარდა 2300, 70-იანი წლების დასაწყისისათვის – 2450, ხოლო 90-იანი წლების დასაწყისისათვის – 2700 კკალ-მდე დღე-ღამეში[6.8, გვ.2].

ასეთი ზრდა, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა. იგი, უწინარეს ყოვლისა, განხორციელდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში განვითარებად ქვეყნებში მომხდარი „მწვანე რევოლუციისა" და განვითარებულ ქვეყნებში დაწყებული „ბიოტექნოლოგიური რევოლუციის" საფუძველზე, მარცვლეულის, ხორცისა და ზღვის პროდუქტების მსოფლიო წარმოების შესამჩნევი გადიდებით.*

ზემოაღნიშნული სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს გლობალური სასურსათო პრობლემა ამჟამად უკვე გადაჭრილია. პირიქით, მოშიმშილეთა რაოდენობა თანამედროვე მსოფლიოში კვლავ უკიდურესად მაღალი რჩება, რაც ახალ საფრთხეს უქადის კაცობრიობას მე-3 ათასწლეულის დასაწყისში. შიმშილი, არღვევს რა ადამიანთა ჯანსაღი ცხოვრების წესს და ართმევს მათ მომავლის იმედებს, დიდ ზარალს აყენებს ქვეყანათა მშვიდობიანი თანაარსებობისა და კეთილდღეობის საქმეს.

FAO-ს ერთ-ერთი გამოკვლევის მონაცემების თანახმად, დღეისათვის მსოფლიოში დაახლოებით 815 მლნ. ადამიანი იტანჯება შიმ-

---

* განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ 50-80-იან წლებში მარცვლეულის მსოფლიო წარმოებამ გადააჭარბა ხალხთმოსახლეობის ზრდას, რის გამოც შესაბამისად გაიზარდა მისი საშუალოსულადობრივი მოხმარების მაჩვენებლები.

შილისა და ნახევრად შიმშილისაგან, ნაცვლად შიმშილის შემცირებისათვის ბრძოლის საკითხებზე 1996 წლის ნოემბერში გამართულ რომის სამიტზე დაფიქსირებული 800 მლნ-ისა; 1,0 მლრდ-მდე კაცი მხოლოდ საბაზისო მოთხოვნილებებს (2150 კკალ. დღე-ღამეში) იკმაყოფილებს და შიმშილის ზღვარზე იმყოფება; 2,0 მლრდ კაცზე მეტი იტანჯება ორგანიზმისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი მიკროელემენტების (იოდის, რკინის, ვიტამინების და სხვ.) არასაკმარისი მოხმარებით გამოწვეული ე. წ. „შიმშილის ფარული ფორმებისაგან";* მსოფლიო მოსახლეობის თითქმის ნახევარი (დაახლოებით 3,0 მლრდ. კაცი) განიცდის საკვები ცილების ნაკლებობას, მისი დაახლოებით მეექვსედი ნაწილი კი მოკლებულია უსაფრთხო სასმელი წყლის გამოყენებას[3.12, გვ. 16].

შიმშილის უმთავრესი მიზეზი სურსათის ფიზიკურ უკმარისობაში კი არაა, არამედ იმაში, რომ დედამიწაზე დაახლოებით მლრდ. ადამიანს არ გააჩნია საკმარისი სახსრები პროდუქტთა მინიმალური სამომხმარებლო კალათის შესაძენადაც კი. ამდენად, ცხადი ხდება, რომ შიმშილი და ქრონიკული არასაკმარისი კვება დაკავშირებულია არა იმდენად მიწის კლებადი ნაყოფიერების მალთუსისეულ თეორიასთან, რამდენადაც ცალკეულ სახელმწიფოთა ეკონომიკური განვითარების ისეთ საერთო დონესთან, რომლის პირობებშიც მოსახლეობისათვის ხელმიუწვდომელია ბაზარზე კონკრეტული ფასებით წარდგენილი სასურსათო პროდუქტები.

პლანეტარული მასშტაბით სასურსათო პრობლემის გადასაწყვეტად არცთუ ძალიან დიდი თანხებია საჭირო. FAO-ს ექსპერტთა შეფასებით, ამჟამად აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნებში „მაძღრები" ყოველწლიურად პარფიუმერიაზე ხარჯავენ ბევრად უფრო მეტ ფულს, ვიდრე აუცილებელია ყველა დამშეულის ადექვატური კვების უზრუნველსაყოფად მსოფლიოში.**

---

* საგულისხმოა, რომ ორგანიზმში მიკრომკვებავი ნივთიერებების უკმარისობა დაახლოებით 10%-მდე ამცირებს სწავლისადმი ბავშვთა უნარიანობას და ყოველწლიურად 128 მლრდ. აშშ დოლარის ზარალს აყენებს განვითარებად ქვეყნებს მარტოოდენ შრომის მწარმოებლურობაში დანაკარგების ხარჯზე[6.1, გვ.3].

** აღსანიშნავია ისიც, რომ სასურსათო პრობლემა საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის თვით ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც კი. ასე, მაგალითად, აშშ-ში საკვების უკმარისობას განიცდის მოსახლეობის დაახლოებით ერთი მესამედი ნაწილი, ამერიკელთა 17% კი ფაქტობრივად მშიერი წვება დასაძინებლად[4.45, გვ.9].

თანამედროვე ეტაპზე სასურსათო პრობლემის სპეციფიკა განხილულ უნდა იქნას გლობალურ, კონტინენტალურ და ეროვნულ დონეებზე მისი გადაწყვეტის აუცილებლობის გათვალისწინებით. არსებული სასურსათო სიტუაცია მოითხოვს საგანგებო ზომების მიღებას როგორც ცალკეულ სახელმწიფოთა, ასევე მთლიანად მსოფლიო თანამეგობრობის დონეზეც; შიმშილთან და არასაკმარის კვებასთან ბრძოლის გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავებას. ეს, უწინარეს ყოვლისა, დღის წესრიგში აყენებს მსოფლიო სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელი უკვე დამკვიდრებული და პერსპექტიული ტენდენციების გამოვლენას.

საგულისხმოა, რომ მე-20 საუკუნის 50-იან წლებში მსოფლიოში შეინიშნებოდა სახნავი მიწების სტაბილურად გაფართოების ტენდენცია, რომელმაც ამ დროისათვის 1 მლრდ. ჰა-ს გადააჭარბა. სურსათის და, პირველ რიგში, მარცვლეულის წარმოების მოცულობის ზრდა ძირითადად მიიღწეოდა ექსტენსიური ფაქტორების ამოქმედების გზით. მაგრამ, უკვე 60-იანი წლების დასაწყისისათვის ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები, ამოწურეს რა მათ ეს რეზერვი, მთლიანი მოსავლის მატების 80%-ს აღწევდნენ უპირატესად ინტენსიური ფაქტორების ხარჯზე. ნათესი ფართობების გაფართოების ტენდენცია კი დამახასიათებელი გახდა მხოლოდ განვითარებადი ქვეყნებისათვის.

80-იანი წლების დასაწყისიდან მოქმედება დაიწყო მსოფლიო სოფლის მეურნეობის განვითარების რიგმა შემზღუდავმა ფაქტორებმა: 1. ნათესი ფართობების სტაბილური შემცირება, სახნავი მიწების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების ან ეროზიის გამო მათი დიდი ნაწილის სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან ამოღებასთან დაკავშირებით; 2. სარწყავი მიწების ფართობების შემცირება, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის აუცილებელი წყლის დეფიციტის წარმოქმნასთან დაკავშირებით; 3. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის შემდგომი ამაღლების შესაძლებლობათა შემცირება; 4. ხორცისა და რძის ძირითადი მოცულობის მომცემი საძოვრული მეცხოველეობის მასშტაბების შემცირება და მისი პროდუქტიულობის დაცემა; 5. ზღვის პროდუქტების ხარჯზე სურსათის შევსების შესაძლებლობათა შემცირება, მისი რეზერვების ამოწურვასთან დაკავშირებით; 6. არასასურველი ეკოლოგიური სიტუ-

აცია, რომელიც აუარესებს საწარმოო საქმიანობის ყველა მხარეს და არ იძლევა სურსათის რესურსების არსებითად მატების შესაძლებლობას 21-ე საუკუნეში.

როგორც ვხედავთ, მსოფლიო სოფლის მეურნეობის განვითარების ტენდენციები, შემზღუდავ ფაქტორთა გათვალისწინებით, არ იძლევა სურსათისა და სანედლეულო რესურსების ზრდის მაღალი ტემპების ვარაუდის შესაძლებლობას შორეულ პერსპექტივაშიც კი.

FAO-ს ექსპერტთა გაანგარიშებით, სასურსათო რესურსების რამდენადმე ზრდის მიუხედავად, სურსათის მიწოდება მსოფლიო მასშტაბით მაინც არასაკმარისი იქნება. კერძოდ, 2030 წლისათვის მარცვლეულის წარმოება გაიზრდება 20%-ით და მიაღწევს 2150 მლნ. ტონას, ანუ მასზე მოთხოვნის 80%-ს. ხორცის წარმოება გაიზრდება 50 მლნ. ტონით და მიაღწევს 230 მლნ. ტონას (მოთხოვნის 76%-ს). ზღვის პროდუქტების წარმოება შენარჩუნდება 100 მლნ. ტონის დონეზე (მოთხოვნის 60%). ამასთან, საპროგნოზო მაჩვენებლებით დგინდება, რომ თუ 1950-1985 წლებში სასურსათო რესურსების ყოველწლიური ზრდა შეადგენდა 30 მლნ. ტონას, 1985-1995 წლებში კი – 12 მლნ. ტონას, მაშინ 1996-2030 წლებში იგი უკვე 9 მლნ. ტონას არ გადააჭარბებს.

ამავე ექსპერტთა აზრით, უახლოეს მომავალში სურსათზე მოთხოვნა არსებითად გაიზრდება, რამდენადაც პლანეტის მოსახლეობა გაორმაგდება და 2030 წლისათვის მიაღწევს 8,9 მლრდ კაცს. კვების კალორიულობისა და ხარისხის ამაღლებისაკენ პრაქტიკულად ყველა სახელმწიფოს მისწრაფება კიდევ უფრო გაამწვავებს სურსათით მოსახლეობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სიტუაციას.

სპეციალისტთა ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზით, თუ ამოსავალ პუნქტად მხოლოდ პლანეტის მოსახლეობის აღნიშნულ ზრდასა და კვების თანამედროვე ნორმებს მივიჩნევთ, მაშინ მარცვლეულის დეფიციტი 2030 წლისათვის 526 მლნ. ტონა იქნება, ზღვის პროდუქტების 68 მლნ. ტონა, ხორცისა კი 40 მლნ. ტონა[3.14, გვ.12]. მაშასადამე, სურსათზე მოთხოვნასა და მის მიწოდებას შორის ბალანსის უზრუნველყოფა უახლოესი 20-30 წლის განმავლობაში კვლავ პრობლემატური იქნება.

ამ პრობლემის გადაწყვეტა თეორიულად შესაძლებელია შემდეგი სამი ძირითადი მიმართულებით:

- წარმოების მოცულობის ზრდა (მაგრამ ეს, მრავალი ექსპერტის აზრით, განსახილველ პერიოდში არარეალურია შემზღუდავ ფაქტორთა გათვალისწინებით);
- მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება (მაგრამ ამის მიღწევა მოკლე დროის განმავლობაში რაციონალური მეთოდებით შეუძლებელია);
- სურსათის მოხმარების შემცირება (ექსპერტთა ვარაუდით, მოვლენები სწორედ ამ სახით განვითარდება);

რიგი ქვეყნების საშინაო და საგარეო პოლიტიკა თვალსაწიერ მომავალში დიდად იქნება განსაზღვრული სასურსათო პრობლემის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების გამწვავებით. ამგვარი პესიმისტური ვარაუდისათვის ყველანაირი საფუძველი არსებობს:

ჯერ-ერთი, სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში დაშვებულ შეცდომებთან, აგრეთვე ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევასთან დაკავშირებით, მსოფლიო შევიდა მოსახლეობის ერთ სულზე სურსათის წარმოების მოცულობის შემცირების გრძელვადიან პერიოდში. მარცვლეულით ყველაზე მაღალი უზრუნველყოფა (345 კგ მოსახლეობის ერთ სულზე) მიღწეულ იქნა 1989 წელს, მაგრამ უკვე 1993 წლისათვის იგი შემცირდა 303 კგ-მდე, 2030 წლისათვის კი მოსალოდნელია მისი დაცემა 240 კგ-მდე, ანუ 1989 წლის დონის 69%-მდე. 2030 წლისათვის ზღვის პროდუქტების მოპოვება მოსახლეობის ერთ სულზე შეადგენს 12 კგ-ს, ნაცვლად 28 კგ-ისა 1990 წელს.

მეორე, სასურსათო რესურსების წარმოების მოცულობისა და სურსათით პლანეტის მოსახლეობის უზრუნველყოფის საერთო შემცირებასთან ერთად გაძლიერდა დისპროპორცია მისი ცალკეული რეგიონების მიხედვით. 1950 წლიდან 1990 წლამდე მარცვლეულის წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე აშშ-ში გაიზარდა 32 %-ით და შეადგინა 1160 კგ, დასავლეთ ევროპაში — 2-ჯერ (500 კგ-მდე), აფრიკის ქვეყნებში შემცირდა 27 %-ით (118 კგ-მდე). ექსპერტთა ვარაუდით, 2030 წლისათვის მარცვლეულის საშუალოსულადობრივი წარმოება ჩინეთში შეიძლება სანახევროდ (164 კგ-მდე) შემცირდეს, ინდოეთში-15%-ით (158 კგ-მდე), პაკისტანში-30%-ით (90კგ-მდე) და ირანში 31%-ით (140 კგ-მდე).

მესამე, მცირდება სტაბილურობის დონე სასურსათო ბაზარზე, რომელიც განისაზღვრება კონიუნქტურული რყევების შემარბილებელი და ფასების შემაკავებელი რეზერვების არსებობით. 1987 წელს მსოფლიოში მარცვლეულის მარაგებმა შეადგინა 104 დღე, 1994 წელს კი – მხოლოდ 64 დღე. წარმოების მოცულობათა საპროგნოზო შემცირება კიდევ უფრო გაამწვავებს მდგომარეობას სასურსათო ბაზარზე და გააძლიერებს მის კონიუნქტურულ რყევებს.

და ბოლოს, სურსათის ძირითად სახეობებზე მსოფლიო ფასების თანდათანობითი შემცირების ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, დაიწყო მათი არსებითი ზრდის პროცესი. თავდაპირველად გაძვირდა ზღვის პროდუქტები, შემდეგ ეს ტენდენცია გავრცელდა სურსათის სხვა სახეობებზეც. მეცნიერთა გაანგარიშებით, მომავალი 20 წლის განმავლობაში ფასი ხორბალზე გაიზრდება 66%-ით, სიმინდზე – 37%-ით და ბრინჯზე – 30%-ით[3.14, გვ.13].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე დგება სასურსათო პრობლემის გადაწყვეტის ყველა ქვეყნისათვის ურთიერთმისაღები პერსპექტივის განსაზღვრის ამოცანა. აქ გასათვალისწინებელია ორი შესაძლო ვარიანტი:

- აშშ-ში მოხმარების მიღწეულ დონეზე ორიენტაცია. შესაძლოა ასეთი იყოს ქვეყანათა უმრავლესობის არჩევანი, მაგრამ ამ შემთხვევაში სასურსათო რესურსები 2030 წლისათვის საკმარისი იქნება მხოლოდ 2,5 მლრდ. კაცისათვის, რაც 3,5-ჯერ ჩამორჩება პლანეტის მცხოვრებთა საერთო რაოდენობას;
- სასურსათო რესურსების ყველაზე თანაბრად გადანაწილება. ამ შემთხვევაში პლანეტის თითოეულ მცხოვრებზე მოვა 450 გრ. მარცვლეული დღე-ღამეში, ანუ დაახლოებით იმდენი, რამდენიც აქვს ამჟამად ინდოეთის მცხოვრებს.

ივარაუდება, რომ გადანაწილება გარდაუვალი იქნება და მას ექნება არა მხოლოდ კომერციული, არამედ აგრეთვე პოლიტიკური ხასიათიც. ეს განპირობებულია იმით, რომ სულ უფრო იზრდება ღარიბი ქვეყნების რიცხვი: 60-იან წლებში ღარიბი და მდიდარი ქვეყნების თანაფარდობა იყო 30:1, 1990 წელს კი მან უკვე შეადგინა 64:1. მაშასადამე, სასურსათო პრობლემა შეიძლება გადაიზარდოს ღრმა საერთაშორისო კრიზისში.

ამ აზრს დღეისათვის ავითარებს მრავალი მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე. ასე, მაგალითად, FAO-ს ექსპერტები თვლიან, რომ თუ არ მოხდება ტექნოლოგიური გარღვევა სურსათის წარმოებისა და ნიადაგის ნაყოფიერების ზრდაში, მაშინ 2010 წლისათვის დაიწყება უმწვავესი სასურსათო კრიზისი. ამ პერიოდისათვის, ვითარების პესიმისტური სცენარით განვითარების შემთხვევაში, დედამიწის მოსახლეობის 25% იშიმშილებს, რაც აბსოლუტური მაჩვენებლებით 2-ჯერ და მეტად გადააჭარბებს თანამედროვე დონეს და დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს რომის დეკლარაციის ოპტიმისტურ ტონს — 2015 წლისათვის მოშიმშილეთა საერთო რაოდენობის ორჯერ შემცირების შესახებ[4.18, გვ.46]. მდგომარეობას კიდევ უფრო დაძაბავს ეკოლოგიური ვითარების გაუარესების საფრთხეც.

ასეთ სიტუაციაში აუცილებელია ერთიანი საერთაშორისო სტრატეგია, მრავალი ქვეყნის შეთანხმებული მოქმედება და რიგი ვალდებულებების მიღება, რომელთა შესრულება, რა თქმა უნდა, მარტივი საქმე არ იქნება.

ამასთან დაკავშირებით, 1992 წელს მსოფლიოს 1500-ზე მეტმა წამყვანმა მეცნიერმა, მათ შორის ნობელის პრემიის 102 ლაურიატმა ხელი მოაწერა მემორანდუმს („მეცნიერები აფრთხილებენ კაცობრიობას") რესურსების გამოყენებისადმი და მიწაზე ცხოველქმედების უზრუნველყოფისადმი დამოკიდებულების შეცვლის მოწოდებით.

1994 წელს გაერო-ს ხალხთმოსახლეობის ფონდმა შესთავაზა კაცობრიობას პერსპექტივაში სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა, მიწის რესურსების ნგრევის აღკვეთისა და 2050 წლისათვის ხალხთმოსახლეობის 7,3 მლრდ. კაცამდე სტაბილიზების გზით. ამ პროგრამის რეალიზაციისათვის საჭირო იქნება 61,2 მლრდ. აშშ დოლარი, რომლის დიდი ნაწილი უნდა წარიმართოს სახნავი მიწების დაცვისა და ტყეების აღდგენის ღონისძიებებზე.

1996 წლის ნოემბერში მსოფლიო სამიტის მონაწილეებმა რომში მიიღეს სასურსათო უსაფრთხოების დეკლარაცია და ხელი მოაწერეს მოქმედებათა გეგმას 2015 წლამდე პერიოდისათვის. ფორუმის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ ინდუსტრიულმა ქვეყნებმა, რომელთა განვითარება განსაკუთრებით დიდ ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს გარესამყაროზე, ამ ზარალის კომპენსირება უნდა მოახდინონ თავიანთი მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 0,7%-ის გამოყოფის გზით იმ

ერების სასურსათო დახმარების მიზნით, რომლებიც ამას საჭიროებენ. აშშ-მა მხარი არ დაუჭირა ამ წინადადებას, დაიკავა განსაკუთრებული პოზიცია და განაცხადა, რომ იგი, როგორც ადრე, დახმარებას გაუწევს იმას, ვისაც საჭიროდ ჩათვლის და, იმ მოცულობით, როგორსაც მიიჩნევს მიზანშეწონილად.

ამერიკელი მეცნიერები ლ.ბრაუნი და ხ.კეინი ასაბუთებენ, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში პრიორიტეტები გადავა არა განიარაღების, არამედ სურსათის დეფიციტის დაძლევის პრობლემაზე[3.2, გვ.88].

საგულისხმოა, რომ თანამედროვე პერიოდში არსებითი ხასიათის ცვლილებები მოხდა სასურსათო პრობლემის გადაწყვეტისადმი სტრატეგიულ მიდგომებში. 70-იან წლებში ითვლებოდა, რომ სოფლის მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვის კვალობაზე სასურსათო პრობლემა გადაწყდება გლობალური მასშტაბით, შესაბამისად იგი აღარ იარსებებს ეროვნულ დონეზეც, ე.ი. იგეგმებოდა „ზოგადიდან კერძოსაკენ" მიდგომა. 1972 წელს თათბირის მონაწილეებმა სტოკჰოლმში განაცხადეს მსოფლიო მასშტაბით სასურსათო პრობლემების გადაწყვეტის განზრახვის შესახებ, რათა უკვე საუკუნის ბოლომდე ბოლო მოეღოთ შიმშილისათვის ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიმღებ 170 ქვეყანაში. შემდგომ წლებში გაჩნდა ახალი მიდგომა, რომლის თანახმად, სასურსათო უსაფრთხოების მიღწევა შესაძლებლად ითვლება მხოლოდ ცალკეულ სახელმწიფოთა დონეზე, ხოლო მისი მეშვეობით — გლობალური მასშტაბითაც, ე.ი. პრობლემის გადაწყვეტა მოიაზრება უკვე „კერძოდან ზოგადისაკენ." ეს დაკავშირებულია შემზღუდავ ფაქტორთა არსებობასთან, რომლებიც განსაზღვრავენ მსოფლიო მეურნეობის განვითარების ტენდენციებს და არ იძლევიან პერსპექტივაში სასურსათო რესურსების ზრდის მაღალი ტემპების ვარაუდის შესაძლებლობას.

სასურსათო უზრუნველყოფის სასურსათო უსაფრთხოებაში მოდიფიცირებამ მიგვიყვანა არსებით ცვლილებებთან აგრარულ პოლიტიკაში. თუ 70-იან და 80-იან წლებში სურსათით მომარაგება განიხილებოდა მიმდინარე მიზნების მიღწევის საშუალებად, 90-იანი წლებიდან უკვე პრიორიტეტები გადავიდა სტრატეგიულ მიზნებზე; წინა პლანზე წამოიწია აგრარული ეკონომიკის განვითარებისა და მსოფლიო სასურსათო მეურნეობაში ცალკეული ქვეყნების პოზიციების

განმტკიცების ამოცანებმა. მაშასადამე, სასურსათო საკითხში გაძლიერდა სტრატეგიული ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ ცალკეულ სახელმწიფოთა მომავალ ეკონომიკურ პოტენციალს და მათ როლს მსოფლიო მეურნეობაში.

თათბირის მონაწილეები რიო-დე-ჟანეიროში 1994 წელს, იხილავდნენ რა მომავალი, 21-ე საუკუნის პრობლემებს, აღნიშნავდნენ, რომ მდგრადი განვითარების გარანტია, სიღარიბესთან ბრძოლა, სასურსათო უზრუნველყოფა წარმოადგენს სახელმწიფოთა ვალდებულებას, რომელთა შესრულება უმჯობესია პროგრამების, გეგმებისა და სასურსათო პოლიტიკის შემუშავების გზით.

როგორც ვხედავთ, ყველაზე წარმომადგენლობითი საერთაშორისო ფორუმების დოკუმენტები ატარებენ სარეკომენდაციო ხასიათს და გადმოიცემა პრინციპით „იაზროვნე გლობალურად, იმოქმედე ლოკალურად“[3.14, გვ.44]. მაშასადამე, სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა უკვე მოიაზრება არა გლობალურ ან კონტინენტალურ მასშტაბებში, არამედ მხოლოდ ეროვნულ დონეზე.

ამრიგად, მსოფლიო სოფლის მეურნეობის განვითარებაში სირთულეების გაღრმავებასთან, სურსათის მიწოდებასა და მასზე მოთხოვნას შორის ბალანსის უზრუნველყოფის გართულებასთან დაკავშირებით სასურსათო პრობლემა, მართალია, ნელა, მაგრამ სულ უფრო გამოკვეთილად იძენს უსაფრთხოების პრობლემის ნიშნებს, რომლის გადაწყვეტა შესაძლებელია მსოფლიო თანამეგობრობის შეთანხმებული პოლიტიკისა და ერთობლივი პრაქტიკული საქმიანობის პირობებში. თუმცა, ეს არც თანამედროვე პირობებში და არც უახლოეს პერსპექტივაში გლობალურ დონეზე არ მოიაზრება რეალურად. ამიტომ, სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა ყოველმა ცალკეულმა ქვეყანამ უნდა გადაჭრას საკუთარ შესაძლებლობებზე დაყრდნობით, მსოფლიო თანამეგობრობის მხრიდან მაქსიმალური მხარდაჭერისა და გარანტიების შექმნის პირობებში.

II თავი

სასურსათო უსაფრთხოების კონცეფციის როლი ქვეყნის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში

2.1. სასურსათო უსაფრთხოების არსი, მისი მიღწევის მიზნები და ამოცანები

საერთაშორისო მასშტაბით შექმნილი მძიმე სასურსათო მდგომარეობის დასაძლევად და ამ სფეროში სიტუაციის მოსალოდნელი გართულების თავიდან ასაცილებლად, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია პრობლემასთან დაკავშირებული საკითხების სისტემური მეცნიერული შესწავლა და ანალიზი, სასურსათო უსაფრთხოების მეცნიერულად დასაბუთებული კონცეფციის შექმნა და მისი ცნებით-კატეგორიალური აპარატის დაზუსტება.*

საერთოდ, უსაფრთხოება ადამიანის (საზოგადოების, სახელმწიფოს) უმნიშვნელოვანესი ფასეულობაა. მისი უზრუნველყოფის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის არსებობა და ნორმალური განვითარება. წარმოშობის დღიდან კაცობრიობა ცხოვრობს ისტორიული გამოწვევებისა და კონკრეტული მუქარების მუდმივი საფრთხის ქვეშ. მზადყოფნა ისტორიული გამოწვევებისა და კონკრეტული მუქარების საპასუხოდ, და, მაშასადამე, უსაფრთხოების უზრუნველყოფა სახელმწიფოს მონოპოლიური უფლება და მოვალეობაა. ამგვარად გაგებული უსაფრთხოება არის სისტემის შემადგენელი ინსტიტუტების მიერ პიროვნების (საზოგადოების, სახელმწიფოს) სასიცოცხლოდ აუცილებელ მოთხოვნილებათა დაცვა ისტორიული გამოწვევებისა და კონკრეტული მუქარების საფრთხისაგან. საფრთხე კი სოციალურ ორგანიზმზე ნეგატიუ-

---

* მეცნიერული კვლევის ამგვარად წარმართვის აქტუალობაზე მეტყველებს ისიც, რომ ამჟამად სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის ყურადღების ცენტრშია მოქცეული. იგი შედის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტთა რიცხვში და მთავრობათა უპირველესი ყურადღების ობიექტია, რაც პრაქტიკულად ვლინდება რიგ ქვეყნებში სასურსათო უსაფრთხოების ეროვნულ სტრატეგიათა შემუშავებითა და წარმატებული რეალიზაციით[4.7, გვ.3].

რი ზემოქმედების ობიექტურად არსებული ან პოტენციური შესაძლებ-ლობაა, რის შედეგადაც იგი შეიძლება დაზარალდეს.

მსოფლიო პრაქტიკაში უსაფრთხოების ტერმინი მე-12 საუკუნი-დან გამოიყენება და ადრეულ პერიოდებში იგი საფრთხისაგან დაცუ-ლი ადამიანის მშვიდ სულიერ მდგომარეობას ნიშნავდა. თუმცა, შუა საუკუნეებამდე აღნიშნული გაგებით უსაფრთხოების ცნება მყარად ვერ დამკვიდრდა მოწინავე ქვეყნების საზოგადოებრივ ლექსიკონში. მე-17 საუკუნიდან წამყვან ქვეყნებში წარმოიშვა მოსაზრება, რომ სახელმწიფოს მთავარი მიზანია საერთო კეთილდღეობა და უსაფრთ-ხოება. აქედან მოყოლებული აღნიშნული ტერმინი ახალ შინაარსს იძენს, ხოლო უფრო მოგვიანებით, ეროვნული უსაფრთხოების კონ-ცეფცია მთელ მსოფლიოში პოულობს გავრცელებას[4.21, გვ.2].

ეროვნული უსაფრთხოების მრავალი განმარტება არსებობს. მათი შეჯერებით სახელმწიფოს უსაფრთხოების არსი განისაზღვრება სა-ზოგადოებისა და ხელისუფლების ინსტიტუტების ისეთი მდგომარეო-ბით, როდესაც უზრუნველყოფილია ეროვნული ინტერესების გარან-ტირებული დაცვა, ქვეყნის სოციალურად ორიენტირებული განვითა-რება, სახელმწიფოებრიობა და ტერიტორიული მთლიანობა, შინაგანი და გარეგანი პროცესების ყველაზე უფრო არახელსაყრელ პირობებ-შიც კი[4.26, გვ.71].

ეროვნული უსაფრთხოება მოიცავს შემდეგ ქვესისტემებს: იდეო-ლოგიურ-კულტურული და ფსიქოლოგიური უსაფრთხოება; პოლიტი-კური უსაფრთხოება; ეკონომიკური უსაფრთხოება; სოციალური უსა-ფრთხოება; დემოგრაფიული უსაფრთხოება; ეკოლოგიური უსაფრთ-ხოება; მეცნიერულ-ტექნოლოგიური უსაფრთხოება; ინფორმაციული უსაფრთხოება; სამხედრო უსაფრთხოება.

უსაფრთხოების აღნიშნული ქვესისტემებიდან ცენტრალური ად-გილი უჭირავს ეკონომიკურ უსაფრთხოებას, რომელიც გამოხატავს ეკონომიკური სისტემის უნარს, უზრუნველყოს ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების ნორმალური პირობები, ეროვნული მეურნეობის განვითა-რების მდგრადი მომარაგება რესურსებით და სახელმწიფოებრივი ინ-ტერესების თანმიმდევრული განხორციელება.

აქედან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება ნიშ-ნავს მისი ეკონომიკური განვითარების ისეთ დონეს, რომელიც უზ-რუნველყოფს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების რეალიზა-

ციას, პიროვნებისა და საზოგადოების არსებობისათვის ღირსეული პირობების შექმნას და წინ აღუდგება ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების შემაფერხებელ შინაგან და გარეგან მუქარებს.

ეკონომიკური უსაფრთხოება, თავის მხრივ, მოიცავს გარკვეულ ქვესისტემებს: სანედლეულო უსაფრთხოება; ენერგეტიკული უსაფრთხოება; ინდუსტრიული უსაფრთხოება; სასურსათო უსაფრთხოება; ინვესტიციური უსაფრთხოება; ინფორმაციულ-კომუნიკაციური უსაფრთხოება და ა.შ. ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემებიდან მთავარია სასურსათო უსაფრთხოება, რომელიც სასურსათო დამოუკიდებლობას, ანუ სურსათის ძირითად სახეებზე მოსახლეობის მოთხოვნილებების საკუთარი რესურსებით დაკმაყოფილების უნარს გულისხმობს. მაგრამ, ეს მხოლოდ ზოგადად. ახლა საჭიროა სასურსათო უსაფრთხოების არსის უფრო კონკრეტულად გარკვევა. ამისათვის უწინარეს ყოვლისა, უნდა დაზუსტდეს საკვანძო ცნება — სასურსათო უსაფრთხოება.*

ამოსავალი ინგლისური ტერმინი — foot security ითარგმნება ორგვარად: სასურსათო უსაფრთხოება ან სასურსათო უზრუნველყოფა. აქედან, ჩვენი აზრით, თარგმნის მეორე ვარიანტი უფრო ზუსტად ასახავს სურსათზე მოსახლეობის გარანტირებული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის განმსაზღვრელ ცნებას. ხშირად, თარგმნის პროცესში სურსათზე ხელმისაწვდომობის საკითხს ცვლიან მისი ხარისხის საკითხით და ამით სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა დაჰყავთ ჯანმრთელობისათვის სურსათის უსაფრთხოების პრობლემამდე. სინამდვილეში სურსათის ხარისხი (მისი ვარგისიანობა) სასურსათო უსაფრთხოების ერთ-ერთი პირობაა, რომელიც ინგლისურად გამოითქმის როგორც food safety. ამიტომ არ შეიძლება ამ რთული და კომპლექსური პრობლემის ერთ-ერთი მხარის მიჩნევა პრობლემად მთლიანად.

უსაფრთხოების ფუნდამენტური გაგებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, როდესაც საუბარია სასურსათო უსაფრთხოებაზე, იგულისხ-

---

* საგულისხმოა, რომ აღნიშნული ტერმინი FAO-მ შემოიღო 1971-73 წლების მარცვლეულის ღრმა კრიზისთან დაკავშირებით და ამ დროიდან დამკვიდრდა საერთაშორისო პრაქტიკასა და სამეცნიერო ბრუნვაში. მანამდე სასურსათო პრობლემატიკა განიხილებოდა ტერმინთა სხვა სისტემაში, რომელიც უმთავრესად დაკავშირებული იყო ამ პრობლემის სამხედრო-სტრატეგიულ ასპექტებთან[4.9, გვ.62].

მება გარკვეული საფრთხეები, რომელთა ნეგატიური ზემოქმედების ნეიტრალიზება და დაძლევა აუცილებელია. სასურსათო უსაფრთხოება, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს სურსათის უკმარისობის თავიდან აცილებას. ამასთან, სურსათის უკმარისობა განიხილება, როგორც ადამიანთა ფიზიოლოგიური არსებობის საფრთხე. კაცობრიობის დაცვა სურსათის უკმარისობისაგან ნიშნავს ცალკეულ ინდივიდთა ფიზიოლოგიურ გადარჩენას. ამდენად, სასურსათო უსაფრთხოების საფუძველი ფიზიოლოგიურია და იგი ვლინდება ცალკეული ინდივიდისათვის სასურსათო საფრთხის დაძლევაში, რომელიც მას შეიძლება დაემუქროს სურსათის უკმარისობის ან მისი დაბალხარისხიანობის შემთხვევაში.

საერთოდ, სურსათის უკმარისობა ნიშნავს სურსათით მომარაგების დეფიციტს. ამიტომ სურსათის უკმარისობის საფრთხის ლიკვიდაცია განმარტებულ უნდა იქნეს უფრო ფართედ, ვიდრე უბრალოდ ფიზიოლოგიური გადარჩენა. სასურსათო უსაფრთხოების პირობებში სურსათით მომარაგება უნდა იყოს ისეთ დონეზე, რომელიც უზრუნველყოფს აქტიური და ჯანსაღი ცხოვრების შესაძლებლობას. მაშასადამე, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ფუძემდებლური პირობაა სურსათის ისეთი საკმარისობა, რომელიც შესაძლებლად აქცევს ადამიანთა აქტიურ და ჯანსაღ ცხოვრებას.* ამით მიიღწევა ფიზიოლოგიური სასურსათო უსაფრთხოება.

საგულისხმოა, რომ საჭირო ოდენობისა და ასორტიმენტის სურსათით მომარაგება ჯერ კიდევ არასაკმარისი პირობაა სრული სასურსათო უსაფრთხოების მისაღწევად. ადამიანის სიცოცხლის დაცვის, მისი სრულფასოვანი ფიზიოლოგიური არსებობის შენარჩუნების პრობლემა გადაიჭრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი შესაძლებელი იქნება არსებული სურსათის ფაქტობრივი მოხმარება. ეს გარემოება, თავის მხრივ, მოითხოვს ისეთი ეკონომიკური პირობების შექმნას,

---

* უნდა შევნიშნოთ, რომ საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოების არსებულ განმარტებებში სურსათის საკმარისობა განისაზღვრება ზოგადად, რამდენადაც იგი აქცენტირებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ერთ სახეობაზე – მარცვლეულზე, რომლის არსებობა (საკმარისობა) FAO-ს ექსპერტების აზრით, უზრუნველყოფს მსოფლიოში სასურსათო მდგომარეობის სიმყარეს და ქმნის გარანტიებს საგანგებო მდგომარეობების შემთხვევაში. სინამდვილეში, სასურსათო უსაფრთხოების განმსაზღვრელ პირობას წარმოადგენს საჭირო ოდენობისა და ასორტიმენტის სურსათით სტაბილური უზრუნველყოფა.

მოსახლეობის შემოსავლებისა და სურსათზე ფასების ისეთი დონის უზრუნველყოფას, რომლის დროსაც გარანტირებული იქნება მისი ხელმისაწვდომობა[3.14, გვ.45-46; 4.9, გვ.64].

ხელმისაწვდომობის ცნებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კვებაზე ადამიანის უფლებასთან დაკავშირებით. გამოყოფენ მის ორ ასპექტს — ეკონომიკურს და ფიზიკურს. ეკონომიკური ხელმისაწვდომობა ვარაუდობს, რომ სურსათის სრულფასოვანი რაციონის შექმნაზე გაწეული ფინანსური დანახარჯები ხასიათდებოდეს ისეთი დონით, რომელიც საფრთხის წინაშე არ დააყენებს და არ დაარღვევს სხვა ძირითად მოთხოვნათა დაკმაყოფილებას. ამასთან, იგი წარმოადგენს საკმარის კვებაზე ადამიანის უფლების რეალიზების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მაჩვენებელს. ფიზიკური ხელმისაწვდომობა ვარაუდობს საკმარისი კვების ხელმისაწვდომობას ყოველი ადამიანისათვის, ფიზიკურად უმწეო იმ პირთა ჩათვლით, როგორიცაა ახალშობილი და უმცროსი ასაკის ბავშვები, ხანდაზმულები, ფიზიკური ნაკლის მქონენი და განუკურნებელი ავადმყოფები. მაგრამ კვებაზე უფლება (ფიზიკური ხელმისაწვდომობა) ჯერ კიდევ არ ნიშნავს მასზე ფაქტობრივ ხელმისაწვდომობას. ამის მისაღწევად აუცილებელია კვებაზე უფლება შეხამებული იყოს მისი რეალიზებისათვის საჭირო რესურსებზე საკუთრების უფლებასთან (ეკონომიკურ ხელმისაწვდომობასთან).

ამრიგად, ადამიანის ფიზიოლოგიური არსებობის საფრთხისაგან დაცვა, ამ საფრთხის ნეიტრალიზება და დაძლევა შესაძლებელია სურსათით საკმარის დონეზე უზრუნველყოფისა და მასზე ხელმისაწვდომობის სათანადო პირობების შექმნის გზით. სწორედ ეს ორი მთავარი პირობა — საკმარისობა და ხელმისაწვდომობა არის დაფიქსირებული საერთაშორისო დოკუმენტების უმრავლესობაში სასურსათო უსაფრთხოების განმარტებისას.

ასე, მაგალითად, გაერო-ს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუცია — „საერთაშორისო ვალდებულებები მსოფლიოში სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად“ (1974წ.) სასურსათო უსაფრთხოებას განმარტავს, როგორც „მსოფლიოს ყოველი მცხოვრების მუდმივი, გარანტირებული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას მსოფლიოს სასურსათო რესურსებზე იმ მოცულობებით,

რომელიც აუცილებელია აქტიური და ჯანსაღი ცხოვრებისათვის".* გაერო-ს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის ფარგლებში მომზადებული დოკუმენტის – „საკმარის კვებასა და შიმშილისაგან თავისუფლებაზე უფლება" – განახლებულ გამოცემაში (1999წ. ივნისი) კი სასურსათო უსაფრთხოებაში იგულისხმება „ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც ყოველ ადამიანს ხელეწიფება ნებისმიერ დროს გარანტირებულად მიიღოს აქტიური და ჯანსაღი ცხოვრებისათვის აუცილებელი სურსათი"[3.12, გვ. 4]. მაშასადამე, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პირობებში სასურსათო პროდუქტები არსებობს საკმარისი ოდენობით და ასორტიმენტით, მათი მიწოდება შედარებით სტაბილურია და ყოველ მსურველს შეუძლია მიიღოს ისინი.

ზემოაღნიშნული კომპაქტური განმარტებები, მართალია, სრულად ვერ ასახავს მოცემული პრობლემის არსს, მაგრამ, იძლევა რა მისი მეცნიერული შეცნობის ძირითად მიმართულებას, შეიძლება მივიჩნიოთ საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოების დეფინიციად. მაგრამ, სურსათით უზრუნველყოფის პრობლემის უფრო სრულად ასახვისათვის აუცილებელია ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების განსაზღვრაც.

ეროვნული სასურსათო უსაფრთხოება უკავშირდება საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოების ძირითად პირობებს. აქაც სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის უმთავრესი პირობებია სურსათის საკმარისობა და ხელმისაწვდომობა.** თუმცა, ამ შემთხვევაში სასურსათო უსაფრთხოება უფრო ფართოდ უნდა განიმარტოს. ეს, უწინარეს ყოვლისა, დაკავშირებულია იმასთან, რომ სურსათის საკმარისობა და ხელმისაწვდომობა ეროვნულ დონეზე „მუშაობს" აგრეთვე სახელმწიფოს, როგორც ასეთის, ამოცანების გადაწყვეტაზე.

ამასთან დაკავშირებით აუცილებელია ხაზი გაესვას სამ გარემოებას: ჯერ ერთი, ისტორიული განვითარების გამოცდილება ადასტურებს, რომ ე.წ. „მშიერ ამბოხს" შეუძლია შეარყიოს სახელმწიფო

---

* აქ „მუდმივობის" ცნება იმანენტურადაა დაკავშირებული სასურსათო უსაფრთხოების ცნებასთან, რამდენადაც იგი ვარაუდობს საკმარისი სურსათის ხელმისაწვდომობას როგორც ახლანდელი, ასევე მომავალი თაობებისთვისაც[4.9, გვ.65].

** ლიტერატურაში ვხვდებით ცალმხრივ შეხედულებებსაც, რომელთა თანახმად, ხაზგასმულია ხან ერთი (საკმარისობა)[3.12, გვ.4] და ხან მეორე (ხელმისაწვდომობა)[6.12, გვ.1] პირობა.

ხელისუფლების თუნდაც მყარი პოლიტიკური საფუძვლები; მეორე, კაცობრიობის ისტორია ესაა სახელმწიფოებისა და ხალხების უწყვეტი ბრძოლა თავიანთი ეროვნული ინტერესების დასაცავად. თანამედროვე პირობებში ამ ბრძოლის სიმძიმის ცენტრმა, წარსულში მსოფლიო ომებიდან და ლოკალური კონფლიქტებიდან, ეკონომიკური ურთიერთდაპირისპირებისაკენ გადმოინაცვლა, რაც ხშირად ეკონომიკურ ბლოკადაში ვლინდება. და მესამე, პრობლემის საერთაშორისო ხასიათის გამო, სურსათის საკმარისობა და ხელმისაწვდომობა იმყოფება ისეთი ფაქტორების გავლენის ქვეშ, როგორიცაა მსოფლიო სასურსათო ბაზრის ფასები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში რყევები, ლოკალური კონფლიქტები და ა.შ. სავსებით მოსალოდნელია სიტუაცია, როდესაც აღნიშნული ფაქტორების მოქმედებამ შეიძლება ნეგატიური გავლენა იქონიოს სურსათის საკმარისობასა და ხელმისაწვდომობაზე და, აქედან გამომდინარე, გამოიწვიოს საზოგადოების დესტაბილიზაცია.

ამიტომ ეროვნულ დონეზე სასურსათო უსაფრთხოება უნდა გულისხმობდეს აგრეთვე სახელმწიფოს მუდმივ მზადყოფნას, საგანგებო გარემოებებში (საერთაშორისო პოლიტიკური ვითარების გამწვავება, ომები, ეკონომიკური ბლოკადა, ანთროპოგენური თუ ბუნებრივი კატასტროფები და ა.შ.) არაორდინალური ზომების მიღებით (საბარათო სისტემის შემოღება და სხვ) შეინარჩუნოს სურსათით საკუთარი მოსახლეობის გარანტირებული (უფასოდ ან შეღავათიან ფასებში) უზრუნველყოფის მინიმალური დონე[4.9, გვ.66].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამართლიანად მიგვაჩნია იმის მტკიცება, რომ სურსათის საკმარისობა და ხელმისაწვდომობა, მართალია, გარკვეულწილად ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების განმსაზღვრელი პირობებია, მაგრამ მხოლოდ მათი ზემოქმედებით არ შეიძლება შემოიფარგლოს მოცემული პრობლემის არსი. სასურსათო უსაფრთხოების შინაარსის არსებით შემავსებელს წარმოადგენს დებულება თვითუზრუნველყოფის გარკვეული დონის არსებობისა და ამის ხარჯზე სასურსათო უზრუნველყოფის იმპორტზე დამოკიდებულების შემცირების შესახებ, რომელიც ნებისმიერი სახელმწიფოსათვის ამ ხაზით შესასრულებელი პროგრამა-მინიმუმია[3.10, გვ.33; 3.14, გვ.74].

საგულისხმოა, რომ სასურსათო უსაფრთხოების ირგვლივ წამოჭრილ პოლემიკაში, ამ საკითხის განხილვის ადრეულ ეტაპზე, დო-

მინირებდა კონცეფცია, რომლის თანახმადაც ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ოპტიმალური საშუალება იყო სასურსათო დახმარება და იმპორტი. იმ ხანებში თვითუზრუნველყოფა არ იყო აქტუალური თემა, რადგან მსოფლიო სასურსათო ბაზარზე სურსათის მიწოდება შედარებით მრავალფეროვანი არხებით ხდებოდა. მაგრამ შემდგომ, მსოფლიოს მოსახლეობის ზრდამ და ქვეყნების არათანაბარმა ეკონომიკურმა განვითარებამ გამოიწვია სასურსათო ბაზრის მონოპოლიზება. ამასთან, სურსათის ძირითად ექსპორტიორებსაც გაუჩნდათ გარკვეული პრობლემები საკუთარი მოსახლეობის გამოკვებაში, რამაც სურსათის მიწოდების არასტაბილური ტენდენცია წარმოშვა. ამან სურსათის იმპორტზე დამოკიდებულ ქვეყნებს უბიძგა შეექმნათ და აქტიურად განეხორციელებინათ „თვითუზრუნველყოფის" ეროვნული კონცეფციები.

სურსათით თვითუზრუნველყოფის მიღწევის აუცილებლობის შესახებ თეზისი მთელი რიგი ავტორების მიერაა დეკლარირებული. მაგალითად, რუსი მეცნიერები ს.ძარასოვი და ს.ფილიევი თვლიან, რომ ქვეყანა უნდა უზრუნველყოფდეს კვების პროდუქტებით მიმდინარე და საგანგებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას საკუთარი რესურსების ხარჯზე[4.35, გვ.23]. ნ.ს. ოგლუზდინი ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების ქვეშ გულისხმობს „ქვეყნის მოსახლეობის უზრუნველყოფას ეკოლოგიურად სუფთა და ჯანმრთელობისათვის სასარგებლო სამამულო წარმოების კვების პროდუქტებით მეცნიერულად დასაბუთებული ნორმების მიხედვით და ხელმისაწვდომი ფასებით, საცხოვრებელი გარემოს შენარჩუნებისა და გაუმჯობესების პირობებში"[6.10, გვ.1]. ამ შემთხვევაში ზუსტად არ არის განსაზღვრული სამამულო წარმოების ის მინიმუმი, რომელიც საკმარისია სასურსათო უსაფრთხოების შესანარჩუნებლად.

უცხოელ ექსპერტთა უმრავლესობის აზრით, ეს მონაცემები 70-75%-ის ფარგლებში მერყეობს, ანუ ცალკეული ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება დარღვეულად ითვლება, თუ აქ მოხმარებული მთელი სურსათის 25-30% იმპორტირებულია[3.12, გვ.8]. FAO ამ მაჩვენებელს ქვეყანაში სურსათის მთლიანი შიდა მოხმარების არანაკლებ 85%-ის დონეზე განსაზღვრავს. აღნიშნული მაჩვენებელი პირობითი ორიენტირია, თორემ რეალურად სურსათით თვითუზრუნველყოფის კორექტული ფორმულირება უნდა ითვალისწინებდეს მოცემული ქვეყ-

ნის ეკონომიკურ პოტენციალს, მისი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს და მოსახლეობის კვების სტრუქტურაში დამკვიდრებულ ტრადიციებს.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე, ქვეყნის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის პროცესში, შეიძლება სხვადასხვა პრიორიტეტი არსებობდეს. ეს დამოკიდებულია ეკონომიკური განვითარებისა და სასურსათო უსაფრთხოების მიღწეულ დონეზე. დაბალი ეკონომიკური განვითარებისა და სურსათის დეფიციტის პირობებში სახელმწიფოს უმთავრესი ამოცანაა სურსათზე გადახდისუნარიანი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, რის შემდეგაც განიხილება კვების ფიზიოლოგიური ნორმების შესაბამისი მოთხოვნილების უზრუნველყოფა. ასეთ ვითარებაში ჯერ არაა საუბარი თვითუზრუნველყოფის შესახებ. ხოლო როცა პირველი და მეორე საფეხური მიღწეული იქნება, რაც გულისხმობს საერთო ეკონომიკური განვითარების მაღალ დონეს და სურსათზე კვების ფიზიოლოგიური ნორმების შესაბამის მოთხოვნას, მხოლოდ ამის შემდეგ წამოიწევს წინა პლანზე თვითუზრუნველყოფის რაც შეიძლება მაღალი დონის მიღწევის ამოცანა.

თანამედროვე მსოფლიოში არსებობს ქვეყნები, რომლებმაც უკვე გადაჭრეს სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა საკმარისობის, ხელმისაწვდომობის და თვითუზრუნველყოფის თვალსაზრისით. მაგრამ ადამიანის აქტიური და ჯანსაღი ცხოვრებისათვის კვლავ მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს კვების პროდუქტების დაბინძურების საკმაოდ მაღალი ხარისხი. სურსათის ვარგისიანობა* სულ უფრო აქტუალური თემა ხდება ეკოლოგიური სიტუაციის გამწვავებისა და სოფლის მეურნეობის მზარდი ქიმიზაციის პირობებში.

აღნიშნულ სფეროში სიტუაციის მოსალოდნელ გართულებასთან დაკავშირებით შესაძლებელია ცალკეულ ქვეყნებში მოხდეს ეროვნული აგრარული სტრატეგიის გადასინჯვა. ამჟამად განვითარებული ქვეყნების ერთი ნაწილი (განსაკუთრებით სასურსათო პროდუქტების ძირითადი ექსპორტიორები — აშშ, კანადა და ევროკავშირის ქვეყნე-

---

* „ვარგისიანობის" ცნებაში იგულისხმება როგორც კვების პროდუქტების უვნებლობა, ასევე კვების სტრუქტურის ხარისხიანობა. სრულფასოვანი კვება უნდა ეფუძნებოდეს კვების ფიზიოლოგიური ნორმებით გათვალისწინებული საკვები ნივთიერებებისა და სურსათის მრავალფეროვნებას[4.9, გვ. 68].

ბი) უკვე მუშაობს ამ მიმართულებით. კერძოდ, მათ უარყვეს ადრინდელი შეხედულებები სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ეროვნული სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობის გადიდების თაობაზე, მიიღეს გადაწყვეტილება სურსათის შიდა წარმოების თანდათანობითი შემცირების შესახებ და დაიწყეს ბრუნვიდან სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დროებითი ამოღების სუბსიდირება ნიადაგის ნაყოფიერების აღსადგენად და „ეკოსასურსათო უსაფრთხოების" უზრუნველსაყოფად.

ასეთ ვითარებასთან დაკავშირებით, უკანასკნელ პერიოდში ინტენსიურად განიხილება ეკოლოგიურად სუფთა სასურსათო პროდუქტების წარმოების მდგრადი განვითარების იდეა[2.9, გვ.6; 3.21, გვ.17; 3.27, გვ.26]. იგი ვარაუდობს ალტერნატიულ მიწათმოქმედებას, რადგანაც ეკოლოგიური სოფლის მეურნეობა ნიშნავს, უპირატესად აღდგენადი რესურსების გამოყენებას, ორგანულ ნივთიერებათა დანაკარგების შემცირებას, ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენას, ქიმიურ საშუალებათა გამოყენების შემცირებას და ა.შ. ეს ფაქტიურად მოასწავებს ექსტენსიური მიწათმოქმედებისაკენ დაბრუნებას. მართალია, ეს ჯერჯერობით წმინდა უტოპიაა მსოფლიოსათვის მთლიანად, მაგრამ ცალკეული ქვეყნისათვის ამის გაკეთება სადღეისოდ რამდენადმე უკვე შესაძლებელია. მაგალითად, საქართველოში, ისევე როგორც გარდამავალი ეკონომიკის მრავალ სხვა ქვეყანაში, სადაც ჩამოყალიბდა ძალიან მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი თავისით (ნებით თუ უნებლიეთ) მივიდა სურსათით თვითუზრუნველყოფის იდეასთან, ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების გამოყენებით, რომელიც მოქმედებაში შედის უპირატესად შრომის მარტივი იარაღებისა და ადამიანის ფიზიკური ძალის მეშვეობით.

ამჟამად ეკოლოგიურად სუფთა სასურსათო პროდუქტების წარმოებაში ლიდერობენ ევროკავშირის ქვეყნები. აქ ამ საქმით დაკავებულია 14 ათას მეურნეობაზე მეტი, 400 ათასი ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულით, რაც ორჯერ აღემატება 1988 წლის შესაბამის მაჩვენებელს. ექსპერტთა გაანგარიშებით, ეკოლოგიურად სუფთა სასურსათო პროდუქტების წარმოება კვლავაც გაიზრდება და 2005 წლისათვის მისი წილი სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთლიან მოცულობაში 2.5%-ს მიაღწევს. აღნიშნული ტენდენცია განსაკუთრებით შესამჩნევი იქნება იმ რაიონებში, სადაც მეურნეობრიობის ექსტენ-

სიურ გზას მისდევენ. ამასთან, როგორც ქართველი სპეციალისტები ვარაუდობენ, აქ წარმოებული პროდუქციის არაკონკურენტუნარიანობა გადაიფარება მისი მნიშვნელოვანი სიძვირის გამო მწარმოებელთათვის დამატებითი ეკონომიკური ეფექტის მიღებით. ამავე მიმართულებით იმოქმედებს ისიც, რომ სახელმწიფო ფინანსური დახმარების და სხვა სახის მხარდაჭერის ძირითადი ვექტორი თანდათანობით ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის განვითარებისაკენ იქნება მიმართული[4.17, გვ.54].

ამრიგად, სურსათის საკმარისობა და მასზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობა, სხვა პირობებთან (თვითუზრუნველყოფის გარკვეული დონე, ეკოლოგიური სისუფთავე) ერთად, უზრუნველყოფს ეროვნულ სასურსათო უსაფრთხოებას, რაც, თავის მხრივ, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის, სახელმწიფოს ძლიერებისა და ავტორიტეტის განმტკიცების საწინდარია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის განზოგადებით, მართებულად მიგვაჩნია ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების შემდეგნაირი ფორმულირება:

ეროვნული სასურსათო უსაფრთხოება — ეს არის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც, მსოფლიო ბაზრების კონიუნქტურისაგან დამოუკიდებლად, მიიღწევა საკუთარი მოსახლეობისათვის ეკოლოგიურად სუფთა და ჯანმრთელობისათვის სასარგებლო სურსათის სტაბილური საკმარისობა (მიწოდება), ერთი მხრივ, და მეცნიერულად დასაბუთებული სამედიცინო ნორმების დონეზე გარანტირებული ხელმისაწვდომობა (მოთხოვნა), მეორე მხრივ, იმპორტისაგან დამოუკიდებლობისა და თვითუზრუნველყოფის გარკვეული დონის პირობებში. ამასთან, სისტემამ უნდა უზრუნველყოს ასეთი მდგომარეობის შენარჩუნება პერსპექტივაშიც.*

ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების არსის გაგებისადმი ასეთი მიდგომის თანახმად, მისი მიღწევის ძირითად მიზანს წარმოადგენს სურსათის სტაბილური საკმარისობისა და გარანტირებული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, შინაგანი და გარეგანი ფაქტო-

---

* დაუშვებელია სასურსათო უსაფრთხოების მიღწევა აწმყოში, მომავალში მისი დარღვევის ხარჯზე, რადგანაც ეს მომავალი ოდესაც ხომ დადგება, და მაშინ ეს კატეგორია საერთოდ აზრს კარგავს.

რების გავლენისაგან დამოუკიდებლად. ამ მიზნის მიღწევის უმნიშვნელოვანეს პირობებს მიეკუთვნება:

- ქვეყნის თითოეული მცხოვრებისათვის კვების პროდუქტებზე პოტენციური ფიზიკური ხელმისაწვდომობა;
- მოსახლეობის ყველა სოციალური ჯგუფის მიერ სურსათის შეძენის ეკონომიკური შესაძლებლობა, ცხოვრების დონის ამაღლების ან სოციალური დაცვის აუცილებელი ზომების მიღების გზით;
- მაღალი ხარისხის კვების პროდუქტების მოხმარება, რაციონალური კვებისათვის საკმარისი ოდენობით.

აქედან გამომდინარე, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა გულისხმობს რიგი ამოცანების გადაწყვეტას:

- სტაბილური ეკონომიკური პირობების შექმნა;
- ეფექტური აგრარული პოლიტიკის გატარება;
- თანაბარი პირობების შექმნა მეურნეობრიობის სუბიექტები სათვის;
- სიღარიბისა და სრულფასოვანი კვების მისაწვდომობის უთანაბრობის აღმოფხვრაზე მიმართული სოციალური პოლიტიკის განხორციელება;
- გააზრებული ეროვნული პოლიტიკის გატარება მოსახლეობის დასაქმების სფეროში;
- აგროსასურსათო სექტორის განვითარების კომპლექსურ ღონისძიებათა რეალიზაცია, სურსათის წარმოების ადგილობრივ შესაძლებლობათა გადიდების მიზნით;
- მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა სასურსათო რესურსების წარმოების, გადამუშავებისა და შენახვის სფეროებში;
- შრომის საერთაშორისო დანაწილების უპირატესობათა მაქსიმალურად გამოყენება;
- ეფექტიანი საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, საექსპორტო-საიმპორტო საქმიანობის ოპტიმიზაცია და აქტიური მონაწილეობა მსოფლიო შემოსავლების განაწილებაში.

ამრიგად, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ეროვნული და მსოფლიო ეკონომი-

კის საერთო მდგომარეობასთან დაკავშირებული ეკონომიკური და სოციალური პირობების მთელი ერთობლიობით.

2.2. სასურსათო უსაფრთხოების სტრუქტურა და დონეები

დღეისათვის, სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურასა და საერთაშორისო დოკუმენტებში სასურსათო უსაფრთხოება უპირატესად განიხილება ინდივიდუალურ, საოჯახო მეურნეობის, ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ დონეებზე. სასურსათო უსაფრთხოების სტრუქტურის ამგვარად წარმოდგენა ძირითადად მისაღებია. მაგრამ, ეროვნულ დონეზე პრობლემის შესწავლის ინტერესების გათვალისწინებით, აუცილებელია საკითხის უფრო დეტალური მეცნიერული განხილვა და ანალიზი.

სასურსათო უსაფრთხოების სტრუქტურა წარმოადგენს მრავალდონიან იერარქიას, რომლის საფუძველშიც იმყოფება სასურსათო პრობლემის გადამწყვეტი სუბიექტი თავისი ფუნქციებით.

სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის ცენტრში დგას ადამიანი კვებაზე მისი მოთხოვნილებებით, რომელთა დაკმაყოფილების გარეშე შეუძლებელია პროდუქტიული საქმიანობისა და კვლავწარმოების განხორციელება.

მაგრამ ამ პრობლემის მიკუთვნება ცალკეული ინდივიდისადმი არამართლზომიერია. უფრო მიზანშეწონილია მისი განხილვა ადამიანთა განსაზღვრულ გაერთიანებასთან მიმართებით. განვიხილოთ სასურსათო უსაფრთხოების ჩვენს მიერ საორიენტაციოდ შემუშავებული იერარქიული სტრუქტურა 1-ელი ცხრილის მიხედვით.

სასურსათო უსაფრთხოების იერარქიული სტრუქტურის ჩვენს მიერ შემოთავაზებულ საორიენტაციო სქემაზე სასურსათო უსაფრთხოების გადამწყვეტი სუბიექტის ქვედა დონედ გამოდის ოჯახი (საოჯახო მეურნეობა), რომლის ფუნქციას შეადგენს კვების პროდუქტების შეძენა, გამოყენება და სხვ.

სასურსათო უსაფრთხოების მომდევნო დონეს ქმნის მოსახლეობის სოციალური ჯგუფები (შემოსავლების დონის მიხედვით გაერთიანებული საოჯახო მეურნეობები), რომელთა ფუნქციებად მოიაზრება

მეცნიერულად დასაბუთებული სამედიცინო ნორმების მიხედვით მოხმარების უზრუნველმყოფი შემოსავლების მიღწევა.

ცხრილი 1. სასურსათო უსაფრთხოების იერარქიული (ვერტიკალური) სტრუქტურის საორიენტაციო სქემა

№	დონე	პრობლემის გადამწყვეტი სუბიექტი	სუბიექტის ფუნქციები
1	2	3	4
1	გლობალური დონე	გაერო, სპეციალიზებული ორგანოები (FAO, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, მსოფლიო ბანკი და სხვ.)	სახელმწიფოთა სტაბილური ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, სურსათით უზრუნველყოფის გრძელვადიანი პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია, სურსათის მსოფლიო მარაგების შექმნა და გამოყენება.
2	სუბრეგიონული დონე	რეგიონთაშორისი წარმონაქმნები შესაბამისი ორგანოებით, ფორუმები.	რეგიონთა სტაბილური ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, სურსათის ხარისხობრივი პარამეტრების გაუმჯობესება
3	ეროვნებათაშორისი (სახელმწიფოთაშორისი) დონე	სოლიდარული შეთანხმებები სურსათით ვაჭრობის, ფასებისა და სტანდარტიზაციის სფეროებში; ფორუმები და სხვა სუსტად ორგანიზებული წარმონაქმნები (ევროკავშირის გამოკლებით).	სახელმწიფოთა სტაბილური ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი სასურსათო ფონდების ფორმირების ხელშეწყობა; სურსათის ხარისხობრივი პარამეტრების გაუმჯობესება.
4	ეროვნული (საერთო-სახელმწიფოებრივი) დონე	მთავრობა, ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანოები	ქვეყნისა და მისი ცალკეული რეგიონების ეკონომიკური განვითარების სტაბილურობის უზრუნველყოფა, სახელმწიფო სასურსათო ფონდების ფორმირება, მოთხოვნისა და მიწოდების დაბალანსება
5	ადგილობრივი (ქვეყნის შიდა-რეგიონული) დონე	მმართველობისა და თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოები (მუნიციპალიტეტი, ადმინისტრაციული რაიონი, ოლქი, მხარე)	ტერიტორიის მცხოვრებთა მიერ შემოსავლების მიღებისათვის პირობების შექმნა, სავაჭრო ქსელში სურსათის სტაბილური მიწოდების უზრუნველყოფა და კვების პროდუქტების ხარისხზე კონტროლი

1	2	3	4
6	მოსახლეობის სოციალური ჯგუფების დონე	შემოსავლების დონის მიხედვით გაერთიანებული საოჯახო მეურნეობები	მეცნიერულად დასაბუთებული სამედიცინო ნორმების დონეზე მოხმარების უზრუნველმყოფი შემოსავლების მიღწევა
7	ინდივიდუალური (საოჯახო მეურნეობის) დონე	საოჯახო მეურნეობა	კვების პროდუქტების შეძენა და გამოყენება

სასურსათო უსაფრთხოების შემდეგ დონეს შეადგენს იურიდიულად გაფორმებულ განსაზღვრულ ტერიტორიაზე (მუნიციპალიტეტი, ადმინისტრაციული რაიონი, ოლქი, მხარე) ცხოვრების ნიშნით გაერთიანებულ ადამიანთა ერთობა. ასეთი სტრუქტურები იმართება შესაბამისი ადმინისტრაციის (ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების) მიერ, რომლის ვალდებულებებში შედის ტერიტორიის მცხოვრებთა მიერ შემოსავლების მიღებისათვის პირობების შექმნა, სავაჭრო ქსელში სურსათის სტაბილური მიწოდების უზრუნველყოფა და კვების პროდუქტების ხარისხზე კონტროლი.

სასურსათო უსაფრთხოების მომდევნო დონეს მიეკუთვნება ადამიანთა ყველაზე ორგანიზებული გაერთიანება — სახელმწიფო, რომელსაც გააჩნია სასურსათო პრობლემის გადაწყვეტის ყველაზე მეტი შესაძლებლობები. მის ვალდებულებებში შედის ქვეყნისა და მისი ცალკეული რეგიონების ეკონომიკური განვითარების სტაბილურობის უზრუნველყოფა, სახელმწიფო სასურსათო ფონდების ფორმირება, მოთხოვნისა და მიწოდების დაბალანსება.

ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტა მოითხოვს მნიშვნელოვან ძალისხმევას როგორც საერთო-სახელმწიფოებრივ (ეროვნულ), ასევე ქვეყნის შიდარეგიონულ (ადგილობრივ) დონეზეც. საერთო-სახელმწიფოებრივ ურთიერთობათა განვითარება, ცენტრსა და რეგიონებს (ავტონომიურ, სამხარეო და ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ წარმონაქმნებს) შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნა ამაღლებს ამ უკანასკნელთა როლსა და პასუხისმგებლობას სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტაში.

შიდარეგიონულ დონეზე გადასაჭრელი ამოცანები დამოკიდებულია სურსათის მწარმოებელი ამა თუ იმ რეგიონის არსებულ და პოტენციურ შესაძლებლობებზე, აგრეთვე სასურსათო უსაფრთხოების

უზრუნველყოფის ფუძემდებლური მოთხოვნების რეალიზაციის შესაძ-ლებლობაზე. აქ, ფაქტობრივად, საუბარია საერთო-სახელწიფოებრივი მასშტაბით სურსათის წარმოების საქმეში შრომის რეგიონული დანა-წილების ფორმირებაზე. ამ პროცესს ხელი უნდა შეუწყოს სურსათის წარმოებისა და განაწილების სისტემის სახელმწიფოებრივმა რეგული-რებამ.

სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ამოცანათა გამიჯვ-ნა ცენტრალურ და რეგიონულ ხელისუფლებას შორის, აგრეთვე რე-გიონთა განსხვავებული შესაძლებლობანი ბადებენ ეროვნული სასურ-სათო უსაფრთხოების განსაზღვრისადმი რეგიონული და საერთო-სა-ხელმწიფოებრივი მიდგომის აუცილებლობას.

ქვეყნის შიდა რეგიონისათვის სასურსათო უსაფრთხოება შეიძ-ლება განისაზღვროს, როგორც მოცემული რეგიონის ეკონომიკის ისე-თი მდგომარეობა, რომლის დროსაც მიიღწევა რეგიონის მოსახლეო-ბისათვის ადგილობრივი წარმოების ან საკუთარი საშუალებების ხარ-ჯზე მიღებული ეკოლოგიურად სუფთა სურსათის სტაბილური საკ-მარისობა და გარანტირებული ხელმისაწვდომობა, ქვეყანაში სასურ-სათო პრობლემის გართულებისა და მსოფლიოში სურსათით ვაჭრო-ბაში დაშვებული დარღვევების შემთხვევაში სასურსათო უზრუნველ-ყოფის პოტენციური ჩავარდნის მცირე რისკის პირობებში[4.9, გვ. 70].

საერთო-სახელმწიფოებრივი პოზიციებიდან, რეგიონების სასურ-სათო უსაფრთხოების ასეთი დონე არასაკმარისია, რადგანაც ცენტრა-ლური ხელისუფლების წინაშე დგას სადაზღვევო, სამობილიზაციო და სურსათის სხვა მარაგების შექმნის ამოცანა, რომლის გადაწყვე-ტაში რეგიონებმა შეძლებისდაგვარად უნდა მიიღონ მონაწილეობა. ამ პრობლემის გადაწყვეტა ხდება საერთო-სახელმწიფოებრივ დონეზე სურსათის წარმოების სტიმულირებისა და მის შესასყიდად საჭირო საშუალებათა აკუმულირების გზით.

სასურსათო უსაფრთხოების შემდეგ დონეს ქმნის ეროვნებათაშო-რისი (სახელმწიფოთაშორისი) გაერთიანება, რომელიც, როგორც წე-სი, სუსტად ორგანიზებულია (გამონაკლისს შეადგენს ევროკავშირი, რომელსაც ჰყავს პარლამენტი და მთავრობა). მის ფუნქციებში შედის სახელმწიფოთა სტაბილური ეკონომიკური განვითარების, სახელმწი-

ფო და ადგილობრივი სასურსათო ფონდების ფორმირების ხელშეწ-ყობა და სურსათის ხარისხობრივი პარამეტრების გაუმჯობესება.

სასურსათო უსაფრთხოების მომდევნო დონედ გამოდის სუბრე-გიონული (რეგიონთაშორისი) გაერთიანებანი შესაბამისი ორგანოებით, რომელთა ვალდებულებებს მიეკუთვნება რეგიონთა სტაბილური ეკო-ნომიკური განვითარების ხელშეწყობა და სურსათის ხარისხობრივი პარამეტრების გაუმჯობესება.

და ბოლოს, სასურსათო უსაფრთხოების უმაღლეს, გლობალურ დონეს ქმნის სხვადასხვა საერთაშორისო გაერთიანებანი, რომელთა ფუნქციებში შედის სახელმწიფოების სტაბილური ეკონომიკური გან-ვითარების ხელშეწყობა, სურსათით უზრუნველყოფის გრძელვადიანი პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია, სურსათის მსოფლიო მა-რაგების შექმნა და გამოყენება.

სასურსათო უსაფრთხოების სტრუქტურა და იერარქიული დონე-ების ურთიერთკავშირი წარმოდგენილია 1-ელ ნახაზზე.

სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტის ოპტიმა-ლურ ვარიანტთან გვექნება საქმე, მხოლოდ ყველა დონის სუბიექტის შეთანხმებული მოქმედების შემთხვევაში, თუმცა, მათ ნაწილს ასევე შეუძლია კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტაც. მაგალითად, ნახევ-რადმოშიმშილეთა რიცხვის შემცირება და შიმშილის აღმოფხვრა და-მოკიდებულია შვიდივე დონის სუბიექტის საქმიანობისაგან, ხოლო მაქსიმალური თვითუზრუნველყოფისა და კვების პროდუქტების ნორ-მატიული მოხმარების მიღწევას კი განსაზღვრავს 4-7 დონის სუ-ბიექტთა საქმიანობა.

სასურსათო უსაფრთხოების იერარქიულ (ვერტიკალურ) სტრუქ-ტურასთან ერთად, განიხილავენ მის ჰორიზონტალურ სტრუქტურა-საც, განსაკუთრებით ეროვნულ დონეზე[3.14, გვ. 50]. ეს გულისხ-მობს ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების განხილვას ეკონომიკუ-რი უსაფრთხოებისა და საერთოსისტემური ეროვნული უსაფრთხოე-ბის შემადგენელ ნაწილად.

ამ თვალსაზრისით, ნებისმიერი ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოე-ბა განისაზღვრება მთლიანად ეკონომიკის ეფექტიანობის დონით. მაგრამ, რამდენადაც სასურსათო რესურსები ფორმირდება აგროსა-სურსათო სექტორში, იმდენად აგროსასურსათო კომპლექსი, სურსა-თით მოსახლეობის უზრუნველყოფის ზომით, გამოდის საზოგადოების

ნახაზი 1. სასურსათო უსაფრთხოების სტრუქტურა და იერარქიული დონეების ურთიერთკავშირი



სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის, სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის გარანტად. ეს კანონზომიერება თანაბრად დამახასიათებელია მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისათვის, რაზეც მოწმობს მემცენარეობის უმნიშვნელოვანესი პროდუქტების მოხმარებისა და ამ პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის მონაცემები (ცხრილი 2).

ცხრილი 2. მემცენარეობის უმნიშვნელოვანესი პროდუქტების მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე (წელიწადში კგ/კაცზე) და ამ პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის დონე (%) ევროკავშირის ქვეყნებში 1999 წლისათვის*

	მარცვლეული		მცენარეული ზეთი		შაქარი		კარტოფილი		ციტრუსები		ბოსტნეული		ხილი		კაკალი		ღვინო	
	კგ	%	კგ	%	კგ	%	კგ	%	კგ	%	კგ	%	კგ	%	კგ	%	კგ	%
ავსტრია	63	110	2	110	34	123	61	97	17	–	80	71	78	52	6	30	–	96
ბელგია/ ლუქსემბურგი	74	55	–	1	40	238	99	172	30	–	111	138	63	90	5	2	23	–
გერმანია	71	112	–	44	32	163	73	98	31	–	80	40	67	19	4	6	23	52
დანია	71	128	–	216	40	242	57	97	–	–	–	–	–	–	–	–	23	–
დიდი ბრიტანეთი	83	104	3	56	37	67	108	89	–	–	–	–	–	–	–	–	12	–
ესპანეთი	74	89	5	68	29	110	92	86	38	259	162	133	58	128	9	101	42	123
ირლანდია	78	87	–	–	38	138	172	71	–	–	–	–	–	–	–	–	6	–
იტალია	120	82	1	72	26	97	41	77	50	104	175	122	75	133	5	96	63	120
ნიდერლანდები	50	30	0	4	31	148	82	–	59	208	119	75	55	–	12	–	13	–
პორტუგალია	84	44	–	–	29	1	146	78	–	–	–	–	–	–	–	–	59	–
საბერძნეთი	105	93	4	101	29	101	87	87	40	179	247	130	84	125	9	95	30	87
საფრანგეთი	80	204	1	114	34	223	73	99	2	–	11	71	11	52	1	30	63	105
შვეიცარია	–	125	–	81	–	99	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
ფინეთი	66	133	–	48	14	81	60	92	22	–	63	79	45	3	0	–	6	–

* ცხრილი შედგენილია ლიტერატურული წყაროს მასალების მიხედვით[3.14, გვ.54-56].

მუშაობას ატარებს მსოფლიოში სასურსათო პრობლემის გადაწყვეტის მიმართულებით, მაინც არამართლზომიერი იქნებოდა კარდინალური ცვლილებების მოლოდინი როგორც ამჟამად, ასევე პერსპექტივაში.

მსოფლიო სასურსათო ბაზრის მკვეთრ არაერთგვაროვნებასა და სახელმწიფოთა ეკონომიკური ინტერესების განსხვავებულობასთან დაკავშირებით, გლობალურ დონეზე სასურსათო უსაფრთხოების პრაქტიკულად და კონცეპტუალურად მიუღწევლობის გამო, პერსპექტივაში კვლავ შენარჩუნებული იქნება ეროვნულ დონეზე მისი უზრუნველყოფის მსოფლიო პრაქტიკაში დამკვიდრებული ტენდენცია.

2.3. სასურსათო უსაფრთხოების კრიტერიუმები, მაჩვენებლები და პარამეტრები

სასურსათო უსაფრთხოების პრობლემისადმი კონცეპტუალური მიდგომის შესაბამისად, სასურსათო უსაფრთხოების შეფასება ხდება კრიტერიუმების* საშუალებით, რომლებიც ასახავენ უსაფრთხოების არსს და გარკვეული პირობების სახით მის განსაზღვრაშია ჩადებული.

სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში და, შესაბამისად, მის კომპლექსურ მონიტორინგსა და მართვაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უსაფრთხოების მაჩვენებელთა (ინდიკატორთა)** სისტემის ზღვრულ პარამეტრებს (მნიშვნელობებს), რამდენადაც სწორედ მათ ქვემოთ იწყება ნეგატიური პროცესები და საფრთხის ქვეშ დგება უსაფრთხოების სუბიექტების ნორმალური არსებობა და განვითარება.

უმაღლესი ხარისხის სასურსათო უსაფრთხოება მიიღწევა მაშინ, როდესაც ყველა მაჩვენებელი (ინდიკატორი) დასაშვებ საზღვრებშია. თუ მაჩვენებელი (ინდიკატორი) ზღვარს აჭარბებს, საფრთხე იზრ-

---

* კრიტერიუმი (criterion) არის ნიშანი, რომლის საფუძველზეც წარმოებს მოვლენებისა და ობიექტების კლასიფიკაცია.

** ინდიკატორი (indicator) უსაფრთხოების არსებითი მახასიათებელია, რომლის მიხედვითაც დადგენილია ზღვრული პარამეტრები. იგი სისტემის ფუნქციონირების შეფასებისათვის გამოიყენება.

დება. საშიშროება მით მეტია, რაც უფრო იზრდება დასაშვებ ზღვარს მიღმა არსებულ მაჩვენებელთა (ინდიკატორთა) რაოდენობა.

მსოფლიო პრაქტიკაში მიღებული წესის თანახმად, დღეისათვის სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობის შეფასება ხორციელდება ორი ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით: მარცვლეულის გარდამავალი მსოფლიო მარაგების მოცულობით და მისი წარმოების დონით საშუალოდ მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით.

მარცვლეულის გარდამავალი მარაგების მოცულობა გაიანგარიშება მისი წლიური მსოფლიო მოხმარების მიმართ დღეებში ან პროცენტებში. ამასთან, უსაფრთხოდ ითვლება გარდამავალი მარაგების ის დონე, რომელიც შეესაბამება მსოფლიოში მარცვლეულის მოხმარების 60 დღეს, ანუ მთელი მისი წლიური მოხმარების 17%-ს. მარაგების დაცემა ამ დონის ქვემოთ ავტომატურად მოწმობს მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოების კრიტიკულ მდგომარეობაზე, რამდენადაც ასეთ შემთხვევაში იწყება საერთაშორისო ფასების ზრდა მარცვლეულზე და იგი ხელმიუწვდომელი ხდება მრავალი დაბალგანვითარებული ქვეყნისათვის. ასეთ ვითარებას ადგილი ჰქონდა 1972-1973, 1979-1980 და 1995-1996 წლებში. 1996 წელს მარცვლეულის გარდამავალი მარაგი დაეცა მოხმარების 51 დღემდე, რაც ყველაზე დაბალ აღრიცხულ დონეს წარმოადგენდა. ამის შედეგად 1996 წლის გაზაფხულისათვის მარცვლეულის ფასები გაიზარდა ოდესმე არსებულ ყველაზე მაღალ დონემდე[3.2, გვ15].

სასურსათო უსაფრთხოების მეორე მაჩვენებელი — მარცვლეულის წარმოების დონე საშუალოდ მოსახლეობის ერთ სულზე დინამიკაში — ახასიათებს მსოფლიო სასურსათო მდგომარეობის განვითარების ტენდენციებს.

სასურსათო უსაფრთხოების შეფასებისათვის FAO დამატებით იყენებს შემდეგ ხუთ მაჩვენებელს: 1. მარცვლეულის ძირითადი ექსპორტიორების (არგენტინა, ავსტრალია, კანადა ევროკავშირი, აშშ) მიწოდების თანაფარდობა მთლიან მოთხოვნილებასთან; 2. მარცვლეულის გარდამავალი მარაგები მთლიანად და სახეების მიხედვით (სასურსათო და საკვები მიზნებისათვის) ექსპორტიორ ქვეყნებში, პროცენტულად შიდა მოხმარების მიმართ; 3. მარცვლეულის წარმოების ტენდენციები ინდოეთში, ჩინეთსა და დსთ-ში (წლიური ზრდა პროცენტებში უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში და წინა წლის მი-

მართ); 4. მარცვლეულის წარმოების ცვლილებები და საერთო ტენდენციები მის იმპორტიორ განვითარებად ქვეყნებში (ინდოეთისა და ჩინეთის გამოკლებით); 5. საშუალოწლიური საექსპორტო ფასები მარცვლეულის სახეების მიხედვით[3.14, გვ.52].

აღნიშნული მაჩვენებლები იძლევა წარმოდგენას მხოლოდ სურსათის საკმარისობის შესახებ და წარმოადგენენ სასურსათო უსაფრთხოების დონის უკიდურესად ზოგად მახასიათებლებს, რამდენადაც მათი დახმარებით შეუძლებელია განისაზღვროს, თუ როგორი ხარისხით ხდება სასურსათო უსაფრთხოების ისეთი ძირითადი ფუნქციის რეალიზება, როგორიცაა ადამიანის ფიზიოლოგიური გადარჩენის, მისი სრულფასოვანი სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების უზრუნველყოფა. არ შეიძლება მისაღებად ჩაითვალოს საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოების ისეთი დონე, როდესაც მარცვლეულის 60 დღიანი მსოფლიო მარაგის არსებობის პირობებშიც კი 815 მლნ. ადამიანი მთელ მსოფლიოში ვერ იღებს თავისი ძირითადი სასურსათო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საჭირო კვების პროდუქტებს.* საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოების დამაკმაყოფილებელ მდგომარეობად შეიძლება დაკვალიფიცირდეს შიმშილისა და არასაკმარისი კვების არარსებობა მთლიანად მსოფლიოში.

საერთაშორისო სტატისტიკაში სასურსათო უსაფრთხოებას ხშირად ზომავენ მოსახლეობის კვების დღე-ღამური რაციონის კალორიულობის დონით. ცხადია, რომ მას, ისევე როგორც ყველა სხვა საშუალო-სტატისტიკურ მაჩვენებელს, გააჩნია ნაკლოვანებები. იგი საკმაოდ მისაღებია ყოველი ცალკეული ადამიანისათვის — იმ ფიზიოლოგიური დონის დასადგენად, რომლის დროსაც სასურსათო მოხმარება იმყოფება შიმშილის ან ქრონიკული არასაკმარისი კვების მდგომარეობაში. მაგრამ საერთო ეროვნული მოხმარების მიმართ ასეთი მაჩვენებლის გამოყენება ზოგჯერ არასაკმარისი ან საერთოდ გამოუსადეგარია, განსაკუთრებით მაშინ როდესაც მისი მეშვეობით ცდილობენ სახელმწიფოთაშორისი შედარებების ჩატარებას.

---

* მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოების რომის დეკლარაციაში გამოთქმულია ღრმა შეშფოთება შიმშილის არსებობის გამო, რომელიც ასეთი მასშტაბურობით წარმოადგენს საფრთხეს როგორც ცალკეული ქვეყნების, ისე მსოფლიო თანამეგობრობის სტაბილურობისათვის[2.6, გვ. 5].

ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ყოველი ქვეყნისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ჩვევები კვების პროდუქტების მოხმარებაში, რაც განპირობებულია ეროვნული და რელიგიური ტრადიციებით, ბუნებრივ-კლიმატური და სხვა თავისებურებებით. მაგალითად, იაპონიამ მხოლოდ მე-20 საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო საქონლის ხორცის წარმოება და მოხმარება, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში კვების საბაზისო პროდუქტს ტრადიციულად წარმოადგენს ბრინჯი და ა.შ. გარდა ამისა, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების ხარისხის გასაგებად არსებითი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის დიფერენცირებას სულადობრივი შემოსავლების დონის მიხედვით, რამდენადაც შემოსავლების განაწილებაში არსებული მკვეთრი უთანაბრობის პირობებში შესაძლებელია მოსახლეობის სხვადასხვა შემოსავლიანი ჯგუფების ძლიერი დიფერენციაციაც კვების კალორიულობის მიხედვით, — როდესაც კვების საშუალო ეროვნული მაჩვენებლები იქნება დასაშვებ ფარგლებში, მაგრამ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი აღმოჩნდება არასაკმარისი კვების მდგომარეობაში[6.11, გვ.1].

პრინციპში ვეთანხმებით რა, მარცვლეულის მარაგების არსებობისა და მისი საშუალოსულადობრივი წარმოების მიხედვით, სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობის შეფასებისადმი FAO-ს მეთოდურ მიდგომებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ისინი საკმარისია მხოლოდ მაღალი (გლობალური, სუბრეგიონული და სახელმწიფოთაშორისი) დონეების უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის. რაც შეეხება სასურსათო უსაფრთხოების შემდგომ დონეებს — ეროვნულს, ადგილობრივს, მოსახლეობის სოციალური ჯგუფების და ინდივიდუალურს (საოჯახო მეურნეობის), — მათთვის ეს მაჩვენებლები არასაკმარისია.

ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების შეფასება, უწინარეს ყოვლისა, მოითხოვს მისი ძირითადი პირობების (კრიტერიუმების) — სურსათის საკმარისობის, ხელმისაწვდომობის, ეკოლოგიური სისუფთავის (ვარგისიანობის), და აგრეთვე თვითუზრუნველყოფის ხარისხის დახასიათების აუცილებლობას.

ბუნებრივია, რომ ზემოაღნიშნული მახასიათებლების ხარისხის უბრალო გათვლა სასურსათო უსაფრთხოების შეფასებისათვის აშკარად არასაკმარისია. ამისათვის აუცილებლად უნდა არსებობდეს გარკვეული შესადარისი ბაზა, რომელთან თანაფარდობაშიც შესაძლებელი იქნება გაკეთდეს გარკვეული დასკვნები სასურსათო უსაფრთხოების

მიღწეული (არსებული) დონის საკმარისობის ან მიუღებლობის შესახებ. საქმე ეხება ადამიანის, (საზოგადოების, სახელმწიფოს) ცხოველქმედების მაჩვენებელთა ე.წ. „ზღვრულ“ პარამეტრებს, რომელთა შორის შეიძლება გამოიყოს შემდეგი:

- კვების კალორიულობა (ენერგეტიკული ფასეულობა);
- მოხმარებული ძირითადი საკვები ნივთიერებების (ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, მინერალური ნივთიერებები და ვიტამინები) რაოდენობა;
- სურსათის დაბინძურების ხარისხი;
- სურსათის იმპორტზე დამოკიდებულება (სურსათის იმპორტის წილი მის მთლიან შიდა მოხმარებაში);
- სამამულო სურსათის მწარმოებელთა დაცვა.

სპეციალურ ლიტერატურაში, ენერგიის დონის მოხმარების მხრივ, გამოყოფენ სიცოცხლისუნარიანობის სამ დონეს:

1. ოპტიმალური სიცოცხლისუნარიანობა, დღე-ღამეში 2500-3500 კკალ-ის მოხმარების პირობებში;
2. არასრულყოფილი სიცოცხლისუნარიანობა, დღე-ღამეში 1500-2500 კკალ-ის მოხმარების პირობებში;
3. კრიტიკული სიცოცხლისუნარიანობა, დღე-ღამეში 1000-1500 კკალ-ის მოხმარების პირობებში[3.3, გვ.10].

ჩვენი აზრით, უფრო მისაღებია FAO-ს კლასიფიკაცია, რომლის მიხედვით, ის პირები, რომლებიც იღებენ 1520 კკალ-ს დღე-ღამეში, მიეკუთვნებიან მოშიმშილეთა კატეგორიას, ხოლო ისინი, რომლებიც იღებენ 2150 კკალ-ს დღე-ღამეში შიმშილობის ზღვარზე მყოფთა კატეგორიას.

ნივთიერებათა ცვლის, ორგანიზმის ზრდისა და განვითარებისათვის ადამიანს ესაჭიროება ძირითადი საკვები ნივთიერებები, რომლებიც კვების სხვადასხვა პროდუქტებშია თავმოყრილი. სპეციალისტების აზრით, ყველაზე აუცილებელი და შეუცვლელია პროდუქტთა 9 სახეობა: პური და პურპროდუქტები, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი და კენკრა, შაქარი, მცენარეული ზეთი, ხორცი და ხორცის პროდუქტები ხორცზე გადაყვანით, რძე და რძის პროდუქტები რძეზე გადაყვანით, კვერცხი. ამ თვალსაზრისით, გამოიყოფა საკვები ნივთიერებებით უზრუნველყოფის ორი ძირითადი დონე: საკმარისი – 100%-მდე და კრიტიკული – 50%-ზე ნაკლები უზრუნველყოფით[3.14, გვ.57].

საგულისხმოა, რომ კვების პროდუქტებში შეიძლება აკუმულირებული იყოს ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებები ნედლეულის მიღების, მისი გადამუშავების, შენახვისა და რეალიზაციის პროცესში. კვების პროდუქტების „დაბინძურების" წყარო შეიძლება იყოს: ნიადაგი, განსაკუთრებით ისეთი, რომელიც სამრეწველო ცენტრებთან და ავტომაგისტრალებთან ახლოს მდებარეობს; მინერალური სასუქები, ძირითადად ფოსფატები, რომლებიც შეიცავს ისეთ ტოქსიკურ ნივთიერებებს, როგორიცაა სტრონციუმი; ნაკელი, რომელშიც შესაძლოა იყოს მძიმე ლითონები და ორგანული ტოქსინები; წყალი და ატმოსფერული ჰაერი. ამ მაჩვენებლის ზღვრული პარამეტრი დიფერენცირებულია სურსათის ცალკეული სახეების მიხედვით.

სურსათის იმპორტზე დამოკიდებულების მაჩვენებლის ზღვრული პარამეტრი, როგორც ზემოთაც ავღნიშნეთ, ზუსტად არ არის გარკვეული. მისი განსაზღვრა დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის გაძღოლისა და განვითარების პირობების შეფასებასთან; იმ პროდუქტების ჩამონათვალის გაკეთებასთან, რომლებზეც, პირველ რიგში, უნდა იყოს ორიენტირებული თვითუზრუნველყოფა; სოფლის მეურნეობისა და სურსათის სფეროში საგარეო-სავაჭრო კავშირების შეფასებასთან. ამ კავშირების ხასიათის შეფასება უნდა მოიცავდეს იმ ქვეყნებთან პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა ანალიზს, საიდანაც ხდება სურსათის უმეტესი ნაწილის იმპორტი. ამასთან, აუცილებელია გაირკვეს, თუ რამდენადაა ეს ურთიერთობები სტაბილური, ურთიერთხელსაყრელი, და როგორია მათი განვითარების პერსპექტივები; როგორია სახელმწიფოს პოზიციები სურსათის ექსპორტიორ ქვეყნებში; როგორია იმპორტის სტრუქტურა — შემოიტანება ნედლეული თუ მზა პროდუქცია; როგორია სავაჭრო ბალანსი ამ ქვეყნებთან და ა.შ.

სამამულო სურსათის მწარმოებელთა დაცვის მაჩვენებლის ზღვრული პარამეტრები უნდა ითვალისწინებდეს რენტაბელობის გარკვეულ დონეს ადგილობრივი საქონელმწარმოებლებისათვის[3.3, გვ.12; 4.6, გვ.38]. სახელმწიფო თავისი პროტექციონისტული ღონისძიებებით უნდა იცავდეს სამამულო მწარმოებელს იაფი იმპორტული სურსათის მოძალებისაგან (ცალკეული პოზიციების მიხედვით მაინც).

ზემოაღნიშნული მაჩვენებლებისა და პარამეტრების გათვალისწინებით, ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების დასახასიათებლად

ზოგიერთი ავტორი გვთავაზობს შეფასების 4-დონიანი სისტემის გამოყენებას ექვსი კრიტერიუმით[6.10, გვ.2-4]. ამის შესაბამისად:

I. სასურსათო უსაფრთხოება ითვლება **სრულად უზრუნველყოფილად**, თუ:

1. ქვეყნის მოსახლეობა უზრუნველყოფილია ეკოლოგიურად სუფთა და ჯანმრთელობისათვის სასარგებლო სამამულო წარმოების კვების პროდუქტებით, მეცნიერულად დასაბუთებული სამედიცინო ნორმების მიხედვით, სქესის, ასაკის, შრომის პირობების, ბუნებრივ-კლიმატური პირობებისა და ეროვნული ტრადიციების გათვალისწინებით;

2. ფასები კვების პროდუქტებზე ხელმისაწვდომია ყველა კეთილსინდისიერი მშრომელისათვის, მრავალშვილიანი ოჯახისა და პენსიონერისათვის, მათი ეროვნებისა და პროფესიის მიუხედავად;

3. შექმნილია სურსათის სტრატეგიული მარაგები სტიქიურ უბედურებათა შემთხვევებისათვის, ომებისა და სხვა საგანგებო მდგომარეობებისათვის, რაც შესაძლებლობას იძლევა თავიდან იქნას აცილებული შიმშილი, ქვეყანაში სურსათის ნორმირებული განაწილების შემოღების შემთხვევაში, არანაკლებ ხუთი წლის განმავლობაში;

4. აგროსასურსათო კომპლექსი ვითარდება სტაბილურად და არსებობს კვების პროდუქტების წარმოების ზრდის რეზერვები, მარაგების გასადიდებლად და იმ ქვეყნებისათვის სასურსათო დახმარების გასაწევად, რომლებმაც გადაიტანეს სტიქიური უბედურებები ან ომები;

5. მეცნიერება იმყოფება მსოფლიო მიღწევების უმაღლეს დონეზე და უზრუნველყოფს ყველა სფეროს ტექნიკისა და ტექნოლოგიების უახლესი ნიმუშებით, შემოინახავს და აუმჯობესებს მეცხოველეობისა და მემცენარეობის გენოფონდს, და იძლევა საზოგადოების ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა სფეროს განვითარების სარწმუნო პროგნოზებს პერსპექტივისათვის;

6. ბუნებისდაცვითი პოლიტიკა და პრაქტიკა უზრუნველყოფს საცხოვრებელი გარემოს შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას.

II. სასურსათო უსაფრთხოება ითვლება **ძირითადად უზრუნველყოფილად**, თუ მიღწეულია ყველა ზემოთჩამოთვლილი პირობა (გარდა მე-3 პუნქტისა), მხოლოდ იმ ჩასწორებით, რომ სტრატეგიული მარაგები არსებობს, მაგრამ იგი საგანგებო მდგომარეობათა

შემთხვევაში მოსახლეობას კვების პროდუქტებით უზრუნველყოფს ხუთ წელზე ნაკლები დროის განმავლობაში.

III. სასურსათო უსაფრთხოება ითვლება **ნაწილობრივ უზრუნველყოფილად**, თუ:

1. ქვეყნის მოსახლეობა არანაკლებ 85%-ით უზრუნველყოფილია ეკოლოგიურად სუფთა და ჯანმრთელობისათვის სასარგებლო სამამულო წარმოების კვების პროდუქტებით;

2. ფასები კვების პროდუქტებზე ხელმისაწვდომია ქვეყნის მშრომელი მოსახლეობის ძირითადი ნაწილისათვის;

3. სურსათის სტრატეგიული მარაგები შეზღუდულია და ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის სტაბილურ მომარაგებას საგანგებო მდგომარეობათა წარმოქმნის შემთხვევაში;

4. აგროსასურსათო კომპლექსის საწარმოო სიმძლავრეები იძლევა კვების პროდუქტების წარმოების რამდენადმე ზრდის შესაძლებლობას;

5. მეცნიერულ-ტექნიკური ბაზა, მართალია, ჩამორჩება უმაღლეს მსოფლიო მიღწევათა დონეს, მაგრამ მაინც ვითარდება;

6. ბუნებისდაცვითი ღონისძიებები ხორციელდება, მაგრამ საცხოვრებელი გარემოს აღდგენის ტემპები არასაკმარისია.

IV. სასურსათო უსაფრთხოება ითვლება **არაუზრუნველყოფილად**, თუ:

1. ქვეყნის მოსახლეობა 60-80%-ით არის უზრუნველყოფილი ეკოლოგიურად სუფთა და ჯანმრთელობისათვის სასარგებლო სამამულო წარმოების კვების პროდუქტებით;

2. ფასები კვების პროდუქტებზე ხელმიუწვდომელია მშრომელი მოსახლეობის ძირითადი ნაწილისათვის;

3. სურსათის სტრატეგიული მარაგები ამოწურულია ან საერთოდ არ არსებობს;

4. აგროსასურსათო კომპლექსის საწარმოო სიმძლავრეები არ იძლევა კვების პროდუქტების წარმოების ზრდის შესაძლებლობას;

5. მეცნიერულ-ტექნიკური ბაზა არ ვითარდება;

6. ბუნებისდაცვითი ღონისძიებები არ შეესაბამება გარე სამყაროს მოთხოვნებს.

ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობის შეფასებისადმი ამგვარი მიდგომა ზოგადად მისაღებია, მაგრამ ამ მიდგომით

გათვალისწინებულ კრიტერიუმებთან და მაჩვენებლებთან ერთად, სახელმწიფოს სასურსათო უსაფრთხოების დონის შესაფასებლად აუცილებელია უფრო კონკრეტულ მაჩვენებელთა სისტემის გამოყენება, რომელიც სასურსათო უსაფრთხოების კლების ან ზრდის ტენდენციების გამოვლენასთან ერთად, საშუალებას მოგვცემს დავსახოთ სასურსათო პრობლემის გადაჭრის კონკრეტული გზები და, რომელიც, იმავდროულად შეიძლება გამოყენებულ იქნას შიდასახელმწიფოებრივ დონეებზე სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობის შესაფასებლადაც.

ამ მოთხოვნების გათვალისწინებით, სახელმწიფოებრივ და შიდასახელმწიფოებრივ დონეებზე სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობისა და საზღვრების შეფასებისათვის ჩვენ უფრო მისაღებად ვთვლით საკმარისი, დაბალანსებული და გარანტირებული კვების პრინციპის საფუძველზე შემუშავებულ მეთოდურ მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობის კვების ფიზიოლოგიურ ნორმებს, ასაკს, პროფესიას, საცხოვრებელ ადგილს და ეროვნულ თავისებურებებს. ზოგადად, მახასიათებელთა სხვადასხვა სპექტრის მომცველი მაჩვენებლები ანუ ინდიკატორები შეიძლება წარმოვადგინოთ ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების მოდელის სახით (ნახაზი 2).

ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების კონკრეტულ მაჩვენებელთა სისტემის შემუშავებისადმი ჩვენეულ მეთოდურ მიდგომას საფუძვლად უდევს სასურსათო უსაფრთხოების ძირითადი პირობები (კრიტერიუმები).

ერთ-ერთი ასეთი მთავარი პირობაა სურსათის მოხმარების საკმარისობა, რომელიც განისაზღვრება საკმარისობის ზოგადი და კერძო კოეფიციენტების დახმარებით. საკმარისობის ზოგადი კოეფიციენტი შეიძლება გამოვიანგარიშოთ ღირებულებითი ($K_{საკმ.1}$) და ნატურალური ($K_{საკმ.2}$) გამოსახულებით.

საკმარისობის ზოგადი კოეფიციენტი ღირებულებითი გამოსახულებით ($K_{საკმ.1}$) გაიანგარიშება, როგორც კვების ფაქტიური დღე-ღამური რაციონის ღირებულების შეფარდება სამედიცინო ნორმების მიხედვით კვების დღე-ღამური რაციონის ღირებულებასთან, ხოლო ნატურალური გამოსახულებით ($K_{საკმ.2}$), - როგორც კვების დღე-ღამურ რაციონში შემავალი ფაქტიური კკალორიების რაოდენობის შეფარდე-

ბა კვების დღე-ღამურ რაციონში სამედიცინო ნორმების მიხედვით შემავალი კკალორიების რაოდენობასთან. მაშასადამე,

ნახაზი 2. ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების მოდელი



$$K_{\text{საკმ.1}} = \frac{\text{კვების ფაქტიური დღე – ღამური რაციონის ღირებულება}}{\text{კვების ნორმატიული დღე - ღამური რაციონის ღირებულება}}$$

$$K_{\text{საკმ.2}} = \frac{\text{ფაქტიური კალორიების რაოდენობა კვების დღე – ღამურ რაციონში}}{\text{ნორმატიული კალორიების რაოდენობა კვების დღე - ღამური რაციონში}}$$

საკმარისობის კერძო კოეფიციენტები უნდა გაანგარიშდეს საკვები პროდუქტების ცალკეული სახეობების მიხედვით, ცალ-ცალკე ქალაქისა და სოფლის მოსახლეობისათვის.* ეს საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ არა მხოლოდ სურსათის ძირითადი სახეების მოხმარების საკმარისობა, არამედ მოსახლეობის კვების სტრუქტურა და ხარისხიც, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ნორმალური ცხოველქმედებისა და ჰარმონიული განვითარებისათვის.

ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების მეორე მნიშვნელოვანი პირობაა სურსათზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობა. ხელმისაწვდომობის დონე შეიძლება შეფასდეს ხელმისაწვდომობის ზოგადი და კერძო კოეფიციენტების საშუალებით. ხელმისაწვდომობის ზოგადი კოეფიციენტი ($K_{\text{ხელ.}}$) იანგარიშება, როგორც თვეში მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებული შემოსავლის შეფარდება სასურსათო კალათის გასაშუალებულ ღირებულებასთან. მაშასადამე,

$$K_{\text{ხელ.}} = \frac{\text{შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე (თვეში)}}{\text{სასურსათო კალათის გასაშუალებული ღირებულება}}$$

აღნიშნული მაჩვენებელი, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის შემოსავლების დიფერენციაციის გამო, შეივსება ხელმისაწვდომობის რიგი კერძო კოეფიციენტებით, რომლებიც გაიანგარიშება შემოსავლის სხვადასხვადონიანი მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების მიხედვით.

ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების უფრო სრული სურათის შესაქმნელად უნდა შემოვიტანოთ ზემოთ მოტანილ მაჩვენებელთა ზღვრული მნიშვნელობები. ამასთან, საჭიროა გამოვყოთ მათი ზედა და ქვედა (კრიზისული) საზღვრები. ზედა საზღვარს სურსათის საკ-

---

* ამ დროს აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს მოსახლეობის საკარმიდამო მიწის ნაკვეთებში მოწეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, აგრეთვე შრომის ნატურით ანაზღაურების გავლენა მათი კვების რაციონზე[4.7, გვ. 7].

მარისობის კოეფიციენტისათვის წარმოადგენს სამედიცინო ნორმებით გათვალისწინებული კვების რაციონი, ხოლო სურსათზე ხელმისაწვდომობის კოეფიციენტისათვის — სასურსათო კალათის ღირებულება, რომელიც შეესაბამება მოსახლეობის აქტიური და ჯანსაღი ცხოვრების მოთხოვნებს. საკმარისობის კოეფიციენტის ქვედა (კრიზისულ) ზღვრულ მნიშვნელობას წარმოადგენს შიმშილობის საზღვარი, ანუ საერთაშორისო ნორმებით 2150 კკალორიის შემცველობის სურსათის მოხმარების დონე. ამ უკანასკნელის ღირებულებითი ექვივალენტი კი შეიძლება მივიჩნიოთ ხელმისაწვდომობის კოეფიციენტის ქვედა (კრიზისულ) ზღვრულ მნიშვნელობად.

საკმარისობისა და ხელმისაწვდომობის კოეფიციენტთა ფორმულები, შესაბამისი მაჩვენებლების კრიზისული (ზღვრული) მნიშვნელობების შემოღების გათვალისწინებით, ნაწილობრივ შეიცვლება. კერძოდ, საკმარისობის კრიზისული კოეფიციენტი ($K_{საკმ.2}$) გაიანგარიშება კვების ფაქტიურ დღე-ღამურ რაციონში შემავალი კკალორიების რაოდენობის შეფარდებით კვების კრიზისულ (ზღვრულ) დღე-ღამურ რაციონში შემავალი კკალორიების რაოდენობასთან (2150); ხოლო ხელმისაწვდომობის კრიზისული კოეფიციენტი ($K_{ხელ}$) კი გაიანგარიშება, როგორც თვეში მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებული შემოსავლის შეფარდება კვების თვიური რაციონის ღირებულებასთან (დღე-ღამეში 2150 კკალორიის მოხმარების გათვალისწინებით). მაშასადამე,

$$K_{საკმ2} = \frac{\text{კკალორიების რაოდენობა კვების ფაქტიურ დღე - ღამურ რაციონში}}{\text{კკალორიების რაოდენობა კვების კრიზისულ (ზღვრულ) დღე - ღამური რაციონში (2150)}}$$

$$K_{ხელ.} = \frac{\text{შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე (თვეში)}}{\text{კვების კრიზისული (ზღვრული) თვიური რაციონის ღირებულება}}$$

ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების ასევე მნიშვნელოვანი მოთხოვნაა თვითუზრუნველყოფა კვების პროდუქტებზე მოთხოვნილებათა უდიდესი ნაწილის საკუთარი წარმოების ხარჯზე დაკმაყოფილება. სურსათით თვითუზრუნველყოფის მაღალი დონის მიღწევაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამამულო სურსათის მწარმოებელთა დაცვას. სურსათის იმპორტის მხრიდან მოსალოდნელი საშიშროების

შესაფასებლად და სამამულო სურსათის მწარმოებელთა დაცულობის ხარისხის განსასაზღვრავად იყენებენ „დამღუპველი კონკურენციის“ კოეფიციენტს ($K_{დ.კ.}$), რომელიც იანგარიშება შესაბამისი სახეობის იმპორტირებული სურსათის საბაზრო ღირებულების შეფარდებით ადგილობრივ საწარმოთა და მეურნეობათა ანალოგიური სახეობის სურსათის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების სიდიდესთან[3.3, გვ. 16]. მაშასადამე,

$$K_{\text{დ.კ.}} = \frac{\text{i - ური იმპორტირებული სასურსათო პროდუქტის საბაზრო ღირებულება}}{\text{ადგილობრივი i - ური სასურსათო პროდუქტის წარმოების დანახარჯები *}}$$

„დამღუპველი კონკურენციის კოეფიციენტის“ ზღვრული სიდიდე, როგორც წესი, უნდა ითვალისწინებდეს ადგილობრივ მწარმოებელთათვის რენტაბელურობის, მომგებიანობის გარკვეულ დონეს (სასურსათო პროდუქტების ცალკეულ სახეებზე მიმართული სუბსიდიების გათვალისწინებით), ვთქვათ, 15-20%-ს. ეს იმას ნიშნავს, რომ იმპორტირებულ კვების პროდუქტთა ღირებულება 15-20 პროცენტზე მეტად არ უნდა აჭარბებდეს ანალოგიურ სამამულო პროდუქთა წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებს, ე.ი. დამღუპველი კონკურენციის კოეფიციენტის ზღვრულმა მნიშვნელობამ უნდა შეადგინოს არაუმეტეს 0,75-ისა.

ლიტერატურაში ასევე ცნობილია „ნომინალური დაცულობის“ კოეფიციენტი, რომელიც გამოითვლება როგორც კვების პროდუქტებზე მიმართული სუბსიდიების გათვალისწინებით გაანგარიშებული შიდა ფასების შეფარდება მათს მსოფლიო ფასებთან[4.42, გვ.6]. თუმცა, დაცულობის საერთო სურათის წარმოდგენისას აღნიშნული მაჩვენებელი არ იძლევა ამომწურავ ინფორმაციას სურსათის კონკრეტული პოზიციების მიხედვით მწარმოებელთა დაცულობის შესახებ, რაც, ბუნებრივია, ართულებს კვების პროდუქტების მწარმოებელი შესაბამისი დარგების დაცვის გაძლიერების სტრატეგიების შემუშავებას. ამ

---

* წილადის მნიშვნელში გამოყენებულია დანახარჯების მაჩვენებელი, რამდენადაც ადგილობრივ საწარმოებსა და მეურნეობებში წარმოებულ პროდუქტთა საბაზრო ღირებულება ყოველთვის ვერ ასახავს მათს ჭეშმარიტ ფასობრივ კონკურენტუნარიანობას[4.6, გვ. 38].

თვალსაზრისით, უფრო მისაღებია ზემოაღნიშნული „დამღუპველი კონკურენციის კოეფიციენტი.“

სურსათით თვითუზრუნველყოფის დონის გასაზომად იყენებენ თვითუზრუნველყოფის ზოგად და კერძო კოეფიციენტებს. თვითუზრუნველყოფის ზოგადი კოეფიციენტი ($K_{თ.უ.}$) გაიანგარიშება, როგორც საკუთარი წარმოების მოხმარებულ კვების პროდუქტთა ღირებულების შეფარდება მთლიანად მოხმარებულ კვების პროდუქტთა ღირებულებასთან[3.3, გვ.16]. მაშასადამე,

$$K_{თ.უ} = \frac{\text{საკუთარი წარმოების მოხმარებული კვების პროდუქტების ღირებულება}}{\text{მთლიანად მოხმარებული კვების პროდუქტების ღირებულება}}$$

თვითუზრუნველყოფის კერძო კოეფიციენტები იანგარიშება ცალკეული სახეობის პროდუქტთა მიხედვით ნატურალური და ღირებულებითი გამოხატულებით. აღნიშნულ მაჩვენებელთა ზღვრული პარამეტრები განისაზღვრება კონკრეტულად ცალკეული სახეობის ძირითადი კვების პროდუქტებისათვის.

თუ ამოვალთ სასურსათო უსაფრთხოების შიდასახელმწიფოებრივი სუბიექტების თვითუზრუნველყოფის დონის შეფასებისადმი საერთო-სახელმწიფოებრივი მიდგომიდან, მაშინ მოცემულ შემთხვევაში ზოგიერთი სუბიექტის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტის ზღვრული მნიშვნელობა იქნება რამდენადმე მაღალი, საერთო-სახელმწიფოებრივი აგრარული პოლიტიკის ფარგლებში სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის გადასაწყვეტი ამოცანებისაგან დამოკიდებულებით. მოცემული მტკიცება სამართლიანია კვების პროდუქტთა ცალკეული სახეობებით თვითუზრუნველყოფის კერძო კოეფიციენტების მიმართაც.

ქვეყნის ან ცალკეული რეგიონის სასურსათო უსაფრთხოების უფრო სრული სურათის შესაქმნელად აუცილებელია:

1. განისაზღვროს იმ პროდუქტთა ჩამონათვალი, რომლებიც ყველაზე უფრო სარწმუნოდ ასახავენ მოსახლეობის ძირითადი ჯგუფების კვების რაციონის სტრუქტურას. კვების რაციონში პროდუქტებს უნდა გააჩნდეთ ყველაზე მაღალი რეიტინგი და, ამასთან, ისინი არ უნდა იყოს ურთიერთშემცვლელი. პროდუქტთა რაოდენობა უნდა იყოს მინიმალური, მაგრამ უნდა უზრუნველყოფდეს კალორიებზე და

ძირითად საკვებ ნივთიერებებზე მოთხოვნილების 80%-ზე მეტს. ჩვენი ქვეყნის პირობებისათვის ასეთია ზემოაღნიშნული 9 სახის პროდუქტი: პური და პურპროდუქტები, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი და კენკრა, შაქარი, მცენარეული ზეთი, ხორცი, რძე და კვერცხი. ეს პროდუქტები უზრუნველყოფს მოსახლეობის კვების რაციონის კალორიულობის 90%-ს და ძირითადი საკვები ნივთიერებების 85%-ს.

2. განისაზღვროს შემდეგი საბაზისო პარამეტრები:

— სულადობრივი მოხმარება ცალკეული პროდუქტების მიხედვით ($m_{(i)}$);

— პროდუქტის მოხმარების ინდექსი (J_i), როგორც მოხმარებული პროდუქტის ($m_{(i)}$) თანაფარდობა მისი მოხმარების სამედიცინო ნორმასთან ($m^{\circ}_{(i)}$):

$$J_i = \frac{m_{(i)}}{m^{\circ}_{(i)}}$$

— მოხმარების ინტეგრალური ინდექსი (J_Σ), რომელიც მიიღება ცალკეულ პროდუქტთა მოხმარების ინდექსების ჯამის 9-ზე გაყოფით:

$$J_\Sigma = \frac{1}{9} \cdot \sum_i J_I;$$

— იმპორტის (ექსპორტის) ინტეგრალური ინდექსი (J^t), რომელიც ტოლია წარმოებისა ($J_{\Sigma(\text{წ})}$) და მოხმარების ($J_{\Sigma(\text{მ})}$) ინდექსთა სხვაობისა:

$$J^t = J_{\Sigma(\text{წ})} - J_{\Sigma(\text{მ})};$$

— ენერგეტიკული ფასეულობის ინტეგრალური ინდექსი ($J_{\Sigma\text{ენ.ფ.}}$), რომელიც მიიღება მოხმარების ინდექსთა ჯამის მათს ენერგეტიკულ ფასეულობასთან (g) ნამრავლის 9-ზე გაყოფით:

$$J_{\Sigma\text{ენ.ფ.}} = \frac{1}{9} \cdot (J_{(\text{მ})} \quad g) \cdot i;$$

— კვებითი ფასეულობის ინტეგრალური ინდექსი ($J_{\Sigma}^{კ.ფ.}$), რომელიც განისაზღვრება მოხმარების ინდექსთა ჯამის გამრავლებით მათში საკვები ნივთიერებების (ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების) ხვედრით შემცველობაზე:

$$J_{\Sigma}^{კ.ფ.} = \frac{1}{9} \cdot \sum [\ J_{(a)} \cdot (a+b+y)\ ] \cdot i;$$

სადაც, a, b და y — არის შესაბამისად: ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების ხვედრითი შემცველობა;

— კვების რაციონში კალორიების დეფიციტის კოეფიციენტი ($K_{კ.დ.}$):

$$K_{კ.დ.} = 1 - J_{\Sigma}^{ე.ფ.}$$

ანალოგიურად განისაზღვრება ცილების, ცხიმების და ნახშირწყლების დეფიციტის კოეფიციენტებიც.

სასურსათო უსაფრთხოების განმაზოგადებელ მაჩვენებლად გვთავაზობენ სიცოცხლისუნარიანობის ინდექსს ($J_{\Sigma}^{ს.უ.}$), რომელიც მოიცავს ენერგეტიკული ფასეულობისა და კვებითი ფასეულობის მაჩვენებლებს:

$$J_{\Sigma}^{ს.უ.} = \frac{1}{2} \cdot (J_{\Sigma}^{ე.ფ.} + J_{\Sigma}^{კ.ფ.}).\ ^{*}$$

ქვეყნისა და ცალკეული რეგიონის სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობა საკმარისად მიიჩნევა $J_{\Sigma}^{ს.უ.}>0,8$ მნიშვნელობის, არასაკმარისად — $0,8>J_{\Sigma}^{ს.უ.}>0,5$ მნიშვნელობის და კრიტიკულად — $J_{\Sigma}^{ს.უ.}<0,5$ მნიშვნელობის პირობებში[3.14, გვ.60].

---

* უნდა შევნიშნოთ, რომ კვების დაბალანსებულობის პირობებში ენერგეტიკული და კვებითი ფასეულობის ინტეგრალური ინდექსები დაახლოებით თანაბარია, ხოლო დაუბალანსებლობის შემთხვევაში (მეტი პური ან კარტოფილი) ენერგეტიკული ფასეულობის ინტეგრალური ინდექსი კვებითი ფასეულობის ინტეგრალურ ინდექსზე მეტია.

ამრიგად, „ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების“ ცნების შინაარსის შესაბამისად, მისი უზრუნველყოფის კრიტერიუმებს წარმოადგენენ: ენერგეტიკული და სხვა კომპონენტებით გაჯერებულ კვების რაციონზე ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ხარისხი; სურსათზე მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიისათვის, სპეციალური მომხმარებლებისათვის და ცალკეული რეგიონებისათვის ფიზიკური და ეკონომიკური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის დონე; სურსათით თვითუზრუნველყოფისა და კვების პროდუქტების ეკოლოგიური სისუფთავის ხარისხი. ეს კრიტერიუმები კი, როგორც ვნახეთ, აისახებიან კონკრეტულ მაჩვენებლებსა და პარამეტრებში.

ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების შეფასების მეთოდიკა სქემატურად წარმოდგენილია მე-3 ნახაზზე.

ზემოთ ჩვენ განვიხილეთ ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების დონის შეფასების პირდაპირი მაჩვენებლები. თუმცა, ქვეყანაში მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფაზე არაპირდაპირ მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას. ამიტომ ვითარების სრული ანალიზისათვის აუცილებელია ქვეყნის განვითარების საერთო ეკონომიკური დონის შეფასება. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ცალკეული სახელმწიფოს მთავრობის მიერ გატარებულ სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკას. ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარება ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ასევე მნიშვნელოვანი პირობაა. აქედან გამომდინარე, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების შესახებ მსჯელობისას უთუოდ უნდა იქნეს შეფასებული მისი ბიოგეოკლიმატური პოტენციალისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამსახველ მაჩვენებელთა სრული სპექტრი.

საქართველოს, ისევე როგორც ნებისმიერი დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების დონის შეფასება უნდა განხორციელდეს ზემოთ განხილული კრიტერიუმებისა და მაჩვენებელთა მთელი სისტემის გამოყენებით. ეს საშუალებას მოგვცემს არა მხოლოდ გაირკვეს და დაფიქსირდეს სასურსათო უსაფრთხოების დონის შემცირება ან გადიდება, არამედ უშუალოდ საგნობრივად დამუშავდეს ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგია და განისაზღვროს მისი რეალიზაციის კონკრეტული გზები.

ნახაზი 3. ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების შეფასების მეთოდიკა



2.4. სასურსათო უსაფრთხოება და ქვეყნის მაკროეკონომიკური განვითარება კლასიკურ და ტრანზიტულ პირობებში.

სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემა ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს იკავებს მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მსოფლიო სურსათის ძირითად მწარმოებლებს (აშშ, იაპონია, რუსეთი, ევროკავშირის ქვეყნები) შორის ორმხრივ ურთიერთობათა მექანიზმის შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესში. ამ გარემოების გათვალისწინებით, როგორც სამართლიანად მიუთითებენ პრობლემის ცნობილი რუსი მკვლევარები ვ.ს. ბალაბანოვი და ე.ნ. ბორისენკო, ეროვნული სასურსათო უსაფრთხოება გამოდის არა მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად, არამედ აგრეთვე ნებისმიერი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის დამოუკიდებელ ვექტორად[3.9, გვ.45].

სახელმწიფოს აგროსასურსათო პოლიტიკის პრიორიტეტების განხილვისას აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს მის ისეთ უმნიშვნელოვანეს მხარეებზე, როგორიცაა სასურსათო, სასოფლო-სამეურნეო და საგარეო-სავაჭრო ასპექტები.

აგროსასურსათო პოლიტიკის პრიორიტეტთა ანალიზისას ამოსავალს წარმოადგენს მისი სასურსათო ასპექტი, რამდენადაც ეს უკანასკნელი რაოდენობრივად ასახავს აგროსასურსათო პოლიტიკის გენერალური მიზნის — სასურსათო უსაფრთხოების მიღწეულ დონეს. ამავე დროს, იგი განსაზღვრავს ქვეყნის შიდა ბაზარზე კვების პროდუქტებზე მოთხოვნის ფიზიოლოგიურ და გადახდისუნარიან საზღვრებს. ამიტომ იგი ხასიათდება მოხმარების ფიზიოლოგიური ნორმის, მოხმარების დამკვიდრებული სტრუქტურის, სურსათით ქვეყნის საერთო უზრუნველყოფისა და თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლებით.

სასოფლო-სამეურნეო ასპექტი განსაზღვრავს ქვეყნის აგროსასურსათო პოტენციალს (სურსათის მიღების უნარს), ახასიათებს წარმოების ფაქტობრივ მდგომარეობას და მოიცავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ისეთ მნიშვნელოვან მაჩვენებლებს, როგორიცაა სავარგულების პროდუქტიულობა, შრომის მწარმოებლურობა, კულტურათა მოსავლიანობა, პირუტყვის პროდუქტიულობა,

პროდუქციის საქონლურობა, წარმოების რენტაბელობა, შრომის ანაზღაურება, სოფლის მეურნეობისადმი სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერა, სასოფლო-სამეურნეო მწარმოებელთა ხელფასისა და ქვეყანაში საშუალო ხელფასის დონეთა თანაფარდობა.

აგროსასურსათო პოლიტიკის საგარეო-სავაჭრო ასპექტი ასახავს მსოფლიო და შიდა სასურსათო ბაზრების ურთიერთკავშირს და ხასიათდება შემდეგი ძირითადი მაჩვენებლებით: იმპორტისაგან დამოკიდებულება თვითეული პროდუქტის მიხედვით; კვების პროდუქტების შემოტანისა და გატანის ბალანსი; სურსათის შიდა და მსოფლიო ფასების დონეთა თანაფარდობა; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციითა და სურსათით მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალიზაციის გამო სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლებისათვის, ან სურსათის იმპორტის შეზღუდვასთან დაკავშირებით საბოლოო მომხმარებლებისათვის მოსალოდნელი ზარალის შეფასება; სასურსათო საქონლით უზრუნველყოფა რეგიონების, ქვეყნების მიხედვით და მთელ მსოფლიოში; ფასები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და სურსათის სხვადასხვა სახეებზე.

როგორც ვხედავთ, აგროსასურსათო პოლიტიკის სასოფლო-სამეურნეო ასპექტს მიკუთვნებულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელს წარმოადგენს სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერის სიდიდე. არსებული მონაცემებით, სოფლის საქონელმწარმოებლებისადმი სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერის ყველაზე დაბალი დონეა ახალ ზელანდიაში (3%), ავსტრალიაში (10%), აშშ-ში (21%) და კანადაში (27%), მით უფრო, რომ ეს ქვეყნები ხასიათდებიან მკვეთრად გამოხატული საექსპორტო ორიენტაციით.

სოფლის საქონელმწარმოებლები ყველაზე მეტ ფინანსურ მხარდაჭერას ღებულობენ შვეიცარიაში (82%), ნორვეგიაში (75%) და იაპონიაში (74%), ე.ი. ქვეყნებში, რომლებიც იმყოფებიან სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაძღოლისათვის უცუდეს ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში და ეროვნულ სასურსათო უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ საკუთარი წარმოების ხარჯზე.

აგროსასურსათო პოლიტიკის განხორციელებაზე სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ძირითად მიმართულებას ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში წარმოადგენს საბაზრო ფასების მხარდაჭერა (75-80%). სოფლის საქონელმწარმოებლებისათვის პირდაპირი გადასახდე-

ლები შეადგენს სოფლის მეურნეობის დაფინანსების მთლიანი მოცულობის 18-20%-ს, ფინანსური მხარდაჭერის სხვა ფორმები კი — 15-20%-ს.

პროდუქციის სახეების მიხედვით, დანახარჯების ძირითადი ნაწილი მოდის აგრეთვე ფასების მხარდაჭერის სისტემაზე. იმავდროულად მზესუმზირისა და მატყლის წარმოება საშუალოდ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (ეთგო) წევრ ქვეყნებში უპირატესად სტიმულირდება პირდაპირი სუბსიდირებისა და ფინანსური მხარდაჭერის სხვა ფორმების, და არა ფასების მეშვეობით.

იმის გამო, რომ მოტანილი მაჩვენებლები ასახავენ ფინანსური მხარდაჭერის მხოლოდ ერთ მიმართულებას — პირდაპირ სუბსიდიებს და არ ითვალისწინებენ არაპირდაპირი მხარდაჭერის ფორმებს, ჯერჯერობით ძნელია მათი ჩვენი ქვეყნის მონაცემებთან შედარება. თუმცა, ისინი ნათლად მოწმობენ მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგთა სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის აუცილებლობის შესახებ.

წარმოების ნომინალური სახელმწიფოებრივი ფინანსური მხარდაჭერის კოეფიციენტი (CNS) წარმოადგენს რაოდენობრივი შეფასების სპეციალურ ფორმას, რომლის საფუძველზეც შეიძლება გაკეთდეს დასკვნა მსოფლიო სასურსათო ბაზრისაგან ამა თუ იმ ქვეყნის იზოლაციის ხარისხის შესახებ; რაც უფრო მაღალია კოეფიციენტი, მით მეტია იზოლაციის ხარისხი.

მთლიანად ეთგო-ს წევრი ქვეყნების მიხედვით, 1990 წლიდან მოყოლებული, CNS შეესაბამება 1,7 მნიშვნელობას, რაც რამდენადმე აჭარბებს 1986-1988 წლების დონეს. ეს იმას ნიშნავს, რომ შიდა ფასების დონე საშუალოდ ეთგო-ს მიხედვით 1,7-ჯერ აჭარბებს მსოფლიო დონეს. პროდუქციის სახეებიდან ყველაზე მეტი ფინანსური მხარდაჭერა და მსოფლიო ბაზრისაგან დაცვის ხარისხი გააჩნია ბრინჯს (6,9) და რძეს (2,5), ყველაზე ნაკლები — მატყლს (1,5) ქათმის ხორცსა და კვერცხს (1,3)[3.14, გვ.80].

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლები მსოფლიო ბაზრის ფასების რყევებისაგან ყველაზე მეტად დაცულნი არიან ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა შვეცია (4,8), ნორვეგია (4,5), ფინეთი (3,5) და იაპონია (3,3). ექსპორტზე ორიენტირებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი მიისწრაფის ერთისაკენ (ახალ ზელანდიაში — 1,0, ავს-

ტრალიაში – 1,1, აშშ-ში – 1,2, კანადაში – 1,3). უნდა აღინიშნოს, რომ ეთგო-ს წევრ ქვეყნებში (ექსპორტზე ორიენტირებული ქვეყნების ჩათვლით) სურსათის შიდა ფასები აჭარბებს მსოფლიო დონეს. ამიტომ აქ შიდა ფასებით მსოფლიო დონის მიღწევა სერიოზულ სირთულეს არ წარმოადგენს მათი შემდგომი ზრდისათვის.

საგულისხმოა, რომ მსოფლიოში აგრარული სფეროს პროტექციონიზმის პერსპექტივები დაკავშირებული იქნება „ტარიფებსა და ვაჭრობაზე გენერალური შეთანხმების" ურუგვაის რაუნდის გადაწყვეტილებათა შესრულებასთან, რომელიც ძალაში შევიდა 1995 წლის ივლისიდან. ამ გადაწყვეტილებების შესაბამისად, ეთგო-ს წევრმა განვითარებულმა სახელმწიფოებმა ივალდებულეს 6 წლის განმავლობაში საშუალოდ 36%-ით შეკვეცონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ეროვნულ მწარმოებელთა და ექსპორტიორთა სუბსიდირება. განვითარებადი ქვეყნებისათვის ვადა გაზრდილია 10 წლამდე, ხოლო პროცენტი შემცირებულია 20-მდე. ამასთან დაკავშირებით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდა შესაძლებელი იქნება ძირითადად იმ ქვეყნებში, რომელთაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის აქვთ ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური და ეკონომიკური პირობები. მათ რიცხვს მიეკუთვნება: აშშ, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია და არგენტინა. მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნების უმრავლესობის სოფლის მეურნეობა ძირითადად დაზარალდება ფინანსური მხარდაჭერის შემცირებასთან დაკავშირებით.

მოვლენების ამგვარი სცენარით განვითარებას ისიც შეუწყობს ხელს, რომ ტრადიციულად სოფლის მეურნეობის ფინანსური უზრუნველყოფა მაღალი იყო არაკეთილსასურველი ბუნებრივ-კლიმატური და ეკონომიკური პირობების მქონე ქვეყნებში* და ზემოაღნიშნული

---

* აღსანიშნავია, რომ 1990-იანი წლების დასაწყისში ეკონომიკის აგრარული სექტორის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ყველა ფორმა ეთგო-ს წევრ ქვეყნებში ერთ სრულად დასაქმებულ ფერმერზე (არანაკლებ 2,2 ათასი საათი სეზონში) წელიწადში საშუალოდ შეფასებული იყო 11-14 ათასი დოლარით. ამასთან, ცალკეული ქვეყნების მიხედვით ეს მონაცემი ვარირებდა 2-3 ათასი დოლარიდან – შვეიცარიაში, 33 ათას დოლარამდე – ნორვეგიაში. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში აღნიშნული მაჩვენებელი საშუალოდ 8-10 ათას დოლარს შეადგენდა, ხოლო აშშ-ში – 20-27 ათას დოლარს. ერთ ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე გადაანგარიშებით, სახელმწიფოს ფინანსური დახმარება ეთგო-ს წევრ ქვეყნებში აღნიშნულ პერიოდში საშუალოდ შეადგენდა 140-160 დოლარს[4.45, გვ. 10-11].

პროცენტული შემცირება მათთვის უფრო მნიშვნელოვანი თანხებით აისახება. მაშასადამე, ურუგვაის შეხვედრის ფონზე განსაკუთრებით დაზარალდება იმ ქვეყნების სოფლის მეურნეობა, რომელნიც მანამ სოლიდური ფინანსური მხარდაჭერით სარგებლობდნენ.

პრობლემის აღნიშნული თვალსაზრისით ანალიზის დროს მიზანშეწონილია ცალკეულ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო საკარგულების მიხედვით გამოანგარიშებული ფინანსური დახმარების მაჩვენებელთა ურთიერთშედარება. მაგალითად, ავსტრალიაში, სადაც ერთ ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო საკარგულზე დახმარების ოდენობა 3 დოლარს შეადგენს, სოფლის მეურნეობას ბევრი არაფერი დააკლდება, თუკი ეს თანხა, ურუგვაიში მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, 36%-ით შემცირდება. სამაგიეროდ, სახელმწიფო ფინანსური დახმარების ანალოგიური პროცენტული განაკვეთით შეკვეცა საკმაოდ სოლიდურ თანხას დააკლებს ზოგიერთი ქვეყნის სოფლის მეურნეობას. მაგალითად, ნორვეგიაში ერთ ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო საკარგულზე გაწეული სახელმწიფო ფინანსური დახმარება შეიკვეცება 1080 დოლარით, ხოლო იაპონიაში კი - 3240 დოლარით.

FAO-ში სასაქონლო პოლიტიკაზე პასუხისმგებელი პირის – ჯეიმს გრინფილდის პროგნოზით, ურუგვაის შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების შემთხვევაში, სასურსათო პროდუქციის ექსპორტის სფეროში, მსოფლიოში წამყვან პოზიციებს დაიკავებს ავსტრალია, არგენტინა, ახალი ზელანდია, აშშ და კანადა. ამ მხრივ ეს ქვეყნები მნიშვნელოვნად შეაკიწროებს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს. აღმოსავლეთ ევროპის, აფრიკისა და აზიის ზოგიერთი განვითარებადი ქვეყანა კი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნეტო-ექსპორტიორად გადაიქცევა[4.45, გვ. 14]. ამასთან, სასურსათო ბაზარზე, პროტექციონიზმის შესუსტების შესაბამისად, ეთგო-ს წევრი ქვეყნები გაზრდიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტს, რომელიც 1992 წლის 7%-იანი დონიდან 20%-ს მიაღწევს 2020 წელს[4.18, გვ.46].

მსოფლიო მასშტაბით სოფლის მეურნეობის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შეზღუდვა უარყოფითად იმოქმედებს საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოებაზე, რამდენადაც ასეთი პროცესების განვითარება, ჯერ ერთი, მნიშვნელოვნად შეამცირებს მსოფლიოს სოფლის მეურნეობის საწარმოო პოტენციალს, რაც დასცემს წარმოებული სა-

სურსათო პროდუქციის მოცულობებს; და მეორე, საგრძნობლად (საშუალოდ 8%-ით) გაზრდის ფასებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, რაც შეამცირებს მასზე ხელმისაწვდომობას.

მსოფლიო სასურსათო ბაზრის ლიბერალიზება, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, განსაკუთრებით აქტუალურს გახდის ცალკეული ქვეყნების (უწინარეს ყოვლისა, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში მყოფი ქვეყნების) საერთო ეკონომიკური განვითარების მნიშვნელობას, რამდენადაც სასურსათო საფრთხის ძირითადი მიზეზები ძევს არა საკუთრივ აგროსასურსათო სექტორში, არამედ მის ფარგლებს გარეთ — მაკროეკონომიკური პროცესებისა და მაკროეკონომიკური რეგულირების სფეროში. მაშასადამე, განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა, უწინარეს ყოვლისა, დაკავშირებულია ქვეყნის მაკროეკონომიკურ განვითარებასთან და არა სურსათით მის თვითუზრუნველყოფასთან.

ზოგადად თუ ვიტყვით, მარტოოდენ ეროვნული აგროსასურსათო სექტორის ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა გატარება ვერ წყვეტს ქვეყნის მთელი მოსახლეობისათვის სურსათზე ხელმისაწვდომობის პრობლემას.

თეორიულად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოსახლეობის განსაზღვრული ჯგუფები, თავიანთი ექსკლუზიური პროდუქტების საგარეო ბაზარზე გატანით, ეუფლებიან გარკვეულ საშუალებებს და ახდენენ სურსათის იმპორტს, რომელიც მოსახლეობის ძირითადი ნაწილის დაბალი შემოსავლების გამო, ვერ სარგებლობს სათანადო მოთხოვნით შიდა ბაზარზე.* მაგრამ ცხადია ისიც, რომ ეკონომიკური განვითარების დაბალი დონის მქონე ქვეყნებს, რომლებიც ქრონიკულად აწყდებიან შიმშილის პრობლემას, აქვთ ეროვნული ეკონომიკის სხვაგვარი სტრუქტურა, რომელშიც აბსოლუტურად ჭარბობს აგრარული სექტორი. ამიტომ ამგვარი ქვეყნებისათვის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდა იმავდროულად ნიშნავს მაკროეკონომიკური დინამიკის გაუმჯობესებასაც, მოსახლეობის შემოსავლების დონის ამაღლებასაც და, შესაბამისად, ერის კვების ხარისხის გაუმჯობესებასაც.

---

* მოცემული სამაგალითო შემთხვევა არც თუ იმდენად აბსტრაქტულად მოგვეჩვენება, თუ გავიხსენებთ პერსიდის სრუტის რიგი არაბული ქვეყნების გამოცდილებას[6.11, გვ. 2].

სწორედ ამგვარი ლოგიკით, ეკონომიკის აგრარული სტრუქტურის მქონე ქვეყნებში მიწის რეფორმის გატარება — მიწის რესურსისადმი მოსახლეობის ძირითადი ნაწილის (ე.ი. სოფლის მოსახლეობის) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, როგორც წესი, სწრაფ ეფექტს იძლევა სურსათის მოხმარების დონის ამაღლების თვალსაზრისით, ორი გარემოების გამო: ჯერ — ერთი, სუსტადგანვითარებულ ეკონომიკაში მიწა წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითად რესურსს, რამდენადაც არ არსებობს ინდუსტრიული ტექნოლოგიები, და საწყის სტადიებზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიწოდება მაღალელასტიურია მიწის მიხედვით, ე.ი. წარმოების ზრდა წარმოებაში მიწის რესურსის ჩართვის ზრდის პირდაპირპროპორციულია; და მეორეც, საკუთრივ სოფლის მეურნეობაში წარმოების გადიდება მოასწავებს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ძირითადი ნაწილის მიერ სურსათის მოხმარების პირდაპირ ზრდას.

წარმოების ინდუსტრიალიზაციის დონის ამაღლებით ასეთი კავშირი მიწის განაწილებასა და სურსათის მოხმარებას შორის სულ უფრო ნაკლებად აშკარა ხდება. ეკონომიკის ინდუსტრიულ-აგრარული სტრუქტურის მქონე უფრო განვითარებულ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყოველი შემდგომი ზრდისათვის საჭირო ხდება სულ უფრო მეტი არასასოფლო-სამეურნეო კაპიტალის ჩართვა წარმოებაში, რაც, რა თქმა უნდა, არ გამომდინარეობს მიწის უფრო სამართლიანი გადანაწილების თვით ფაქტიდან. ამასთან დაკავშირებით, სოფლის მეურნეობისათვის საჭირო ხდება წარმოების ეფექტიანი საშუალებები, განვითარებული მატერიალურ — ტექნიკური და საფინანსო ინფრასტრუქტურა, უახლესი ტექნოლოგიების უნარიანად გამომყენებელი კადრები და ა.შ. სხვანაირად თუ ვიტყვით, საჭირო ხდება უფრო მაღალი მიჯნების მიღწევა მთელი ეკონომიკის მასშტაბით.

და, რაც მთავარია, სურსათის მოხმარების ზრდა ეკონომიკის ინდუსტრიულ-აგრარული სტრუქტურის მქონე ქვეყნებში პირდაპირ არაა დაკავშირებული წარმოების ზრდასთან, რამდენადაც ამ პროდუქციის მწარმოებელი და მისი მომხმარებელი აქ ერთმანეთს არ ემთხვევა. ამასთან, წარმოების ზრდას აგროსასურსათო სექტორში შეიძლება წინ ეღობებოდეს ორი ძირითადი პრობლემა — მოსახლეობის დაბალი მსყიდველუნარიანობა და მომხმარებლამდე პროდუქციის დამყვანი განვითარებული ინფრასტრუქტურის არარსებობა.

ზემოაღნიშნულიდან ცხადია, რომ სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა სრულიად სხვადასხვაგვარად დგას და წყდება განვითარებული და განვითარებადი ეკონომიკების პირობებში. 1940-იან წლებში FAO-ს მიერ ფორმულირებული სასურსათო უსაფრთხოების კონცეფცია კარგად ესადაგებოდა, უწინარეს ყოვლისა, განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის პირობებს. დღეისათვის კი მის გამოყენებას თითქმის უცვლელი ფორმით ცდილობენ ყოფილი სოციალისტური ქვეყნების და, მათ შორის, საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის მიმართაც, რაც, ვფიქრობთ, გარკვეულ დაზუსტებას მოითხოვს.

აქ მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ უკანასკნელ პერიოდში ტრანზიტულ (გარდამავალ) პირობებში მყოფ პრაქტიკულად ყველა პოსტსოციალისტურ ქვეყანაში მოხდა საბაზისო კვების პროდუქტების მოხმარებისა და კვების დღე-ღამური რაციონის კალორიულობის მკვეთრი დაცემა. ამან ბიძგი მისცა დისკუსიებს აღნიშნული ქვეყნების სასურსათო უსაფრთხოების საზღვრებისა და წარმოქმნილი პრობლემის გადაწყვეტის გზების თაობაზე.

ახლა იმის შესახებ, თუ რატომ მოხდა ასეთი დაცემა. ცნობილია, რომ ყოველ ყოფილ სოციალისტურ ქვეყანაში აგროსასურსათო სექტორის, ისევე როგორც მთლიანად ეკონომიკის ეფექტიანობა აშკარად ჩამორჩებოდა დასავლეთის განვითარებული ქვეყნების ანალოგებს. მაგრამ, ძალიან ხშირად სულადობრივი მოხმარების მაჩვენებლები აქ იყო დასავლეთევროპული და ჩრდილოამერიკული ანალოგების დონეზე ან მათზე ზევით.

ეს ხდებოდა იმ ცნობილი მიზეზით, რომ სურსათის ფასების რეალურ (წონასწორობით) დონესთან შედარებით ბევრად უფრო დაბალ დონეზე დაფიქსირებისა და კვების პროდუქტების მოხმარების, განსაკუთრებით ე.წ. სოციალურად მნიშვნელოვანი (უფრო ზუსტად „პოლიტიკური“) პროდუქტების (ხორცისა და რძის) მოხმარების სუბსიდირების გზით შენარჩუნებული იყო მოსახლეობის ხელოვნურად აწეული მოთხოვნა. მაშინ, როდესაც ხორცისა და რძის პროდუქტების მოხმარება ფაქტობრივად არცერთ ყოფილ სოციალისტურ ქვე-

ყანაში არ შეესაბამებოდა ეროვნული ეკონომიკის განვითარების რეალურ დონეს.*

სხვა სიტყვებით, სოციალისტური ეკონომიკის ფარგლებში სურსათზე ხელოვნურად აწეული მოთხოვნა და მოხმარების მაღალი დონე შენარჩუნებული იყო ეროვნული სიმდიდრის განიავების, მომავალ თაობათა რესურსების გაფლანგვის, ბიუჯეტური დეფიციტის ზრდის, ადამიანის ცხოველქმედებისათვის სხვა არანაკლებ აუცილებელი საქონლისა და მომსახურების მოხმარების შემცირების ხარჯზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სრულიად ლოგიკურია, რომ აღნიშნულ ქვეყნებში ცნობილ რეფორმატორულ ღონისძიებათა გატარების შედეგად, სასურსათო პროდუქტებზე სუბსიდიების გაუქმებამ (ან შემცირებამ), სურსათის რეალურ (წონასწორობით) ფასებზე გადასვლამ გამოიწვია სულადობრივი მოხმარების დონის დაცემა, ეკონომიკის რეალურ შესაძლებლობებთან მისი შესაბამისობაში მოყვანა.

ამიტომ, თუ სასურსათო უსაფრთხოების საკითხს მივაკუთვნებთ გარდამავალი (ტრანზიტული) პერიოდის ქვეყნებს, მაშინ უთუოდ ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ აქ ეს პრობლემა წარმოიშვა არა ეკონომიკის ლიბერალიზაციით, არამედ მნიშვნელოვნად უფრო ადრე.

ბუნებრივია, ადამიანმა შეიძლება გაყიდოს მთელი თავისი უძრავი ქონება და ამ გზით უზრუნველყოს საკუთარი ცხოვრება „მილიონერის სტანდარტით" გარკვეული დროის განმავლობაში, მაგრამ ადრე თუ გვიან მაინც დადგება მისი ცხოვრების დონის მკვეთრი დაცემის დღე. სურსათის მოხმარებისა და ცხოვრების დონის სწორედ ასეთი დაცემა მოხდა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, რომლებიც გარკვეული დროის განმავლობაში ცხოვრობდნენ არარეალურად არსებული „საკუთარი საშუალებებით."

ნიშანდობლივია ისიც, რომ აღნიშნულ ქვეყნებში მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის დაცემის შესაბამისად დაიწყო ეკონო-

---

* საგულისხმოა, რომ აშშ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეკონომიკური გამოკვლევების სამსახურის ბოლოდროინდელი გაანგარიშებების თანახმად, მტკიცე კავშირი ფიქსირდება ხორცის პროდუქტების სულადობრივ მოხმარებასა და მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის დონეს შორის. გამონაკლისს შეადგენენ ყოფილი სოციალისტური ქვეყნები, რომლებშიც ხორცის პროდუქტების მოხმარების უკანასკნელ პერიოდამდე არსებული მაღალი დონე არ შეესაბამებოდა მათს საერთო ეკონომიკურ განვითარებას[6.11, გვ. 2].

მიკის აგროსასურსათო სექტორის დაქვეითებაც. ამდენად, აგროსასურსათო სექტორის დაცემა, რამაც აღმოსავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებში თითქმის 70 პროცენტს მიაღწია, — მეორადი, წარმოებული მოვლენაა მოსახლეობის მოთხოვნის დაცემასთან მიმართებით.

როგორც ვხედავთ, თუ გარდამავალი ეკონომიკის მქონე პოსტსოციალისტურ ქვეყნებსა და განვითარებად ქვეყნებში სურსათის მოხმარების უფრო დაბალი დონის ბუნება (მოსახლეობის დაქვეითებული მსყიდველობითუნარიანობა) მეტნაკლებად ერთნაირია (პრობლემის სიმწვავის აბსოლუტურად სხვადასხვა დონის პირობებში), მაშინ ამ პრობლემის ფორმირების გზები პრინციპულად განსხვავებულია და, მაშასადამე მიდგომებიც მისი გადაწყვეტისადმი არ შეიძლება იყოს დასესხებული უკვე გამომუშავებული არსენალიდან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განვითარებად ქვეყნებში ულარიბესი გლეხობისათვის მიწის გამოყოფა რიგ შემთხვევებში იწვევს წარმოებისა და მოხმარების ზრდას. რეფორმის ასეთი ვარიანტი გარკვეულად შესაძლებელი გახდა ჩინეთსა და ალბანეთში. ორივე ქვეყანაში გლეხებისათვის მისაწვდომი გახდა თავისი შრომის ძირითადი საშუალება — მიწა (პირველ შემთხვევაში პრივატიზაციის გარეშე, ხოლო მეორეში — პრივატიზების გზით), და ეს „გადმოიღვარა" ამ ქვეყნებში სურსათის წარმოებისა და მოხმარების მკვეთრი ზრდით.

ეს სავსებით კანონზომიერი შედეგია, რამდენადაც ორივე ქვეყნის ეკონომიკას აქვს უპირატესად აგრარული მიმართულება, გლეხები ჭარბობენ მოსახლეობის საერთო რაოდენობაში და მიწა იკავებს ძირითად ადგილს სასოფლო-სამეურნეო ფონდების სტრუქტურაში. ამასთან, მიწის მიღებით გლეხებმა გაადიდეს წარმოება, უწინარესად, საკუთარი მოხმარებისათვის. გარდა ამისა, სასურსათო ბაზრის მაღალგანვითარებულ ინფრასტრუქტურას მიუჩეველი ქალაქის მოსახლეობის დაბალი ხვედრითი წილის წყალობით, სასურსათო მოხმარება ქალაქადაც რამდენადმე ამაღლდა.

სრულიად სხვაგვარი იყო ვითარება რეფორმების მომენტისათვის ინდუსტრიულ-აგრარული მიმართულების ეკონომიკის მქონე ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში, და კერძოდ, საქართველოში. აქ სოფლის მოსახლეობის ხელმისაწვდომობამ მიწისადმი და აგრარული ეკონომიკის ლიბერალიზაციამ, მართალია, შესაძლებელი გახადა სოფლის მცხოვრებთა სასურსათო მოხმარების დონის ამაღლება, მაგრამ, ამის

პარალელურად შემცირდა ქალაქის მცხოვრებთა მიერ საბაზისო კვების პროდუქტების საშუალო მოხმარება.

ასეთ სიტუაციაში სასურსათო მოხმარების ზრდის საკითხის გადაწყვეტა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, და მათ შორის, საქართველოში არ შეიძლება დამოკიდებული იყოს არც მიწის შემდგომი გადანაწილებისა და არც აგროსასურსათო სექტორის სახელმწიფოებრივი სუბსიდირების გაძლიერებისაგან. საკითხის მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და მოსახლეობის რეალური შემოსავლების განუხრელი ზრდის პირობებში. მაშასადამე, მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია და განვითარება არის ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების ზრდის ერთადერთი გზა, რამდენადაც ეკონომიკის ზრდა განაპირობებს მოსახლეობის რეალური შემოსავლებისა და, შესაბამისად, გადახდისუნარიანი მოთხოვნის ზრდას,. რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს აგროსასურსათო სექტორის განვითარებას.

ამრიგად, განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მსოფლიო სასურსათო ბაზრის ლიბერალიზების ვითარებაში, უმთავრესია ქვეყნის საერთო მაკროეკონომიკური განვითარება და, როგორც ლოგიკური შედეგი, — მოსახლეობის რეალური შემოსავლებისა და, შესაბამისად, სურსათზე ხელმისაწვდომობის ზრდა. სწორედ ხელმისაწვდომობის ზრდა უნდა გახდეს ის ძირითადი ფაქტორი, რომელიც მთავარ ფუნქციას იტვირთებს ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში.

საქართველომ, როგორც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრმა სახელმწიფომ, საჭიროა, სხვა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების მსგავსად, სრულად გაითვალისწინოს ზემოაღნიშნული ვითარება და რეკომენდაციები, ეროვნული აგრარული პოლიტიკის გადასინჯვისა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკანონმდებლო ბაზის შემუშავებისას. ამასთან, მან მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს კვების პროდუქტების წარმოების ზრდისა და სურსათით მოსახლეობის უზრუნველყოფის ამაღლების ყველა საკუთარი შესაძლებლობა და რეზერვი.

III თავი

ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონის სახელმწიფოთა ძალისხმევა სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის მოგვარებაში

3.1. განვითარებული ქვეყნების სასურსათო უსაფრთხოებისა და აგრარული პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები

თანამედროვე პირობებში სასურსათო უსაფრთხოების ირგვლივ არსებული თითქმის ყველა საერთაშორისო დოკუმენტი ფაქტობრივად მხოლოდ დეკლარაციულ ხასიათს ატარებს. ისინი იმდენად მსოფლიო თანამეგობრობის რეალურ ძალისხმევას არ ასახავენ, რამდენადაც მის სურვილებსა და მისწრაფებებს. სინამდვილე კი მთლიანად პრაგმატული მოსაზრებებით საზრდოობს და ხშირად ეწინააღმდეგება კიდეც მათში გაცხადებულ იდეებს. ამიტომ ამ დოკუმენტების შესაბამისად მიღებულ გადაწყვეტილებებს არ მოსდევს სათანადო ეფექტი. ეს განსაკუთრებით საგრძნობია მაშინ, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს საფუძვლად არ უდევს ძლიერ სახელმწიფოთა სასიცოცხლო ინტერესები.

აქედან გამომდინარე, სასურსათო უსაფრთხოების ირგვლივ არსებულ თითქმის ყველა საერთაშორისო დოკუმენტს საკითხის გადაწყვეტის სიმძიმე გადააქვს სწორედ ეროვნულ დონეზე, რასაც საფუძვლად ედება ზოგიერთი განვითარებული სახელმწიფოს მდიდარი გამოცდილება აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში.

სასურსათო უსაფრთხოების, როგორც ეროვნული უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილის, მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ რიგ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში უკვე ჩამოყალიბებულია და მოქმედებს სასურსათო უსაფრთხოების საკანონმდებლო-სამართლებრივი უზრუნველყოფის დამოუკიდებელი სისტემა.

ამ მხრივ დიდი გამოცდილება დაგროვდა აშშ-ში, იაპონიასა და ევროკავშირის ქვეყნებში. სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის ირგვლივ აქ არსებული კანონმდებლობა იმ უზარმაზარი სისტემის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რომელსაც აღნიშნულ სახელმწიფოებში აგ-

როსასურსათო სექტორის მარეგულირებელი სხვადასხვა საკანონმდებლო-სამართლებრივი და ფინანსურ-ადმინისტრაციული ღონისძიებები ქმნის.

მიუხედავად იმისა, რომ სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი პრინციპები ყველა ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნისათვის იდენტურია, მათი განხორციელების გზები და მეთოდები რამდენადმე მაინც განსხვავებული და თავისებურია.

აშშ-ში სასურსათო უსაფრთხოების საკითხი უმაღლეს ეროვნულ ინტერესთა სფეროშია მოქცეული.* სასურსათო უსაფრთხოების კონცეფცია უკვე კარგა ხანია იპყრობს ქვეყნის კონგრესისა და პრეზიდენტების ყურადღებას. სწორედ ამიტომაა, რომ უკვე ორი ათეული წელია, რაც აშშ-ში სასურსათო უსაფრთხოება განიხილება ეროვნული უსაფრთხოების განუყოფელ ნაწილად.

ამერიკელები მიიჩნევენ, რომ მათი სიძლიერე სურსათშია და მისი დაკარგვა არ შეიძლება. მართლაც, აშშ მსოფლიოში პირველ ადგილზეა სურსათის წარმოებისა და ექსპორტის მხრივ. ხელისუფლების უდიდეს ყურადღებას აგროსასურსათო კომპლექსის მიმართ ისიც განაპირობებს, რომ ეს დარგი ქვეყნის ეკონომიკის საფუძველია. აქ პირდაპირ ან ირიბად იქმნება მშპ-ის მეოთხედი ნაწილი და მისი ფუნქციონირება სამუშაოთი უზრუნველყოფს ამერიკის შრომისუნარიანი მოსახლეობის მესამედს.

ყოველივე ეს არის მიზეზი იმისა, რომ აშშ-ში აგროსასურსათო კომპლექსი ყველაზე უფრო პროტექციონისტულად დაცული სფეროა. მთვრობა არ იშურებს ფინანსურ სახსრებს სოფლის მეურნეობის მხარდაჭერისა და რეგულირებისათვის, რისთვისაც ბიუჯეტიდან ყოველწლიურად დაახლოებით 60-65 მლრდ. დოლარი გამოიყოფა, რაც ფედერალური ბიუჯეტის 4-5 პროცენტია.** ამისათვის მიღებულია სპეციალური ნორმატიული აქტები, რომლებიც მიმართულია სტაბი-

---

* უნდა შევნიშნოთ, რომ აქ აგროსასურსათო კომპლექსი მიეკუთვნება სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესების სფეროს, მისი პროდუქცია კი, ახალი თაოდაცვითი ტექნოლოგიების მსგავსად, მიჩნეულია სახელმწიფოს სტრატეგიულ რესურსად.

** სოფლის მეურნეობის მხარდაჭერაზე მიმართული მრავალმილიარდიანი სახსრები უზრუნველყოფს „სასურსათო უსაფრთხოებას და სურსათის სტაბილურ ფასებს აშშ-ში". ასეთი მდგომარეობისათვის, სენატორ კონრადას სიტყვებით, თითოეული ამერიკელი საშუალოდ დღიურად იხდის 14 ცენტს, რომელიც ბიუჯეტის მეშვეობით მიდის ფერმერთა დაფინანსებაზე[4.45, გვ.13].

ლური სასურსათო მომარაგების უზრუნველყოფაზე, საკუთარი სოფლის მეურნეობის მხარდაჭერისა და მისი ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების გზით.

ეს კურსი ტარდება ჯერ კიდევ 30-იანი წლებიდან და იგი დაგვირგვინდა აგრობიზნესის მძლავრი, მაღალგანვითარებული სისტემის შექმნით, რომელიც ორიენტირებულია შიდა ბაზართან ერთად, მსოფლიო სასურსათო ბაზრის დაუფლებაზე და პოლიტიკური მიზნების მიღწევაზე საზღვარგარეთ.

აშშ-ში სასურსათო უზრუნველყოფის პრობლემა, გარდა სხვა მუდმივმოქმედი კანონმდებლობისა, რეგულირდება ე.წ. „აგრარული კანონებით," რომელთაც კონგრესი 5-7 წლის პერიოდულობით იღებს, და რომლებიც მათი მოქმედების პერიოდში ქვეყნის აგრარული პოლიტიკის განმსაზღვრელი ნორმატიული დოკუმენტებია. ამ მიზნით 1981 წელს მიღებულ იქნა კანონი „სოფლის მეურნეობისა და სურსათის შესახებ," რომელიც მიმართული იყო სოფლის მეურნეობის მხარდაჭერაზე. აღნიშნული კანონით ნავარაუდევი იყო მარცვლეულის შესყიდვა სახელმწიფო რეზერვად, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სხვა ქვეყნებისადმი სასურსათო დახმარების გაწევის მიზნით.

საგულისხმოა, რომ 80-იანი წლების შუახანებიდან აშშ-ში გაჩნდა გარკვეული შეშფოთება ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების გარანტირებული უზრუნველყოფის თაობაზე. შეშფოთების ტალღა მას შემდეგ აგორდა, რაც 1982 წელს შეფასებულ იქნა აშშ-ს ნათესი ფართობების ეროზიის მასშტაბები.*

წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის შედეგად ქვეყანაში ნიადაგის მთლიანი დანაკარგები შეფასდა 3 მლრდ. ტონით. ამასთან, წყლისმიერი ეროზიის შედეგად იკარგებოდა მიწის ნაყოფიერი ფენის 60%, ხოლო ქარისმიერის შედეგად – 40%. სახნავის ერთ ჰა-ზე,

---

* გაერო-ს ხალხთმოსახლეობის ფონდის პროგნოზის თანახმად, აშშ-ში 2030 წლისათვის მოსალოდნელია მოსახლეობის ზრდის გადიდება, ხოლო ნიადაგის მაღალი ეროზიულობა და დაბალი ნაყოფიერება შეუძლებელს გახდის სურსათით აშშ-ის შიდა ბაზრის უზრუნველყოფას. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფოს სასურსათო უსაფრთხოება ვერ იქნება უზრუნველყოფილი „ძველი გარანტიების ჩარჩოებში". ამიტომ უახლოეს მომავალში აშშ დაიწყებს კვების რაციონის გადახედვას და, შესაძლოა, მარცვლეულის საკუთარი ექსპორტის შემცირებასაც[3.9, გვ.359].

ეროზიის შედეგად, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დანაკარგები წელიწადში საშუალოდ 20 ტონით შეფასდა, მაშინ, როდესაც ეროზიის დასაშვებ მაქსიმუმად აღიარებულია 12,5 ტონა ჰა-ზე.

ამის გამო აშშ-ში დაიწყო მიწის დამუშავების ახალი ტექნოლოგიების პროპაგანდა და უსწრაფესი გავრცელება, რომელიც გულისხმობს „მიწის მინიმალური დამუშავების" პრინციპს. ეს ტრადიციულ ტექნოლოგიებთან შედარებით უფრო იაფია, მაგრამ ბევრად უფრო მწარმოებლური.

1985 წლის კანონმა „სასურსათო უსაფრთხოების შესახებ", 1986 წლის კანონმა „სასურსათო უსაფრთხოების გაუმჯობესების შესახებ" და 1990 წლის კანონმა „სურსათის, სოფლის მეურნეობის, კონსერვაციისა და ვაჭრობის შესახებ" გააფართოვეს და განამტკიცეს ამერიკელ ფერმერთა მხარდაჭერის ღონისძიებათა სისტემა, მიწის ნაყოფიერების შენარჩუნებაზე სუბსიდიების ჩათვლით.

90-იანი წლების დასაწყისიდან აშშ-ის გარანტირებული სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პოლიტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენების სასურსათო დახმარების სახელმწიფო პროგრამებს. ამ მიზნით ქვეყანაში შეიქმნა „სურსათისა და მომხმარებელთა მომსახურების სამსახური." მოცემული სამსახურის ძირითად ამოცანებს წარმოადგენდა: ერის ჯანმრთელობის გაუმჯობესება, მოსახლეობის იმ ფენებისათვის სასურსათო დახმარების გაწევის გზით, რომლებიც ამას საჭიროებენ; აგროსასურსათო სექტორის მხარდაჭერა და განმტკიცება, სურსათის მომხმარებლებთან მისი პირდაპირი კავშირების სრულყოფის გზით; მოსახლეობის ინფორმირებულობის საკმარისი დონის შექმნა რაციონალური კვების საკითხებში.

1995 წლისათვის აშშ-ში უკვე მოქმედებდა ნაკლებად უზრუნველყოფილი მოსახლეობის სასურსათო დახმარების 16 პროგრამა. მათ შესრულებაზე სახელმწიფომ მხოლოდ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაზით გამოყო 40454 მლნ. დოლარი, რამაც შეადგინა ამ უწყების მთლიანი ბიუჯეტის დაახლოებით 65%. ამ პროგრამების რეალიზაციით სასურსათო დახმარება გაეწია 74,4 მლნ. კაცს[3.9, გვ.362].

აშშ-ში უკანასკნელი აგრარული კანონი ძალაში შევიდა 1996 წლის 4 აპრილს. მისი მოქმედებით დაიწყო ახალი ეტაპი ქვეყნის

აგრარულ პოლიტიკაში. აღნიშნული კანონის მოქმედების ვადა განისაზღვრა 1996-2002 წლების პერიოდისათვის. მასში ასახულია ტარიფებსა და ვაჭრობაზე გენერალური შეთანხმების ფარგლებში გამართულ ურუგვაის შეხვედრაზე ამერიკის მიერ აღებული ვალდებულებები, რაც სახელმწიფოს მიერ აგრარული სექტორისადმი გაწეული ფინანსური დახმარების შეზღუდვას ითვალისწინებს.

განსაკუთრებით საინტერესოა 1996 წლის ფედერალური აგრარული კანონის სპეციალური ნაწილი, რომელიც ხელს უწყობს სასურსათო პროდუქციის ექსპორტს და იმავდროულად საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოების განმტკიცებას ემსახურება. ამ ნაწილში წარმოდგენილია ისეთი ტრადიციული პროგრამები, როგორიცაა: „სურსათი მშვიდობისათვის," „სურსათი პროგრესისათვის," „საექსპორტო კრედიტების გარანტიების პროგრამა." აღნიშნული პროგრამები მიმართულია განვითარებად, ე.წ. ახალი დემოკრატიის ქვეყნებში სურსათის ექსპორტის ხელშესაწყობად, აგრეთვე ამ სახელმწიფოების სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებისათვის კრედიტების გამოყოფისათვის სურსათის შესაძენად.

მსოფლიო სასურსათო ბაზარზე ამერიკის პოზიციების გამყარებას ემსახურება „ექსპორტის მხარდაჭერის," საგარეო ბაზარზე „აშშ-ის პოზიციების გამაგრების, გაფართოებისა და განვითარების," „ახალშექმნილი აგრარული ბაზრების მხარდაჭერის" პროგრამები. დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს „სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველმყოფი რეზერვების პროგრამას," რომლის მიხედვითაც შექმნილია ხორბლის, ბრინჯის და სიმინდის 4 მლნ. ტონის მოცულობის რეზერვი, საიდანაც ხდება სხვა ქვეყნების ჰუმანიტარული დახმარება მარცვლეულით. თვით აშშ-ში სასურსათო უსაფრთხოების განმტკიცებას ემსახურება აღნიშნული კანონით გათვალისწინებული დახმარება, რომელიც დაბალშემოსავლიან ფენებს გაეწევათ. მოსახლეობის ამ კატეგორიას უსასყიდლოდ ეძლევა ე.წ. „სასურსათო ტალონები," რომლითაც მათ გარკვეული თანხის სხვადასხვა სურსათის შეძენა შეუძლიათ.

აშშ-ის აგრარული პოლიტიკა ნათლად მეტყველებს, რომ აქ სასურსათო უზრუნველყოფა განიხილება არა მხოლოდ როგორც საკუთარი სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საშუალება, არამედ აგრეთვე როგორც იარაღი სხვა ქვეყნების სასურსათო დამოკი-

დებულების შექმნისა და მათს საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე ზემოქმედებისათვის; „სასურსათო იარაღი“ უძლიერესი ინსტრუმენტია პოლიტიკური ზეწოლისა, ხოლო სასურსათო უსაფრთხოების მიღწევა — ეროვნული ინტერესების პრიორიტეტი.

იაპონიაში სახელმწიფოს მიერ სასურსათო უსაფრთხოების პრობლემით დაინტერესებას საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ 1898 წელს იაპონიის სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის მინისტრი ტანი ტატეკი ამბობდა: „სასურსათო დამოუკიდებლობა უფრო გადაუდებელი საქმეა, ვიდრე დამოუკიდებლობა სამხედრო თვალსაზრისით“[4.20, გვ. 42].

საერთოდ კვებას იაპონიაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება, რაც აიხსნება არა მხოლოდ ერის ჯანმრთელობაზე ზრუნვით, არამედ აგრეთვე მისი ტრადიციებითა და რეალური შესაძლებლობებით. საკმარისია აღინიშნოს, რომ კვებაზე საშუალოდ მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით ყოველწლიურად იაპონელები ხარჯავენ თავიანთი შემოსავლების დაახლოებით 16%-ს.

ამჟამად იაპონელები ვარაუდობენ, რომ ქვეყანამ, რომელიც თავს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ მიიჩნევს, უნდა აწარმოოს იმდენი სურსათი, რასაც მისი ბუნებრივი შესაძლებლობები იძლევა. ასეთი მიდგომა სრულად აისახა ამ ქვეყნის საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ 1942 წელს მიღებულ კანონში „სურსათზე კონტროლის შესახებ“ და მთავრობის მიერ გატარებულ აგრარულ პოლიტიკაში.

ქვეყნის სოფლის მეურნეობის, როგორც ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველმყოფი დარგის, როლი უკვე მრავალი წელია, რაც საყოველთაოდაა ცნობილი. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ იაპონია ითვლება მსოფლიოში სრულფასოვანი სასურსათო უზრუნველყოფის მაღალი დონის მქონე ერთ-ერთ განვითარებულ სახელმწიფოდ. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა შეფასებით, ქვეყნის სასურსათო თვითუზრუნველყოფის ხარისხი ერთ-ერთი ყველაზე დაბალია განვითარებულ სახელმწიფოთა შორის, ეს არსებითად კომპენსირდება მარცვლეულის სტაბილური მარაგებით, ბრინჯისა და კვერცხის წარმოებით და თევზის პროდუქტების გარანტირებული საიმპორტო შესყიდვებით. ამის გამო იაპონიის მცხოვრებთა კვების რაციონში უზრუნველყოფილია ცხოველური და მცენარეული წარმოშობის ცილების ოპტიმალური თანაფარდობა.

იაპონია იმყოფება საკუთარი აგროსასურსათო სექტორის აქტიურად დამცავ სახელმწიფოთა პირველ რიგებში. აქ ხელისუფლება არეგულირებს ბრინჯის, ქერის, ხორბლის ფასებს და ამ პროდუქციით ვაჭრობას. იაპონიის სურსათის სააგენტოს აქვს მარცვლეულის იმპორტის სიდიდის განსაზღვრის ექსკლუზიური უფლება. აქ, ფაქტობრივად, აკრძალულია ქვეყნისათვის უმთავრესი სტრატეგიული მარცვლეულის – ბრინჯის იმპორტი და ქვეყანა მასზე მოთხოვნილებას 100 პროცენტით იკმაყოფილებს, თუმცა, მას ეს მეტად ძვირი უჯდება. ინარჩუნებს რა ამ პროდუქტზე შიდა ფასებს რვაჯერ უფრო მაღალ დონეზე, ბრინჯის მსოფლიო ფასებთან შედარებით, იაპონიაში სახელმწიფოს მიერ დაწესებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მინიმალური და მაქსიმალური ფასები. მინიმალური ფასების გაანგარიშება წარმოებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების გათვალისწინებით. აქ ფართოდაა დანერგილი სახელმწიფო შესყიდვების სისტემა და მიუხედავად იმისა, რომ სამთავრობო სტრუქტურები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებს უხდიან იმ თანხაზე რამდენიმეჯერ მეტს, ვიდრე თვითონ სთავაზობენ მომხმარებელს, აქ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საცალო ფასები რამდენადმე მაღალია, მსოფლიოს ანალოგიურ საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით.

გარდა აღნიშნულისა, იაპონიაში გავრცელებულია აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა პირდაპირი დოტირების სისტემა, რაც სოფლის მეურნეობაში სახელმწიფოს მიერ შემუშავებული პროგრამების განხორციელებას ემსახურება, რომლებიც უკანასკნელ პერიოდში ბრინჯის წარმოების შემცირების ხარჯზე სხვა სახის მარცვლეულის წარმოების ზრდას ისახავს მიზნად. მაშასადამე, იაპონიაში, სადაც ჭარბობს საშუალო და წვრილი ფერმები, შეინიშნება მთავრობის აქტიურად ჩარევა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. კერძოდ, ამაზე მოწმობს ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ფინანსური დახმარების სხვადასხვა სახეებმა უკანასკნელ პერიოდამდე, ეთგო-ს სპეციალისტთა გაანგარიშებით, შეადგინა ფერმერთა შემოსავლების დაახლოებით 70 პროცენტი[4.45, გვ. 10]. აშშ-ში ეს მაჩვენებელი 35%-ია, ხოლო ევროკავშირის ქვეყნებში – 50%-ს უახლოვდება[3.9, გვ. 368].

იაპონიაში აგრარული სექტორისადმი მიმართული მძლავრი პროტექციონისტური პოლიტიკის მთავარი დადებითი შედეგია ის, რომ ამ ქვეყანამ, თავისი მწირი ბუნებრივ-კლიმატური პირობების ფონზე, სურსათით თვითუზრუნველყოფის საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწია. სამაგიეროდ, სოლიდურმა ფინანსურმა დახმარებამ, კონკურენციის შეზღუდვამ, უცხოური პროდუქციისათვის ადგილობრივი ბაზრის დახურვამ მეტად არაეფექტური გახადა იაპონიაში სასოფლო-სამეურნეო წარმოება, რის გამოც იგი პროდუქციის თვითღირებულებით და ეფექტიანობის მაჩვენებლებით მნიშვნელოვნად ჩამორჩება ეკონომიკურად განვითარებული სხვა ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს. ამიტომ უკანასკნელ წლებში იაპონიის მთავრობა ცდილობს იმგვარად წარმართოს აგრარული სექტორისადმი დახმარება, რომ ამან გაზარდოს ამ ქვეყნის სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობა.

ამრიგად, იაპონიის ხელისუფლება, მტკიცედ ატარებს რა აგროსასურსათო სექტორის პროტექციონიზმის პოლიტიკას, ღიად ცნობს იმ ფაქტს, რომ მოსახლეობის სასურსათო მომარაგების მდგომარეობისაგან დიდადაა დამოკიდებული ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

აშშ-ისა და იაპონიისაგან განსხვავებით, ევროკავშირის ქვეყნებში სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხაზით გატარებული ღონისძიებები უფრო მრავალფეროვანი, კანონმდებლობით რეგლამენტირებული და ფართომასშტაბიანია. ამ ქვეყნების აგრარული სექტორი რეგულირდება ორ დონეზე: ჯერ ერთი, — ცალკეული სახელმწიფოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით, და მეორე, — თვით ევროკავშირის ერთიანი სტრუქტურების მეშვეობით. ამჟამად ამ გაერთიანებაში აგროსასურსათო სექტორისადმი გაწეული დახმარების ძირითადი სიმძიმე ცენტრალურ სტრუქტურებზე გადადის.

ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის განსაკუთრებით სრულყოფილი საკანონმდებლო-სამართლებრივი ბაზა გააჩნია გერმანიას, საფრანგეთსა და შვეიცას, რაც საკმაოდ ფართოდაა გაშუქებული სპეციალურ ლიტერატურაში[3.12].

გერმანიაში ჯერ კიდევ 1955 წელს იქნა მიღებული კანონი „გერმანიის სოფლის მეურნეობის შესახებ", რომელიც მიზნად ისახავდა დარგისათვის მრეწველობის ანალოგიური მეურნეობრიობის პი-

რობების შექმნას. მასში პირდაპირ იყო მითითებული, რომ სახელმწიფო ვალდებულია სურსათით მოსახლეობის მომარაგებას განიხილავდეს, როგორც სტრატეგიულ ამოცანას. 1979 წელს მიღებულ კანონში „სასურსათო მომარაგების შესახებ“ კი კიდევ უფრო მკაცრ ფორმებში ჩაიწერა სახელმწიფოს ვალდებულებები სასურსათო უზრუნველყოფის სფეროში. გერმანიის ცალკეულ მიწებზე მიღებულია საკუთარი კანონები „სოფლის მეურნეობისა და სასურსათო მომარაგების შესახებ“.

საფრანგეთში „სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტაბილურობის უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის შესაბამისად სოფლის მეურნეობის სამინისტროს აქვს დავალებული ეროვნული აგრარული პოლიტიკის შემუშავება და მისი ცხოვრებაში გატარება. აქ ჯერ კიდევ 1960 წელს იქნა მიღებული კანონი „სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის შესახებ“, რომელიც ითვალისწინებდა მაქსიმალურად კეთილსასურველი პირობების შექმნას ეროვნული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთათვის, ბაზრიდან უხარისხო სამამულო და იმპორტირებული პროდუქციის ამოღებას, ქვეყანაში სურსათის დემპინგური ფასებით მასობრივი შემოტანის დაუშვებლობას. 1964 წელს მიღებულ იქნა კანონი „სოფლის მეურნეობის სტრუქტურის შესახებ“, რომელიც მიმართულ იქნა სოფლის მეურნეობის განვითარებასა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის სტიმულირებაზე. 1962 წლის კანონი „სოფლის მეურნეობის ორიენტაციის შესახებ“ კი მოიცავს სასურსათო უზრუნველყოფის სფეროში სახელმწიფოებრივი რეგულირების ძირითად მიმართულებებს.

შვეიცარიაში ჯერ კიდევ 1940 წელს მიღებული კანონის „სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და გასაღების რეგულირების შესახებ“ თანახმად, კვების პროდუქტების კომისიების მიერ რეგლამენტირებულია სურსათის ხარისხი, მისი დაცვა მწარმოებლებისა და გამსაღებლების მხრიდან. 1947 წლის კანონი „სოფლის მეურნეობის რაციონალიზაციის შესახებ“ თავისი შემდგომი დამატებებით, მიმართულია სამამულო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა მხარდაჭერაზე და სასურსათო ნედლეულის იმპორტის შეზღუდვაზე ქვოტების, ბაჟების და სხვა ინსტრუმენტების გამოყენების გზით. სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტიმულირებისას სახელმწიფო ამოდის იმ დებულებიდან, რომ ფერმერთა შემოსავლები იყოს არანაკლებ

კვალიფიციურ სამრეწველო მუშათა საშუალო ხელფასის დონეზე. ყოველივე ეს მიმართულია ქვეყნის სტაბილურ სასურსათო თვითუზრუნველყოფასა და მისი სასურსათო უსაფრთხოების მაღალი დონის მიღწევაზე.

მთლიანად, ევროკავშირის ქვეყნებში აგრარული სექტორის სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმების ფართო სპექტრი შეიძლება შემდეგ სამ ჯგუფად გაერთიანდეს: პირდაპირი რაოდენობრივი რეგულირება, ფასებით რეგულირება და საბაჟო რეგულირება. სამივე ჯგუფის ინსტრუმენტების ერთობლიობა დაკონკრეტებულია სავაჭრო წესებში, რომლებიც ცალკეული სახის სასურსათო პროდუქტების მიხედვით დგება. ევროკავშირის წევრი ქვეყნები იყენებენ აგრეთვე აგრარული სექტორის რეგულირებისა და მხარდაჭერისათვის პროგრამულ მიდგომას. მაშასადამე, სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა ის ფუნდამენტია, რომელზე დაყრდნობითაც მიიღწევა ეროვნული სასურსათო უსაფრთხოება და, თუ რაოდენ შთამბეჭდავი შეიძლება იყოს შედეგები, ამას ჰოლანდიის მაგალითიც ადასტურებს.*

გარკვეულ ინტერესს იწვევს ევროკავშირის სახელმწიფოთა პოზიცია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (ვმო-ში). მათი სტრატეგია აგრარული პოლიტიკის გატარებაში, განსაკუთრებით ფერმერული მეურნეობებისადმი ფინანსური მხარდაჭრის საკითხებში არაერთხელ ქცეულა საერთაშორისო კრიტიკის მთავარ ობიექტად. ფაქტობრივად, სოფლის მეურნეობისადმი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის სიდიდე ევროკავშირის ქვეყნებში ერთ ფერმერზე გაანგარიშებით დიდად არ განსხვავდება ამ მაჩვენებლისაგან აშშ-ში. მაგრამ განსხვავება ისაა, რომ აშშ-ში ამ მხარდაჭერის ძირითადი ვექტორი მიმართულია ექსპორტის სტიმულირებაზე, მაშინ როდესაც ევროკავშირის ქვეყნებში პრევალირებს ფერმერთა პირდაპირი მხარდაჭერა. ყველაზე საგულისხმო კი ისაა, რომ ამჟამად ევროკავშირი აშშ-საგან, ავსტრალიისაგან, კანადისაგან და სხვა ქვეყნებისაგან მოითხოვს სახელმწიფოებრივი

---

* უნდა შევნიშნოთ, რომ ჰოლანდიაში, რომელიც გამოირჩევა მცირე მიწიანობითა და შედარებით სოლიდური მოსახლეობით, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის მიხედვით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი 119 პროცენტს შეადგენს, ღორის ხორცის მიხედვით — 279, ცხვრის ხორცის მიხედვით —188, ფრინველის ხორცის მიხედვით — 287, კარაქის მიხედვით — 353, ყველის მიხედვით — 252, კვერცხის მიხედვით — 332, კარტოფილის მიხედვით — 154, შაქრის მიხედვით — 194 და ახალი ბოსტნეულის მიხედვით — 207 პროცენტს[3.1, გვ. 93-94].

საექსპორტო სუბსიდიების გაცემის შემცირებას და სახელმწიფო ორგანიზაციების მეშვეობით სურსათით ვაჭრობის პრაქტიკაზე უარის თქმას.

ზემოთგანხილული მაგალითები მოტანილია იმ განვითარებული ქვეყნების მიხედვით, რომელთაც გააჩნიათ შედარებით დასრულებული კონცეპტუალური მიდგომა სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის მიმართ. თუმცა, ეს არ გამორიცხავს აღნიშნული საკითხის აქტუალობას ნაკლებგანვითარებული ან განვითარებადი სახელმწიფოებისათვის.

32. აგრარული გარდაქმნები და სასურსათო უზრუნველყოფის მდგომარეობა განვითარებად ქვეყნებში

FAO-ს მიერ შემუშავებული პროგრამისა და პროგნოზის „სოფლის მეურნეობა: 2010 წელი" – თანახმად, უახლოეს მომავალში განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში შენარჩუნებულ იქნება დაძაბული მდგომარეობა სურსათით მათი უზრუნველყოფის სფეროში, რაც, უწინარეს ყოვლისა, განპირობებულ იქნება მსოფლიო სოფლის მეურნეობის ბუნებრივი რესურსების დეგრადაციითა და მზარდი დეფიციტით[3.26, გვ. 12].

როგორც ამ ავტორიტეტული საერთაშორისო სასურსათო ორგანიზაციის ექსპერტები ვარაუდობენ, შიმშილისა და არასრულფასოვანი კვებისაგან გამოწვეული ის გაჭირვება, რომელსაც განიცდის ასეულ მილიონობით ადამიანი აფრიკის, აზიის და ლათინური ამერიკის ქვეყნებში, უწინარეს ყოვლისა, დაკავშირებულია ეროვნული სასურსათო სტრატეგიებისა და ეროვნულ თუ რეგიონთაშორის დონეზე სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და სურსათით ვაჭრობის სფეროში თანამშრომლობის ეფექტიანი მექანიზმის არარსებობასთან.

სასურსათო უზრუნველყოფის დაბალი დონის განმაპირობებელ სხვა მიზეზთა შორის შეიძლება დავასახელოთ „მესამე სამყაროს" ქვეყნების აგრარული განვითარების ტემპების შენელება; სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სისუსტე და ჩამორჩენი-

ლობა; ხალხთმოსახლეობის სწრაფი ზრდა; სხვა ეკონომიკური, პოლიტიკური და ბუნებრივ-კლიმატური ხასიათის მიზეზები.

სტატისტიკა მოწმობს, რომ სურსათთან დაკავშირებით ყველაზე საგანგაშო მდგომარეობა შეინიშნება აფრიკის, აზიის და ლათინური ამერიკის ქვეყნებში. აქ შიმშილისა და არასრულფასოვანი კვების მთავარ მსხვერპლად, როგორც წესი, იქცევიან სოფლის მცხოვრებნი, რომელთა ბავშვებიც მუდმივად განიცდიან სხეულის წონის დეფიციტს. სპეციალისტთა შეფასებით, ბავშვთა 60% სამხრეთ აზიაში და 39% ტროპიკულ აფრიკაში ჩამორჩება ფიზიკური განვითარებით. გაერო-ს მონაცემებით, 21-ე საუკუნის დასაწყისისათვის მწვავე სასურსათო დეფიციტს განიცდის 50-ზე მეტი განვითარებადი სახელმწიფო, რომელთა საერთო მოსახლეობიდან დაახლოებით 800 მლნ. ადამიანი იმყოფება შიმშილის ზღვარზე[3.27, გვ. 6].

გაერო-ს პროგნოზით, მსოფლიო მოსახლეობის რიცხოვნობა 21-ე საუკუნის შუახანებისათვის მიაღწევს 9,4 მლრდ. კაცს. მაგრამ, ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზით, უახლოეს 15 წელიწადში დედამიწის მოსახლეობას დაემატება კიდევ 1 მლრდ. კაცი, რომელთა უმრავლესობა იცხოვრებს განვითარებად ქვეყნებში. ამასთან, მოსახლეობის ძირითადი ნამატი მოვა სწორედ იმ რეგიონებზე, რომლებიც ყველაზე მეტად იტანჯებიან შიმშილისა და არასრულფასოვანი კვებისაგან (ცხრილი 3).

ხალხთმოსახლეობის ზრდა სურსათის მოხმარების სიდიდის პირდაპირპროპორციულია და, მაშასადამე, დამოკიდებულია მსოფლიო სოფლის მეურნეობის განვითარების პოტენციალზე. სპეციალისტთა შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სურსათის წარმოების დონემ შეიძლება კვების პროდუქტებით უზრუნველყოს პლანეტის მოსახლეობა, 2010 წლისათვის „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში სასურსათო დეფიციტს მაინც განიცდის 600 მლნ. კაცზე მეტი (დიაგრამა 1).

პროგნოზით, 2010 წლისათვის მთლიანად განვითარებად ქვეყნებში ნავარაუდევია შიმშილისა და ნახევრადშიმშილის შემცირების ტენდენცია 90-იანი წლების დასასრულთან შედარებით. მაგრამ, სახარის სამხრეთით გეოგრაფიულად დისლოცირებულ აფრიკულ სახელმწიფოებში მოშიმშილეთა არსებითი შემცირება არ მოხდება. პროგნოზით,

ცხრილი 3. მსოფლიო მოსახლეობის ზრდის პროგნოზი ქვეყანათა ჯგუფების მიხედვით 1995-2050 წლებში*

ქვეყანათა ჯგუფები	მოსახლეობა, მლნ. კაცი			საშუალო წლიური ზრდა, %	
	1995 წ.	2020 წ.	2050 წ.	1995-2020 წწ.	2020-2050 წწ.
მსოფლიო მთლიანად	5687	7672	9366	1,2	0,7
განვითარებული ქვეყნები	1171	1219	1162	0,2	-0,2
განვითარებადი ქვეყნები	4516	6453	8205	1,4	0,8
ნაკლებ განვითარებული ქვეყნები	579	1051	1632	2,4	1,5
აფრიკა	719	1317	2046	2,4	1,5
ტროპიკული აფრიკა	588	1119	1789	2,6	1,6
აზია	3438	4591	5443	1,2	0,6
აღმოსავლეთ აზია	1421	1664	1722	0,6	0,1
სამხრეთი და ცენტრალური აზია	1367	1992	2521	1,5	0,8
სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია	482	661	812	1,3	0,7
ახლო აღმოსავლეთი	168	275	387	2,0	1,1
ევროპა	728	709	638	-0,1	-0,4
ლათინური ამერიკა	477	658	577	1,3	0,7
ჩრდილოეთ ამერიკა	279	358	384	0,7	0,2

2010 წლისათვის მთლიანად განვითარებად ქვეყნებში ნავარაუდევია შიმშილისა და ნახევრადშიმშილის შემცირება. თუმცა, კალორიულობის მაჩვენებლის ზრდის უმნიშვნელო ტენდენცია სპეციალისტების მიერ მაინც პროგნოზირდება (ცხრილი 4).

კვებასთან დაკავშირებით ყველაზე კრიტიკული მდგომარეობა შეიმჩნევა ბურუნდიში, სომალიში, მოზამბიკაში, ზამბიასა და ჩადში. რთული სასურსათო მდგომარეობა დამახასიათებელია აგრეთვე ცენტრალური და დასავლეთ აფრიკის ქვეყნების (ანგოლის, კამერუნის, განის, ნიგერიისა და კონგოს) ხალხებისათვის. ამ ქვეყნების სასურსათო უზრუნველყოფის მუდმივი გაუარესება გამოწვეულია არა მხოლოდ უცხოური დახმარებისაგან მზარდი დამოკიდებულებით, არამედ აგრეთვე მათი მისწრაფებით, — გადაწყვიტონ ეროვნული აგრარული პრობლემები სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში ახალი, მაგრამ დაბალი

* ცხრილი მოტანილია ლიტერატურული წყაროდან[3.9, გვ.396], ჩვენეული მოდიფიცირებით.

დიაგრამა 1. შიმშილისა და არასრულფასოვანი კვებისაგან გატანჯული მოსახლეობა განვითარებად ქვეყნებში, მლნ.კაცი*



მოსავლის მომცემი დეგრადირებული და გამოფიტული მიწების ჩართვის გზით. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ წყლის რესურსების პრობლემას, ნიადაგების ეროზიას და მარილებით მის მეტისმეტად გაჯერებულობას, მაშინ ნათელი გახდება, თუ რამდენად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სასურსათო პრობლემა ამ რეგიონის ქვეყნებისათვის.

სასურსათო უზრუნველყოფის შესამჩნევ გაუმჯობესებას აზიის მრავალ ქვეყანაში ექსპერტები მიაწერენ „მწვანე რევოლუციის" მასშტაბებს, რომლის განხორციელებამ განაპირობა ფართობების მნიშვნელოვანი გადიდება ბრინჯისა და მარცვლეული კულტურების მოსავლიანი ჯიშების ნათესების ქვეშ და მინერალური სასუქებისა და აგროტექნიკური ხერხების ეფექტიანი გამოყენება.

---

* დიაგრამა გაკეთებულია ავტორის მიერ, ლიტერატურული წყაროს[3.29, გვ.306] მონაცემების მიხედვით.

ცხრილი 4. კალორიების საშუალოსულადობრივი მოხმარება მსოფლიოს სხვადასხვა ძვეყანასა და რეგიონში, კკალ/დღე.*

რეგიონები და სახელმწიფოები	წლები		
	1989-1991	1995-1997	2010 (პროგნოზი)
განვითარებადი ქვეყნები მთლიანად	2510	2626	2730
აფრიკა მთლიანად მათ შორის:	2114	2190	2170
ბურუნდი	1911	1687	1720
ცენტრალურ-აფრიკული რესპუბლიკა	1915	1978	2005
სომალი	1715	1573	1600
კონგო	2106	1823	1900
ზამბია	2065	1958	2000
ანგოლა	1798	1900	2000
კენია	1916	1977	2105
მოზამბიკი	1782	1782	1870
ჩადი	1740	1959	1990
აფრიკა (ჩრდილოეთი და ახლო აღმოსავლეთი)	2875	3021	3120
აზია (აღმოსავლეთი)	2525	2676	3060
აზია (სამხრეთი)	2314	2423	2450
ლათინური ამერიკა (კარიბის აუზის ქვეყნები)	2692	2791	2950
მრეწველურად განვითარებული ქვეყნები	3301	3223	3470
მსოფლიო მთლიანად	2699	2761	2870

ამავე დროს უახლოეს პერსპექტივაში (2010 წლისათვის) განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის კვლავ დიდი ნაწილი ვერ მიაღწევს მინიმალური სასურსათო უზრუნველყოფის დონეს, განსაკუთრებით უღარიბეს რეგიონებში, ხალხთმოსახლეობის ზრდის მასშტაბების გადიდების გათვალისწინებით. ვ. გ. რასტიანნიკოვის დასკვნით, „დისპროპორცია უწინარესად გამოვლინდება მასობრივი მოხმარების სასურსათო პროდუქციის (პირველ რიგში, მარცვლეული და მარცვლოვან-პარკოსანი კულტურების) უკმარისობაში. ამასთან, საერთორეგიონული მასშტაბით განხილულ ასეთ უკმარისობას აქვს ზრდის ტენდენცია“[3.18, გვ. 5].

* ცხრილი მოტანილია ლიტერატურული წყაროდან[1.17, გვ.16], ჩვენეული მოდიფიცირებით.

საგულისხმოა, რომ მუდმივი მისწრაფება კვების პროდუქტებზე მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილებისაკენ წინააღმდეგობაში მოდის ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მომავალ თაობათა გადარჩენის სურვილთან. სოფლის მეურნეობის გაძღოლისათვის გამოსაყენებელი ფართობების გადიდების შესაძლებლობათა საკმაო შეზღუდულობასთან დაკავშირებით, სურსათით მოსახლეობის უზრუნველყოფის პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია, მისი მწარმოებლურობის მნიშვნელოვნად გადიდება, ბუნებრივი რესურსული ბაზის არსებითად გაუმჯობესება.

აგრარული სექტორის მდგრადი განვითარების მიღწევა „მესამე სამყაროს" ქვეყნებში გამიზნულია სურსათის მიწოდების გადიდებასა და ცხოვრების დონის ზრდაზე, გარესამყაროს ხარისხის იმავდროული შენარჩუნების პირობებში. ამისათვის აუცილებელია ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ფართობის ერთეულზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოსავლიანობის გადიდების მიზნით[3.28, გვ. 18].

ამასთან დაკავშირებით, განვითარებად ქვეყნებში სასურსათო უსაფრთხოების მიღწევისათვის აგრარული სექტორის განვითარება ორიენტირებული უნდა იყოს წარმოების, მწარმოებლურობისა და სტაბილურობის ზრდის, გარესამყაროს ნორმალური მდგომარეობის შენარჩუნების უზრუნველყოფაზე.

განვითარებად ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების თანამედროვე მდგომარეობის ობიექტურად შეფასებისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას დიფერენციაციის პროცესის გაძლიერება მათი საერთო ეკონომიკური განვითარების დონეში. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, განვითარებადი ქვეყნების ერთ ნაწილში შეიძლება 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში ველოდეთ სურსათის წარმოებისა და მოხმარების მოსახლეობის ზრდის ტემპებთან გარკვეულ შესაბამისობას რიგი ფაქტორების (ქვეყნების ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის შემოსავლების საერთო დონის ამაღლების, რადიკალური აგრარული გარდაქმნების და ა.შ.) ზემოქმედებასთან დაკავშირებით.

ქვეყანათა ამ მეტად არაერთგვაროვან ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ მექსიკა, ბრაზილია, არგენტინა, ვენესუელა, კოლუმბია, ინდოეთი, პაკისტანი, თურქეთი, ტაილანდი, ფილიპინები, ალჟირი, საუ-

დის არაბეთი, ლიბანი. ჩამოთვლილ ქვეყნებში მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასასრულისათვის, FAO-ს მონაცემებით, ცხოვრობდა 1 მლრდ. კაცზე მეტი, ანუ განვითარებადი ქვეყნების მთელი მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი.

რაც შეეხება სხვა განვითარებადი ქვეყნების აგრარულ სექტორს, იგი თვალსაწიერ მომავალში არ ხასიათდება რამდენადმე დამაიმედებელი პერსპექტივებით, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ბაზაზე წარმოების ზრდის სწრაფი ტემპების მიღწევის თვალსაზრისით. იგი კვლავინდებურად დამყარებული იქნება უცხოურ დახმარებაზე, რომელიც, როგორც ცნობილია, ხასიათდება შეზღუდული მასშტაბებით.

მთლიანად კი, როგორც უახლოეს წლებში, ასევე უფრო შორეულ პერსპექტივაში, რეალურად მოსალოდნელია სურსათის (ძირითადად მარცვლეულის) მსოფლიო ბაზრისაგან განვითარებადი ქვეყნების დამოკიდებულების გაძლიერება. სხვა სიტყვებით, შიმშილისა და არასრულფასოვანი კვების მდგომარეობის დაძლევა თვალსაწიერ პერსპექტივაში დარჩება თანამედროვეობის ერთ-ერთ მწვავე და რთულ პრობლემად.

ისიც საგულისხმოა, რომ 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში განვითარებად ქვეყნებს ყველაზე მეტი პრობლემები შეექმნებათ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების გაუმჯობესებისა და სასურსათო თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლების მოთხოვნასთან დაკავშირებით. სახელმწიფოთა უმრავლესობაში აგრარული სექტორის ჩამორჩენილობა და მისი პასიურობა არ გვიტოვებს თანამედროვე ტენდენციების ცვლილებისა და გარდატეხის განსაკუთრებულ იმედებს.

ექსპერტები აკეთებენ პროგნოზებს იმის თაობაზე, რომ „მესამე სამყაროს" ქვეყნებში სასურსათო უზრუნველყოფასთან დაკავშირებული დაძაბულობის მოხსნა, სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრესულ მეთოდებთან ერთად, შეუძლია მოსახლეობის ზრდის შენელებაზე მიმართულ სტრატეგიას. ამის განხორციელება შესაძლებელია, მაგრამ არა ყველა რეგიონში. მაგალითად, აფრიკა, სადაც სასოფლო-სამეურნეო წარმოება ქრონიკულად ჩამორჩება ხალხთმოსახლეობის ზრდას, კვლავინდებურად განიცდის სასურსათო რესურსების უკმარისობას.

პროგნოზის თანახმად, 2015 წლისათვის მარცვლეულის წარმოებაში პოზიტიური ძერები მოსალოდნელია ისეთ მჭიდროდ დასახლებულ ქვეყნებში, როგორიცაა ინდოეთი, პაკისტანი, თურქეთი, ინდონეზია. ამ სახელმწიფოებში მარცვლეულით თვითუზრუნველყოფამ შეიძლება მიაღწიოს 93%-ს.

აღნიშნული გარემოების, აგრეთვე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ განვითარებადი ქვეყნების გარკვეულმა ჯგუფმა თავის განვითარებაში მიაღწია შედარებით მაღალ შედეგებს, რამაც ისინი დაუახლოვა განვითარებული სახელმწიფოების პოტენციალს, მეცნიერ-ეკონომისტები აკეთებენ გრადაციას განვითარებადი სამყაროს „გაჭირვებულ" სახელმწიფოებსა და იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც, ფლობენ რა საკმარის რესურსებს, განვითარებადი სახელმწიფოების კატეგორიიდან შესაძლოა გადაყვანილ იქნან განვითარებული ქვეყნების შემადგენლობაში „სუსტების" კატეგორიით. მათ, უწინარეს ყოვლისა, მიეკუთვნება ინდოეთი, მალაიზია, ფილიპინები, პაკისტანი, მექსიკა, ბრაზილია, ტუნისი, მაროკო, თურქეთი, ინდონეზია და სხვა[3.9, გვ.401].

განვითარებადი ქვეყნების აგრარული სექტორის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სამიწათმოქმედო ურთიერთობათა სისტემის სრულყოფა. სწორედ ამ ურთიერთობათა მეშვეობით მიმდინარეობს პირობათა ფორმირება ეკონომიკური ზრდის პროცესში ფერმერული მეურნეობებისა და სხვა შრომითი რესურსების ჩართვისათვის. ეს ამოცანები განვითარებად ქვეყნებში აუცილებელია გადაწყდეს აგრარული რეფორმების მეშვეობით. მრავალმხრივი აგრარული გარდაქმნები განვითარებადი ქვეყნების აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგიის ცენტრალურ ამოცანად დარჩება შემდგომ წლებშიც.

განვითარებად ქვეყნებში სასურსათო პრობლემის გადაწყვეტის საქმეში განსაკუთრებით პრიორიტეტულია „წარმოებითი" მიდგომა, რომლის პერსპექტიულობა განპირობებულია იმით, რომ მისი რეალიზაციისათვის კაცობრიობა ფლობს როგორც ექსტენსიური, ისე ინტენსიური ხასიათის საკმაოდ ფართო არსენალს. ამ რესურსების მოქმედებაში მოყვანა იძლევა სურსათზე კაცობრიობის მოთხოვნილებათა სრულად დაკმაყოფილების საკმაოდ რეალურ შესაძლებლობას.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდის ერთ-ერთ გამოცდილ და ტრადიციულ მეთოდს წარმოადგენს გამოყენებული მი-

წის ფართობების და, უწინარეს ყოვლისა, ნათესი ფართობების გადიდება, მით უფრო რომ ჩვენს პლანეტაზე ჯერ კიდევ ბლომადაა მიწის გამოუყენებელი რესურსები. არსებული შეფასებებით, დასამუშავებლად ვარგისია დედამიწის გამყინვარებისაგან თავისუფალი ტერიტორიის 25%. ამასთან, FAO-ს მონაცემებით, 90-იანი წლების დასასრულისათვის პლანეტაზე დასამუშავებელი მიწის ფართობმა შეადგინა 1450 მლნ. ჰა., ანუ მისი სახმელეთო ნაწილის 10%-ზე რამდენადმე მეტი. აქედან განვითარებადი ქვეყნების წილად მოდიოდა მთელი სახნავი ფართობის 46%. 2000 წლის დასაწყისისათვის პლანეტაზე მთლიანად დასამუშავებელი მიწის ფართობი გაიზარდა თითქმის 10%-ით, განვითარებად ქვეყნებში ამ ზრდამ შეადგინა დაახლოებით 20%. ამ ზრდის ძირითადი ნაწილი მოდიოდა ლათინურ ამერიკაზე (39%) და აფრიკაზე (21%), რომელთაც გააჩნდათ კიდეც გაცილებით მეტი შესაძლებლობები, აზიასთან შედარებით.

მრავალი ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტისა და სპეციალისტის გაანგარიშებით, პლანეტაზე დამუშავებისათვის პოტენციურად ვარგისი მიწის ფართობი შეადგენს დაახლოებით 3,4 მლრდ. ჰა-ს, მათ შორის განვითარებად ქვეყნებში – 2,2 მლრდ. ჰა-ს. FAO-ს შეფასებით, ამ ქვეყნებში მე-20 საუკუნის დასასრულისათვის დასამუშავებელი მიწის ფართობი, 70-იანი წლების შუახანებთან შედარებით გაფართოვდა დაახლოებით 30%-ით, რამაც შეადგინა 200-205 მლნ. ჰა. ამასთან, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ დამუშავებაში ახლად შეყვანილი მიწების დიდი ნაწილი მოდის წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის შედეგად ბრუნვიდან გამოსული მიწის ნაწილების შეცვლაზე.

განვითარებადი ქვეყნების სასურსათო რესურსების შევსების არსებით რეზერვს წარმოადგენს ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლება და დანაკარგების შემცირება მისი მოვლა-მოყვანის, აღებისა და შენახვის ყველა სტადიაზე.

განსხვავებულია სურსათის წარმოების გადიდების გზები და მეთოდები სხვადასხვა კონტინენტზე. თუ სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მჭიდროდ დასახლებულ ქვეყნებში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება წარმოების ინტენსიფიკაციას ირიგაციისა და მინერალური სასუქების გამოყენების გზით, მაშინ აფრიკის კონტინენტზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის გადიდების უფრო მეტი პოტენციური შესაძლებლობები არსებობს ნათესი ფარ-

თობების გაფართოების ხარჯზე. ლათინური ამერიკა, ამა თუ იმ ქვეყნის სპეციფიკისაგან დამოკიდებულებით, ფლობს სოფლის მეურნეობის როგორც ექსტენსიური ისე ინტენსიური განვითარების რეზერვებს.

ამრიგად, როგორც ამჟამინდელი ისე მომავალი თაობების კვებისათვის აუცილებელი სურსათის უმეტესი ნაწილი მიღებულ უნდა იქნას ძირითადად არსებულ ფართობებზე მწარმოებლურობის ზრდის ხარჯზე. თუმცა, რიგ აფრიკულ ქვეყნებში დამატებითი ფართობების ჩართვა სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში კვლავ დარჩება კვების პროდუქტების წარმოების გადიდების ძირითად წყაროდ. ამასთან, დიდი იმედები მყარდება გაუმჯობესებული ტექნოლოგიების ათვისებაზე, რომლებიც ჯერ კიდევ არ ყოფილა გამოყენებული ამ რეგიონის მრავალ ქვეყანაში.

უახლოეს მომავალში სურსათის წარმოების ზრდის იმედები განვითარებად ქვეყნებში მნიშვნელოვანწილად უკავშირდება აგრარული მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების პრობლემებისადმი მიდგომების შეცვლას, იმ ვარაუდით, რომ შემუშავებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო წარმოების თანამედროვე პირობებისადმი უფრო მორგებული სოფლის მეურნეობის გაძღოლის მეთოდები და ტექნოლოგიები. თუ ახალი „მწვანე რევოლუცია" აღმოჩნდება წარმატებული, მაშინ შესამჩნევი გახდება გარღვევა მთელი ფრონტით, რაც ასახვას პოვებს ამ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების საერთო ზრდაში და სურსათით მოსახლეობის მოთხოვნილებათა უკეთ დაკმაყოფილებაში.

33. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა აბრარული რეფორმებისა და სასურსათო უსაფრთხოების ზოგადი ტენდენციები

მეოცე საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გააკეთეს საბაზრო ეკონომიკისაკენ წინსვლაში. განხორციელებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა არსებითი გავლენა მოახდინა წარმოების მოცულობასა და შრომის მწარმოებლურობაზე აგრალურ სექტორში. სიტუაციის შეცვლა დაკავშირებულია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების სასურსათო თვითუზრუნველყოფასთან.

გაერო-ს ექსპერტები შენიშნავენ ქვეყანათა ამ ჯგუფის ეკონომიკური სტაბილიზაციისა და განვითარების მაჩვენებელთა გაუმჯობესების საერთო ტენდენციას. ასე მაგალითად, მშპ საშუალოდ გაიზარდა 9,8%-ით, ინფლაციის ზრდის ტემპები კი მნიშვნელოვნად შენელდა, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანათა უმრავლესობაში უმუშევრობის დონე კვლავ მაღალი რჩება და საშუალოდ 8%-ის ფარგლებში მერყეობს.

უნდა აღინიშნოს, რომ ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა პოლონეთი, სლოვაკეთი, ალბანეთი, ჩეხეთი და უნგრეთი, მშპ 2000 წელს 1991 წელთან შედარებით არსებითად გაიზარდა. განსაკუთრებით შესამჩნევი ზრდა დაფიქსირდა პოლონეთში(38,1%-ით), ალბანეთში(33,3%-ით) და სლოვაკეთში(23,4%-ით) (ცხრილი 5).

გატარებულ რეფორმატორულ ღონისძიებათა შედეგად მიღწეულმა საერთო ეკონომიკურმა ზრდამ ხელი შეუწყო სიტუაციის გაუმჯობესებასა და დასტაბილიზებას აგრარული სექტორის დარგებში. საგულისხმოა, რომ რეფორმამდელ პერიოდში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში თითქმის მთელი მიწები მუშავდებოდა მსხვილი სახელმწიფო ან კოლექტიური მეურნეობების მიერ; გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ პოლონეთი, სადაც კერძო ოჯახური ფერმები დომინირებდა.

მიწის გადაცემა კერძო საკუთრებაში განხორციელდა სხვადასხვა მეთოდით. ბულგარეთში, მაგალითად, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, მიწა დაუბრუნდა ყოფილ მესაკუთრეებს. ამის საპირისპიროდ, უნგრეთში მიწაზე კანონიერი მოთხოვნების რეალიზება განხორციელდა ვაუჩერიზაციის გზით. „მასობრივმა“ ანუ „სპონტანურმა“ პრივატიზებამ მიწები დაანაწილა მრავალ ადამიანს შორის მიწათმფლობელობის ძველი ფორმების გაუთვალისწინებლად. ასე მოხდა, მაგალითად, ალბანეთსა და რუმინეთში. აქ მიწის მცირე ნაკვეთები გადაეცა როგორც სახელმწიფო და კოლექტიურ მეურნეობათა მუშაკებს, ასევე სოფლის სხვა მცხოვრებთაც. რიგ ქვეყნებში ტრადიციული კოლექტიური მეურნეობები სრულიად შეიცვალა წვრილი კერძო მეურნეობებით.

ცხრილი 5. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მშპ-ის დინამიკა 1990-2000 წლებში (%, 1990წ. = 100) *

ქვეყნები	1991წ.	1992წ.	1993წ.	1994წ.	1995წ.	1996წ.	1997წ.	1998წ.	1999წ.	2000წ.
ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა	89.4	78.4	79.1	81.8	86.9	90.4	93.1	94.2	95.9	99.2
პოლონეთი	100.0	92.5	96.7	100.8	108.3	114.6	122.9	128.5	134.0	138.1
ჩეხეთი	83.5	76.1	76.7	78.4	83.5	85.8	87.5	88.1	89.8	92.0
სლოვაკეთი	86.2	81.0	77.6	82.8	86.2	93.1	100.0	103.4	105.2	108.6
უნგრეთი	87.5	85.5	85.5	86.8	88.2	89.5	94.1	92.1	96.1	97.4
ბულგარეთი	87.1	81.4	80.0	81.4	84.3	74.3	68.6	71.4	71.4	75.7
რუმინეთი	87.0	78.8	80.3	83.4	89.6	93.3	87.0	80.3	77.2	79.8
ალბანეთი	75.0	70.8	75.0	83.3	91.7	100.0	91.7	91.7	100.0	108.3

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ახალი ინდივიდუალური ფერმების შექმნა გრძელდებოდა სახელმწიფო და კოლექტიურ მეურნეობათა რეორგანიზაციის პროცესის პარალელურად. ადგილობრივი მთავრობები ამ მიზნისათვის ცალკეულ პირებს გამოუყოფდნენ ადრე გამოუყენებელი მიწების განსაზღვრულ ფართობებს. ისინი ასევე გადასცემდნენ მათ მსხვილ მეურნეობათა იმ მიწებს, რომლებიც არაეფექტურად გამოიყენებოდა. მრავალ შემთხვევაში ახალი ფერმერი იძენდა მიწაზე მუშაობისათვის საჭირო საშუალებათა შესაძენად სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული კრედიტის მიღების უფლებას. მაშასადამე, სხვადასხვა რეორგანიზაციული სტრატეგიების გამოყენებამ განაპირობა განსხვავებული ტიპების ახალი მეურნეობების შექმნა.

ფერმერთა მხრიდან ხშირად გამოიხატება შეშფოთება მსხვილი მეურნეობების ძალიან მცირე მეურნეობების დიდ რაოდენობად დანაწევრების შესახებ. მაგრამ საჭიროა ერთმანეთისაგან განსხვავდეს და-

* ცხრილი მოტანილია ლიტერატურული წყაროდან[3.9, გვ.295], ჩვენეული მოდიფიცირებით.

ნაწევრებული საკუთრება და დანაწევრებული საქმიანობა. პირველი უცილობლად არ გულისხმობს მეორეს. რუმინეთისა და ალბანეთის გამოკლებით, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში არ მომხდარა მეურნეობათა ზედმეტი დანაწევრება. უნგრეთი და ჩეხეთი წარმოადგენს დანაწევრებული საკუთრების კარგ მაგალითს, რომელსაც არ გამოუწვევია საქმიანობის დანაწევრება. ამ ქვეყნებში მხოლოდ მცირერიცხოვანი ახალი ან უფლებებში აღდგენილი ძველი მესაკუთრეები იქცნენ ინდივიდუალურ წვრილ ფერმერებად. მიწა აქ დიდ ნაწილში არენდით გადაეცემა ტრანსფორმირებულ კოოპერატივებს.

მრავალი ტრადიციული მსხვილი მეურნეობა არარაციონალურად იყენებდა თავის რესურსებს და გააჩნდა დიდი ზედნადები და მმართველობითი დანახარჯები. ეთგო-ს წევრი ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ განსაზღვრული სიდიდის მიღწევის შემდეგ მეურნეობის ზომის შემდგომი გადიდება წარმოების მასშტაბებზე ეკონომიის უმნიშვნელო ზრდას იძლევა, და რომ მეურნეობის ოპტიმალური ზომა დამოკიდებულია იმისაგან, თუ როგორ საქონელს აწარმოებს იგი. მეურნეობის ზომისაგან განსხვავებული ისეთი სხვა ფაქტორები იქცევიან მისი ეფექტიანობის განმსაზღვრელად, როგორიცაა მართვის ხარისხი, მუშაკთა კვალიფიკაციის დონე და კრედიტზე ხელმისაწვდომობა. მაშასადამე, მეურნეობის „ოპტიმალური" ზომის კონცეფცია წარმოადგენს ნაკლებ მნიშვნელოვანს და მან შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს ის პოლიტიკოსები, რომლებიც ცდილობენ მიაღწიონ ან შეინარჩუნონ მისი ესა თუ ის ზომა.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს მიწის ბაზრის ფორმირების პრობლემა. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში მიწის ყიდვა და გაყიდვა არ ხორციელდებოდა. მრავალ ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოში მიწის ბაზარი რეალურად არასოდეს არ არსებობდა.

ბაზარზე ორიენტირებული რეფორმების მომხრეები, ეკონომიკის სტრუქტურული ადაპტაციის შესამსუბუქებლად, ხაზს უსვამდნენ მიწის ბაზრის შექმნის მნიშვნელობას, მისი დაგირავების დაშვების გზით. მაგრამ მიწის ბაზრის შექმნა აღნიშნული გზით თავისთავად ვერ გამოიწვევს აგრარული ფინანსების სისტემის დამკვიდრებას. აგრარული საკრედიტო ბაზრის განვითარების სტიმულირებისათვის

საჭიროა სპეციალური ინსტიტუციონალური სტრუქტურების ფორმირება. საფინანსო ინსტიტუტები გადამწყვეტ როლს თამაშობენ აგროსასურსათო სექტორის განვითარებაში. რეალურად ფუნქციონირებადი ინსტიტუტების ფორმირების დასაჩქარებლად მრავალი ქვეყანა ასტიმულირებს საბანკო რეკაპიტალიზაციას და ახორციელებს რეგულირებისა და პრივატიზების გონივრულ ღონისძიებებს.

უნდა აღინიშნოს, რომ აგროსასურსათო კომპლექსის ცალკეული რგოლების გარდაქმნის პროცესი მიმდინარეობდა ცვალებადი წარმატებებით, მაგრამ უმეტეს შემთხვევებში ჩამორჩებოდა პრივატიზების პროცესს თვით აგრარულ სფეროში. მაშინ, როდესაც აგროსასურსათო კომპლექსის მრავალი მცირე საწარმოს (ისეთის, როგორიცაა, მაგალითად, საცალო ვაჭრობის საწარმოები) პრივატიზება მიმდინარეობდა საკმაოდ წარმატებით, მომარაგებისა და გადამუშავების სფეროს მსხვილი სახელმწიფო საწარმოები რთული აღმოჩნდა პრივატიზებისათვის. ასეთ საწარმოთა პრივატიზება განსაკუთრებით რთული იყო იმდენად, რამდენადაც ისინი დამძიმებული იყო დიდი ვალებით, მათზე დადგმული მოწყობილობები კი იყო ფიზიკურად და მორალურად მოძველებული. ამის მიუხედავად, ევროპის შედარებით განვითარებულ ქვეყნებში საკვებგადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა დიდი ნაწილი ამჟამად წარმატებითაა პრივატიზებული.

პრივატიზების გავლენა, უწინარეს ყოვლისა, შრომის მწარმოებლურობაზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ეკონომიკის სხვა დარგების ლიბერალიზებისაგან. პრივატიზების პირდაპირი ზემოქმედება ეფექტიანობაზე უარყოფითი იყო ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ბულგარეთი და რუმინეთი, ხოლო დადებითი — უნგრეთსა და ჩეხეთში. ეს აიხსნება იმით, რომ ლიბერალიზების მეშვეობით შესაძლებელი გახდა ბაზრების განუვითარებლობის დაძლევა. იმავდროულად ალბანეთსა და რუმინეთში შრომის მწარმოებლურობის ამაღლება განპირობებულია პრივატიზების ირიბი ზემოქმედებით, ინდივიდუალური მეწარმეობის წინსვლის ხელშეწყობით.

უცხოური კაპიტალის არსებობა წარმოადგენს აგროსასურსათო სექტორში წარმატებული პრივატიზების განმსაზღვრელ სხვა მნიშვნელოვან ფაქტორს. მაგალითად, უნგრეთში, რომელიც ძალიან გახსნილი იყო უცხოური ინვესტიციებისათვის, შეინიშნებოდა მნიშვნელოვანი პროგრესი მოცემული სექტორის დარგთა პრივატიზებაში. ამის

საპირისპიროდ, პოლონეთში, სადაც ტარდებოდა უფრო შემზღუდავი პოლიტიკა უცხოური ინვესტიციების მიმართ, პროგრესი აგროსასურსათო სექტორის საწარმოთა პრივატიზების საქმეში უფრო მოკრძალებული იყო.

აღსანიშნავია, რომ აგროსასურსათო კომპლექსის დარგთა მოდერნიზაცია მნიშვნელოვანია საგარეო ვაჭრობის განვითარების თვალსაზრისით. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანათა უმრავლესობა შეეცადა თავისი სასოფლო-სამეურნეო ვაჭრობა ორიენტირებული გაეხადა დასავლეთევროპულ ქვეყნებზე. გაფორმდა პრეფერენციული შეთანხმებები მათსა და დასავლეთევროპულ სახელმწიფოებს შორის, მათი საქონლის დასავლეთ ევროპის ბაზრებზე გასვლის გამარტივების მიზნით. მაგრამ, ამ ქვეყნებიდან სასოფლო-სამეურნეო საქონლის ექსპორტი კვლავ შეზღუდული რჩებოდა, როგორც პროდუქციის ხარისხზე ევროპული სტანდარტების არსებობის, ასევე სახელმწიფოების მიერ სუბსიდირებული დასავლური საქონლის უფრო მაღალი კონკურენტუნარიანობის გამო. შედეგად მოხდა სასოფლო-სამეურნეო საქონლის იმპორტის ზრდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან. თავის მხრივ, ამან განაპირობა ის, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო ვაჭრობის ერთობლივი ბალანსი რეფორმამდელ დონესთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუარესდა.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა აგრარული სექტორის რეფორმირების ზოგადი ტენდენციების განსაზღვრისას უნდა ამოვიდეთ იქედან, რომ რეგიონის ქვეყანათა ერთი ნაწილი (უნგრეთი, პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი და რუმინეთი) უკვე წარმოადგენენ ᲕᲛᲝ-ს წევრებს, სხვა ქვეყნები და ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები კი იმყოფებიან ᲕᲛᲝ-ში გაწევრიანების სხვადასხვა სტადიაზე. ურუგვაის რაუნდის ფარგლებში მოლაპარაკებების შედეგად მსოფლიო ვაჭრობა გახდება კიდევ უფრო თავისუფალი, რაც გაუმჯობესებს რეგიონის პოზიციებს სასოფლო-სამეურნეო საქონლით ვაჭრობის სფეროში. ᲕᲛᲝ-ს წევრმა ქვეყნებმა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან ისევე, როგორც განვითარებადმა ქვეყნებმა, მიიღეს ზღვრული ტარიფების დადგენის ნებართვა საბაზისო პერიოდში არსებული პირობებისაგან დამოუკიდებლად.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა შორის უნგრეთს ლიდერის პოზიციები უკავია აგრარული რეფორმების დონით, რამდენადაც აქ სასოფლო-სამეურნეო წარმოების შედარებით მაღალი ეფექტიანობა არ ეწინააღმდეგება მის სიღრმისეულ რეფორმირებას საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მსვლელობაში.

ქვეყანაში შეინიშნება სოფლის მოსახლეობის დასაქმების დონის შემცირება, რაც დაკავშირებულია საპრივატიზაციო პროცესებთან. პრივატიზების მსვლელობაში მიწების ძირითადი ნაწილი გადაეცა ფიზიკურ პირებს, სახელმწიფო და კოლექტიური საწარმოები კი რეორგანიზებულ იქნა. სახელმწიფო მეურნეობები დანაწილდა უფრო წვრილ, მაგრამ სიცოცხლისუნარიან საწარმოო ერთეულებად კომპანიების ფორმით (ძირითადად შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობათა ფორმით). კოლექტიური მეურნეობები ასევე რეორგანიზდა კომპანიებად ანუ საწარმოო კოოპერატივებად.

1994 წლის მიწის კანონმა დაადგინა, რომ მიწის მესაკუთრეები შეიძლება ყოფილიყვნენ ფიზიკური პირები და სახელმწიფო, მაგრამ არა იურიდიული პირები. კერძო პირთა საკუთრება პროდუქტიულ მიწებზე შეადგენს დაახლოებით 85%-ს, სახელმწიფოს კი ეკუთვნის მხოლოდ 15%. უცხოელებს, რომლებიც არ წარმოადგენენ უნგრეთის მუდმივ რეზიდენტებს, ასევე ეკრძალებათ მიწის ფლობა. ინდივიდუალური საკუთრება შემოიფარგლება 300 ჰა-ით, ხოლო არენდირებული მიწის ფართობი — 2500 ჰა-ით. ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენენ კოოპერატივები, რომლებსაც უფლება აქვთ არენდით აიღონ თავიანთი წევრების მიწები შეუზღუდავად, 2500 ჰა-ს ზევით. არენდის ვადა არ შეიძლება აჭარბებდეს 10 წელს.

ჩამოყალიბებულ პირობებში დიდი სტრუქტურული ცვლილებები განხორციელდა მიწათსარგებლობაში. პროდუქციული მიწები სასოფლო-სამეურნეო საწარმოებიდან გადავიდა ინდივიდუალურ ფერმერთა ხელში. 1989 წლიდან 1999 წლის ჩათვლით ინდივიდუალური ფერმების საერთო ფართობი გადიდდა 12-დან 54%-მდე, საწარმოო კოოპერატივების ფართობი კი შემცირდა 62-დან 20%-მდე. ტრანსფორმაციამ შოკური ზეგავლენა მოახდინა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ეკონომიკაზე. მაგრამ სამი წლის შემდეგ ისინი კვლავ მომგებიან მუშაობაზე გადავიდნენ. საერთოდ, კომპანიის ფორმა წარმოადგენს

მნიშვნელოვნად უფრო სიცოცხლისუნარიანს, მაგრამ მსხვილ ინდივიდუალურ ფერმებს უპირატესობა გააჩნიათ ეფექტიანობაში.

საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების პირობებში, უნგრეთის აგროსასურსათო სექტორის გარკვეული წინსვლის მიუხედავად, მისთვის დამახასიათებელია გარკვეული ნეგატიური ტენდენციებიც. მათ, პირველ რიგში, შეიძლება მიეკუთვნოს: აგრარული სექტორის როლის არსებითი შემცირება ეროვნულ ეკონომიკაში; ექსპორტიდან სავალუტო შემოსულობათა შემცირება გასაღების ძველი ბაზრების დაკარგვის გამო; სოფლის მეურნეობაში დანახარჯების ზრდა, როგორც რუსეთიდან ენერგომატარებლების შემცირებული ფასებით მოწოდების შეწყვეტის შედეგი. ეს, და რიგი სხვა ფაქტორები, მოითხოვს სახელმწიფოს როლის გაძლიერებას აგროსასურსათო სექტორის საქმიანობის უზრუნველყოფაში.

უნგრეთის ეკონომიკის ლიბერალიზების პოლიტიკას რეფორმირების წლებში თან სდევდა საბიუჯეტო ასიგნებათა მნიშვნელოვანი შემცირება აგროსასურსათო სფეროს განვითარებაზე. რეფორმების საწყის პერიოდში სახელმწიფო დანახარჯები აგრარული სექტორის მხარდაჭერაზე შემცირდა 60%-ით. ამასთან, 1993 წლიდან, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა კანონი „სასოფლო-სამეურნეო ბაზრის რეგულირების შესახებ", მოხდა დოტირების პოლიტიკის გადახედვა.

აღნიშნული კანონის ძირითადი დანიშნულებაა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლების, გადამამუშავებლებისა და სურსათის რეალიზაციის სფეროს წარმომადგენელთა ინტერესების შერწყმა. ქვეყანაში გამოიყო 4 პროდუქტი (ღორის ხორცი, საქონლის ხორცი, სასურსათო ხორბალი და სიმინდი), რომლებზეც ვრცელდება სახელმწიფოებრივი რეგულირების ღონისძიებები. ამ პროდუქტთა ბაზრის რეგულირებისათვის შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაღების სამმართველო, რომელიც ახორციელებს მის შესყიდვას მწარმოებელთაგან, საბაზრო ფასების სახელმწიფოს მიერ პროდუქციის განსაზღვრულ მოცულობაზე წინასწარ დადგენილ მინიმალურ და გარანტირებულ ფასებზე ქვემოთ დაცემის შემთხვევაში. სამმართველო ასევე ახორციელებს ექსპორტის სუბსიდირებას ან იმპორტის შეზღუდვას ბაზრის დამკვიდრებული კონიუნქტურისაგან დამოკიდებულებით.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეკონომიკური რეფორმა უნგრეთში დაიწყო სოფლის მეურნეობის რეფორმირებით. შედეგად, ქვეყანა გავიდა ერთ-ერთ პირველ ადგილზე ევროპის რეგიონის ქვეყნებს შორის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და სურსათის ზოგიერთი სახეობის სულადობრივი წარმოების მიხედვით (ცხრილი 6). ამან უმალვე შეუწყო ხელი მოთხოვნისა და მიწოდების დაბალანსებას სამომხმარებლო ბაზარზე და შექმნა კეთილსასურველი სოციალური ატმოსფერო შემდგომი რეფორმების გატარებისათვის.

ცხრილი 6. სურსათის ძირითადი სახეების წარმოება უნგრეთსა და ევროპის რეგიონის სხვა ქვეყნებში მოსახლეობის ერთ სულზე 1999-2000 წლებში, კგ*

	უნგრეთი	ბულგარეთი	პოლონეთი	რუმინეთი	ალბანეთი
მარცვლეული და მარცვლეულის პროდუქტები	1404-1349	746-665	668-702	983-673	171-175
ხორბალი	518-482	428-399	212-247	317-213	104-106
ჭარხალი	364-316	10-5	411-316	121-125	14-16
მზესუმზირა	53-70	54-58	–	38-48	–
კარტოფილი	112-100	56-56	538-671	142-147	34-34
ბოსტნეული	152-159	148-146	139-159	136-151	161-162
ხილი	160-153	127-128	75-65	117-86	34-34
ხორცი	109-109	53-3	73-72	52-51	17-17
რძე	196-206	144-145	314-305	206-221	189-190
კვერცხი, ცალი	337-291	190-192	200-190	213-236	92-96

ცხრილში მოტანილი მონაცემების შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ უნგრეთი მარცვლეულის წარმოებით მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით 2-ჯერ და უფრო მეტად უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა ბულგარეთი, პოლონეთი, რუმინეთი და, 7-ჯერ და უფრო მეტად – ალბანეთს. ქვეყანათა აღნიშნულ ჯგუფში უნგრეთი ლიდერის პოზიციებს ინარჩუნებს ხორცისა და კვერცხის წარმოება-

* ცხრილი მოტანილია ლიტერატურული წყაროდან[3.9, გვ.316], ჩვენეული მოდიფიცირებით.

შიც. სასურსათო საქონლით ბაზრის გაჯერება გახდა სოციალური სტაბილურობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი, პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის ყველაზე მწვავე მომენტებში, რომელშიც ქვეყანა იმყოფებოდა უკანასკნელ პერიოდში.

რეფორმების წლებში არსებითი ცვლილებები მოხდა უნგრეთის აგროსასურსათო სექტორის განვითარებაზე მიმართულ სახელმწიფო ასიგნებათა სტრუქტურაშიც (ცხრილი 7).

ცხრილი 7. საბიუჯეტო ასიგნებათა სტრუქტურა უნგრეთის აგროსასურსათო სექტორის განვითარებაზე 1990-1997წწ.*

	1990წ.	1991წ.	1992წ.	1993წ.	1994წ.	1995წ.	1996წ.	1997წ.
საბიუჯეტო ასიგნებანი სულ(მლრდ. ფორინტი)	70,3	37,3	30,4	39,5	74,2	78,3	80,1	82,4
%-ობით	100	100	100	100	100	100	100	100
სოფლის მეურნეობა, %	19,8	16,9	16,4	66,8	42,7	45,4	50,2	52,7
კვების მრეწველობა,%	1,4	0	8,2	19,2	3,3	4,9	5,9	8,3
საექსპორტო სუბსიდიები,%	73,3	73,3	75,3	13,9	53,9	60,2	63,0	58,4

როგორც მე-7 ცხრილში მოტანილი მონაცემები მოწმობს, აგროსასურსათო სექტორის განვითარებაზე მიმართულ საბიუჯეტო ასიგნებათა სტრუქტურაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილითაა წარმოდგენილი საექსპორტო სუბსიდიები. აგრარული სფეროს რეფორმირების პირველი წლების გამოცდილებამ აიძულა უნგრეთის ხელისუფლება, — შეზღუდული, მაგრამ თვისებრივად ახალი ფორმებით დაბრუნებოდა მის სახელმწიფოებრივ რეგულირებას, რათა უზრუნველეყო შიდა სასურსათო ბაზრის სტაბილურობა.

* ცხრილი შედგენილია FAO-ს ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით[1.17].

უნგრეთი, როგორც უკვე აღინიშნა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს აგროსასურსათო სექტორის სახელმწიფოებრივი რეგულირების საკითხებს. „სასოფლო-სამეურნეო ბაზრის რეგულირების შესახებ“ კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ყოველწლიურად თავის თავზე იღებს ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციის საერთო მოცულობისა და რიგ პროდუქტებზე მინიმალური საიმპორტო ფასებისა და ქვეყნის შიგნით საშუალო შესყიდვის ფასების შენარჩუნების გარანტიას.

ყველა შემთხვევაში სახელმწიფო იძლევა წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის გარანტიას. შიდა ბაზარზე მოთხოვნის დაცემის შემთხვევაში იგი ვალდებულია შეისყიდოს პროდუქცია მწარმოებელთაგან დადგენილი ქვოტების ფარგლებში. კონკრეტულ მწარმოებელთა შორის ქვოტების განაწილებაში მონაწილეობენ მეწარმეთა საბჭოები, რომლებშიც, მწარმოებელთა გარდა, შედიან აგრეთვე შემსყიდველ, გადამამუშავებელ და სავაჭრო ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

მსგავსი რეგულირება საკუთრებით შეესაბამება უნგრეთის მიერ რეფორმების დასაწყისში ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ ხელმოწერილი შეთანხმების ლოგიკას და ევროკავშირის ქვეყნებში გამოყენებულ პრაქტიკას.

აგრარული რეფორმების მომხრეები უნგრეთში თანამედროვე ეტაპზე აღნიშნავენ, რომ აგროსასურსათო სექტორი წარმოადგენს სამეურნეო მექანიზმს, რომელიც ემყარება საკუთრების სხვადასხვა ფორმების ურთიერთქმედებას, სურსათის და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ბაზრისა და თავისუფალი კონკურენციის ერთიანობას. კრიზისიდან გამოსვლისა და საბაზრო მეურნეობაზე გადასვლის მიზნები არ იწვევს სერიოზულ აზრ[illegible] სხვადასხვაობას; მათდამი სოლიდარობას აცხადებ[illegible] ყველა წამყვანი პოლიტიკური ძალა. მაგრამ [illegible] ღიად რჩება საკითხი ასეთი გადასვლის ფორმებისა და [illegible]ების შესახებ.

ასევე საინტერესოდ წარიმართა აგროსასურსათო სექტორის რეფორმირება პოლონეთში. აქ ეს პროცესი საწყის ეტაპზე მჭიდროდ იყო დაკავშირებული „სოლიდარობის“ მიერ ფორმირებული ხელისუფლების ულტრალიბერალურ პოლიტიკასთან.

ეკონომიკური რეფორმების გატარების დასაწყისიდან ქვეყნის სოფლის მეურნეობა განიცდიდა დიდ სიძნელეებს და არა მხოლოდ ფა-

სობრივი დისპროპორციების, არამედ აგრეთვე შელავათიანი კრედიტისა და დაბეგვრის ადრე მოქმედი სისტემის გაუქმების გამო, რაც განსაკუთრებით მძიმედ აისახა სოფლის მეურნეობის ფონდწარმოქმნასა და ტექნიკურ აღჭურვაზე. აგრარულმა სექტორმა განსაკუთრებული სირთულეები განიცადა ბაზრის გახსნისა და აშშ-სა და დასავლეთ ევროპის პროდუქციის მხრიდან კონკურენციის პირობებში.

ყოველივე ეს ნეგატიურად აისახა სოფლის მეურნეობაზე, რომლის წარმოება 20%-ით შემცირდა რეფორმამდელ დონესთან შედარებით. ბუნებრივია, ასეთი პოლიტიკა შეხვდა მასობრივ მიუღებლობას, და სეიმში გადარჩევებისა და ახალი ხელისუფლების ფორმირების შემდეგ დაიწყო ახალი კურსი, „შოკური თერაპიის" მეთოდთან ასოცირებულ ძველ კურსში კორექტივების შეტანით.

ულტრალიბერალური პოლიტიკის შედეგად დაეცა მწარმობელთა რეალური შემოსავლები იაფფასიანი, ევროკავშირის მიერ დოტირებული სურსათის სტიქიურ შემოტანასთან დაკავშირებით; გაწყდა კავშირი მწარმოებლებსა და ბაზარს შორის; მოიშალა აგრარული პროდუქციის რეალიზაციით დაკავებული ძველი სტრუქტურები. საბითუმო ვაჭრობის ეფექტიანი სტრუქტურების არარსებობამ განაპირობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე საცალო ფასების რამდენადმე გადამეტება მწარმოებელთა ფასებისაგან. შედეგად, ზარალს განიცდიდნენ როგორც მწარმოებლები, ასევე მომხმარებლები.

სიტუაცია რამდენადმე შეცვალა საბითუმო ბაზრებისა და სასოფლო-სამეურნეო ბირჟების შექმნამ, რომლებმაც დაასტაბილიზირეს ბაზარი და შესაძლებელი გახადეს წარმოების ადაპტირება მოხმარებისა და ექსპორტის საჭიროებებთან.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სახელმწიფო მეურნეობების ქონების შემდგომი განიავების შეჩერებისა და დაშვებული შეცდომების გამოსწორების მიზნით. დარჩენილი ქონება სხვადასხვა ხერხებით ჩაშვებულია სამეურნეო ბრუნვაში. მიწის 4,5 მლნ. ჰა ფართობიდან, რომელიც მიიღო პოლონეთის სახელმწიფო ხაზინის სასოფლო-სამეურნეო საკუთრების სააგენტომ, თითქმის 3 მლნ. ჰა გაიცა არენდით; დაახლოებით 0,5 მლნ ჰა გაიყიდა; მიწის ნაწილი უფასოდ გაიცა მეურნეობრიობის სხვა სუბიექტებზე; დანარჩენი კი კვლავინდებურად სააგენტოს ხელში იმყოფება.

რეფორმის საწყის წლებში აშკარად შეინიშნებოდა სახელმწიფოებრივი რეგულირების გაძლიერებისა და აგრარული პროტექციონიზმის შემოღების კურსი. თუ გარდაქმნების პროცესის დასაწყისში ბაჟი შემოტანილი საქონლის ხორცზე იყო 5%, დროის შედარებით მოკლე პერიოდის გასვლის შემდეგ მან უკვე შეადგინა 30%. ანალოგიურად გაიზარდა ბაჟი ღორის ხორცზე, კარაქზე, შაქარსა და სხვა პროდუქტებზე — 10-დან 40%-მდე. იმავდროულად, პოლონური ვალუტის კურსის დაცემასა და შიდა ბაზრის შევიწროებასთან ერთად, ხელისუფლებამ დაიწყო ექსპორტის სტიმულირება.

საბაჟო პოლიტიკის ამგვარ ღონისძიებათა შედეგად სურსათით საგარეო ვაჭრობის ბალანსის შეცვლა გახდა შიდა წარმოების სტაბილიზებისა და შემოსავლების აკუმულირების მნიშვნელოვანი ფაქტორი ქვეყნის აგროსასურსათო სექტორისათვის. მაგრამ ეს იყო პოლონეთის სოფლის მეურნეობის გამოჯანსაღების საერთო პროცესის მხოლოდ ერთ-ერთი ელემენტთაგანი.

მას შემდეგ, რაც საზოგადოებამ დაინახა „შოკური თერაპიის" რეალური შედეგები, საბაზრო ძალებზე ბრმა რწმენა შეცვალა ფასწარმოქმნის პროცესში აქტიური სახელმწიფოებრივი ჩარევის და კვლავწარმოებითი ციკლის საერთო რეგულირების აუცილებლობის გაგებამ. ამასთან, სახელმწიფომ შეარჩია ფასების არა პირდაპირი ფიქსირების, არამედ საბაზრო ინტერვენციით მათი დონის შენარჩუნების გზა.

ამ მიზნით შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო ბაზრის სამმართველო. მის ძირითად ამოცანად განისაზღვრა ფასების სტაბილიზაცია, რომელიც, მართალია, არ იყო საკმაოდ ეფექტიანი, მაგრამ მაინც დადებით გავლენას ახდენდა ბაზრების მდგომარეობაზე.

იმ დროისათვის რეფორმის მთლიანი შედეგები უკვე გამოვლინდა სოფლის მეურნეობისათვის ფასობრივი სიტუაციის არსებით გაუარესებაში. 90-იანი წლებიდან ფასთა ინდექსმა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე 130 შეადგინა რეფორმამდელ დონესთან შედარებით, ხოლო ფასთა საერთო ინდექსმა 170,3-ს მიაღწია, ე.ი. ფასები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე შემცირდა 34%-ით. ეს, ბუნებრივია, არ იძლეოდა გაფართოებული კვლავწარმოების შესაძლებლობებს.

ფასწარმოქმნის პროცესში უფრი აქტიურმა სახელმწიფოებრივმა ჩარევამ განაპირობა მინიმალური ფასთა სისტემის დადგენა, პირველ

რიგში, მარცვლეულსა და რძეზე. ეს იყო სასოფლო-სამეურნეო ბაზრის სამმართველოს მიერ მხარდაჭერილი ყველაზე დაბალი ფასი. როდესაც ფასთა დონე ამ დონეზე დაბლა ეცემოდა, სამმართველო ახდენდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვას. ამრიგად, ხელისუფლება ფასწარმოქმნის პროცესში მონაწილეობდა არა პირდაპირ, არამედ ირიბად (სამმართველოს მეშვეობით). მთლიანობაში კი სახელმწიფომ თავის თავზე აიღო სასოფლო-სამეურნეო საქონელზე ფასებისა და მწარმოებელთა შემოსავლების შესაბამისი დონის მხარდაჭერის ვალდებულება.

არსებითი ცვლილებები მოხდა საბანკო-საფინანსო სფეროშიც. სახელმწიფო ბანკმა (სასურსათო ეკონომიკის ბანკმა) დაკარგა თავისი მონოპოლიური მდგომარეობა. თუმცა, იგი, კოოპერატიულ ბანკებთან ერთად, კვლავ აკონტროლებდა აგროსასურსათო სექტორისათვის გაცემული სესხების 85%-ს. სესხების დანარჩენი ნაწილი მოდიოდა კერძო ბანკებზე, მათ შორის დასავლეთის საკრედიტო საშუალებათა ანგარიშზე.

ამასთან, სახელმწიფომ შემოიღო შეღავათიანი კრედიტების სისტემა: სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის შესყიდვაზე; მარაგების შექმნაზე; თესლისა და ჯიშიანი მოზარდეულის, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, მინერალური სასუქების შეძენაზე და წარმოების ეკოლოგიურად უსაფრთხო მეთოდებთან მეურნეობათა ადაპტირებაზე.

სახელმწიფოებრივი რეგულირების მთლიან კომპლექსში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება სასურსათო პროდუქციის გასაღების სისტემას. ამ სისტემის მეშვეობით არსებითად რეგულირდება სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის ბაზარი. მარცვლეულის ძირითადი ნაწილი შეისყიდება სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ. ასეთივე წესით შეისყიდება ხორცი, კარაქი და სხვა პროდუქტები. მაგრამ მათი შესყიდვის მოცულობები საერთო გაყიდვების მიმართ პროცენტულად მნიშვნელოვნად უფრო მცირეა მარცვლეულთან შედარებით, რამდენადაც ეს უკანასკნელი, უწინარეს ყოვლისა, დანიშნულია სახელმწიფო რეზერვების შესაქმნელად.

როგორც უკვე აღინიშნა, რეფორმების დასაწყისში სახელმწიფოებრივი რეგულირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო აგრარული პროტექციონიზმის პოლიტიკის შემოღება და გატარება. შემდგომ წლებში პროტექციონიზმი კიდევ უფრო გაძლიერდა. ძირითადი

იდეა მდგომარეობს იმაში, რომ საიმპორტო ბაჟებით მოხდეს ქვეყნის სოფლის მეურნეობის დაცვა და გადაიფაროს უცხოური საექსპორტო სუბსიდიები, რომელიც პოლონეთის ხელისუფლების მიერ განიხილება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის საშუალებად. ძირითადად ეს შეეხებოდა ხორცის პროდუქტებს. პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებამ შეამცირა იმპორტი, მაგრამ, პოლონელ ექსპერტთა შეფასებით, ნაკლებად შეუწყო ხელი ქვეყნის შიგნით სამამულო საქონლის გასაღების გადიდებას მსყიდველობითუნარიანი მოთხოვნის საერთო დაცემის გამო.

ქვეყანაში პრივატიზების კურსის გატარებამ განაპირობა მშპ-ში კერძო სექტორის ხვედრითი წილის გადიდება 1991 წლის 42%-დან 50%-მდე 1993 წელს. სახელმწიფო სექტორს ეძლეოდა მსხვილი საბიუჯეტო სუბსიდიები და ამიტომ ეს სექტორი განსაკუთრებით ძლიერ დაზარალდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესის დასაწყისში. ასეთ პირობებში სახელმწიფო მეურნეობები უკვე დიდ ზარალს განიცდიდნენ, რეფორმების შუა პერიოდში კი მათმა 70%-მა კრედიტუნარიანობა დაკარგა[3.24, გვ.14].

პოლონეთის სოფლის მეურნეობის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ ძირითად საწარმოო ერთეულად წარმოდგენილი იყო და რჩება კერძო ფირმები, რომლებზეც რეფორმირების დასაწყისში მოდიოდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საერთო ფართობის 72,4%. მათი უმრავლესობა ითვლება ე.წ. „სოციალურ“ მეურნეობებად, რომლებიც სურსათს აწარმოებენ მხოლოდ საკუთარი მოხმარებისათვის. მეურნეობათა სხვა ჯგუფი, რომელთა რიცხვი შეადგენს 600-700 ათასს, ორიენტირებულია ბაზარზე.

მეურნეობათა დივერსიფიკაციის სხვადასხვა მიზეზების გათვალისწინებით, მათი ეკონომიკური პოზიციების სიმტკიცისა და ახალ ეკონომიკურ სიტუაციასთან შეგუების უნარიანობასთან დამოკიდებულებით გამოყოფენ მეურნეობათა შემდეგ ჯგუფებს:

- დასავლური ტიპის განვითარებული საწარმოები, რომლებსაც მართავენ ახალგაზრდა ფერმერები (160-170 ათასი მეურნეობა);
- მეურნეობები, რომლებსაც გააჩნიათ განვითარების პოტენციალი, მაგრამ იმყოფებიან გაკოტრების საფრთხის ქვეშ (20 ათასი მეურნეობა). ეს მეურნეობები პირველ ჯგუფის მეურნეო-

ბათა მსგავსია, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მათ თავიანთი საქმიანობა დაიწყეს ახალ პირობებში და უკვე გააჩნდათ დიდი დავალიანება;

- შემდეგ ჯგუფს ქმნიან მეურნეობები, რომლებიც იმყოფებიან უძრაობის მდგომარეობაში და არ გააჩნიათ შემდგომი განვითარების უნარი (1,2-1,3 მლნ. მეურნეობა). მათ ჩვეულებრივ ფლობენ და მართავენ ხანდაზმული ფერმერები, რომელთა მთავარ ამოცანას შეადგენს გადარჩენა და არა კომერციული წარმოება. ეს მეურნეობები პროდუქციას აწარმოებენ უმთავრესად თავისთვის და წარმოადგენენ მეურნეობათა უმსხვილეს ჯგუფს პოლონეთში;
- შემდგომ აუცილებელია გამოიყოს მეურნეობები, რომლებიც იმყოფებიან გაკოტრების ზღვარზე და არ გააჩნიათ პროდუქციის წარმოების უნარი (300-350 ათასი მეურნეობა). უკანასკნელ პერიოდში ასეთ მეურნეობათა რიცხვმა სწრაფად იწყო ზრდა სოფლის მეურნეობაში სიტუაციის საერთო გაუარესებისა და სასოფლო რეგიონებში სამუშაო ძალის მოწოლის შედეგად[3.9, გვ330].

უკანასკნელ წლებში განხორციელებულმა ღონისძიებებმა განაპირობა „შოკური თერაპიის" პირველი წლების შედეგების ლიკვიდაცია და ხელი შეუწყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტაბილიზაციასა და ზრდას. თუ 1991-1992 წლებში კვლავ გრძელდებოდა გარკვეული დაცემა, 1993 წელს უკვე დაიწყო ზრდა და დაფიქსირდა რეფორმამდელ დონეზე გასვლა.

თანამედროვე ეტაპზე პოლონეთის აგროსასურსათო სექტორი გადის სტაბილიზების ფაზას და უკვე არსებობს საფუძველი იმისა, რომ გამოიყოს პოზიტიური მომენტები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებასა და სახელმწიფოს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

საკმარისია აღინიშნოს, რომ მარცვლეული და მაცვლოვან-პარკოსანი კულტურების წარმოებით მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით 1998 წელს პოლონეთმა 2-ჯერ გაუსწრო რუსეთს; კარტოფილის წარმოებით მოსახლეობის ერთ სულზე პოლონეთი წარმოადგენს მსოფლიო ლიდერს, რომელიც 8-ჯერ უფრო უკეთ აკმაყოფილებს თავის მოსახლეობას კვებითი თვისებებით ამ მეტად ღირებული

კულტურით, ვიდრე აშშ, 5-ჯერ უფრო უკეთ, – ვიდრე კანადა, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი და 3-ჯერ უკეთ, – ვიდრე რუსეთი[1.15, გვ.214-232].

პოლონეთი საკმაოდ მაღალ ადგილს იკავებს ევროპაში ღორის ხორცის წარმოებით, და მისი განვითარების დონით წინ უსწრებს ისეთ ევროპულ სახელმწიფოებს, როგორიცაა დანია, საფრანგეთი, ავსტრია, ნიდერლანდები და რუსეთი. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით (მარცვლეულის ამღები კომბაინებით) უზრუნველყოფის მაღალმა დონემ პოლონეთი მეორე ადგილზე გაიყვანა ევროპაში. სასოფლო-სამეურნეო მანქანების პარკმა 1999 წელს შეადგინა 97 ათასი ცალი, რაც 2-ჯერ მეტია, ვიდრე იტალიაში, ესპანეთში, შვეციასა და უნგრეთში. ტრაქტორებით უზრუნველყოფის მხრივ პოლონეთი მხოლოდ უმნიშვნელოდ ჩამორჩება იტალიასა და საფრანგეთს[3.9, გვ.332].

ამრიგად, სახელმწიფოს აგროსასურსათო სექტორის პოტენციალი და კვების პროდუქტებით პოლონეთის უზრუნველყოფის მაღალი დონე ამ ქვეყანას ახასიათებს, როგორც სახელმწიფოს სასურსათო უსაფრთხოების საკმაოდ გარანტირებული დონით.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩეხეთის აგროსასურსათო სექტორის რეფორმირების ძირითადი პრინციპების გაცნობა. ჩეხეთმა ჯერ კიდევ ცენტრალიზებული დაგეგმვის სისტემის პირობებში წამოაყენა კვების პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის მიღწევისა და სურსათზე სტაბილური, შედარებით დაბალი ფასების უზრუნველყოფის მხარდაჭერის პოლიტიკა. ამ პოლიტიკის განსახორციელებლად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლები საჭიროებდნენ სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მაღალ ხარისხს.

ამასთან დაკავშირებით გატარებულმა რეფორმებმა მნიშვნელოვნად შეცვალა სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლებისა და სურსათის მომხმარებლებისათვის სახელმწიფო საბიუჯეტო სუბსიდიების სისტემა. ამასთან, ე.წ. „დაბრუნებადი" გადასახადი, რომელიც სამომხმარებლო ფასებს ინარჩუნებდა წარმოების დანახარჯებთან შედარებით ბევრად უფრო დაბალ დონეზე, შეცვლილ იქნა უფრო ადრე, ვიდრე ფასების ლიბერალიზება მოხდებოდა. ამან განაპირობა სურსათზე ფასების ზრდისა და მისი მოხმარების შესაბამისი შემცირების პირველი ტალღა, რამაც შექმნა საქონლის სიჭარბე. რეფორმების დასაწყისში

(1991წ) სახელმწიფომ განახორციელა ფასების ლიბერალიზების ღონისძიებანი.

მაგრამ აგროსასურსათო სექტორის დესტაბილიზაციამ, რაც სულ უფრო კრიზისულ ხასიათის ღებულობდა, სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა 40%-მდე რაოდენობის გაკოტრების საშიშროებამ, გლეხების მხრიდან პროტესტის ფართომასშტაბიანმა აქციებმა რეფორმირების პირველი წლის დასაწყისიდანვე ცხადი გახადა, რომ „შოკური თერაპიის" კონცეფცია იმ სახით, როგორითაც იგი იყო ფორმულირებული და პრაქტიკაში გამოყენებული სოფლის მეურნეობის მიმართ, უუნარო აღმოჩნდა.

პირველი რეფორმირების შოკიდან სოფლის მეურნეობის გამოყვანისა და მისი შემდგომი განვითარების (მასში რაციონალური სტრუქტურული გარდაქმნების იმავდროული გატარების) გზების დამუშავებამ ქვეყნის ხელმძღვანელობის წინაშე დააყენა აგროსასურსათო ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობაზე მიზანმიმართული ზემოქმედების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა მხარდაჭერის, რეფორმების გატარების სოციალური ასპექტების გათვალისწინების პრაქტიკული საკითხები.

1991 წლის შემოდგომაზე აგრარული ბაზრის რეგულირების ფედერალური ფონდის შექმნა და აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტზე ზოგიერთი შეზღუდვების შემოღება საბაზრო ძალების „თავისუფალ თამაშში" ჩაურევლობის კურსის პირველი გარღვევა — ჯერ კიდევ ატარებდა შექმნილ სიტუაციაზე მიმდინარე ოპერატიული რეაქციის ხასიათს და წარმოადგენდა გლეხობის მხრიდან სახელმწიფოსათვის ფაქტობრივად თავსმოხვეულ კომპრომისს.

1992 წელს განსაკუთრებული სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის შემუშავება და მისი გაფორმება ფედერალურ აგრარულ პროგრამაში გახდა სოფლის მეურნეობის სახელმწიფოებრივი რეგულირების სფეროში სისტემური ხასიათის მოქმედებაზე გადასვლის საფუძველი. როგორც პროგრამიდან გამომდინარეობს, სახელმწიფო თავის თავზე იღებს სოფლის მეურნეობაში უმნიშვნელოვანესი ტრანსფორმაციული პროცესების „სასტარტო მხარდაჭერის" ამოცანას, ბაზარზე მისი გადასვლის პირობებში; სახელმწიფოებრივი ჩარევის მასშტაბები და მიმართულებები რეგულირდება ბაზრის მოქმედების „მინიმალური კორექტირების" პრინციპიდან. აგრარულ სექტორში რეფორმების გატა-

რებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ნეგატიური ტენდენციების ნეიტრალიზების მიზნით, სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის გაძლიერების თვალსაზრისით იქნა გადახედილი მისი განხორციელების ძირითადი მიმართულებები.

ამასთან, სახელმწიფოებრივი რეგულირების ძირითად მიმართულებებად იქნა აღიარებული: ინტერვენციული შესყიდვების გზით აგრარული ბაზრის დაბალანსების მხარდაჭერა; მიზნობრივი დოტაციებისა და შეღავათიანი კრედიტების მეშვეობით საწარმოო-სტრუქტურული გარდაქმნების ორიენტირება და მხარდაჭერა; შიდა სასურსათო ბაზრის დაცვა.

აგროსასურსათო სექტორის განვითარებაში სახელმწიფოებრივი ჩარევა გულისხმობს უპირატესად ეკონომიკური ინსტრუმენტებისა და მექანიზმების გამოყენებას და ითვალისწინებს შესაბამისი ინსტიტუციონალური ბაზის შექმნას. სახელმწიფოებრივი ზემოქმედების ძირითად ინსტრუმენტებად გამოდის მიზნობრივი დოტაციები და აგრარული ბაზრის რეგულირების ფედერალური ფონდი.

გამოსაყენებელი პრინციპების თანახმად, სახელმწიფო მიზნობრივი დოტაციები ეძლევა კერძო სექტორის საწარმოებს და მეურნეობის ახალ ფორმებად გარდაქმნილ ერთიან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, აგრეთვე სახელმწიფო მეურნეობებს განსახელმწიფოებრივებისა და პრივატიზების, კერძო მეწარმეობის განვითარების, აუცილებელი საწარმოო-სტრუქტურული გარდაქმნების ჩატარების, წარმოების ეკოლოგიზაციის, ექსტრემალურ პირობებში სოციალური პრობლემების გადაწყვეტის მიზნებისათვის. გამორიცხულია სახსრების გამოყოფა სასოფლო-სამურნეო პროდუქციის მწარმოებელთა პირდაპირი ფინანსური მხარდაჭერისა და გამოსაშვები პროდუქციის მოცულობის გაფართოებისათვის.

ჩეხეთში სოფლის მეურნეობის საბაზრო რეგულირება ხორციელდება აგრარული ბაზრის რეგულირების ფედერალური ფონდის მიერ, რომელმაც თავისი საქმიანობა დაიწყო 1992 წლის 1 იანვრიდან. პირველ ხანებში მისი მთავარი ამოცანა იყო საექსპორტო სუბსიდიების გაცემა სასოფლო-სამურნეო პროდუქციის ძირითად სახეებზე (რძისა და ხორცის პროდუქტები, შაქარი, ფრინველი, კვერცხი). უფრო მოგვიანებით, მოცემული ფონდის ფუნქციებში შევიდა საბაზრო ფასების დაცემის შემთხვევაში წარმოებული პროდუქციის შესყიდვა

მინიმალური გარანტირებული ფასებით (ევროკავშირის მაგალითის მიხედვით).

მწარმოებელთა ფინანსური მხარდაჭერისათვის 1994 წელს იქნა დაფუძნებული ფერმერებისა და სატყეო მეურნეობისათვის მხარდაჭერისა და გარანტიების ფონდი, რომელიც უზრუნველყოფს გარანტიებს სოფლის მეურნეობაში საბანკო კრედიტების მიხედვით და ფარავს ამ კრედიტებზე საპროცენტო გადახდების ნაწილს.

აღნიშნულმა ცვლილებებმა ხელი შეუწყო სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო საქონლის უფრო ეფექტიან წარმოებას, გაზარდა მათი კონკურენტუნარიანობა საგარეო ბაზარზე და შესაძლებლობა მისცა ჩეხეთს მიეღწია სურსათით თავისი მოსახლეობის უზრუნველყოფის მაღალი მაჩვენებლისათვის. ასე მაგალითად, მარცვლეული და მარცვლოვან-პარკოსანი კულტურების წარმოებამ მოსახლეობის ერთ სულზე 1999 წელს შეადგინა 676 კგ. ეს მაჩვენებელი შეესაბამება ანალოგიურ მაჩვენებლებს ევროპის ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორიცაა გერმანია, ესპანეთი, შვეცია და, 2-ჯერ უფრო მაღალია პორტუგალიასთან, ნორვეგიასთან, უკრაინასთან და სხვა ქვეყნებთან შედარებით[1.15, გვ. 16-18].

ჩეხეთი ხორცისა და ხორცის პროდუქტების წარმოებით მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით დაუახლოვდა ამ პროდუქციის ისეთ ცნობილ მწარმოებლებს, როგორიცაა საფრანგეთი, ესპანეთი, გერმანია და ავსტრია. კვერცხის წარმოებით მოსახლეობის ერთ სულზე ჩეხეთი წარმოადგენს პირველ ქვეყანას ევროპაში (351 ცალი). რძისა და რძის პროდუქტების სულადობრივი მოხმარების მაღალი დონე ჩეხეთს აყენებს ევროპის უზრუნველყოფილ სახელმწიფოთა რიგში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩეხეთში, სახელმწიფოს განცალკევების ფონზე, განხორციელებული აგროსასურსათო სექტორის რეფორმირება ტარდებოდა უპირატესად საბაზრო ურთიერთობათა აგების კლასიკური თეორიის მიხედვით, მაგრამ ამ რეფორმების განსაზღვრულ ეტაპზე მოხდა სახელმწიფოს როლის გაძლიერება მათ განხორციელებაში. ამ სახელმწიფოსათვის სასურსათო უსაფრთხოება არ წარმოადგენს პირველი რიგის ამოცანას, რამდენადაც სურსათის ძირითადი სახეების წარმოება და მოხმარება აქ საკმაოდ მაღალ მასშტაბებს აღწევს.

3.4. აგრარული სექტორის რეფორმირება და სასურსათო უსაფრთხოება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სისტემაში

აგრარული სექტორის რეფორმირებისა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საქართველოსთან ტრადიციულად საერთო-ეკონომიკურ სივრცეში მყოფი ქვეყნების — ამჟამად დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ქვეყნების გამოცდილება. დავიწყოთ დსთ-ში უმსხვილესი პარტნიორის — რუსეთის გამოცდილების გაცნობით.

რუსეთის აგროსასურსათო კომპლექსის თანამედროვე სტრუქტურა ყალიბდება მეურნეობრიობის საბაზრო მექანიზმის საფუძველზე, რეფორმირების განსაზღვრულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში. ასეთ სიტუაციაში გარდაუვლად ვლინდება რიგი დისპროპორციები, რომლებიც ასახავენ არა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოების, არამედ მთელი აგროსასურსათო სექტორის მრავალფაქტორულ ტენდენციებს.

მოცემული პერიოდისათვის დამახასიათებელია სახელმწიფოს მთელი აგროსასურსათო კომპლექსის დეგრადირება. მნიშვნელოვანი ტრანსფორმირება განიცადა მთლიანი ჯაჭვის ძირითადმა რგოლებმა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის წარმოებიდან მათს შენახვა-გადამუშავებასა და რეალიზაციამდე. აგროსასურსათო სექტორში რეფორმამდელ პერიოდში არსებულმა ძველმა სტიმულებმა დაკარგა თავისი ყოფილი დანიშნულება.

საბაზრო მექანიზმის ახალ პირობებზე გადასვლამ გავლენა მოახდინა მთლიანად აგროსასურსათო სექტორის განვითარებაზე რამდენიმე მიმართულებით. ეს განსაკუთრებით გამოვლინდა სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო საქონლის ძირითადი ჯგუფების წარმოების მოცულობათა შემცირებაში, სურსათზე ფასების დაუსაბუთებელ ზრდაში, მსყიდველობითი მოთხოვნის მკვეთრ დაქვეითებასა და რუსეთის სასოფლო-სამეურნეო წარმოების იმპორტზე დამოკიდებულების

მზარდ დონეში. გამოაშკარავდა სახელმწიფოებრივი რეგულირების დაბალეფექტიანობა (ცხრილი 8).

ცხრილი 8. სასურსათო პროდუქციის ძირითად სახეობათა წარმოების მაჩვენებლები რუსეთში (1990-2000 წწ.)*

პროდუქტები	წლები						
	1990	1992	1994	1996	1998	2000	2000 %- ში 1990-თან
ხორცი (დაკლული წონით), მლნ. ტონა	10,1	8,3	6,8	5,3	4,7	4,1	40,5
რძე, მლნ. ტონა	55,7	47,2	42,2	35,8	33,3	32,6	57,5
კვერცხი, მლრდ. ცალი	47,5	42,9	37,5	31,9	32,7	34,0	70,0
მარცვლეული, მლნ. ტონა	116,7	106,9	81,3	69,3	47,9	65,4	46,9
შაქრის ჭარხალი, მლნ. ტონა	32,3	25,5	13,9	16,2	10,8	14,0	47,1
კარტოფილი, მლნ. ტონა	30,8	38,3	33,8	38,7	31,4	33,7	100,4
ბოსტნეული, მლნ. ტონა	10,3	10,0	9,6	10,7	10,5	12,3	119,4
მზესუმზირა, მლნ. ტონა	3,1	3,1	2,5	2,7	2,9	3,8	120,9
თაფლი, ათასი ტონა	47,1	49,6	43,9	46,2	49,6	50,0	100,6

ცხრილში მოტანილი მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მეცენარეობისა და მეცხოველეობის ძირითადი პროდუქციის წარმოება 2000 წელს 1990 წელთან შედარებით არსებითად შემცირდა: მარცვლეულის მიხედვით — 53,1%-ით, შაქრის ჭარხლის მიხედვით — 52,9%-ით, ხორცის მიხედვით — 59,5%-ით, რძის მიხედვით — 42,5%-ით, კვერცხის მიხედვით კი — 30%-ით. უმნიშვნელო ზრდა აღინიშნა კარტოფილისა (0,4%-ით) და თაფლის (0,6%-ით) წარმო-

* ცხრილი მოტანილია ლიტერატურული წყაროდან[3.9, გვ.66], ჩვენეული მოდიფიცირებით.

ებაში, და ზრდის ტენდენცია შეინიშნება ბოსტნეულისა (19,4%-ით) და მზესუმზირის (20,9%-ით) წარმოებაში.

პრინციპული ხასიათის ცვლილებები მოხდა აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ძირითად სახეობათა პროდუქციის წარმოების სტრუქტურასა და რეალიზაციის სისტემაში (ცხრილი 9).

ცხრილი 9. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ძირითად სახეობათა წარმოების სტრუქტურა რუსეთში მეურნეობათა კატეგორიების მიხედვით 1990-2000 წლებში (%-ში ყველა კატეგორიის მეურნეობიდან)*

	წლები					
	1990	1992	1994	1996	1998	2000
1	2	3	4	5	6	7
სასოფლო-სამეურნეო საწარმოები						
მარცვლეული	99,7	97,4	94,2	94,6	92,3	90,7
შაქრის ჭარხალი	99,99	97,8	95,8	96,0	95,2	94,4
მზესუმზირა	98,6	93,0	88,2	87,0	87,6	84,4
კარტოფილი	33,9	21,1	11,0	8,9	7,8	6,5
ბოსტნეული	69,9	44,5	32,2	22,1	18,6	19,9
პირუტყვი და ფრინველი (დაკლული წონით)	75,2	64,0	55,4	46,7	41,5	10,7
რძე	76,2	68,1	60,0	53,1	50,1	47,8
კვერცხი	78,4	73,9	70,9	68,4	69,5	70,8
მატყლი	75,5	67,0	60,2	49,8	40,0	36,0
თაფლი	30,6	22,4	15,9	13,2	9,9	9,8
მოსახლეობის მეურნეობები						
მარცვლეული	0,3	0,5	0,7	0,8	0,9	0,9
შაქრის ჭარხალი	0,0	0,2	0,7	0,7	0,8	0,7
მზესუმზირა	1,4	1,2	1,6	1,6	1,5	1,4
კარტოფილი	66,1	78,0	88,1	90,2	91,2	92,4
ბოსტნეული	30,1	54,7	66,7	76,8	79,6	77,9
პირუტყვი და ფრინველი (დაკლული წონით)	24,8	35,3	43,2	51,6	56,9	57,4
რძე	23,8	31,4	38,7	45,4	48,3	50,5
კვერცხი	21,6	26,0	28,8	31,2	30,1	28,8
მატყლი	24,5	32,2	37,1	45,9	55,0	57,0
თაფლი	69,4	76,3	81,9	84,7	88,1	90,0
გლეხური (ფერმერული) მეურნეობები						
მარცვლეული	0,01	2,1	5,1	4,6	6,8	8,4
შაქრის ჭარხალი	0,01	2,0	3,5	3,3	4,0	4,9

1	2	3	4	5	6	7
მზესუმზირა	0,0	5,8	10,2	11,4	10,9	14,2
კარტოფილი	0,0	0,8	0,9	0,9	1,0	1,1
ბოსტნეული	0,0	0,8	1,1	1,1	1,8	2,2
პირუტყვი და ფრინველი (დაკლული წონით)	0,0i	0,7	1,4	1,7	1,6	1,9
რძე	0,0	0,5	1,3	1,5	1,6	1,7
კვერცხი	-	0,1	0,3	0,4	0,4	0.4
მატყლი	0,0	0,8	2,7	4,3	5,0	5,3
თაფლი	-	1,3	2,2	2,1	2,0	2,1

როგორც მე-9 ცხრილში მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, სასოფლო-სამეურნეო საწარმოები გამოვიდნენ მარცვლეული კულტურების, შაქრის ჭარხლის და მზესუმზირის ძირითად მწარმოებლად, მაშინ როდესაც მოსახლეობის მეურნეობებში პრიორიტეტულ პროდუქტებს წარმოადგენდა კარტოფილი და ბოსტნეული. გადიდების მიმართულებით გარკვეული ძვრები მოხდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და სურსათის ძირითად სახეობათა წარმოების მიხედვით გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობებში. თუ 90-იანი წლების დასაწყისში ამ მეურნეობათა ხვედრითი წილი იყო მიზერული, 2000 წლისათვის იგი გაიზარდა 8,4%-მდე მარცვლეულის წარმოებაში და 14,2 %-მდე მზესუმზირის წარმოებაში.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ძირითად სახეობათა წარმოების სტრუქტურაში ცვლილებებმა განაპირობა სოფლის მეურნეობის საქონლურობის არსებითად შემცირება (ცხრილი 10).

მე-10 ცხრილში მოტანილი მონაცემების შედარებითი ანალიზით ირკვევა, რომ 1993-1999 წლებში სასოფლო-სამეურნეო წარმოებასა და რეალიზაციაში ადგილი ჰქონდა არსებითი ხასიათის დისპროპორციებს. კერძოდ, მარცვლეულის წარმოება შემცირდა 99,1 მლნ. ტონიდან 1993 წელს 54,7 მლნ. ტონამდე 1999 წელს (ე.ი. დაახლოე-

---

* ცხრილი შედგენილია რუსეთის ფედერაციის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის მასალების მიხედვით[1, 15 გვ.368].

ბით 2-ჯერ). თითქმის ამდენჯერვე დაეცა ხორცის წარმოება. რძის წარმოება შემცირდა 30%-ით, კვერცხისა კი—20%-ით.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ძირითად სახეობათა წარმოების შემცირებამ, თავის მხრივ, გავლენა მოახდინა მათი მოხმარების (რეალიზაციის) სიდიდეზე: მარცვლეულის მიხედვით იგი შემცირდა 30%-ით, რძის მიხედვით — 2-ჯერ, კვერცხის მიხედვით კი — 1,2-ჯერ.

ქვეყნის აგროსასურსათო სექტორის დაქვეითების მიზეზებს ზოგიერთი მეცნიერ-ეკონომისტი სავსებით სამართლიანად ეძებს არა აგრარულ გარდაქმნათა თვით ფაქტში, არამედ ცენტრიდან მისი განხორციელების ნეგატიურ მიმართულებაში.

ამასთან დაკავშირებით, რუსეთის აგროსასურსათო სექტორის რეფორმირების შედეგებს, ა.ზელდნერის აზრით, არ შეეძლო არსებითი ცვლილებები შეეტანა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდასა და ეფექტიანობაში. 1990 წლიდან 2000 წლამდე მთლიანი პროდუქცია ყველა კატეგორიის მეურნეობებში შემცირდა დაახლოებით 43%-ით, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში — 64%-ით. ამასთან, ყველა მეურნეობათა არანაკლებ 60% გახდა ზარალიანი. სახელმწიფო საწარმოთა შორის ზარალიანთა რიცხვი გაიზარდა 77%-მდე, კერძო საწარმოთა შორის კი ეს ციფრი 88%-ს მიუახლოვდა[3.13, გვ.119].

რუსეთის აგროსასურსათო კომპლექსში არსებული სიტუაციის ანალიზი შესაძლებლობას იძლევა გაკეთდეს დასკვნა მის ფუნქციონირებაში ნეგატიური ტენდენციების მატების შესახებ, რამაც იმდენად სერიოზული ხასიათი მიიღო, რომ შესაძლოა დაისვას საკითხი ქვეყნის სასურსათო ბაზის გარკვეულწილად დაკარგვის შესახებ.

ასეთი შეშფოთების გამომწვევ მიზეზებს მიეკუთვნება: ფასთა დისპარიტეტი სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პროდუქციაზე, დავალიანებათა არსებითი ზრდა, აგროსასურსათო კომპლექსის დარგთა დაბალი უზრუნველყოფა საწვავით, საკვებით, სასუქებით და

ცხრილი 10. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ძირითად სახეობათა საძონლურობა რუსეთში 1993-1999 წლებში*
(წარმოებულია / რეალიზებულია, მლნ. ტონა)**

წელი	მარცვლეული	შაქრის ჭარხალი	მზესუმზირა	კარტოფილი	ბოსტნეული	პირუტყვი და ფრინველი	რძე	კვერცხი მლრდ. ცალი
1993	99,1 / 37,8	25,5 / 7,1	2,8 / 1,6	37,7 / 2,1	9,8 / 2,8	7,5 / –	46,5 / 25,3	40,3 / 26,2
1994	81,3 / 26,5	13,9 / 1,3	2,6 / 1,6	33,8 / 1,3	9,6 / 2,3	6,8 / –	42,2 / 19,7	37,5 / 23,9
1995	63,4 / 25,6	19,1 / 2,0	4,2 / 1,9	39,9 / 1,1	11,3 / 2,0	6,8 / –	39,2 / 17,1	33,8 / 20,9
1996	69,3 / 28,6	18,2 / 2,3	2,8 / 2,1	38,7 / 1,1	10,7 / 1,7	5,3 / –	35,8 / 14,5	31,9 / 20,2
1997	88.5 / 37,7	13,9 / 2,4	2,8 / 1,9	37,0 / 1,0	11,1 / 1,7	4,9 / –	34,1 / 13,6	32,2 / 20,4
1998	47,9 / 25,1	10,8 / 3,8	3,0 / 2,0	31,4 / 1,1	10,5 / 1,6	4,7 / –	33,3 / 13,1	32,7 / 21,1
1999	54.7 / 26,6	15,2 / 8,0	4,1 / 2,3	31,3 / 0,9	12,9 / 1,8	4,3 / –	32,3 / 12,7	33,1 / 21,5

ა. შ. უწინარეს ყოვლისა, შემაშფოთებელია კომპლექსის დარგთა საწარმოების საწარმოო-ტექნიკური ბაზის მდგომარეობა, სადაც ფონდების 70%-ზე მეტი მოითხოვს განახლებას. ყოველივე ეს მკვეთრად აძცირებს რუსეთის სასურსათო უსაფრთხოების დონეს.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტის ზრდამ, წარმოების შემცირების, მისი სოციალური და საწარმოო ინფრასტრუქტურის

---

* წილადის მრიცხველი აღნიშნავს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების, მნიშვნელი კი – მისი რეალიზაციის აბსოლუტურ მოცულობას.

** ცხრილი შედგენილია რუსეთის ფედერაციის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის მასალების მიხედვით[1.16, გვ.100-102].

ნგრევის ფონზე, შესაძლოა უახლოეს წლებში რუსეთი დასავლეთის ქვეყნებისაგან დამოკიდებული გახადოს, რაც მსოფლიო არენაზე მისი ეკონომიკური და პოლიტიკური წონის კიდევ უფრო მეტად დაკარგვას გამოიწვევს. ცხადი ხდება, რომ ამჟამად რუსეთის აგროსასურსათო კომპლექსის უზარმაზარი საწარმოო პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება შეუძლებელია მის მხარდასაჭერად საჭირო მსხვილ ასიგნებათა გარეშე.

სურსათის იმპორტზე ორიენტირებული სტრატეგია უარყოფითად აისახება სასურსათო პროდუქციის ეროვნულ წარმოებაზე. ერთი მხრივ, საიმპორტო დამოკიდებულება არსებითად აქვეითებს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას, ნეგატიურად მოქმედებს სახელმწიფოს სავალუტო რეზერვებზე, განაპირობებს რა მის საგარეო დავალიანებათა ზრდას; მეორე მხრივ, იმპორტი, ქმნის რა სასაქონლო სურსათის მნიშვნელოვან მასას და „აწესებს" შიდა სასურსათო ფასებს, ძლიერ დეპრესიულ გავლენას ახდენს სურსათის ბაზარზე. საბაზრო სტიმულების შესუსტება, ზემოაღნიშნულის გარდა, აფერხებს ძირითადი სასურსათო პროდუქციის სასაქონლო წარმოების ზრდას.

სურსათით საგარეო ვაჭრობაში პროტექციონიზმის პრაქტიკულად სრული იგნორირება რეფორმების წლებში იქცა ეროვნულ სოფლის მეურნეობაში კრიზისული სიტუაციის მნიშვნელოვან ფაქტორად. იმპორტულმა პროდუქციამ 1994-1999 წლებში დაიკავა რუსეთის ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამასთან, საიმპორტო შესყიდვების ძირითადი ნაწილი მოდიოდა შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებზე (ცხრილი 11).

მე-11 ცხრილში მოტანილი მონაცემების ანალიზით ირკვევა, რომ სურსათის იმპორტმა, რეფორმირების პირველ წლებში შემცირების შემდეგ, კვლავ იწყო ზრდა. ეს ტენდენცია განსაკუთრებით საგრძნობი გახდა 1994 წლიდან 1997 წლამდე ჩათვლით. დანახარჯებმა საიმპორტო ოპერაციებზე 1997 წელს მიაღწია 13,4 მლრდ. დოლარს. 1998 წლიდან სურსათის იმპორტი წინა წელთან შედარებით შემცირდა 18%-ით და შეადგინა 11,1 მლრდ. დოლარი, ხოლო 1999 წელს სურსათის საიმპორტო შესყიდვები შემცირდა 8,1 მლრდ. დო-

ლარამდე და შეადგინა 1997 წლის იმპორტის მთლიანი მოცულობის მხოლოდ 60 %. საქონლის ამ ჯგუფის ექსპორტის მიხედვით მსგავსი ტენდენცია არ აღნიშნულა (ექსპორტის სიდიდე ისე აშკარად არ შეცვლილა როგორც იმპორტისა). იგი იმყოფებოდა 2,0 მლრდ. დოლარის ფარგლებში 1999 წელს და 3,2 მლრდ. დოლარის ფარგლებში – 1996 წელს. სურსათის საექსპორტო მიწოდებათა ყველაზე დაბალი სიდიდე აღინიშნა 1999 წელს.

ცხრილი 11. რუსეთის ფედერაციის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის და სურსათის ექსპორტისა და იმპორტის სასაქონლო სტრუქტურა 1994-1999 წლებში*

წელი		ექსპორტი	იმპორტი
1994	მლრდ. აშშ დოლარი	2,8	10,7
	%-ობით ჯამთან	4,2	27,7
1995	მლრდ. აშშ დოლარი	2,7	13,2
	%-ობით ჯამთან	3,3	28,2
1996	მლრდ. აშშ დოლარი	3,2	12,0
	%-ობით ჯამთან	3,7	25,3
1997	მლრდ. აშშ დოლარი	2,4	13,4
	%-ობით ჯამთან	2,8	25,1
1998	მლრდ. აშშ დოლარი	2,3	11,1
	%-ობით ჯამთან	3,0	24,8
1999	მლრდ. აშშ დოლარი	2,0	8,1
	%-ობით ჯამთან	2,7	26,0

სასურსათო საქონლის იმპორტის სტრუქტურაში 1999 წელს ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი (დაახლოებით 50%) მოდიოდა მეცხოველეობის ახლადგაყინულ პროდუქციაზე (ცხრილი 12). ერთობლივი მოთხოვნის შემცირების პირობებში შედარებით დაბალფასიანმა იმპორტირებულმა ხორცმა იწყო საკმაოდ საგრძნობი როლის თამაში ქვეყნის სასურსათო ბაზარზე და იგი წარმოადგენდა რუსული ოჯახების უმრავლესობის კვების რაციონის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს.

* ცხრილი შედგენილია რუსეთის ფედერაციის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის მასალების მიხედვით[1.15, გვ.137-144].

რუსეთის სასურსათო ბაზარი, გარდამავალი პერიოდის საგარეო ეკონომიკურ სტრატეგიაში დაშვებული სერიოზული შეცდომების გამო, პრაქტიკულად დაუცველი აღმოჩნდა კვების პროდუქტების უცხოელ მომწოდებელთა მხრიდან ექსპანსიისაგან. ამასთან, არ შეიძლება მხოლოდ ნეგატიურად დახასიათდეს იმპორტირებული პროდუქტების ხარჯზე ქვეყნის შიდა ბაზრის გაჯერების პროცესი. ამ პროცესმა უდაოდ დადებითი გავლენა მოახდინა სამამულო მწარმოებლებზე, ასტიმულირა რა პროდუქციის გადამუშავების საწარმოო ბაზის სრულყოფა, შეფუთვის გაუმჯობესება და სამამულო პროდუქტების ასორტიმენტის გაფართოება.

სასურსათო ბაზრის განვითარების სტრატეგიის შეფასებისას, სპეციალისტთა აზრით, გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი ძირითადი ტენდენციები: პროდუქციის იმპორტის ზრდა შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, მეცხოველეობის პროდუქციის შემოტანის გადიდების მიმართულებით, შემოტანილი პროდუქტების ასორტიმენტის რამდენადმე რესტრუქტურიზაციის პირობებში; რუსეთის სასაქონლო ნაკადების აღდგენა ДსО-ის წევრ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით უკრაინასთან, ბელორუსიასთან და უზბეკეთთან[3.9, გვ.85].

ამ ტენდენციების მიუხედავად, სურსათის იმპორტის ზრდას არ ძალუძს სამამულო წარმოების დაცემის სრულად კომპენსირება. ამაზე მოწმობს სამამულო წარმოების სურსათის მოხმარების ხვედრითი წილის შესახებ მონაცემები.

ყურადღებას იქცევს უმნიშვნელოვანესი სახეობის პროდუქტების მოხმარების შემცირება მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით. კიდევ მეტი, სურსათზე სამომხმარებლო მოთხოვნის შეზღუდვის პირობებში იზრდება საარსებო მინიმუმის სიდიდე, რაც მჭიდროდაა დაკავშირებული მოსახლეობის სასურსათო კალათის დაბალანსებასთან.

ამასთან, შეინიშნება მეტად საინტერესო ტენდენცია: 2001 წელს, ინფლაციის წყალობით, საარსებო მინიმუმი იზრდებოდა ბევრად უფრო სწრაფი ტემპებით, ვიდრე 2000 წელს. კერძოდ, თუ 2000 წელს საარსებო მინიმუმი ყველა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფის მიხედვით გაიზარდა კვარტალში საშუალოდ 30-40 რუბლით, მაშინ 2001 წელს - უკვე 100 რუბლით. 2001 წლის პირველ

ცხრილი 12. სურსათითა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით რუსეთის ფედერაციის საგარეო ვაჭრობის მოცულობა 1996-1999 წწ. (მლნ. აშშ დოლარი)*

	ექსპორტი					იმპორტი				
	1996 წ.	1997 წ.	1998 წ.	1999 წ.	ხვედრითი წილი %-ობით 1999 წ.	1996 წ.	1997 წ.	1998 წ.	1999 წ.	ხვედრითი წილი %-ობით 1999 წ.
ახალი და გაყინული ხორცი	29,2	25,0	13,3	1,9	0,1	1622,8	2242,8	1693,9	1145,7	49,0
ახალი და გაყინული თევზი	1540,4	1297,7	1244,4	1251,6	90,4	2509,6	287,8	175,5	115,2	4,9
რძე და ნაღები	62,1	36,4	30,9	16,1	1,2	86,8	114,5	111,1	136,3	5,8
კარაქი და ქონი	15,2	10,4	6,5	6,3	0,5	241,0	317,8	186,3	87,9	3,8
კარტოფილი	13,0	4,7	3,9	1,8	0,1	19,9	23,1	30,0	47,2	2,0
პურპროდუქტები	121,8	215,7	198,9	81,2	5,9	648,0	629,0	251,0	631,0	27,0
მზესუმზირის ზეთი	30,7	18,5	44,2	25,3	1,8	135,4	206,5	148,9	173,8	7,4

* ცხრილი შედგენილია რუსეთის ფედერაციის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის მასალების მიხედვით[1.15, გვ.584].

კვარტალში საარსებო მინიმუმმა მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით შეადგინა 1396 რუბლი (2000 წლის მეოთხე კვარტალში–1285 რუბლი), მეორე კვარტალში კი იგი გაიზარდა 1507 რუბლამდე.

საარსებო მინიმუმის სიდიდის ზრდისაგან პირდაპირპროპორციული დამოკიდებულებით მიმდინარეობს კვების ძირითადი პროდუქტების მოხმარების შემცირება (ცხრილი 13).

ცხრილი 13. კვების ძირითადი პროდუქტების მოხმარება რუსეთის ფედერაციაში 1990-2000 წწ
(მოსახლეობის ერთ სულზე წელიწადში, კგ.)*

პროდუქციის დასახელება	წლები						
	1990	1995	1996	1997	1998	1999	2000
ხორცი და ხორცის პროდუქტები	75	55	51	50	48	45	42
რძე და რძის პროდუქტები	386	253	232	229	221	215	211
კვერცხი, ცალი	297	214	207	210	218	222	230
თევზი და თევზის პროდუქტები	30,3	9,4	9,4	9,3	9,8	9,9	-
შაქარი	47	32	33	33	33	35	36
მცენარეული ზეთი	10,2	7,4	7,9	8,4	8,9	9,3	10,5
კარტოფილი	106	124	125	130	123	117	-
ბოსტნეული და ბაღჩეული	89	76	75	79	78	83	-
ხილი და კენკრა	35	29	31	33	31	28	-
პური და პურპროდუქტები (ფქვილზე გადაანგარიშებით)	119	121	117	118	118	119	-

როგორც მე-13 ცხრილში მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რეფორმირების წლებში ქვეყანაში საგრძნობლად შემცირდა ხორცის (თითქმის 2-ჯერ), რძის, თევზისა და თევზის პროდუქტების (2-ჯერ და უფრო მეტად) მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით. პურის, მცენარეული ზეთისა და ბოსტნეულის მოხმარება კი პრაქტიკულად ძველ დონეზე დარჩა.

საბაზრო გარდაქმნათა პერიოდში აგროსასურსათო კომპლექსის რეფორმირების მეშვეობით სასოფლო–სამეურნეო წარმოების ეფექტი-

* ცხრილი შედგენილია რუსეთის ფედერაციის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის მასალების მიხედვით[1.16, გვ.133].

ანობის ამაღლების ამოცანა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს, რამდენადაც კვების პროდუქტების წარმოების გადიდება სასურსათო ბაზარზე არსებული დეფიციტის დაძლევის მთავარი პირობაა. იმედებმა, რომ ქვეყნის ფერმერული სექტორი გახდებოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ძირითადი მწარმოებელი, სრულიად ვერ გაამართლა. ბევრ შემთხვევაში მიწების გამოყოფა ფერმერულ მეურნეობათა ქვეშ ატარებდა პრეტენზიულ ხასიათს, მიწების დიდი მასივები გამოყენებულ იქნა არადანიშნულებისამებრ, მიუხედავად იმისა, რომ მიწის რეფორმის პირველი ეტაპი რუსეთში უკვე დასრულებულია.

იმავდროულად არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ 1999 წლისათვის უკვე მომხდარია სერიოზული აგრარული გარდაქმნები: განხორციელდა მიწაზე სახელმწიფო საკუთრების მონოპოლიის ლიკვიდაცია, ჩატარდა 23,5 ათასი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის რეორგანიზაცია, მოხდა მათი 115,9 მლნ. ჰა მიწის პრივატიზება. საბოლოოდ ყოფილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 11,8 მლნ. მუშაკი გახდა მიწის ნაწილის მესაკუთრე. ჩამოყალიბდა გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობათა მნიშვნელოვანი ფენა (270,2 ათასი მეურნეობა), რომელთა განკარგულებაში სადღეისოდ გადაცემულია 13,8 მლნ. ჰა მიწა. შეიქმნა მიწების გადანაწილების ფონდი, დაახლოებით 32,0 მლნ. ჰა მიწის ფართობით. მოქალაქეთა საკუთრებაში გადაცემულია 138 მლნ. ჰა, ანუ ქვეყნის მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 63%. მიწის შემდგომი პრივატიზაციის მსვლელობაში კიდევ დაახლოებით 4,0 მლნ. მოქალაქეს შეუძლია გახდეს მისი მესაკუთრე.

მიწის რეფორმის პირველი ეტაპის რიგი დადებითი მომენტების მიუხედავად, რეფორმირების პროცესები მთლიანად არათანმიმდევრულად, უსისტემოდ და ძალზე ნელა მიმდინარეობდა. რუსეთის ფედერაციის მიწის კოდექსის არარსებობასთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ არაა შექმნილი მიწის კანონმდებლობის მწყობრი სისტემა. სახელმწიფოებრივ დონეზე არ არსებობს გარკვეული და დასაბუთებული კონცეფცია, აგრარული პოლიტიკის რეალიზაციის პროგრამები და გეგმები; მკაფიოდ არაა განსაზღვრული მიწის რეფორმის გატარებაზე პასუხისმგებელ ორგანოთა უფლება-მოვალეობები. მიწის რეფორმა ძირითადად შეეხო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს. ძალზე ნელა მიმდინარეობს მიწების პრივატიზება ქალაქებში, რაც არ იძ-

ლევა საკმარისი მოცულობით ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობას და აფერხებს საქალაქო მიწების გადანაწილებას, ბაზრისა და ქალაქების განვითარების მოთხოვნების საფუძველზე.

აგროსასურსათო კომპლექსის პორეფორმული განვითარების ანალიზი საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ ეკონომიკური გარდაქმნების გატარების პერიოდში უმნიშვნელოვანეს პრობლემებს წარმოადგენდა კაპიტალურ დაბანდებათა მკვეთრი შემცირება, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პროდუქციაზე ფასების დისპარიტეტის გაღრმავება, ქვეყნის სასურსათო ფონდების ფორმირების სახელმწიფოებრივი რეგულირების შეწყვეტა, უმუშევრობის ზრდა და სოფლის სოციალური ინფრასტრუქტურის დეგრადირება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ აგროსასურსათო სექტორის საწარმოო პოტენციალი მნიშვნელოვნად მოშლილია. მის აღსადგენად, სპეციალისტთა გაანგარიშებით, საჭირო იქნება რამდენიმე ათწლეული. ასეთ პირობებში აუცილებელია აგროსასურსათო კომპლექსის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის უსწრაფესად განხორციელება სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახსრების მიზნობრივად გამოყოფის, და საერთოდ საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურების გზით[3.9, გვ.89].

ეჭვგარეშეა, რომ არსებული ბუნებრივი პოტენციალი, სათანადო ეკონომიკური პირობების შექმნის შემთხვევაში, ხელს შეუწყობს აგროსასურსათო კომპლექსის აღორძინებას. სწორედ ამაზე იქნება ორიენტირებული რუსეთის ფედერაციის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მომზადებული დოკუმენტის — "აგროსასურსათო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები 2000-2010 წლებში" — მიზანდასახულობათა რეალიზაცია.

ᲓᲡᲗ-ს ქვეყნებს შორის, სიდიდის მიხედვით, რუსეთის ფედერაციის შემდეგ, მეორე ადგილზეა ყაზახეთი, რომელიც ფართობით შეადგენს დასავლეთ ევროპის ტერიტორიის სამ მეოთხედს. ყაზახეთის მიწების 80%-ზე მეტი კლასიფიცირდება სოფლის მეურნეობის წარმართვისათვის ვარგის მიწებად. 1996 წლის დასაწყისისათვის ყაზახეთში სახნავის ფართობი შეადგენდა 34,5 მლნ. ჰა-ს, მოსახ-

ლეობის 100 კაცზე მაჩვენებლის მიხედვით კი მან 205 ჰა-ს მიაღწია, რაც რუსეთის ანალოგიურ მაჩვენებელს 2,5-ჯერ აღემატებოდა.*

სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების პრივატიზებასა და მთელი საკოლმეურნეო სისტემის რეორგანიზებაზე რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ აღებული კურსის მიუხედავად, სოფლად სერიოზული გარდაქმნები ვერ განხორციელდა. ამის განმაპირობებელ საერთო ხასიათის მიზეზებს შეიძლება მივაკუთვნოთ: ინფლაციის მაღალი ტემპი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების შეუდარებლად დაბალი დონე, სახელმწიფოს მხრიდან აგროსასურსათო სექტორისადმი მხარდაჭერის არარსებობა.

ყაზახეთის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის მონაცემებით, რეფორმების განხორციელების დასაწყისიდან აღინიშნება სურსათისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოების არსებითი დაცემა. 1995 წელს, რეფორმირების საწყის პერიოდთან შედარებით, არსებითად შემცირდა კვების პროდუქტების წარმოების მოცულობები მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით (ცხრილი 14).

თუ 1990 წელს მოხმარების ფიზიოლოგიური ნორმები მოსახლეობის ერთ სულზე სურსათის ძირითად სახეობათა (მარცვლეული, კარტოფილი, ხორცი, რძე, კვერცხი) მიხედვით აჭარბებდა მის წარმოებას, უკვე 1996 წლის დასაწყისისათვის მოხდა ყველა სახის ხორცის ფაქტობრივი მოხმარების დაცემა 30%-ით, რძის 10%-ით და კვერცხის - ორჯერ და მეტად. სულადობრივი მოხმარების დაცემის ტენდენცია გრძელდებოდა 1998 წელსაც: ხორცისა და ხორცის პროდუქტებისა — 2-ჯერ და მეტად, რძის — თითქმის 30%-ით, კვერცხის — თითქმის 3-ჯერ, მარცვლეულის — 3-ჯერ და მეტად, შაქრის ჭარხლის — 4-ჯერ და კარტოფილის — 1,5-ჯერ.

ყაზახეთის აგროსასურსათო სექტორის კრიზისული მდგომარეობის ძირითად მიზეზებად შეიძლება გამოიყოს შემდეგი: დამკვიდრებული სამეურნეო კავშირების რღვევა როგორც რესპუბლიკის

---

* იმ ფაქტის მიუხედავად, რომ უკანასკნელ ათწლეულში სასოფლო-სამეურნეო საკარგულების ფართობი ყაზახეთში შემცირდა 197,3 მლნ-დან 180 მლნ. ჰა-მდე, იგი ევროკავშირის ქვეყნების მთელი საკარგულების ფართობს კვლავინდებურად აჭარბებს 1,3-ჯერ და მეტად[3.9, გვ.258].

ცხრილი 14. სურსათისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ძირითად სახეობათა წარმოება ყაზახეთში რეფორმირების წლებში (მოსახლეობის ერთ სულზე წელიწადში, კგ.)*

	1990 წ.	1995 წ.	1998 წ.
მარცვლეული და მარცვლოვან-პარკოსანი კულტურების წარმოება	1702	601	424
ხორბალი	967	392	305
შაქრის ჭარხალი	68	23	15
მზესუმზირა	8	6	6
კარტოფილი	139	109	84
ბოსტნეული და ბაღჩეული	68	49	72
ხილი და კენკრა	18	6	4
ხორცი და ხორც-პროდუქტები	93	62	43
რძე	337	292	225
კვერცხი, ცალი	250	116	92

შიგნით, ასევე ДСТ-ს ქვეყნებს შორის; სრულიად სტიქიური, არარეგულირებადი ბაზრის ფორმირება; სახელმწიფო საწარმოთა ქონების პრივატიზებისა და კოლმეურნეობათა გარდაქმნის მეტისმეტად დაბალი ტემპები; მრავალ შემთხვევაში განსახელმწიფოებრივების ფორმალურად გატარება, რეალური მეურნეების წარმოქმნისა და მათი ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი პირობების შექმნის გარეშე; ფასების გათავისუფლების არათანადროულობა სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პროდუქციაზე, რამაც გააძლიერა გაცვლის არაექვივალენტურობა; დამამზადებელ, გადამამუშავებელ და მომსახურე დარგთა საწარმოების მონოპოლიზმი; აგროსასურსათო სექტორის სახელმწიფოებრივი რეგულირების მეთოდების დაუმუშავებლობა; საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზება სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაუთვალისწინებლად და მსოფლიო ბაზრების კონიუნქტურის შესახებ სარწმუნო ინფორმაციის სრული არარსებობის პირობებში.

აღნიშნულმა ფაქტორებმა ნეგატიური გავლენა მოახდინა სოფლის მეურნეობის განვითარებაზე და განაპირობა სასოფლო-სამურნეო ნედლეულის ყველა სახეობის წარმოების მკვეთრი დაცემა. კერძოდ,

* ცხრილი შედგენილია რუსეთის ფედერაციის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის მასალების მიხედვით[1.15, გვ.238].

1992-1999 წლებში სურსათის წარმოების მთლიანი მოცულობა შემცირდა 40%-ით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა - 45%-ით (ცხრილი 15).

აუცილებელია აღინიშნოს, რომ სურსათისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოების ყველაზე დაბალი დაცემა, ცხრილში ჩართული ქვეყნებიდან, აღინიშნება აზერბაიჯანში, ბელორუსიასა და ტაჯიკეთში. აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით რუსეთსა და უკრაინას აქვთ ერთი და იგივე რიგის ციფრები (32%-რუსეთს და 35% უკრაინას), მოლდავეთი უახლოვდება ყაზახეთს, თუმცა, მასთან შედარებით, ოდნავ დაბალი აქვს ინდექსი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოების მიხედვით.

ზემოაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, ყაზახეთის ხელისუფლებამ რიგი ცვლილებები შეიტანა მეურნეობრიობის საბაზრო პირობებზე გადასვლის პროგრამასა და კონცეფციაში. ეს ცვლილებები, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტრუქტურის გადახედვას რესპუბლიკის თავისებურებების გათვალისწინებით. ამასთან, ძირითადი ყურადღება მიექცა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დანაკარგების შემცირებას სასაწყობო სათავსების, მაცივრებისა და საცავების დაჩქარებული განვითარების, გადამამუშავებელი საწარმოების და სავაჭრო-შემსყიდველი კოოპერატივების შექმნის საფუძველზე.

თანამედროვე ეტაპზე აგროსასურსათო კომპლექსის სისტემაში ერთ-ერთ ძირითად გარდაქმნად ითვლება მიწის რეფორმის განხორციელება, რომელმაც, ერთი მხრივ, ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის დაჩქარებულ გადასვლას საბაზრო ურთიერთობათა რელსებზე, ხოლო მეორე მხრივ, განაპირობა და მიწათსარგებლობის პრაქტიკაში დანერგა სამართლებრივი და ეკონომიკური ზომები. მეწარმეების მიერ მეურნეობრიობის ნებაყოფლობითი ფორმების შერჩევისას. გარდა ამისა, მიწათმოსარგებლეებმა მიიღეს მიწასთან დაკავშირებული ურთიერთობების დამოუკიდებლად განსაზღვრის შესაძლებლობა, მიწის ფლობაზე მათმა უფლებამ კი განაპირობა გლეხობის დაინტერესება უფრო ეფექტიანი გაეხადათ თავიანთი პირადი მეურნეობა.

ყაზახეთში აგრარული რეფორმის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენდა სახელმწიფო მეურნეობების პრივატიზება და კოლმე-

ცხრილი 15. სურსათისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ინდექსი ყაზახეთსა და დსთ-ს ზოგიერთ სხვა ქვეყანაში 1992-1999 წწ*
(1989-1991 წწ. ინდექსი = 100)**

ქვეყნები	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	1999წ. %-ში 1992წ. -თან
ყაზახეთი	111,0 / 109,3	97,6 / 96,4	81,4 / 80,7	63,9 / 63,5	62,0 / 61,2	60,5 / 59,1	49,4 / 48,3	63,2 / 61,5	-40 / -45
რუსეთი	87,7 / 87,5	82,9 / 82,7	70,8 / 70,5	64,6 / 64,3	67,8 / 67,3	68,4 / 67,7	59,8 / 59,1	60,1 / 59,4	-35 / -32
უკრაინა	72,8 / 72,9	70,8 / 70,8	57,7 / 57,7	60,5 / 60,4	52,5 / 52,2	55,3 / 59,4	46,6 / 46,3	46,9 / 46,6	-35 / -35
მოლდაველი	73,5 / 73,3	82,5 / 82,4	58,0 / 58,6	66,4 / 65,6	57,5 / 56,6	60,0 / 59,2	47,4 / 47,2	43,6 / 43,4	-41 / -41
აზერბაიჯანი	76,4 / 76,8	64,7 / 65,5	58,3 / 57,9	56,0 / 54,3	62,7 / 59,1	60,3 / 54,5	62,7 / 56,2	62,7 / 56,3	-18 / -27
ტაჯიკეთი	79,7 / 75,6	71,9 / 71,5	71,3 / 69,4	64,0 / 60,3	53,9 / 51,8	54,4 / 53,7	58,9 / 58,1	61,0 / 54,0	-24 / -30
ბელორუსია	82,0 / 82,1	83,4 / 83,3	64,8 / 64,9	62,6 / 63,0	66,0 / 66,1	62,9 / 63,1	65,7 / 65,8	60,6 / 60,8	-26 / -26

ურნეობათა რეორგანიზება. აქ პრივატიზების უმთავრესი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მიწა არ წარმოადგენს კერძო საკუთრების ობიექტს, ე.ი. არ ექვემდებარება ყიდვა-გაყიდვას. ეს განპირობებულია იმით, რომ ყაზახეთის ბუნებრივ-კლიმატური პირობების გამო უზარმაზარი მიწის მასივები პრაქტიკულად არ ექვემდებარება

* წილადის მრიცხველი აღნიშნავს სურსათის წარმოების, მნიშვნელი კი – სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ინდექსს.

** ცხრილი შედგენილია FAO-ს ოფიციალური მონაცემების მიხედვით[1.17].

მცირე ზომის ნაკვეთებად დანაწევრებას. ასეთ პირობებში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს კოლექტიურ საკუთრებას.

უნდა აღინიშნოს, რომ პრივატიზების პროცესი ყაზახეთის აგროსასურსათო სექტორში ხორციელდება წარმოების განვითარების სირთულეების გაუთვალისწინებლად. ამასთან, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებზე, აგრეთვე იმ საწარმოებზე, რომლებიც დაკავებულნი არიან მათი მომსახურებით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავებითა და შენახვით, ვრცელდება პრივატიზების სპეციალური რეჟიმი, პრივატიზების ეროვნული პროგრამის ფარგლებში. 1995 წლისათვის პრივატიზებული იყო ყაზახეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ საბჭოთა მეურნეობათა თითქმის 70 %.

ამავე დროს რესპუბლიკაში მთლიანად პრივატიზების პროცესი ექსპერტთა უმრავლესობის მიერ შეფასებულია, როგორც „შემაფერხებელი." ეს განპირობებულია რიგი ფაქტორებით, რომელთა შორის ძირითადია შემდეგი: ინფლაცია, ფასების ლიბერალიზება, არასრულყოფილი ბაზარი ფასთა დამახინჯებული სტრუქტურით[3.9, გვ.264].

საგულისხმოა, რომ 1996-2000 წლებში ყაზახეთის ხელისუფლებამ გარკვეული ძალისხმევა მიმართა, რათა შეემუშავებინა და აგროსასურსათო კომპლექსის სისტემაში დაენერგა წარმოების დაცემის აღკვეთასა და სიტუაციის სტაბილიზებაზე მიმართული რიგი სტრატეგიული პროგრამები. მიზნად იქნა დასახული ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების მდგრადი დონის უზრუნველყოფა კვების პროდუქტების შიდა წარმოების ზრდის გათვალისწინებით.

ასეთი პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ელემენტებს შორის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის გარდა, უნდა გამოიყოს შემდეგი: მტკიცე და მოქნილი საფინანსო-საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბება; აგროსასურსათო კომპლექსის დარგთა ტექნიკური და ტექნოლოგიური გადაიარაღების პროგრამის შემუშავება; აგრარულ ურთიერთობათა სრულყოფა, მიწის კოდექსის მომზადების ჩათვლით. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საბაჟო-სატარიფო რეგულირების მექანიზმის სრულყოფას, საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურებას და სასურსათო საქონელმწარმოებელთა სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ფორმებისა და მეთოდების შემუშავებას. აგროსასურსათო სტრატეგიის პრიორიტეტთა შორის სახელმწიფოს პოლიტიკაში ძირითად ადგილს დაიკავებს სასურსათო უსაფრთხოებისა და

სურსათის ძირითადი სახეებით მოსახლეობის საიმედოდ და განუხრელად მომარაგების საკითხები.

ყაზახეთი ისწრაფვის უფრო მჭიდრო კონტაქტები დაამყაროს სურსათითა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით ვაჭრობაში არა მხოლოდ ᲓᲡᲗ-ს სახელმწიფოებთან, არამედ აგრეთვე ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებთანაც. ასეთი პოლიტიკის გატარება შეესაბამება ᲗᲛᲝ-ის პრინციპებს, ორგანიზაციისა, რომელში გაწევრიანებაზე ყაზახეთმა უკვე გააკეთა განაცხადი.

არანაკლებ საინტერესოა ᲓᲡᲗ-ში ასევე მსხვილი პარტნიორის — უკრაინის აგროსასურსათო სექტორში არსებული მდგომარეობისა და განვითარების ძირითადი ტენდენციების მოკლე მიმოხილვა. საკითხის განხილვის აქტუალობაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ 1990 წელს უკრაინის სასურსათო პოტენციალი აჭარბებდა დასავლეთის რიგი წამყვანი სახელმწიფოების (მ.შ. აშშ-ის) პოტენციალს და ლიდერობდა მსოფლიოში ზოგიერთი ძირითადი კვების პროდუქტების წარმოების მხრივ. თუმცა, რეფორმირების წლებმა ნეგატიური გავლენა იქონია ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო პოტენციალზე.

უკრაინის აგროსასურსათო კომპლექსი, რომელიც წარმოებული სურსათისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მთლიანი მოცულობის 55%-მდე ნაწილის ექსპორტირებას ახდენდა რეფორმამდელ პერიოდში, ამჟამად განიცდის კოლოსალურ სიძნელეებს. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში უკრაინის სოფლის მეურნეობა იმყოფება კრიზისის მდგომარეობაში. აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, აქ უფრო მაღალი ტემპებით მიმდინარეობს ძირითადი საწარმოო ფონდების ნგრევა და სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გაუარესება. ეს, თავის მხრივ, იწვევს წარმოების დაცემას, რაც შეინიშნება ტრანსფორმაციული პროცესების დასაწყისიდან.

ჯერ კიდევ უახლოეს წარსულში უკრაინა ითვლებოდა ერთ-ერთ მდიდარ რესპუბლიკად. მაგრამ, 1991-1999 წლებში ქვეყანა უკვე იძულებული იყო იმპორტით შეესყიდა კვების პროდუქტების მნიშვნელოვანი ნაწილი. FAO-ს მონაცემებით, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინდექსი 1992 წლიდან 1999 წლამდე 72,9-დან 46,6-მდე

დაეცა, ხოლო მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება 1,7-ჯერ შემცირდა.

თუ 1990 წელს უკრაინა ლიდერობდა მსოფლიოში ზოგიერთი ძირითადი კვების პროდუქტის წარმოების მხრივ მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით (ცხრილი 16), რესპუბლიკის აგროსასურსათო სექტორის რეფორმირების პროცესის დაწყებიდან ათი წლისთავისათვის წარმოების დაცემამ უკრაინაში არსებითად შეცვალა პროპორციები და მან მოცემული მაჩვენებლის მიხედვით, ყველაზე განვითარებულ ქვეყნებს შორის, ლიდერის პოზიციებიდან უკანასკნელ ადგილზე გადაინაცვლა.

აღნიშნული გარემოება, უწინარეს ყოვლისა, აიხსნება იმით, რომ სასოფლო-სამეურნეო სექტორის ხვედრითი წილი უკრაინის მშპ-ში 1993-1998 წლებში შემცირდა 37%-ით. დსთ-ს ქვეყნებიდან ამ მაჩვენებელზე ქვემოთ დაეშვა მხოლოდ საქართველო, სადაც სასოფლო-სამეურნეო სექტორის ხვედრითი წილი მშპ-ში აღნიშნული წლებისათვის 63%-ით შემცირდა.

რეფორმირების წლებში უკრაინის სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო პოტენციალი იმდენად დასუსტდა, რომ ამჟამად ქვეყნის მოსახლეობა მოიხმარს ფიზიოლოგიური მინიმუმით გათვალისწინებულზე გაცილებით ნაკლებ სურსათს: რძეს — 28%-ით, კვერცხს — 25%-ით, ხორცს — 6%-ით და თევზს — 80%-ით[3.16, გვ.6].

მიუხედავად იმისა, რომ რეფორმირების პერიოდში კვების პროდუქტების წარმოება და მოხმარება არსებითად შემცირდა წინა წლებთან შედარებით, უკრაინის აგროსასურსათო სექტორის შემდგომი რეფორმირების აუცილებლობა ეჭვს არ იწვევს წამყვან მეცნიერ-ეკონომისტებსა და სპეციალისტებში. აგროსასურსათო სექტორის წარმატებული განვითარებისათვის სახელმწიფოს გააჩნია ყველა აუცილებელი პირობა.

რეფორმირების დასაწყისიდან დღემდე უკრაინის მიერ განვლილი გზა — საბაზრო ურთიერთობათა ფორმირება — პირდაპირ აისახება აგროსასურსათო სექტორის განვითარებაზე, გავლენას ახდენს მისი სტრუქტურის მდგომარეობაზე, განაპირობებს რიგ პოზიტიურ და ნეგატიურ პროცესებს. უკრაინის აგროსასურსათო სექტორში ეკონომიკურ ურთიერთობათა მთელი კომპლექსის რეფორმირების შედეგების

ცხრილი 16. უკრაინის ადგილი მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებს შორის, კვების პროდუქტების წარმოების მიხედვით მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, 90-იანი წლების დასაწყისში (კგ, წელიწადში)*

ქვეყანა	შაქარი	კარტოფილი	კვერცხი, ცალი	რძე	ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურები	მარცვლეული	ხორცი	თევზი
უკრაინა	131	323	314	473	139	1026	84	22
აშშ	22	68	284	269	108	1253	123	24
კანადა	50	96	240	305	89	2140	96	54
დიდი ბრიტანეთი	22	111	232	266	64	407	66	16
საფრანგეთი	76	83	264	488	120	1030	112	16
გერმანია	54	119	208	388	31	428	90	4
იტალია	26	43	190	195	242	303	64	10
იაპონია	7	28	313	65	127	114	31	97
უკრაინის ადგილი	1-ლი	1-ლი	1-ლი	2-რე	2-რე	მე-4	მე-5	მე-4

ანალიზი იძლევა რიგი მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას.

სახელმწიფო და კოლექტიური საკუთრების ობიექტების განსახელმწიფოებრივებისა და პრივატიზების პროცესში განვითარებას პოულობენ მეურნეობრიობის სხვადასხვა ფორმები და ტიპები. უკანასკნელ პერიოდში სოფლად ტარდება ისეთი აგრარული პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს უპირატესად ოჯახური ტიპის ფერმერულ მეურნეობათა განვითარებასა და განმტკიცებას. ამასთან, კოლექტიური მეურნეობა რჩება წამყვანად და კოლექტიურ საკუთრებას ყველა საფუძველი გააჩნია იმისათვის, რათა აქტიურად მონაწილეობდეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესში.

ასეთ დასკვნას მხარს უჭერს უკრაინის მეცნიერ-ეკონომისტთა და სპეციალისტთა უმრავლესობა. მათი აზრი ერთიანია იმაში, რომ

* ცხრილი მოტანილია ლიტერატურული წყაროდან[3.9, გვ.283], ჩვენეული მოდიფიცირებით.

უკრაინაში ჩამოყალიბებულ არასტაბილურ სიტუაციაში არ შეიძლება მეურნეობრიობის არსებული ფორმების მასობრივი ნგრევა, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს კოლექტიურ საწარმოებს — სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ძირითად მწარმოებლებს. იმავდროულად უარყოფილი არ არის საკუთრებისა და მეურნეობრიობის სხვა ფორმების აუცილებლობაც. პერსპექტივაში აგრარულ ურთიერთობათა რაციონალური მოდელის შერჩევა მოითხოვს მრავალი ფაქტორის შედარებით ანალიზს და ამ სფეროში როგორც ეროვნული ტრადიციების, ასევე განვითარებული ქვეყნების მოწინავე გამოცდილების ყოველმხრივ შესწავლას.

უკრაინა ჯერ კიდევ იმყოფება თავისი სავაჭრო და აგრარული ურთიერთობების გარდაქმნის პროცესში, რაც, უწინარეს ყოვლისა, წარმოადგენს მის მიერ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღების ასახვას. ადრე სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო საქონელნაკადები ფორმირდებოდა ადმინისტრაციული სისტემის მიერ და არა საბაზრო სიგნალების ზემოქმედებით. აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა საქონელნაკადების მკვეთრი ცვლილება ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შორის. ძველი საწარმოო სპეციალიზაციის ზოგიერთი სახეობა, ისეთი, როგორიცაა, მაგალითად, უკრაინის სპეციალიზაცია მარცვლეულის, ხორცისა და რძის პროდუქციის წარმოებაზე, ამჟამად ძნელად რეალიზებადია.

და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ უკრაინის აგროსასურსათო სექტორში მიმდინარეობს მეტად რთული და წინააღმდეგობრივი პროცესები, ხოლო სასოფლო-სამეურნეო წარმოების თანამედროვე მდგომარეობა ხასიათდება სურსათის ძირითად სახეობათა წარმოების საერთო მოცულობის შემცირებით, ეკონომიკური ურთიერთობები იწყებენ ცივილიზებული ელფერის მიღებას, ხოლო საბაზრო რეფორმები — თავიანთი პოზიტიური შედეგების მოცემას.

ასე მაგალითად, 2000 წელს შესამჩნევად გაუმჯობესდა მეურნეობათა ფინანსური მდგომარეობა შესასყიდი ფასების ამაღლების, პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე დანახარჯების შემცირების წყალობით. ბაზარი, რეალიზაციის სფერო აძლიერებს ურთიერთკავშირს კვების პროდუქტების წარმოებასა და მოხმარებას შორის, საბაზრო ეკონომიკა კი ქმნის ქმედით სტიმულებს უფრო ეფექტიანი შრომისათვის. ამიტომ სწორედ ბაზრის კატეგორიათა გამოყენება

წარმოადგენს უკრაინის მთელი სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო პოტენციალის ეფექტიანობის ამაღლების რეალურ პირობას.

უკრაინის სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო პოტენციალის გამოყენება, და მაშასადამე, აგროსასურსათო სექტორის სამომავლო კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია ორ მნიშვნელოვან ფაქტორზე. ჯერ-ერთი, იმაზე, თუ რამდენად შეიცვლება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამოყენება და მეცხოველეობის სტრუქტურა. აღმოსავლეთ ევროპის მრავალ ქვეყანაში რეფორმირების პროცესში არსებითად შეიცვალა მიწების განაწილება სხვადასხვა კულტურებს შორის. უკრაინაში, სადაც რეფორმირების დაწყებამდე იგი იყო ძალზე დეფორმირებული, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურაში მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებები განხორციელდა. მეორე, იმაზე, თუ როგორი ხარისხით ამაღლდება მოსავლიანობა – მემცენარეობაში და პროდუქტიულობა - მეცხოველეობაში, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენების წყალობით, თუნდაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების არსებული გამოყენების პირობებში.

უკრაინის, ისევე როგორც ᲓᲡᲗ-ს ნებისმიერი სხვა ქვეყნის, აგროსასურსათო სექტორის პოტენციალი შეიძლება მნიშვნელოვნად განმტკიცდეს, თუ ხელისუფლება დაადგენს აგრარული რეფორმის ნათელ ორიენტირებს. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა აგროსასურსათო კომპლექსების დღევანდელი სისუსტე და ჩამორჩენილობა მხოლოდ პირველი შეხედვითაა გამოწვეული ტექნიკისა და კაპიტალის უკმარისობით. მათი ძირითადი ნაკლი იმალება სტრუქტურული რეფორმების უკმარისობასა და ბაზრის ინსტიტუტების განუვითარებლობაში, რომელთა შექმნა ხელისუფლების პრეროგატივაა. მხოლოდ ამ ინსტიტუტების შექმნის შემდეგ შეიძლება მოხდეს აგროსასურსათო სექტორის ტექნიკური და ფინანსური პრობლემების გრძელვადიანი და ეფექტიანი გადაწყვეტა.

IV თავი

საბაზრო რეფორმირების ზოგადი ტენდენციები და სასურსათო უსაფრთხოების თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში

4.1. აბრარული გარდაქმნები და მათი გავლენა ქვეყნის სასურსათო პოტენციალზე

საქართველოს აგროსასურსათო კომპლექსი ტრადიციულად უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა ქვეყნის ეროვნულ მეურნეობაში. იგი წარმოებით ურთიერთობათა მყარ ეკონომიკურ საფუძველზე ვითარდებოდა ყოფილ საბჭოთა სისტემაში და წარმოდგენილი იყო მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობისა და მისი ნედლეულის გადამამუშავებელი კვების მრეწველობის შესაბამისი დარგების მეტნაკლები განვითარებით, რომელთაგან წამყვანი ადგილი ჩაის, ღვინის, ხილ-ბოსტნეულის კონსერვების, მინერალური წყლების, თამბაქოს და ეთერზეთების წარმოებას ეკავა.

ნიშანდობლივია, რომ მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსათვის საქართველოს აგროსასურსათო სექტორის წილად მოდიოდა ქვეყნის მშპ-ის 55, ეროვნული შემოსავლის 49 და ძირითადი საწარმოო ფონდების 42 პროცენტი. ამასთან, ქვეყანას მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ყოფილი საკავშირო სასურსათო ფონდის ფორმირებაში. თუმცა, საქართველო ადგილობრივი დანიშნულების კვების ძირითადი პროდუქტების (ხორცის, რძის, მცენარეული ზეთის, ხორბლის) წარმოებით სრულად ვერ უზრუნველყოფდა საკუთარი მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და ამ პროდუქტების დიდი ნაწილი ქვეყნის ფარგლებს გარედან შემოდიოდა. საგულისხმოა, რომ ადგილობრივი წარმოების ხორცითა და ხორცის პროდუქტებით, რძითა და რძის პროდუქტებით, პურითა და პურპროდუქტებით საქართველო მოთხოვნილებას იკმაყოფილებდა 1985 წელს შესაბამისად: 54,5; 31,7 და 14,4%-ით, ხოლო 1990 წელს – 15,5; 32,4 და 20,5%-ით.

90-იანი წლების დასაწყისიდან, საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარდაქმნების ფონზე, მოსახლეობა მრავალი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, რომელთა შორის ადამიანთა განწყობაზე, ჯანმრთელობასა და სოციალურ მდგომარეობაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს სასურსათო უზრუნველყოფისა და უსაფრთხოების პრობლემები.

საქართველოს მიმართ გამოყენებულმა რუსეთის აგრესიულმა პოლიტიკამ ჩიხში მოაქცია ქვეყნის ეკონომიკური სისტემა. ტერიტორიების დაკარგვამ, სატრანსპორტო მაგისტრალების ბლოკირებამ და სამეურნეო კავშირების მოშლამ საქართველოს პროდუქცია გამოდევნა ტრადიციული ბაზრებიდან, ფუნქციონირება შეწყვიტა ექსპორტზე ორიენტირებულმა მრავალმა მსხვილმა და საშუალო საწარმომ. ფულად-საკრედიტო სისტემის მოშლამ განაპირობა მიწოდება-მოხმარების დეფიციტი, რითაც გზა გაეხსნა ქვეყნის შიდა ბაზარზე უცხოური დაბალხარისხიანი და ფალსიფიცირებული, მაგრამ იაფფასიანი პროდუქციის შემოდინებას.

საგულისხმოა, რომ მიმდინარე ეკონომიკური კრიზისის პირობებში საქართველო პირველად აღმოჩნდა მსოფლიოში დაბალი ფულადი შემოსავლებისა და სურსათის დეფიციტის მქონე 82 სახელმწიფოთა რიცხვში, მისი მოსახლეობა კი ამ ქვეყნებში მცხოვრები 800 მილიონიანი არმიის წევრი გახდა. დღეისათვის საქართველოში 120 ათასი ბენეფიციარი სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით ღებულობს გადაუდებელ სასურსათო დახმარებას და კიდევ 65 ათასი ადამიანი – „სასურსათო დახმარებას შრომის ანაზღაურების საფასურად". ამასთან, ევროკავშირის მისიის ექსპერტთა შეფასებით, ამჟამად საქართველოს მოსახლეობის 25-30 პროცენტი იმყოფება სიღატაკის ზღვარს ქვემოთ. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ საქართველოს მოსახლეობის არც თუ შორეული წარსულის ცხოვრების დონეს და ქართველი კაცის შეხედულებას შიმშილისა და სიღატაკის მიმართ, სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფთა რიცხვი ქვეყანაში გაცილებით მეტი აღმოჩნდება.

საქართველოს კვების მრეწველობა 1991-1995 წლებში არსებული მძაფრი ინფლაციის, საბრუნავი საშუალებების მწვავე დეფიციტისა და ენერგეტიკული კრიზისის ფონზე მოუმზადებელი აღმოჩნდა გარდაქმნისა და ახალ პირობებში მუშაობისათვის. მან ფაქტობრივად

ველარ შეასრულა სოფლის მეურნეობისათვის დამკვეთისა და გამწევი ძალის როლი და ადგილი დაუთმო სხვა ქვეყნების მიერ შემოთავაზებულ „ველურ ბაზარს“. ამასთან, სოფლად გარდაქმნების ზედაპირულად, ისტორიული გამოცდილებისა და ტრადიციების, საზოგადოებაში დამკვიდრებული ფსიქოლოგიის გაუთვალისწინებლად განხორციელებამ სასოფლო-სამეურნეო წარმოების კატასტროფული დაცემა გამოიწვია. კერძოდ, 1995 წელს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულება 1986-1990 წლების საშუალო-წლიურ მაჩვენებელს 75 პროცენტით ჩამორჩა, რის გამოც მოსახლეობას დააკლდა დიდი ოდენობით სასიცოცხლო მნიშვნელობის სასურსათო პროდუქტები.

სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მწარმოებლებსა და გადამამუშავებლებს შორის საწარმოო-ეკონომიკური კავშირის შესუსტებამ ორგანიზებული საქონელმწარმოებელი თანდათანობით გამოდევნა ქვეყნის ბაზრიდან; დაიკარგა მეზობელი ქვეყნების ბაზრებზე მოპოვებული პოზიციებიც. კლასიკური საქონელწარმოების რეგიონებში დაიწყო არქაულ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ნატურალური მეურნეობის რეანიმაცია, რომელსაც, რაც არაერთგზის აღნიშნულა ჩვენს მიერ, კონკურენტულ გარემოში გრძელვადიანი წარმატების პერსპექტივა არ გააჩნია[3.8, გვ.68].

90-იანი წლების პირველ ნახევარში ტრადიციული ეკონომიკური კავშირების მოშლის, ნედლეულისა და გასაღების ბაზრების დაკარგვისა და საერთო სოციალურ-პოლიტიკური დაძაბულობის პირობებში ადგილი ჰქონდა ქვეყნის აგროსასურსათო კომპლექსის ეკონომიკურ დაქვეითებას, რამაც 1995 წლისათვის კრიტიკულ ზღვარს მიაღწია.

ამის შედეგად ქვეყანაში მკვეთრად შემცირდა ძირითადი სასურსათო პროდუქტების საშუალო – წლიური მოხმარების დონე, გაუარესდა მისი სტრუქტურა. კერძოდ, 1995 წელს რძისა და რძის პროდუქტების საშუალო – წლიურმა მოხმარებამ შეადგინა 1990 წლის დონის 31,4 პროცენტი, ხოლო პურისა და პურის პროდუქტების, ბოსტნეულის, კარტოფილის, ხორცისა და ხორცის პროდუქტების, კვერცხისა და შაქრის საშუალო – წლიურმა მოხმარებამ კი – შესაბამისად: 83,1; 77,8; 71,8; 34,2; 47,2 და 35,3 პროცენტი[1.11, გვ.12]. მაშასადამე, ქვეყნის მოსახლეობა რეალურად დადგა შიმშილის პრობლემის წინაშე.

საქართველოში შექმნილი უმძიმესი სასურსათო მდგომარეობის დაძლევის მიზნით ქვეყნის ხელისუფლებამ 1995 წლიდან დაიწყო რადიკალური აგრარული რეფორმის კურსის გატარება, რის შედეგადაც შეჩერებულ იქნა ტოტალური დაცემის პროცესი და ცალკეული მიმართულებებით შესამჩნევი გახდა მდგომარეობის გაუმჯობესების ტენდენცია.

ქვეყანაში მიმდინარე აგრარული რეფორმის უმთავრესი მიზანია ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების მაღალი დონის მიღწევა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცება, აგროსასურსათო კომპლექსის პოტენციალის სრულად გამოყენების გზით. ქვეყნის აგროსასურსათო სექტორის პოტენციალის ეფექტურად გამოყენებამ უნდა უზრუნველყოს არა მარტო ადგილობრივი წარმოების სურსათზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, არამედ აგრეთვე მათი დასაქმება, შრომის საერთაშორისო დანაწილების სისტემაში საქართველოს აქტიურად ჩართვა და მისი საექსპორტო შემოსავლების ზრდა.

აგრარულ გარდაქმნებს საფუძველი დაუდო მიწის რეფორმის განხორციელებამ, რომლის მსვლელობაში ფუნდამენტური მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებს: „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ", „სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის შესახებ", „მიწის რეგისტრაციის შესახებ." ქვეყანაში მიწის ბაზრის ფორმირება და მისი სახელმწიფოებრივი რეგულირება მიმდინარეობს თანმიმდევრულად და ეტაპობრივად. იგი უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო წარმოების უპირატეს განვითარებას, მიწის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებას და სურსათით მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დონის ზრდას.

მიწის პრივატიზების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა კერძო საკუთრებაში არსებული მიწის საერთო ფართობი. ასე მაგალითად, კერძო საკუთრებაში არსებულმა მიწის ფართობმა საშუალოდ ერთ კომლზე გაანგარიშებით 1998 წელს შეადგინა 0,9ჰა., მაშინ როდესაც იგი 1990 წელს შეადგენდა 0,26 ჰა-ს. 1998 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, სოფლად მცხოვრებ 693,4 ათას კომლს საკუთრებაში ჰქონდა 717,3 ათასი ჰა მიწის ფართობი (1,03 ჰა საშუალოდ ერთ კომლზე გაანგარიშებით), ხოლო ქალაქად მცხოვრებ 326,4 ათას

ოჯახს — 72,4 ათასი ჰა (0,22 ჰა საშუალოდ ერთ ოჯახზე გაანგარიშებით)[3. 6, გვ. 60].

საგულისხმოა ისიც, რომ კერძო სექტორის წილი მიწისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება. კერძოდ, 2003 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კერძო სექტორის წილად მოდიოდა მიწის საერთო ფართობის 12,4% (944,1 ათასი ჰა) და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 25,2% (763,0 ათასი ჰა), მაშინ როდესაც აღნიშნული მაჩვენებლები 1991 წელს შეადგენდა 2,9%-ს (211,4 ათასი ჰა) და 6,0%-ს (195,3 ათასი ჰა).

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობების განაწილებასა და სტრუქტურაზე, საკუთრების ფორმების მიხედვით, 1986-2003 წლებში ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მე-17 ცხრილში მოტანილი მონაცემები.

როგორც მე-17 ცხრილში მოტანილი მონაცემების ანალიზით ირკვევა, 2003 წელს, 1986 წელთან შედარებით, კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულის საერთო ფართობი გაიზარდა — 4,1-ჯერ (579,4 ათასი ჰა-ით), სახნავისა — 4,5-ჯერ (339,9 ათასი ჰა-ით), მრავალწლიანი ნარგავისა — 2,1-ჯერ (96,7 ათასი ჰა-ით) და სათიბისა — 16,8-ჯერ (39,4 ათასი ჰა-ით).

ამის შესაბამისად, 1985-2002 წლებში 5,8-ჯერ (424 ათასი ჰა-ით) გაიზარდა ოჯახურ მეურნეობებში არსებული ნათესი ფართობები. 2002 წლის მონაცემებით, ოჯახურ მეურნეობათა წილად მოდიოდა მთელი ნათესი ფართობების 90,9% (513,0 ათასი ჰა), მათ შორის, მარცვლოვან-პარკოსანი კულტურების ნათესი ფართობის 92,7%, ტექნიკური კულტურების — 95,9, კარტოფილისა და ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების — 93,2 და საკვები კულტურების ნათესი ფართობის — 68,7% (ცხრილი 18).

კერძო სექტორის გაბატონებული მდგომარეობა დამკვიდრდა მეცხოველეობის დარგშიც. 2002 წლის მონაცემებით, კერძო მფლობელობაშია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობის 99,6%, ფუერისა და ფურკამეჩის - 99,7%, ღორის - 99,9%, ცხვრისა და თხის 96,1%, ფრინველის 98,8%, ბოცვერის 94,8% და ფუტკრის ოჯახის 97,0% (ცხრილი 19).

ცხრილი 17. სასოფლო-სამეურნეო საქარგულების წართობების განაწილება (1000 ჰა) და მათი სტრუქტურა (%-ობით ჯამთან), საკუთრების ფორმების მიხედვით, 1986-2003 წწ (წლის დასაწყისისათვის)*

	1986 წ.		1991 წ.		1999 წ.		2000 წ.		2001 წ.		2002 წ.		2003 წ.	
	ათასი ჰა	%	ათასი ჰა	%	ათასი ჰა	%	ათასი ჰა	%	ათასი ჰა	%	ათასი ჰა	%	ათასი ჰა	%
სასოფლო-სამეურნეო საქარგული														
ყველა კატეგორიაში	3267.1	100	3275.4	100	3063.5	100	3018.4	100	3019.7	100	3022.7	100	3023.5	100
კერძო საკუთრებაში	183.6	5.6	195.3	6.0	750.1	24.5	762.1	25.2	762.1	25.2	763.0	25.2	763.0	25.2
სახელმ. საკუთრებაში	3083.5	94.4	3080.1	94.0	2313.4	75.5	2256.3	74.8	2257.6	74.8	2259.7	74.8	2260.5	74.8
სახნავი														
ყველა კატეგორიაში	783.2	100	790.4	100	791.9	100	790.4	100	792.9	100	795.3	100	798.7	100
კერძო საკუთრებაში	96.4	12.3	95.9	12.1	431.7	54.5	433.9	54.9	434.1	54.7	436.6	54.9	436.3	54.6
სახელმ. საკუთრებაში	686.8	87.7	694.5	87.9	360.2	45.5	356.5	45.1	358.8	45.3	358.7	45.1	362.4	45.4
მრავალწლიანი ნარგავები														
ყველა კატეგორიაში	357.0	100	336.9	100	269.8	100	270.1	100	269.3	100	267.9	100	264.9	100
კერძო საკუთრებაში	84.7	23.7	97.6	29.0	181.8	67.4	182.3	67.5	182.5	67.8	181.1	67.6	181.4	68.5
სახელმ. საკუთრებაში	272.3	76.3	239.3	71.0	88.0	32.6	87.8	32.5	86.8	32.2	86.8	32.4	83.6	31.5
სათიბი														
ყველა კატეგორიაში	176.3	100	158.4	100	142.7	100	142.5	100	142.3	100	142.5	100	143.2	100
კერძო საკუთრებაში	2.5	1.4	1.8	1.1	39.6	27.7	41.5	29.1	41.3	29.0	41.9	29.4	41.9	29.3
სახელმ. საკუთრებაში	173.8	98.6	156.6	98.9	103.1	72.3	101.0	70.9	101.0	71.0	100.6	70.6	101.3	70.7
საძოვარი														
ყველა კატეგორიაში	1947.7	100	1983.7	100	1839.7	100	1796.0	100	1795.8	100	1797.2	100	1796.9	100
კერძო საკუთრებაში	–	–	–	–	77.6	4.2	85.0	4.7	84.8	4.7	83.6	4.7	83.6	4.7
სახელმ. საკუთრებაში	1947.7	100	1983.7	100	1762.1	95.8	1711.0	95.3	1711.0	95.3	1713.6	95.3	1713.3	95.3
ნასვენი														
ყველა კატეგორიაში	2.9	100	6.0	100	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
კერძო საკუთრებაში	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
სახელმ. საკუთრებაში	2.9	100	6.0	100	–	–	–	–	–	–	–	–	–	–

* ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების მიხედვით[1.11, გვ.19-20].

ცხრილი 18. სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობები (1000 ჰა) და მათი სტრუქტურა (%-ობით ჯამთან), მეურნეობათა კატეგორიების მიხედვით, 1985-2002 წწ*

	1985 წ.		1990 წ.		1995 წ.		1999 წ.		2000 წ.		2001 წ.		2002 წ.	
	ათასი ჰა	%	ათასი ჰა	%	ათასი ჰა	%	ათასი ჰა	%	ათასი ჰა	%	ათასი ჰა	%	ათასი ჰა	%
ყველა კატეგორიის მეურნეობებში														
ნათესი ფართობი სულ	730.1	100	701.9	100	453.1	100	616.1	100	594.7	100	610.8	100	564.5	100
მათ შორის:														
მარცვლეული და მარცვლოვან-პარკოსანი კულტურები	272.7	100	269.8	100	259.9	100	415.8	100	378.8	100	386.4	100	380.1	100
ტექნიკური კულტურები	39.1	100	33.1	100	41.0	100	59.0	100	75.8	100	69.8	100	46.7	100
კარტოფილი და ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურები	76.7	100	70.0	100	54.3	100	84.7	100	85.7	100	93.1	100	85.9	100
საკვები კულტურები	341.6	100	329.0	100	97.9	100	56.6	100	54.4	100	61.5	100	51.8	100
ოჯახურ მეურნეობებში														
ნათესი ფართობი სულ	89.0	12.2	92.5	13.2	220.4	48.6	478.0	91.3	543.2	90.4	558.3	90.9	513.0	90.9
მათ შორის:														
მარცვლეული და მარცვლოვან-პარკოსანი კულტურები	53.1	19.5	55.8	20.7	143.2	55.1	338.1	90.7	343.6	91.4	359.4	92.7	352.5	92.7
ტექნიკური კულტურები	2.5	6.4	2.2	6.6	6.0	14.6	36.4	91.8	69.6	89.5	62.5	95.9	44.8	95.9
კარტოფილი და ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურები	28.5	37.2	29.6	42.3	48.5	89.3	75.4	97.2	83.3	98.6	91.8	93.2	80.1	93.2
საკვები კულტურები	4.9	1.4	4.9	1.5	22.7	23.2	28.1	85.8	46.7	72.5	44.6	68.7	35.6	68.7
სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში														
ნათესი ფართობი სულ	641.1	87.8	609.4	86.8	232.7	51.4	138.1	8.7	51.5	9.6	52.5	9.1	51.5	9.1
მათ შორის:														
მარცვლეული და მარცვლოვან-პარკოსანი კულტურები	219.6	80.5	214.0	79.3	116.7	44.9	77.7	9.3	35.2	8.6	27.0	7.3	27.6	7.3
ტექნიკური კულტურები	36.6	93.6	30.9	93.4	35.0	85.4	22.6	8.2	6.2	10.5	7.3	4.1	1.9	4.1
კარტოფილი და ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურები	48.2	62.8	40.4	57.7	5.8	10.7	9.3	2.8	2.4	1.4	1.3	6.8	5.8	6.8
საკვები კულტურები	336.7	98.6	324.1	98.5	75.2	76.8	28.5	14.2	7.7	27.5	16.9	31.3	16.2	31.3

* ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების მიხედვით[1.11, გვ.50-51].

ცხრილი 19. პირუტყვის სულადობა (1000 სული) და მისი სტრუქტურა (%-ობით ჯამთან), მეურნეობათა კატეგორიების მიხედვით), 1986-2002 წწ (წლის დასაწყისისათვის) *

	1986 წ.		1991 წ.		1996 წ.		2000 წ.		2001 წ.		2002 წ.	
	აბსოლუტური	%	აბსოლუტური	%	აბსოლუტური	%	აბსოლუტური	%	აბსოლუტური	%	აბსოლუტური	%
ყველა კატეგორიის მეურნეობებში												
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი – სულ	1645.5	100	1298.3	100	973.6	100	1122.1	100	1177.4	100	1180.2	100
მათ შორის:												
ფური და ფურკამეჩი	649.2	100	551.7	100	531.3	100	640.1	100	646.3	100	678.3	100
ლორი	1173.4	100	880.2	100	352.6	100	411.1	100	443.4	100	445.4	100
ცხვარი და თხა	1979.6	100	1618.1	100	724.8	100	633.4	100	627.6	100	659.2	100
ცხენი	25.0	100	19.6	100	23.8	100	34.1	100	34.9	100	38.6	100
ფრინველი, ათასი ფრთა	24295.6	100	21759.7	100	13846.7	100	8473.3	100	7825.5	100	8494.6	100
ბოცვერი, ათასი სული	272.2	100	262.1	100	17.9	100	12.9	100	16.8	100	17.3	100
ფუტკრის ოჯახი, ათასი სკა	126.5	100	95.8	100	54.7	100	94.2	100	97.6	100	104.9	100
ოჯახურ მეურნეობებში												
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი – სულ	969.3	58.9	829.4	63.9	916.9	94.2	1111.1	99.0	1170.6	99.4	1175.0	99.6
მათ შორის:												
ფური და ფურკამეჩი	461.1	71.0	413.1	74.9	505.9	95.2	635.4	99.3	643.5	99.6	676.1	99.7
ლორი	636.1	54.2	523.2	59.4	328.4	98.5	409.6	99.6	442.6	99.8	445.2	99.9
ცხვარი და თხა	880.3	44.5	705.4	43.6	576.1	79.5	595.0	93.9	599.8	95.6	633.5	96.1
ცხენი	18.5	74.0	14.7	75.4	22.5	94.5	33.6	98.5	34.5	98.9	38.2	99.0
ფრინველი, ათასი ფრთა	9656.6	39.8	10870.0	50.0	13666.5	98.7	8389.4	99.0	7743.5	99.0	8390.2	98.8
ბოცვერი, ათასი სული	42.5	15.6	28.5	10.9	7.3	40.8	12.4	96.1	16.8	100	16.4	94.8
ფუტკრის ოჯახი, ათასი სკა	57.6	45.5	48.2	50.3	45.5	83.2	90.4	96.0	97.6	100	104.6	97.0
სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში												
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი – სულ	676.2	41.1	468.9	36.1	56.7	5.8	11.0	1.0	6.8	0.6	5.2	0.4
მათ შორის:												
ფური და ფურკამეჩი	188.1	29.0	138.6	25.1	25.4	4.8	4.7	0.7	2.8	0.4	2.2	0.3
ლორი	537.3	45.8	357.0	40.6	24.3	6.9	1.5	0.4	0.8	0.2	0.2	0.1
ცხვარი და თხა	1099.3	55.5	912.7	56.4	148.7	20.5	38.4	6.1	27.8	4.4	25.7	3.9
ცხენი	6.5	26.0	4.9	24.6	1.3	5.5	0.5	1.5	0.4	1.1	0.4	1.0
ფრინველი, ათასი ფრთა	14639.0	60.2	10889.7	50.0	180.2	1.3	83.9	1.0	82.0	1.0	104.4	1.2
ბოცვერი, ათასი სული	229.7	84.4	233.6	89.1	10.6	59.2	0.5	3.9	–	–	0.9	5.2
ფუტკრის ოჯახი, ათასი სკა	68.9	54.5	47.6	49.7	9.2	16.8	3.8	4.0	–	–	0.3	0.3

* ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების მიხედვით[1.11, გვ.123-124].

მე-19 ცხრილში მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ 1986-2002 წლებში კერძო მფლობელობაში არსებული ფუტკრის ოჯახების რაოდენობა გაიზარდა 81,6 პროცენტით, ხოლო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა კი – 21,2 პროცენტით. რაც შეეხება კერძო მფლობელობაში არსებული ღორის, ცხვრისა და თხის, ფრინველისა და ბოცვერის სულადობას, იგი საანალიზო პერიოდში შემცირდა შესაბამისად: 42,9; 39,0; 15,1 პროცენტით და 2,6-ჯერ. ამასთან, აღნიშნულ პერიოდში კერძო სექტორის ხვედრითი წილის ყველაზე მაღალი ზრდა დაფიქსირდა ბოცვერის სულადობის მიხედვით (79,2%-ული პუნქტით), შემდეგ მოდის ფრინველი (59,0%-ული პუნქტით), ცხვარი და თხა (51,6%-ული პუნქტით), ფუტკრის ოჯახი (51,5%-ული პუნქტით), ღორი (45,7%-ული პუნქტით) და ა.შ.

ქვეყანაში აგრარული გარდაქმნების დაჩქარებას, აგროსასურსათო კომპლექსის ეკონომიკური დაქვეითების შეჩერებასა და გარკვეულად დასტაბილიზებას საგრძნობლად შეუწყო ხელი ისეთი მნიშვნელოვანი კანონების ცხოვრებაში გატარებამ, როგორიცაა: „სელექციური მიღწევების შესახებ“, „სანაშენო მეცხოველეობის შესახებ“, „ვაზისა და ღვინის შესახებ“, „სურსათისა და თამბაქოს შესახებ“ და ა.შ. აღნიშნულ სამართლებრივ ბაზაზე დაყრდნობით ქვეყანაში არსებული კოლმეურნეობების, სახელმწიფო და სამეურნეობათაშორისო საწარმოების რეორგანიზების გზით, დაფუძნდა 67 სააქციო საზოგადოება, 265 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 398 კოოპერატივი და „მეწარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული სხვა ფორმის 152 სამეწარმეო სუბიექტი. უკანასკნელ პერიოდში ასევე სწრაფი ტემპით წარიმართა საქართველოს კვების მრეწველობის საწარმოთა პრივატიზების პროცესი.

მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემამ და საწარმოთა პრივატიზების პროცესის დაჩქარებამ რეალური ბიძგი მისცა საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრებას აგროსასურსათო კომპლექსში, კერძო სექტორის (ოჯახური მეურნეობების) ხვედრითი წილის გადიდებას სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის სტრუქტურაში. კერძოდ, გატარებულ ღონისძიებათა შედეგად საქართველოს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის სტრუქტურაში კერძო სექტორის ხვედრითი წილი 1990 წლის 48,0%-დან 98,2%-მდე გაიზარდა 2000 წელს (ცხრილი 20).

ცხრილი 20. სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია (მლნ. ლარი) და მისი სტრუქტურა (%-ობით ჯამთან), მეურნეობათა კატეგორიების მიხედვით, 1990-2000 წწ*

(ფაქტიურად მოქმედ ფასებში)

	1990 წ.		1995 წ.		1996 წ.		1997 წ.		1998 წ.		1999 წ.		2000 წ.	
	მლნ. ლარი	%	მლნ. ლარი	%	მლნ. ლარი	%	მლნ. ლარი	%	მლნ. ლარი	%	მლნ. ლარი	%	მლნ. ლარი	%
ყველა კატეგორიის მეურნეობებში														
სოფლის მეურნეობის პროდუქცია – სულ	5198.6	100	1570.0	100	1671.8	100	1651.3	100	1671.8	100	1850.9	100	1537.6	100
მათ შორის:														
მემცენარეობის	3571.4	100	917.0	100	918.4	100	910.2	100	896.0	100	1055.8	100	744.8	100
მეცხოველეობის	1627.2	100	653.0	100	855.8	100	780.7	100	775.9	100	795.2	100	792.8	100
ოჯახურ მეურნეობებში														
სოფლის მეურნეობის პროდუქცია – სულ	2495.0	48.0	–	–	1632.2	97.6	1613.9	97.7	1637.0	97.9	1811.2	97.8	1510.2	98.2
მათ შორის:														
მემცენარეობის	1714.1	48.0	–	–	899.5	97.9	890.3	97.8	874.5	97.6	1030.2	97.6	729.6	98.0
მეცხოველეობის	780.9	48.0	–	–	835.9	97.7	763.4	97.8	762.5	98.3	781.0	98.2	780.7	98.5
სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში														
სოფლის მეურნეობის პროდუქცია – სულ	2703.6	52.0	–	–	39.6	2.4	37.4	2.3	34.8	2.1	39.7	2.2	27.4	1.8
მათ შორის:														
მემცენარეობის	1857.3	52.0	–	–	18.9	2.1	19.9	2.2	21.5	2.4	25.6	2.4	15.2	2.0
მეცხოველეობის	846.3	52.0	–	–	19.9	2.3	17.3	2.2	13.4	1.7	14.2	1.8	12.1	1.5

საქართველოში ოჯახურ მეურნეობათა მიერ 1990-2000 წლებში წარმოებული პროდუქციის ხვედრით წილზე სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობაში ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მე-2 დიაგრამა.

საანალიზო პერიოდში ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა კერძო სექტორის ხვედრითი წილი ცალკეული სახეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაში (ცხრილი 21).

* ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების მიხედვით[1.9, გვ.185].

დიაგრამა 2. კერძო სექტორის წილი სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციაში 1990-2000 წწ.
(ფაქტიურად მოქმედ ფასებში, %-ობით ჯამთან)



21-ე ცხრილში მოტანილი მონაცემების ანალიზით ირკვევა, რომ ქვეყანაში გატარებული აგრარული გარდაქმნების შედეგად არსებითად გაიზარდა ოჯახურ მეურნეობათა წილი ძირითადი სახეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მთლიან წარმოებაში. კერძოდ, თუ 1990 წელს მარცვლოვანი კულტურების წარმოებაში ოჯახურ მეურნეობათა წილად მოდიოდა 26,0 პროცენტი, 1995 წელს მან შეადგინა 79,0, ხოლო 2002 წელს კი – 94,0 პროცენტი. 2002 წელს, 1991-1995 წლების საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, ოჯახურ მეურნეობათა ხვედრითი წილის ზრდა განსაკუთრებით საგრძნობია ქერის (89%-ული პუნქტით), ხორბლის (84%-ული პუნქტით), შვრიის (83%-ული პუნქტით), მზესუმზირის (82%-ული პუნქტით), ბოცვერის ხორცის (71,4%-ული პუნქტით), თამბაქოს (65,9%-ული პუნქტით) და ჩაის (56%-ული პუნქტით) წარმოებაში.

ცხრილი 21. ოჯახური მეურნეობების წილი ძირითადი სახეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მთლიან წარმოებაში 1990-2002 წწ (%-ობით ჯამთან)*

პროდუქტის დასახელება	1991-1995 წლების საშუალო	1990 წ.	1995 წ.	2000 წ.	2001 წ.	2002 წ.
მარცვალი – სულ	55	26	79	94	93	94
მათ შორის:						
ხორბალი	7	0	26	89	91	91
ქერი	5	1	6	95	94	94
ჭვავი	–	–	–	67	–	–
შვრია	4	2	6	90	89	87
სიმინდი	88	62	95	96	94	96
პარკოსანი კულტურები	88	48	62	99	99	99.8
მზესუმზირა	11	1	25	81	97	93
თამბაქო	34	6	90	99	99	99.9
კარტოფილი	84	49	97	99	88	88
ბოსტნეული	87	59	97	99	95	93
ბაღჩეული	89	52	86	99	99	99.9
ხილი	95	80	99	99	99.8	99.8
ციტრუსი	88	83	97	99	99	100
ყურძენი	77	45	94	99	88	99.9
ჩაი	18	7	47	34	93	74
ხორცი (დაკლულ წონაში)-სულ	84.4	–	97.1	99.4	99.4	99.8
მათ შორის:						
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის	80.5	–	96.4	99.6	99.6	100
ღორის	92.5	–	98.6	99.7	99.7	100
ცხვრის და თხის	77.5	–	92.8	100	100	100
ფრინველის	72.8	–	96.0	97.8	97.7	99.2
ბოცვერის	28.6	–	100	100	100	100
რძე	84.7	–	95.9	99.5	99.7	99.7
კვერცხი	69.7	–	97.0	98.8	97.4	90.5
მატყლი	76.5	–	92.4	98.5	99.5	98.5
თაფლი	85.3	–	97.6	99.9	100	100

საქართველოს აგრარულ სექტორში განხორციელებული პრივატიზების შედეგად მივიღეთ მსხვილი წარმოების შეცვლა წვრილით, რასაც თან მოჰყვა სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის თვისებრივად ახალი მდგომარეობა, საბაზრო ურთიერთობათა პრიმატით. ამასთან დაკავშირებით, თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით აქტუალურია ქვეყნის აგროსასურსათო კომპლექსის განვითარებაში ადგილობრივი პირობებისა და წარმოების ტრადიციების გათვალისწინება და საბაზრო ურთიერთობების ოპტიმალური შეთანაწყობა სახელმწიფოს

* ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების მიხედვით[1.11, გვ.54, 127-128].

მარეგულირებელი როლის ზრდის ფაქტორთან, ფასობრივი, ფულად-საკრედიტო, საფინანსო-საბიუჯეტო, სოციალური და სხვა მექანიზმების ქმედითად გამოყენებით.

აღნიშნული მიმართულებით განხორციელებულმა პროგრესულმა ძვრებმა შესაძლებელი გახადა გარკვეული დადებითი შედეგების მიღწევა ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფეროში (ცხრილი 22).

22-ე ცხრილში მოტანილი მონაცემების ანალიზით დასტურდება, რომ 2002 წელი საკმაოდ შედეგიანი იყო ქვეყნის აგრარული სექტორისათვის: მარცვლოვანი კულტურების მოსავალმა შეადგინა 672,2 ათასი ტონა, რაც 156,0 ათასი ტონით (30,2 %-ით) აღემატება 1995 წლის შესაბამის მაჩვენებელს. საანალიზო პერიოდში ასევე საგრძნობი ზრდა დაფიქსირდა ბაღჩეულის (9,7-ჯერ), მზესუმზირის (3,0-ჯერ), კარტოფილის (17,5%-ით) წარმოების დარგშიც. სამაგიეროდ, შემცირდა ყურძნის (78,7%-ით), ციტრუსის (72,0 %-ით), ხილის (55,0%-ით), ჩაის ხარისხოვანი ფოთლის (37,7 %-ით), ლობიოს (28,4 %-ით) და ბოსტნეულის (5,3%-ით) წარმოება, რაც აიხსნება აღნიშნული პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებისა და გასაღების პრობლემათა არსებობით, მასზე სახელმწიფო დაკვეთების მექანიზმის უგულებელყოფით.

მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მხრივ კი შემდეგი სურათი გვაქვს: ხორცის (დაკლული წონით) წარმოება 2002 წელს 1995 წელთან შედარებით შემცირებულია 8,5 ათასი ტონით (7,4 %-ით), ხოლო მატყლისა კი - 1059 ტონით (34,7 %-ით). რაც შეეხება თაფლის, რძისა და კვერცხის წარმოებას, ამ მაჩვენებლებმა 2002 წელს მნიშვნელოვნად (შესაბამისად: 2,6-ჯერ, 56,1 და 54,3%-ით) გადააჭარბა 1995 წლის დონეს და შეადგინა შესაბამისად – 1,8; 742,1 და 408,8 ათასი ტონა.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მაჩვენებლები არსებით გავლენას ახდენენ ძირითადი სასურსათო პროდუქტების წარმოების მაჩვენებლებზე მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით (ცხრილი 23).

23-ე ცხრილის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოში 2001 წელს 1990 წელთან შედარებით მარცვლეული კულტურების წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით გაიზარდა 32,8 პრო-

ცხრილი 22. ძირითადი სახეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება ყველა კატეგორიის მეურნეობებში 1990-2000 წლებში (ათასი ტონა)*

პროდუქტის დასახელება	1991-1995 წლების საშუალო	1995 წ.	1999 წ.	2000 წ.	2001 წ.	2002 წ.	2002 წ %-ობით 1995 წ
მარცვალი – სულ	496.9	516.2	780.5	420.5	713.6	672.2	130.2
მათ შორის:							
ხორბალი	136.2	76.5	226.1	89.4	306.5	199.7	2.6-ჯერ
სიმინდი	286.9	386.5	490.5	295.9	288.6	400.1	103.5
კარტოფილი	272.8	353.3	443.3	302.0	422.2	415.3	117.5
მზესუმზირა	6.4	7.1	40.5	2.6	41.8	21.2	3.0-ჯერ
ლობიო	9.1	14.8	9.4	2.8	9.4	10.6	71.6
ბოსტნეული	384.4	428.3	417.0	354.2	396.0	405.6	94.7
ბალჩეული	13.2	12.9	108.2	80.0	83.9	125.1	9.7-ჯერ
ხილი	352.6	383.9	296.0	250.0	200.0	172.6	45.0
ყურძენი	381.1	422.4	220.0	210.0	150.0	90.0	21.3
ციტრუსი	119.3	118.0	56.0	40.0	60.0	33.1	28.0
ჩაი	176.7	38.5	60.0	24.0	23.0	24.0	62.3
ხორცი (დაკლულ წონაში)-სულ	114.9	115.4	100.5	107.9	102.4	106.9	92.6
მათ შორის:							
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის	44.2	52.7	41.3	48.3	47.0	49.2	93.4
ღორის	50.4	44.3	40.8	36.9	34.7	36.1	81.5
ცხვრის და თხის	7.1	8.3	6.9	8.9	7.6	8.2	98.8
ფრინველის	12.5	10.0	11.3	13.7	12.9	13.2	132.0
ბოცვერის	0.7	0.1	0.2	0.2	0.2	0.2	2.0-ჯერ
რძე	473.9	475.4	660.3	618.9	710.0	742.1	156.1
კვერცხი, მლნ. ცალი	339.6	264.9	390.1	361.4	395.4	408.8	154.3
მატყლი, ტონა	3801	3053	1712	1860	1898	1994	65.3
თაფლი, ტონა	407	700	1520	1442	1745	1847	2.6-ჯერ

ცენტით, მათ შორის ხორბლის – 46,8 და სიმინდის – 32,6 პროცენტით. კარტოფილის წარმოება გაიზარდა 77,8, ბოსტნეული და ბალჩეული კულტურებისა – 23,9 და რძისა – 33,4 პროცენტით. ამავე პერიოდში, მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, შემცირებულია ჩაის (18,4-ჯერ), ხილის, კენკრის, ყურძნისა და ციტრუსის (3,1-ჯერ), კვერცხისა (36,2%-ით) და ხორცის (25,6%-ით) წარმოება.

* ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების მიხედვით[1.7, გვ.39-41; 1.11, გვ.52, 59-60, 127].

ცხრილი 23. ზოგიერთი ძირითადი სახეობის სასურსათო პროდუქტების წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე 1985-2001 წწ*

პროდუქტის დასახელება	წ ლ ე ბ ი							2001 წ. %-ობით 1990 წ.
	1985	1990	1995	1998	1999	2000	2001	
მარცვლეული კულტურები	118	122	109	128	169	94	162	132.8
მათ შორის:								
ხორბალი	33	47	16	31	49	20	69	146.8
სიმინდი	61	49	81	90	106	66	65	132.6
კარტოფილი	74	54	74	75	96	68	96	177.8
ბოსტნეული და ბაღჩეული	122	88	93	89	114	98	109	123.9
ხილი, კენკრა, ყურძენი და ციტრუსი	335	287	195	128	123	109	93	-3.1-ჯერ
ჩაი	110	92	8	10	13	5	5	-18.4-ჯერ
ხორცი	31.8	31.2	24.3	22.4	21.8	24.0	23.2	74.4
რძე	131.2	120.7	100	137	143	138	161	133.4
კვერცხი, ცალი	158	141	57	82	85	80	90	63.8

ზემოაღნიშნული გარკვეული პოზიტიური ძვრების მიუხედავად, კვლავ სახეზეა ქვეყნის აგრარული სექტორის საერთო ჩამორჩენა. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დაზუსტებული მონაცემებით, 2002 წელს, 1998 წელთან შედარებით, მშპ მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის მასშტაბით (1996 წლის შესადარ ფასებში) გაიზარდა 15,6%-ით, რაც ნაკლებად აისახა აგრარულ სექტორზე: აქ ზრდამ შეადგინა მხოლოდ 0,3%[1.7, გვ.10].

იმავდროულად, დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა წილი, 2002 წელს მკვეთრი კლების მიუხედავად, კვლავ ნახევარზე მეტია. მეტად დაბალია სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა შრომის ეფექტიანობა. როგორც მე-3 დიაგრამა გვიჩვენებს, სოფლის მეურნეობაში ერთი დასაქმებულის მიერ შექმნილი მშპ ორჯერ ჩამოუვარდება საშუალო ეკონომიკურ მაჩვენებელს. უფრო მეტიც, თუ დასაქმებულთა შრომის ეფექტიანობის საშუალო ეკონომიკურ მაჩვენებელს ზრდის გამოკვეთილი ტენდენცია გაჩნია, სოფლის მეურნეობაში ეს მაჩვენებელი პრაქტიკულად არ იცვლება.

* ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების მიხედვით[1.11, გვ.14].

საქართველოს აგრარულ სექტორში დასაქმებულთა შრომის ასეთი დაბალი ეფექტიანობა მრავალი მიზეზით შეიძლება აიხსნას, რომელთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაწევრების მაღალი დონე. მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების 90%-ზე მეტი შინამეურნეობებზე მოდის, ხოლო როგორც შინამეურნეობათა გამოკვლევა გვიჩვენებს, სოფლად ერთი შინამეურნეობა საშუალოდ მხოლოდ 0,86 ჰა მიწის ფართობს ამუშავებს. ეს ფართობები, თავის მხრივ, მეტად დანაწევრებულია: შინამეურნეობათა მხოლოდ ერთი მეოთხედი ამუშავებს მიწის ერთ ნაკვეთს მაშინ, როდესაც შინამეურნეობათა თითქმის ნახევარი სამ ან მეტ ნაკვეთს ამუშავებს. ასეთ პირობებში მეტად რთულდება ტექნიკის ეფექტიანი გამოყენება, რაც ხელით შრომის მაღალ წილს განაპირობებს. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას არსებითად არასასაქონლო ხასიათი აქვს: შინამეურნეობათა ბოლო ხუთი წლის მონაცემების მიხედვით, საშუალოდ ქვეყანაში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მხოლოდ 23% იყიდება ბაზარზე.

განსაკუთრებით საგანგაშოა ის ფაქტი, რომ, გარკვეული ჩამორჩენის შემდეგ, 2002 წელს სურსათის ფასების ინდექსის ზრდის ტემპმა ინფლაციის საერთო ტემპს გაუსწრო, რაც იმაში გამოიხატა, რომ პირველად უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში სურსათის ფასების ინდექსმა სამომხმარებლო ფასების ინდექსს გადააჭარბა. ეს საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ღარიბი ფენების სასურსათო უზრუნველყოფას იმის გათვალისწინებით, რომ მათ სამომხმარებლო ხარჯებში სურსათის წილი საკმაოდ მაღალია[1.7, გვ.33].

საქართველოში აგრარული სექტორის დაბალეფექტიანობის, ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი კვების პროდუქტის წარმოების შემცირებისა და სხვა მიზეზთა გამო, უკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად გაუარესდა სურსათით მოსახლეობის უზრუნველყოფის დონე და სტრუქტურა. ქვეყანაში სურსათის ხარისხის კონტროლის სისტემის მოშლამ განაპირობა ევროპისა და აზიის ზოგიერთი ქვეყნიდან საეჭვო ხარისხისა და წარმოშობის, ვადაგასული პროდუქციის შემოტანა, მათ შორის ისეთი პროდუქტებისაც კი (ღვინო, შამპანური, არაყი, ხილბოსტნეულის კონსერვები და ა.შ.), რომელთა ექსპორტიორს ტრადიციულად საქართველო წარმოადგენდა. ამიტომ ქვეყნის ეკონომიკური ინტერესები დღის წესრიგში აყენებს აგროსასურსათო კომპლექსის

დიაგრამა 3. დასაქმების ეფექტიანობა სოფლის მეურნეობასა და მთელს ეკონომიკაში
(1000 ლარი ერთ დასაქმებულზე, 1996 წლის ფასებში)



მართვის სტრუქტურის ოპტიმიზაციისა და სახელმწიფოებრივი რეგულირების გაძლიერების საკითხს.

ამ მიმართულებით, ქვეყანაში უკანასკნელ ათწლეულში განხორციელებული გარდაქმნებიდან, თავისი აქტუალობითა და ეფექტიანობით, გამოირჩევა პურის ფასების ლიბერალიზების და პურპროდუქტების სისტემის ტრანსფორმაციის ღონისძიებები, რომელსაც წინ უსწრებდა „პურპროდუქტებით ქვეყნის უზრუნველყოფის სისტემის რეორგანიზაციის ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 3 აპრილის №252 ბრძანებულება. ამ ბრძანებულებამ ბიძგი მისცა პურპროდუქტების სისტემის გარდაქმნის პროცესს, უზრუნველყო ჰუმანიტარული დახმარების არსებული სტრატეგიის შეცვლა და, მის ნაცვლად, კერძო სექტორზე დაყრდნობით, თავისუფალი ფასწარმოქმნისა და კონკურენტული გარემოს დამკვიდრება.

აღნიშნული რეფორმატორული ღონისძიების წარმატებით განხორციელება იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ ძირეულად შეიცვალა საერთაშორისო ორგანიზაციების დამოკიდებულება საქართველოსადმი. ჰუმანიტარული დახმარების პოლიტიკამ ადგილი დაუთმო

დახმარების პოლიტიკას. ევროკავშირის მიერ, „სახელმწიფო მარეგულირებელი საბჭოს“ მეშვეობით, განხორციელებულმა პროექტმა (RARP-1) მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ადგილობრივი მარცვლეულის მეურნეობის აღდგენაში, პურპროდუქტების წარმოების, რეალიზაციისა და მოხმარების პროცესების დასტაბილიზებაში.

ამერიკული ხორბლის რეალიზაცია თბილისის ბირჟის მეშვეობით ქმნის საბაზრო ურთიერთობისათვის აუცილებელ გარემოს. ბირჟაზე მისი გაყიდვის მოცულობა დგინდება ბაზრის კანონების მიხედვით, რაც კეთილმყოფელ გავლენას ახდენს ფასების რეგულირებაზე. ხორბლის მარაგები განთავსებულია საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში და იოლად ხელმისაწვდომია ნებისმიერი მომხმარებლისათვის. ამასთან, ამერიკული ხორბლის მაღალი ხარისხის გამო, მასზე მოთხოვნილება დიდია, რაც ხელს უშლის დაბალხარისხიანი ხორბლის იმპორტით დაინტერესებას და წამახალისებელ როლს ასრულებს ადგილობრივი ხორბლის წარმოებაში. გასაგები მიზეზების გამო, ადგილობრივი ხორბლის ხარისხი არ გამოირჩევა მაღალი კონდიციით, მაგრამ ამერიკულ ხორბალში მისი შერევით მიიღება მაღალი ხარისხის ფქვილი, რაც ხელს უწყობს ადგილობრივი ხორბლის მოხმარების ზრდას.

სასურსათო პროდუქტების წარმოების გადიდების რეგულირების ეკონომიკური მექანიზმის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის ექვივალენტურ ურთიერთობათა დაცვა. უკანასკნელ პერიოდში საქართველოს სოფლის მეურნეობა, ფასების დისპარიტეტის გამო, არათანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდა მრეწველობასთან შედარებით. ამიტომ აუცილებელია სპეციალური სახელმწიფო პროგრამის შემუშავება სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის პროდუქციაზე პარიტეტული ფასების აღსადგენად. ამასთან, სასურველია სოფლის მეურნეობის პროდუქციის გარკვეულ ჯგუფზე დაწესდეს შესყიდვის გარანტირებული ფასები, რათა გაფართოებული კვლავწარმოებისათვის შეიქმნას კეთილსასურველი პირობები.

ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების საკითხის გადაჭრა მჭიდრო კავშირშია ეკოლოგიურად სუფთა სასურსათო პროდუქტების წარმოებას, რეალიზაციასა და მოხმარებასთან. ამჟამად საქართველოში არსებული საკანონმდებლო ბაზა და მისი გამოყენების მექანიზმი სრულად ვერ უზრუნველყოფს სასურსათო ბაზრის დაცვას

უხარისხო, დაბინძურებული და ფალსიფიცირებული პროდუქტებისაგან, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი უკანონოდაა შემოსული რეალიზაციაში და შეუძლებელია მისი დამამზადებლის დადგენა. უხარისხო და ფალსიფიცირებული სასურსათო პროდუქტების დროულად გამოვლენისა და აღკვეთის ქმედითი მექანიზმის შესაქმნელად საჭიროა შემუშავდეს საქართველოს აგროსასურსათო კომპლექსის ეროვნული სტანდარტები, შეიქმნას უახლესი საგამოცდო-საკონტროლო ტექნიკით აღჭურვილი ლაბორატორიული ქსელი (რეგიონების მიხედვით), მოხდეს სასურსათო პროდუქტების სერთიფიცირების სისტემის სრულყოფა ᲔᲛᲝ-ის მოთხოვნებთან ჰარმონიზების გზით.

4.2. სასურსათო უზრუნველყოფის ტენდენციების ზოგადი დახასიათება რეფორმირების პერიოდში

ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფის ქვეშ იგულისხმება სურსათზე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც მიიღწევა პიროვნების, საზოგადოებისა და მთლიანად სახელმწიფოს ნორმალური სიცოცხლისუნარიანობა და მდგრადი განვითარება. იმის გათვალისწინებით, რომ სურსათი მიეკუთვნება ადამიანის პირველად სასიცოცხლო საჭიროებას, სასურსათო უსაფრთხოება უტოლდება ფიზიკურ უსაფრთხოებას, რომელიც იძლევა სიცოცხლის გარანტიას. ამიტომ სასურსათო უსაფრთხოება საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტთაგანია.

საქართველოს წინაშე, მისი საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, ამა თუ იმ ზომით ყოველთვის იდგა სასურსათო უზრუნველყოფისა და უსაფრთხოების პრობლემები. ჩვენმა მოსახლეობამ სასურსათო პრობლემის სიმწვავე, ყველა მისი განზომილებით (სურსათის მარაგები, ასორტიმენტი, ხარისხი, ფასი და სხვა), განსაკუთრებით იგრძნო მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან, როდესაც რეალობად იქცა შიმშილის პრობლემა. ამაზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ძირითადი სახეობის კვების პროდუქტების მოხმარების მონაცემები მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით (ცხრილი 24).

ცხრილი 24. ძირითადი სახეობის კვების პროდუქტების მოხმარება
საქართველოში 1999-2001 წწ.
(კილოგრამი/ერთ სულზე)*

	რეკომენდებული ნორმა	ფაქტობრივი მოხმარება							
		წლები							
		1990	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001
პურპროდუქტები, ფქვილი, ბურღულეული და პარკოსნები	130	184,60	163,50	161,30	154,20	151,43	141.12	130.32	130.21
კარტოფილი	61	37,30	26,80	42,00	44,70	47.26	47.64	48.53	47,75
ბოსტნეული და ბაღჩეული	135	81,20	60,80	97,70	93,40	58,23	55.19	51.87	58.40
ხილი და კურკენი (გამხმარის ჩათვლით)	86	48,30	36,70	66,30	60,20	57,80	43.50	51.34	40.12
შაქარი	35	20,80	6,70	23,60	25,90	25,04	24.76	21.17	19 64
ხორცი და ხორცის პროდუქტები (გადაყვანილი ხორცზე)	72	36,50	12,50	14,60	15,60	20.79	19.83	19.81	19.74
რძე და რძის პროდუქტები (გადაანგარიშებული რძეზე)	350	311.30	97,90	178,40	217,60	202,50	209.00	213.50	213.82
თევზი (თევზის კონსერვების ჩათვლით, გადაანგარიშებული თევზზე)	13	8,00	0,60	1,30	1,40	1.82	1.29	1.18	2.08
კვერცხი, ცალი/ერთ სულზე	241	140.00	66.10	105.00	107.70	122.51	124.64	129.22	125.55
მცენარეული ცხიმები	12	4.50	3.30	10.60	11.20	8.32	8.21	8.05	10.74

ცხრილის ანალიზით ირკვევა, რომ სულ უფრო მცირდება კვების პროდუქტების ფაქტობრივი მოხმარება, მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, რეკომენდებულ ნორმასთან შედარებით. კერძოდ, 1990-2001 წლებში მხოლოდ პურპროდუქტების ფაქტობრივი სულადობრივი მოხმარება აღემატებოდა რეკომენდებულ ნორმას (1990 წელს – 42,0; 1995 წელს – 25,8; 2000 წელს – 0,3 და 2001 წელს – 0,2 პროცენტით). რაც შეეხება ხორცისა და ხორცის პროდუქტების ფაქტობრივი სულადობრივ მოხმარებას, იგი 1990 წელს შეადგენდა რეკომენდებული ნორმის 50,7%-ს, 1995 წელს –

* ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების მიხედვით[1.9,ვ79; I.12, გვ.318-319].

17,4%-ს, 2000 წელს – 27,5%-ს, ხოლო 2001 წელს – 27,4%-ს. რძისა და რძის პროდუქტების ფაქტობრივმა სულადობრივმა მოხმარებამ შესაბამისად შეადგინა რეკომენდებული ნორმის: 88,9; 27,9; 61,0 და 61,1 პროცენტი; კვერცხის ფაქტობრივმა მოხმარებამ კი – 58,1; 27,4; 53,6 და 52,6 პროცენტი. თითქმის ანალოგიურია სიტუაცია კარტოფილის (61,1; 43,9; 79,6 და 78,3 პროცენტი), ბოსტნეულისა და ბაღჩეულის (60,1; 45,0; 38,4 და 43,3 პროცენტი), ხილისა და ყურძნის (56,2; 42,7; 59,7 და 46,6 პროცენტი), შაქრის (59,4; 19,1; 60,5 და 56,1 პროცენტი), მცენარეული ცხიმებისა (37,5; 27,5; 67,1 და 89,5 პროცენტი) და თევზის (61,5; 4,6; 9,1 და 16,0 პროცენტი) მოხმარებაშიც.*

აღნიშნული მდგომარეობა უპირატესად განპირობებულია ქვეყნის უარყოფითი სავაჭრო და საგადამხდელო ბალანსით, რაშიც გადამწყვეტ როლს სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სასურსათო პროდუქტების ექსპორტ-იმპორტი ასრულებს. დღეისათვის კვლავ მძიმე მდგომარეობაა ქვეყნის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტისა და იმპორტის თანაფარდობაში: ექსპორტი ქრონიკულად ჩამორჩება იმპორტს. ასე, მაგალითად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტი (ნატურით) ექსპორტს ჭარბობდა: 1995 წელს – 6,8-ჯერ, 2000 წელს – 5,4-ჯერ, ხოლო 2001 წელს – 4,4-ჯერ (ცხრილი 25).

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის საგადამხდელო ბალანსის სამმართველოს პირველადი მონაცემების თანახმად, 1995 წელს ქვეყანაში იმპორტირებულ იყო 93,5, ხოლო ექსპორტირებულ იქნა 29,2 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების კვების პროდუქტები. მაშასადამე, ექსპორტი იმპორტის მხოლოდ 31,2 პროცენტს შეადგენდა. 2002 წელს კი კვების პროდუქტების ექსპორტმა იმპორტის 49,3 პროცენტი შეადგინა (დანართი 1).

ნიშანდობლივია, რომ დღეისათვის საქართველოს მოსახლეობა უმეტესი სახეობის სასურსათო პროდუქტებზე მოთხოვნილების საგრძნობ ნაწილს კვლავ იმპორტის ხარჯზე იკმაყოფილებს, რაზედაც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მე-2 დანართში მოტანილი მონაცემები.

---

* თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ ქვეყნის მოსახლეობის ცალკეული ფენებისათვის აღნიშნული პარამეტრებიც კი მიუწვდომელი რჩება, მათი მეტისმეტად დაბალშემოსავლიანობის გამო.

ცხრილი 25. სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტისა და იმპორტის დინამიკა 1995-2001 წწ*

	ექსპორტი			იმპორტი			სალდო ±		
	1995წ.	2000წ.	2001წ.	1995წ.	2000წ.	2001წ.	1995წ.	2000წ.	2001წ.
სოფლის მეურნეობის პროდუქცია ნატურით (ტონა)	46599	35793	27997	316799	195247	122192	-270200	-159454	-94194
სოფლის მეურნეობის პროდუქცია ღირებულებით (ათასი აშშ დოლარი)	9728	26212	14646	11662	32505	24351	-1934	-6293	-9705

როგორც მე-2 დანართი ცხრილის ანალიზიდან ჩანს, საქართველოში 1996 წელს მარცვლეულით, კარტოფილით, ბოსტნეულით, მცენარეული ცხიმებით, შაქრით, ხორცით, ძროხის რძით და კვერცხით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი შეადგენდა შესაბამისად: 42; 105; 98,8; 3,2; 22,8; 75,7; 62,6 და 63 პროცენტს. შემდგომ პერიოდში, სურსათის ადგილობრივ წარმოებაში მომხდარი გარკვეული პოზიტიური ძვრების შედეგად, 2002 წლისათვის აღნიშნულმა მაჩვენებელმა შეადგინა შესაბამისად: 50; 103; 96,6; 23,3; 25,7; 75,5; 74,8 და 69 პროცენტი. მაშასადამე, სადღეისოდ, ქვეყნის მოსახლეობის მიერ მოხმარებული მარცვლეულის 50; ბოსტნეულის 3,1; მცენარეული ცხიმების 76,7; შაქრის 74,3; ხორცის 24,5; ძროხის რძის 25,2 და კვერცხის 31 პროცენტი კვლავ იმპორტზე მოდის.

რეფორმირების პერიოდის დასაწყისიდან სურსათზე საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში ასევე დიდ როლს ასრულებდა ჰუმანიტარული სასურსათო დახმარება (ცხრილი 26).

26-ე ცხრილი წარმოგვიდგენს საქართველოსადმი გაწეული ჰუმანიტარული სასურსათო დახმარების დინამიკას 1998-2002 წლებში. 2002 წელს იგი ყველაზე მაღალი იყო მარცვლეულისა და ბურღულეულის სასაქონლო ჯგუფის მიხედვით (51,34 ათასი ტონა). აღნიშ-

* ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების მიხედვით[I.11, გვ 14].

ცხრილი 26. საქართველოსადმი ჰუმანიტარული სასურსათო დახმარება 1998-2002 წწ.*

(1000 ტონა)

საკვები პროდუქტების ჯგუფი	წლები					2002 წ. %-ობით 1998 წ.
	1998	1999	2000	2001	2002	
მარცვლეული და ბურღულეული	94.14	81.76	53.33	68.86	51.34	54.5
რძე და რძის პროდუქტები	0.37	0.11	0.08	0.09	0.16	43.2
ხორცი და თევზი	0.18	0.38	0.72	0.37	0.11	61.1
ზეთები და ცხიმები	10.46	1.25	3.58	3.99	0.95	9.1
პარკოსნები	2.03	0.96	0.67	3.27	1.35	66.5
სხვა დანარჩენი	2.40	2.52	3.36	0.99	1.77	73.7
სულ	109.58	86.98	61.73	77.58	55.68	50.8

ნულ პერიოდში ჰუმანიტარული სასურსათო დახმარების საერთო მოცულობა შემცირდა 109,58-დან 55,68 ათას ტონამდე (49,1%-ით). კლება ცალკეული სასაქონლო ჯგუფების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა: მარცვლეული და ბურღულეული – 94,14-დან 51,34 ათას ტონამდე (45,5%-ით), რძე და რძის პროდუქტები – 0,37-დან 0,16 ათას ტონამდე (56,8%-ით), ხორცი და თევზი – 0,18-დან 0,11 ათას ტონამდე (38,9%-ით), ზეთები და ცხიმები – 10,46-დან 0,95 ათას ტონამდე (10-ჯერ), პარკოსნები – 2,03-დან 1,35 ათას ტონამდე (33,5%-ით), სხვა დანარჩენი – 2,40-დან 1,77 ათას ტონამდე (26,3%-ით).

მე-4 დიაგრამა გვიჩვენებს, რომ 1998-2002 წლებში საქართველოსადმი გაწეულ ჰუმანიტარულ სასურსათო დახმარებას კლების აშკარად გამოხატული ტენდენცია ახასიათებს.

საგულისხმოა, რომ ქვეყნის მოსახლეობის არასათანადო სასურსათო უზრუნველყოფაზე ძირითად გავლენას ახდენს მათი დაბალშემოსავლიანობა. მოსახლეობის საშუალო-თვიური შემოსავლების სტრუქტურა, ერთ სულზე გაანგარიშებით, ქალაქ-სოფლის ჭრილში, ასახულია 27-ე ცხრილში.

---

* ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების მიხედვით[1.7, გვ.17].

დიაგრამა 4. საქართველოსადმი გაწეული ჰუმანიტარული სასურსათო დახმარება 1998-2002 წწ. (ათასი ტონა)



საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, 2002 წლის დეკემბერში საარსებო მინიმუმმა შრომისუნარიანი მამაკაცისათვის შეადგინა 127,9 ლარი, საშუალო მომხმარებლისათვის – 112,2 ლარი, საშუალო ოჯახისათვის – 222,4 ლარი. ნორმატიულმა მინიმალურმა ხელფასმა, რომელიც ბოლო პერიოდში არსებული სტრუქტურით, ყველა სხვა შემოსავალთან ერთად, უზრუნველყოფდა საარსებო მინიმუმის დონეზე ოთხსულიანი ოჯახის ბიუჯეტის არადეფიციტურობას, ასეთი ოჯახის ერთი დასაქმებულისათვის 2002 წლის დეკემბერში შეადგინა 50,9 ლარი. ამასთან, მინიმალური ხელფასი (20 ლარი) ნორმატიული მინიმალური ხელფასის 39,3 პროცენტს უდრიდა (ცხრილი 28).

მოსახლეობის საშემოსავლო პარამეტრების (ცხრილი 27) შედარება სხვადასხვა ტიპის მომხმარებელთა საარსებო მინიმუმთან (ცხრილი 28) კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს მიერ არაერთგზის გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ქვეყნის მოსახლეობა მინიმალურადაც კი ვერ იკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებებს საკუთარი შემოსავლებით. კერძოდ, 1996 და 2001 წლებში საქართველოს მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლები შესაბამისად – 2,3-ჯერ და 2,1-ჯერ ჩამორჩებოდა საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმს.

ცხრილი 27. მოსახლეობის საშუალო-თვიური შემოსავლების სტრუქტურა ერთ სულზე ძალაძ-სოფლის ჰრილში 1996-2001 წწ*

(ლარი)

შემოსავლების სახეები	ქალაქში		სოფელში		ქვეყანაში სულ	
	1996წ.	2001წ.	1996წ.	2001წ.	1996წ.	2001წ.
ფულადი შემოსავლები და ტრანსფერები მათ შორის:	22.2	40.7	19.6	27.0	21.0	34.0
დაქირავებული შრომიდან	10.5	21.0	3.6	6.2	7.4	13.7
თვითდასაქმებიდან	7.2	8 7	4.8	3.8	6.1	6.3
სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან	0.7	0.7	8.5	10.7	4.2	5.6
ქონებიდან (გაქირავებიდან, პროცენტი ანაბარზე)	0.1	0.7	0.3	0.1	0.2	0.4
პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები	2.1	3.3	1.9	3.1	2.0	3.2
უცხოეთიდან მიღებული გზავნილები	0.9	2.9	0.3	1.6	0.6	2.2
ახლობლებისაგან მიღებული ფული	0.8	3.4	0.2	1.6	0.5	2.5
სხვა ფულადი სახსრები მათ შორის:	7.4	5.1	5.1	4.5	6.3	4.8
ქონების გაყიდვა	3.5	1.9	1.8	1.7	2.7	1.8
ფულის სესხება ან დანაზოგის გამოყენება	3.9	3.2	3.3	2.8	3.6	3.0
ფულადი სახსრები – სულ	29.6	45.8	24.7	31.5	27.3	38.8
არაფულადი შემოსავლები	6.0	4.2	26.0	18.7	15.0	11.3
ფულადი და არაფულადი სახსრები-სულ	35.5	50.0	50.7	50.2	42.0	50.1

ცხრილი 28. საარსებო მინიმუმი სხვადასხვა ტიპის მომხმარებლებისათვის 1996-2002 წწ**

(ლარი)

წლები	შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის		საშუალო მომხმარებლის		საშუალო ოჯახის	
	იანვარში	დეკემბერში	იანვარში	დეკემბერში	იანვარში	დეკემბერში
1996	113.7	108.8	99.8	95.5	197.8	189.3
1997	99.5	110.9	87.3	97.3	173.1	193.0
1998	102.9	104.8	90.2	92.0	178.9	182.4
1999	108.9	117.9	95.5	103.4	189.4	205.1
2000	117.9	114.5	103.4	100.4	205.1	199.2
2001	114.3	118.0	100.3	103.5	198.9	205.2
2002	122.2	127.9	107.2	112.2	212.6	222.4

---

* ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების მიხედვით [1.12, გვ.193].

** ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების მიხედვით[1.12, გვ.279-281].

საარსებო მინიმუმის ანუ მინიმალური სამომხმარებლო კალათის ღირებულებაზე გავლენას ახდენს სამომხმარებლო საქონლის და, მათ შორის, სურსათის ფასები, რომლის დინამიკაც ასახულია 29-ე ცხრილში.

ცხრილი 29. სურსათის ძირითად სახეობათა საშუალო ფასები საქართველოში 1995-2002 წწ. (ლარი/კგ × 100)*

პროდუქტი	წლები								2002წ. %-ობით 1995წ.
	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	
პური	64	64	65	66	65	70	70	70	109.4
კარტოფილი	53	43	47	48	65	42	47	57	107.5
ლობიო	50	100	132	121	200	154	183	183	3.7-ჯერ
სიმინდის ფქვილი	40	48	52	56	62	69	77	84	2.1-ჯერ
საქონლის ხორცი	372	330	380	340	389	370	390	444	119.3
ღორის ხორცი	388	370	400	364	387	364	413	482	124.2
ყველი	225	250	300	312	327	339	325	320	142.2
რძე	80	90	98	95	95	95	98	103	128.7
კვერცხი(10 ცალი)	208	154	136	121	144	127	143	151	72.6
კომბოსტო	33	34	28	44	45	36	43	32	97.0
ხახვი	42	30	58	54	54	46	48	52	123.8
შაქარი	80	91	84	79	88	82	95	97	121.2

როგორც 29-ე ცხრილში მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, 2002 წელს, 1995 წელთან შედარებით, ძირითადი საკვები პროდუქტებიდან საგრძნობლად გაძვირდა ლობიო (3,7-ჯერ), სიმინდის ფქვილი (2,1-ჯერ), ყველი (42,2%-ით), რძე (28,7%-ით), ღორის ხორცი (24,2%-ით), ხახვი (23,8%-ით), შაქარი (21,2%-ით), საქონლის ხორცი (19,3%-ით), შედარებით ნაკლებად კი — პური (9,4%-ით) და კარტოფილი (7,5%-ით). ამასთან, მკვეთრად გაიაფდა კვერცხი (27,4%-ით), ხოლო მცირედით — კომბოსტო (3,0%-ით).

აღნიშნულ პერიოდში არც სასურსათო პროდუქტებზე ფასების ინდექსები ხასიათდებოდა სტაბილურობით. პირიქით, ზოგიერთი მათგანის მიხედვით გარკვეული ზრდაც შეინიშნებოდა. ასე მაგალითად,

* ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების მიხედვით[1.7, გვ.12,20].

2001 წელს, წინა წლის მიმართ, საქონლის ხორცის ფასების ინდექსმა შეადგინა 106,1; მცენარეული ზეთის ფასების ინდექსმა – 125,6; კარაქისა და ცხიმისამ – 112,2; უალკოჰოლო სასმელებისამ – 108,8; თამბაქოს ნაწარმისამ – 112,9; პურისამ – 101,2; შაქრის, ყავისა და ჩაისამ – 101,0; ცოცხალი თევზისამ – 124,2; თევზისამ – 122,4; ალკოჰოლიანი სასმელებისამ – 104,5; შებოლილი ძეხვეულისამ –100,6; ხილისა და ბოსტნეულისამ – 100,6; კვერცხისამ – 105,4 და ა.შ.[1.11, გვ.16].

სასურსათო პროდუქტებზე ფასების დონის ცვლილებები გავლენას ახდენს ქვეყნის მოსახლეობის სამომხმარებლო ხარჯების სტრუქტურასა და მასში კვებაზე გაწეული ხარჯების ხვედრით წილზე (ცხრილი 30).

30-ე ცხრილში მოტანილი მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ 2001 წელს ქვეყნის მოსახლეობის მიერ სასურსათო საქონლის შეძენაზე გაწეული ხარჯების სტრუქტურაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი პურპროდუქტებისა და ფქვილ-ბურღულეულის ნაწარმის შეძენაზე გაწეული ხარჯები (31,7%). შემდეგ მოდის ხორცისა და ხორცის პროდუქტების (12,8%), ბოსტნეულისა და ბაღჩეულის (8,9%), მცენარეული და ცხოველური ცხიმების (7,4%), შაქრისა და შაქრიანი საკონდიტრო ნაწარმის (7,2%), რძისა და რძის პროდუქტების (7,1%), კარტოფილის (4,9%), ხილის (4,6%), თევზისა და თევზის პროდუქტების (2,8%), კვერცხის (2,4%) შეძენაზე გაწეული ხარჯები.

რაც შეეხება მთლიანად სასურსათო საქონლის შეძენაზე გაწეული ხარჯების ხვედრით წილს სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების შესაძენად გაწეული ხარჯების მთლიან მოცულობაში, იგი 1996 წლის 57,8-დან 50,6%-მდე შემცირდა 2001 წელს. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის მთლიან სამომხმარებლო ხარჯებში კვებაზე გაწეული ხარჯები კვლავ დიდი აბსოლუტური მოცულობითაა წარმოდგენილი.

ცხრილი 30. მოსახლეობის მიერ სასურსათო საძონლის შეძენაზე გაწეული ხარჯების სტრუქტურა 1996-2001 წწ.*

№	მაჩვენებლების დასახელება	1996 წ.		2001 წ.		2001 წ. %-ობით 1996 წ.
		მლნ. ლარი	%	მლნ. ლარი	%	
1.	პურპროდუქტებისა და ფქვილ-ბურღულეულის ნაწარმი	486,7	35,8	433,3	31,7	89,0
2.	ხორცი და ხორცის პროდუქტები, კონსერვების ჩათვლით	160,2	11,7	174,8	12,8	109,1
3.	თევზი და თევზის პროდუქტები, კონსერვების ჩათვლით	22,7	1,6	37,9	2,8	166,9
4.	რძე და რძის პროდუქტები, რძის ფხვნილის ჩათვლით	97,6	7,1	97,7	7,1	100,1
5.	კვერცხი	28,3	2,1	32,5	2,4	114,8
6.	მცენარეული და ცხოველური ცხიმები	104,5	7,6	100,9	7,4	96,5
7.	ხილი, ყველა სახის, კონსერვების ჩათვლით	79,9	5,8	62,4	4,6	78,1
8.	ბოსტნეული და ბაღჩეული, კონსერვების ჩათვლით	133,5	9,8	121,2	8,9	90,8
9.	კარტოფილი	50,3	3,7	66,5	4,9	132,2
10.	ჩაი	3,0	0,2	6,1	0,4	2-ჯერ
11.	შაქარი და შაქრიანი საკონდიტრო ნაწარმი	104,6	7,7	98,9	7,2	94,5
12.	ყავა და კაკაო	8,8	0,6	15,1	1,1	171,6
13.	მინერალური წყალი და უალკოჰოლო სასმელები	4,4	0,3	13,9	1,0	3,1-ჯერ
14.	ღვინო	8,1	0,6	3,9	0,3	48,1
15.	სპირტიანი სასმელები	5,8	0,4	3,5	0,3	60,3
16.	ლუდი	2,1	0,1	2,8	0,2	133,3
17.	სხვა სურსათი	68,2	5,0	94,3	6,9	138,3
	სულ სასურსათო ხარჯები	1358,5	100	1365,7	100	100,5
	სასურსათო ხარჯების წილი მთლიან სამომხმარებლო ხარჯებში	–	57,8	–	50,6	–

* ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების მიხედვით[I.12, გვ. 311-317].

საქართველოს მოსახლეობის საშუალო თვიური ხარჯების სტრუქტურა ქალაქისა და სოფლის ჭრილში 1996 და 2001 წლების მონაცემების მიხედვით წარმოდგენილია 31-ე ცხრილში.

ცხრილი 31. მოსახლეობის საშუალო-თვიური ხარჯების სტრუქტურა ქალაქ-სოფლის ჭრილში 1996-2001 წწ.*

ხარჯების დასახელება	ქალაქში		სოფელში		ქვეყანაში – სულ	
	1996წ.	2001წ.	1996წ.	2001წ.	1996წ.	2001წ.
სამომხმარებლო ფულადი ხარჯები – სულ მათ შორის:	81.7	85.7	52.3	59.8	67.9	74.1
სურსათზე	47.9	42.2	27.5	29.6	38.3	36.6
სასმელზე	0.8	0.8	0.3	0.5	0.6	0.7
თამბაქოს ნაწარმზე	1.4	2.2	0.9	1.6	1.2	1.9
ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე	4.3	4.7	3.2	4.1	3.8	4.5
საოჯახო მოხმარების საქონელზე	6.0	10.3	6.7	8.3	6.3	9.4
ჯანმრთელობის დაცვაზე	3.4	4.8	3.1	3.5	3.3	4.2
სათბობსა და ელექტროენერგიაზე	3.7	6.8	4.5	5.6	4.1	6.3
ტრანსპორტზე	6.7	6.0	2.5	2.8	4.7	4.5
განათლებაზე, კულტურასა და დასვენებაზე	3.0	3.7	1.1	1.4	2.1	2.7
სხვა სამომხმარებლო ფულადი ხარჯები	4.3	4.2	2.4	2.4	3.4	3.4
არასამომხმარებლო ფულადი ხარჯები – სულ მათ შორის:	8.7	8.8	8.9	11.4	8.8	10.0
სასოფლო-სამეურნეო ხარჯები	0.6	0.4	4.3	4.3	2.3	2.1
ტრანსფერტებზე	0.7	0.4	0.1	0.1	0.4	0.3
დაზოგვაზე ან გასესხებაზე	7.5	8.0	4.4	7.1	6.0	7.6
ფულადი ხარჯები – სულ	90.4	94.5	61.1	71.3	76.7	84.1
არაფულადი ხარჯები	9.6	5.5	38.9	28.7	23.3	15.9
ხარჯები – სულ	100	100	100	100	100	100

* ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების მიხედვით[I.12, გვ. 311-317].

ცხრილის ანალიზიდან ჩანს, რომ საკმაოდ განსხვავებულია მოსახლეობის საშუალო თვიური ხარჯების სტრუქტურა საქართველოში ქალაქისა და სოფლის ჭრილში. სოფლად მცხოვრები მოსახლეობის საშუალო თვიური ფულადი ხარჯების მოცულობა საგრძნობლად ნაკლებია ქალაქად მცხოვრები მოსახლეობის საშუალო – თვიური ფულადი ხარჯების მოცულობასთან შედარებით. ასე, მაგალითად, 2001 წლის მონაცემებით, ქალაქის მოსახლეობის საშუალო თვიური ფულადი ხარჯების წილად მოდიოდა მთელი ხარჯების 94,5% (მათ შორის, სასურსათო პროდუქტების შეძენაზე გაწეული ხარჯების – 42,2%), ხოლო არაფულადი ხარჯების* წილად – მხოლოდ 5,5%. ამავე პერიოდში სოფლის მოსახლეობის საშუალო – თვიურმა ფულადმა ხარჯებმა შეადგინა მთელი ხარჯების 71,3% (მათ შორის, სასურსათო პროდუქტების შეძენაზე გაწეულმა ხარჯებმა 29,6%), არაფულადმა ხარჯებმა კი - 28,7%.

აღნიშნული მდგომარეობა იმაზე მიუთითებს, რომ სოფლის მოსახლეობა უპირატესად ჯერ კიდევ ნატურალურ მეურნეობას ეწევა და საკუთარ მოთხოვნილებათა უდიდეს ნაწილს საკუთარი წარმოების ხარჯზე იკმაყოფილებს. მთლიანად ქვეყნისათვის კი ნიშანდობლივია ის, რომ მოსახლეობის საშუალო - თვიური ხარჯების 15,9% არაფულადი ხარჯების წილად მოდის, ანუ მოსახლეობის ცხოვრების დონე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საკუთარი წარმოების საქონელზე (მათ შორის სასურსათო პროდუქტებზე), რაც არსებითად განიცდის წარმოებისა და მოხმარების სეზონურობის გავლენას.

სეზონურობის ეფექტი განსაკუთრებით საგრძნობია საარსებო მინიმუმის ანუ მინიმალური სასურსათო კალათის ღირებულებაზე.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით, ქვეყანაში შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი 2001 წელს თვეების მიხედვით შემდეგნაირად იცვლებოდა: საარსებო მინიმუმმა თავის პიკს მიაღწია ივნისში (რამდენადაც წელიწადის ამ დროს სურსათზე ფასები ყველაზე მაღალი იყო), ივლისიდან დაიწყო კლება და საარსებო მინიმუმის ყველაზე

---

* უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი არაფულად ხარჯებს მიაკუთვნებს მიმდინარე ფასებით შეფასებული საკუთარი წარმოების ან უფასოდ მიღებული და მოხმარებული სასურსათო პროდუქტების ღირებულებას.

დაბალი დონე სექტემბერში აღინიშნა, ოქტომბერში სურსათზე ფასები და შესაბამისად საარსებო მინიმუმი მცირედ იცვლება, ხოლო ნოემბრიდან კი აღნიშნული მაჩვენებლები მკვეთრად იზრდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ მწვავედ დგას მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფის პრობლემა. ამ პრობლემის გადასაჭრელად, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების დონის დადგენა მისი ძირითადი მაჩვენებლების ფაქტორული ანალიზის გზით.

4.3. სასურსათო უსაფრთხოების თანამედროვე დონის მაჩვენებელთა ფაქტორული ანალიზი და საერთო შეფასება

ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების დონის შეფასებისათვის, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია მისი ისეთი ძირითადი პირობების ანალიზი, როგორიცაა სურსათის საკმარისობა, ხელმისაწვდომობა, ეკოლოგიური სისუფთავე, და აგრეთვე სურსათით თვითუზრუნველყოფა. მაგრამ ზემოაღნიშნულ პირობათა დონის უბრალო გათვლა ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების სრული სურათის შესაქმნელად აშკარად არასაკმარისია. ამისათვის აუცილებლად უნდა არსებობდეს შედარების სათანადო ბაზა, რომელთან თანაფარდობაშიც შესაძლებელი იქნება გარკვეული დასკვნის გაკეთება სასურსათო უსაფრთხოების არსებული დონის მიუღებლობის ან მისაღებლობის შესახებ.

აქ, უწინარეს ყოვლისა, საქმე ეხება ადამიანთა ცხოველქმედების ისეთ „ზღვრულ" პარამეტრებს, როგორიცაა კვების კალორიულობა ანუ ენერგეტიკული ფასეულობა, მოხმარებულ ძირითად საკვებ ნივთიერებათა (ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, მინერალური ნივთიერებები და ვიტამინები) რაოდენობა და ა.შ.

საერთაშორისო პრაქტიკაში ადამიანის კვების ხარისხობრივი შეფასებისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მაჩვენებლად იყენებენ ენერგეტიკულ ფასეულობას. ადამიანის მიერ მოხმარებული ენერგიის რაოდენობას ზომავენ კილოკალორიებში ან კილოჯოულებში. ამასთან,

დღეისათვის უფრო მეტადაა გავრცელებული კილოკალორიების გამოყენება.*

ადამიანის მიერ მოხმარებული ენერგიის საშუალო მაჩვენებლის განსაზღვრისათვის გამოყენებულ იქნა ე.წ. „ჟანგბადის მეთოდი“.** ამის საფუძველზე დადგინდა, რომ ადამიანმა, ნორმალური ფიზიკური აქტივობის შემთხვევაში, უნდა მოიხმაროს დაახლოებით 2880 კკალ ენერგია[3.1, გვ. 37-38]. რეალურად, ადამიანის მიერ მოხმარებული ენერგიის მოცულობა დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა სქესი, ასაკი, გაბარიტები, საცხოვრებელი ადგილის ბიოკლიმატური პირობები, შრომითი საქმიანობის სახე და ა.შ.

ადამიანის მიერ მოხმარებული ენერგიის შევსების ერთადერთი წყაროა კვება. სურსათის ენერგოშემცველობა ანუ კალორიულობა ადამიანის სიცოცხლის უზრუნველყოფის უმთავრესი პირობაა. ადამიანის მიერ მიღებული საკვების ენერგეტიკული ფასეულობის მხრივ გამოყოფენ სამ დონეს: ოპტიმალური სიცოცხლისუნარიანობა (2500-3000 კკალ. ენერგიის მოხმარება დღე-ღამეში); არასრულყოფილი სიცოცხლისუნარიანობა (1500-2500 კკალ. ენერგიის მოხმარება დღე-ღამეში) და კრიტიკული სიცოცხლისუნარიანობა (1000-1500 კკალ. ენერგიის მოხმარება დღე-ღამეში). FAO-ს მონაცემებით, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სიცოცხლისუნარიანობის კრიტიკული დონე 1520-2150 კკალ-ის ფარგლებში მერყეობს, ხოლო დღე-ღამეში 1520 კკალ-ზე ნაკლები ენერგიის მოხმარება კი შიმშილობის კლასიკური ფორმაა. აღნიშნული მონაცემები ზოგადი ხასიათისაა და მათზე შეიძლება მრავალმა ფაქტორმა (ადამიანის წონა, სქესი, ასაკი, შრომითი საქმიანობის სახე და ა.შ.) იქონიოს გავლენა.

ბუნებრივია, რომ ადამიანთა კვების ხარისხის შესაფასებლად მხოლოდ ენერგეტიკული მაჩვენებლების ანალიზი არაა საკმარისი. ამ

---

* ერთი კილოკალორია (კკალ) არის ენერგიის ის რაოდენობა, რომელიც საჭიროა ერთი ლიტრი წყლის ერთი გრადუსით (ცელსიუსის შკალის მიხედვით) გასათბობად. ამასთან, ერთი კილოკალორია შეესაბამება 4,184 კილოჯოულს.

** საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ რაც უფრო აქტიურია ადამიანი ფიზიკური თვალსაზრისით, მით უფრო მეტ ჟანგბადს მოიხმარს იგი. ორგანული წარმოშობის საკვები ნივთიერებები მხოლოდ ჟანგბადთან ურთიერთქმედების შედეგად გამოყოფენ ენერგიას, ხოლო ერთ ლიტრ მოხმარებულ ჟანგბადს კი 4,8 კკალ გამოყოფილი ენერგია შეესაბამება.

მიზნით გამოიყენება კრებსითი კრიტერიუმებიც, რომლებიც დგინდება საკვები ნივთიერებების კომპლექსის მოხმარების მიხედვით. საერთაშორისო განსაზღვრებით, კვების დარღვევად ითვლება პათოლოგიური მდგომარეობა, რომელიც გამოწვეულია ერთი ან რამდენიმე საკვები ნივთიერების უკმარისობით ან ზედმეტობით. აქ, როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, შეიძლება ადგილი ჰქონდეს შემდეგ ოთხ შემთხვევას:

1. არასრულფასოვანი კვება - პათოლოგიური მდგომარეობა, რომელიც გამოწვეულია არასაკმარისი ოდენობის საკვების ხანგრძლივი დროით მოხმარებით;

2. უკმარისობის სპეციფიკური ფორმა - პათოლოგიური მდგომარეობა, გამოწვეული რაციონში ამა თუ იმ საკვები ნივთიერების ნაწილობრივი ან სრული იგნორირებით;

3. ჭარბი კვება — პათოლოგიური მდგომარეობა, გამოწვეული ზედმეტი ოდენობის საკვების მიღებით ხანგრძლივი დროის განმავლობაში;

4. დაუბალანსებლობა — პათოლოგიური მდგომარეობა, გამოწვეული რაციონში აუცილებელი საკვები ნივთიერებების არასწორი თანაფარდობით[3.1, გვ. 41].

ადამიანის სრულფასოვანი კვების ძირითადი კრიტერიუმებია საკმარისობა, მრავალფეროვნება და ხარისხიანობა. იგი სხვადასხვა დასახელების სასურსათო პროდუქტების მეშვეობით, მრავალფეროვანი საკვები ნივთიერებებით მარაგდება, რომელთაც სპეციფიკური ფუნქციები აკისრიათ. კერძოდ, ადამიანი ენერგიას ძირითადად სამი სახის საკვები ნივთიერებებით ივსებს. მათ მიეკუთვნება: ცილები, ცხიმები და ნახშირწყლები, რომელთა ენერგეტიკული ფასეულობა შეადგენს შესაბამისად: 4,0 კკალ (17,6 კჯოული), 9,0 კკალ (37,7 კჯოული) და 4,0 კკალ (17,6 კჯოული). ამასთან, ორგანიზმისათვის მთავარი ენერგომიმწოდებელია ნახშირწყლები, რომლებიც უზრუნველყოფენ მთელი ენერგოდანახარჯების 55,0 პროცენტს. ცხიმები, მიუხედავად მაღალი ენერგოტევადობისა (ორგანიზმს აწვდის მთელი ენერგიის 33,0 პროცენტს), უპირატესად სათადარიგო ენერგომიმწოდებლებია და ორგანიზმში მარაგებს ქმნის.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანისათვის ყველაზე ნაკლები ენერგეტიკული დანიშნულება ცილებს გააჩნიათ (მთელი ენერგომომარა-

გების 12,0 პროცენტი), ისინი მისთვის შეუცვლელი ნივთიერებებია; მათ გარეშე წარმოუდგენელია ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმის არსებობა. ამიტომ, ადამიანის სურსათით უზრუნველყოფის დონის შეფასების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი, ენერგო-უზრუნველყოფასთან ერთად, მოხმარებული ცილების ოდენობაცაა. საშუალოდ, ერთი ადამიანისათვის ცილების მოხმარების დღიური ნორმა შეადგენს 80-100 გრამს.*

საქართველოში შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისათვის ძირითად საკვებ ნივთიერებებზე ენერგიის წლიური მოთხოვნილების და ცალკეული საკვები პროდუქტების ქიმიური შემადგენლობის ამსახველი მონაცემები გვიჩვენებს, რომ ცხოველური წარმოშობის ცილებით განსაკუთრებით მდიდარია ხორცისა და რძის პროდუქტები, მცენარეული წარმოშობის ცილებით კი - ლობიო. ნახშირწყლებით მდიდარია შაქარი, სიმინდის ფქვილი, ბრინჯი, მაკარონის ნაწარმი, ხორბლის ფქვილი, ხორბლის პური და ა.შ. (დანართი 3).

ზემოაღნიშნულ სამ ნივთიერებასთან ერთად, ადამიანის ცხოველმყოფელობისათვის უდიდესია ისეთი ნივთიერებების როლიც, როგორიცაა ვიტამინები, მინერალური ნივთიერებები და წყალი.** ამიტომ ადამიანის სასურსათო უსაფრთხოების მისაღწევად საჭიროა მისი სასიცოცხლო ნივთიერებებით კომპლექსური უზრუნველყოფა.

საგულისხმოა, რომ ადამიანი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, საჭირო საკვებ ნივთიერებებს სუფთა სახით კი არ ღებულობს, არამედ კომპლექსურად, სხვადასხვა სახის სასურსათო პროდუქტებთან ერთად. ამიტომ, როდესაც ადამიანის კვების რაციონს ადგენენ, მასში ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების, ვიტამინების, მინერალური ნივთიერებების რაოდენობას კი არ მიუთითებენ, არამედ სხვადასხვა სახეობის სასურსათო პროდუქტებისას.

---

* ამასთან დაკავშირებით, უნდა შევნიშნოთ, რომ განვითარებული სახელმწიფოები, რომელთაც გადაჭრეს სურსათის რაოდენობის საკითხი და ძირითად პრიორიტეტად ხარისხის ზრდა დაისახეს, ყოველნაირად ცდილობენ გაზარდონ ცილების წარმოება, რამდენადაც კვების რაციონში ცილების დონე ხარისხის უმთავრესი მაჩვენებელია.

** საინტერესოა ის ფაქტი, რომ საკვების გარეშე ადამიანი ძლებს 40 დღეს, ხოლო წყლის გარეშე - მხოლოდ 2 კვირას. ზრდასრული ადამიანის ყოველდღიური მოთხოვნილება წყალზე შეადგენს 2,5 ლიტრს საშუალოდ, საიდანაც დაახლოებით 75% ორგანიზმში ხვდება სასმელებთან ერთად ან ნატურალური სახით, ხოლო დანარჩენი - საკვების მეშვეობით და ორგანული ნივთიერებების წვის შედეგად.

ზემოაღნიშნული, ვფიქრობთ, სასურსათო უსაფრთხოების ფიზიოლოგიური საფუძვლების დახასიათების ჩინებული საშუალებაა, რამდენადაც კვების ნორმების დარღვევა, უწინარეს ყოვლისა, ადამიანის ფიზიკურ შესაძლებლობებზე აისახება. ამასთან, მათი მეშვეობით ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების დონის შესახებაც შეიძლება საუბარი.

საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების დონის მაჩვენებელთა ფაქტორული ანალიზი დაკავშირებულია გარკვეულ სიძნელეებთან, რომლებიც, უწინარეს ყოვლისა, გამოყენებული ინფორმაციის ჭეშმარიტების ხარისხს ეხება. ამ მხრივ, ჩვენში ყველაზე დიდ ეჭვს იწვევს მოსახლეობის მიერ სასურსათო პროდუქტების ფაქტიური მოხმარების მაჩვენებლები. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული გარემოება განაპირობებს ჩვენს მიერ ჩატარებულ გაანგარიშებათა გარკვეული დონით სიზუსტეს, მისი შედეგები მაინც შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების დონის შეფასების სრულიად მისაღებ ორიენტირად.

ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილი მეთოდიკის თანახმად, სასურსათო უსაფრთხოების დონის ერთ-ერთი უმთავრესი მაჩვენებელია სურსათის საკმარისობის ზოგადი კოეფიციენტი, რომელიც იანგარიშება როგორც ღირებულებით ($K_{საკ.1}$), ისე ნატურალურ ($K_{საკ.2}$) გამოსახულებაში.

საკმარისობის ზოგადი კოეფიციენტი ნატურალურ გამოსახულებაში გაიანგარიშება, როგორც კვების ფაქტიურ დღე-ღამურ რაციონში შემავალი კკალ. რაოდენობის (კვების ფაქტიური რაციონის ენერგეტიკული ფასეულობა) შეფარდება სამედიცინო ნორმების მიხედვით კვების დღე-ღამურ რაციონში შემავალ კკალ. რაოდენობასთან (კვების რაციონის ენერგეტიკული ფასეულობა მოხმარების რაციონალური ნორმების მიხედვით).

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემებით, 2002 წელს დღე-ღამური კვების რაციონის (მინიმალური სასურსათო კალათა შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისათვის) ენერგეტიკულმა ფასეულობამ მოხმარების რაციონალური ნორმების მიხედვით შეადგინა 2533 კკალ (მე-4 დანართი ცხრილის მე-6 სვეტი).

კვების დღე-ღამური რაციონის ფაქტიური ენერგეტიკული ფასეულობის დასადგენად ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა გარკვეული გაანგარიშებები 2002 წელს მოსახლეობის მიერ სასურსათო პროდუქტების ფაქტიური მოხმარების შესახებ, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციის საფუძველზე. გაანგარიშების თანახმად, დღე-ღამური კვების რაციონის ფაქტიური ენერგეტიკული ფასეულობა შეადგენდა 2401,1 კკალ-ს (მე-4 დანართი ცხრილის მე-8 სვეტი). მაშასადამე, საკმარისობის კოეფიციენტის სიდიდე ნატურალურ გამოსახულებაში ტოლია 0,95-ის:

$$K_{\text{საკმ.}} = \frac{2401{,}1 \text{ კკალ}}{2533 \text{ კკალ}} = 0{,}95$$

მიღებული შედეგი ლოგიკურია და ნათლად ადასტურებს, რომ ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის პირობებში მოსახლეობის კვების რაციონის ფაქტიური ენერგეტიკული ფასეულობა 6,0 პროცენტით ნაკლებია მოხმარების რაციონალური ნორმებით გათვალისწინებულზე.

ამ სიტუაციაში უფრო დეტალურად გარკვევისათვის ჩვენს მიერ ჩატარდა კვების რაციონის ანალიზი მისი ქიმიური შემადგენლობის (დანართი 5), აგრეთვე ენერგეტიკული ფასეულობის თვალსაზრისით კვების რაციონის სტრუქტურის (დანართი 4) მიხედვით.

ანალიზმა გვიჩვენა, რომ კკალ-ების ენერგეტიკული ფასეულობის 68,4 პროცენტი კვების ფაქტიურ დღე-ღამურ რაციონში მოდის პროდუქტების ხუთ სახეობაზე: ხორბლის ფქვილზე (20,7%), ხორბლის პურზე (20,2%), შაქარზე (10,7%), სიმინდის ფქვილზე (8,4%) და მცენარეულ ზეთზე (8,4%). პროდუქტთა ამ სახეობებზე მოხმარების რაციონალური ნორმები ითვალისწინებს დღე-ღამური რაციონის ენერგეტიკული ფასეულობის მხოლოდ 53,1 პროცენტს.

როგორც ანალიზით დადგინდა, საქართველოში 2002 წელს რძისა და ხორცის პროდუქტების ხვედრითი წონა მოხმარების რაციონალური ნორმების მიხედვით შეადგენს 28,4 პროცენტს, ხოლო

ფაქტიური რაციონის მიხედვით 16,5 პროცენტს. აქედან, ყველაზე მაღალი ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი მოუხდელი რძე და ყველი (5,0%-ით თითოეული). სწორედ ამის გამო კვების ფაქტიურ რაციონს აკლია ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტები, როგორიცაა ცილები და ცხიმები: კვების თვიურ (ფაქტიურ) რაციონში ცილები 925,6, ცხიმები კი – 795,1 გრამით ნაკლებია მოხმარების რაციონალური ნორმებით გათვალისწინებულთან შედარებით (დანართი 5). ყოველივე ეს მეტყველებს ქვეყანაში კვების თვიური რაციონის დაუბალანსებლობაზე და დღის წესრიგში აყენებს ცილებითა და ცხიმებით მდიდარი პროდუქტებით მინიმალური სასურსათო კალათის შევსების აუცილებლობის საკითხს.

ნიშანდობლივია, რომ კვების ფაქტიური რაციონის სტრუქტურა დიდადაა განპირობებული მოსახლეობის საერთო შემოსავლების დაბალი დონითა და მისი მძიმე მატერიალური მდგომარეობით. მიუხედავად შედარებით საკმარისი კალორიულობისა, კვების ფაქტიური თვიური რაციონის ღირებულება (50,9 ლარი) საგრძნობლად (2,5-ჯერ) ნაკლებია მოხმარების რაციონალური ნორმებით გათვალისწინებულთან (127,9 ლარი) შედარებით.* სურსათის საკმარისობის კოეფიციენტი ღირებულებით გამოსახულებაში ტოლია 0,40-ის:

$$K_{\text{საკმ.1}} = \frac{50{,}9 \text{ ლარი}}{127{,}9 \text{ ლარი}} = 0{,}40$$

$K_{\text{საკმ.1}}$-ის აღნიშნული სიდიდე ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ დღეისათვის მოსახლეობა ვერ ახერხებს საკმარისი რაოდენობით მიიღოს ყველა აუცილებელი (მოხმარების რაციონალური ნორმების თანახმად) კვების პროდუქტი და მათში შემავალი ორგანიზმისთვის საჭირო ნივთიერება, რადგან ეს პროდუქტები, როგორც წესი, მაღალფასიან პროდუქტთა კატეგორიას მიეკუთვნება.

---

* მონაცემები გაანგარიშებულია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების მიხედვით[1.8, გვ.43-44].

საქართველოში სურსათის საკმარისობის დონის შეფასებისას აუცილებელია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის ერთ სულზე წელიწადში მოხმარებული კვების პროდუქტების რაოდენობა აღწევს 960 კგ-ს, მაშინ, როცა ჩვენთან ფაქტიური მოხმარება, 2002 წლის მონაცემებით არ აღემატება 660 კგ-ს. თუ პროდუქტთა ნუსხიდან ამოვიღებთ კარტოფილსა და პურ-პროდუქტებს, ამ შემთხვევაში საქართველოში კვების პროდუქტების მოხმარების დონე შეადგენს 484 კგ-ს, მაშინ, როცა განვითარებულ ქვეყნებში ანალოგიური მაჩვენებელი 741 კგ-ით განისაზღვრება. ამასთან, 1989 წლიდან მოყოლებული სულ უფრო მცირდება მოხმარებული კვების პროდუქტების მოცულობა. მოხმარების შემცირება ყველაზე მეტად ეხება ცილებისა და ვიტამინების შემცველ პროდუქტებს.

კვების ამგვარი დონისა და სტრუქტურის პირობებში იწყება მოსახლეობის გენოფონდის გაუარესება, დაავადებათა დონის ამაღლებასთან დაკავშირებით. მოხმარებული კვების პროდუქტების რაოდენობის შემცირება განსაკუთრებით მწვავედ აისახება მოზარდ თაობაზე. ბავშვებში ტუბერკულოზით დაავადების შემთხვევათა კატასტროფული ზრდა არის ზემოაღნიშნული მდგომარეობის სამწუხარო არგუმენტი.

ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების დონის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია სურსათზე ხელმისაწვდომობის კოეფიციენტი, რომელიც იანგარიშება, როგორც თვეში მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებული შემოსავლის შეფარდება სასურსათო კალათის გასაშუალებულ ღირებულებასთან.

ჩვენს მიერ ჩატარებული გაანგარიშების თანახმად, 2002 წლის მონაცემების მიხედვით, ხელმისაწვდომობის კოეფიციენტის სიდიდე ტოლია 0,36-ის:

$$K_{\text{ხელმ.}} = \frac{46{,}6 \text{ ლარი}}{127{,}9 \text{ ლარი}} = 0{,}36$$

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მოსახლეობას არ შეუძლია მთელი თავისი შემოსავლები დახარჯოს სურსათის შესაძენად (საქართველოში 2002 წელს სურსათზე იხარჯებოდა მოსახლეობის შემოსავლების 61%), მაშინ აღნიშნული მაჩვენებლის სიდიდე მნიშვნელოვნად უფრო ნაკლები იქნება.

სურსათის საკმარისობის და ხელმისაწვდომობის კოეფიციენტების მაჩვენებლები, კრიზისული (ზღვრული) სიდიდეების შემოღების გათვალისწინებით, მიიღებს შემდეგ სახეს:

$$K_{\text{საკმ.}} = \frac{2401{,}1 \text{ კკალ}}{2150 \text{ კკალ}} = 1{,}12$$

$$K_{\text{ხელმ.}} = \frac{46{,}6 \text{ ლარი}}{112{,}2 \text{ ლარი}} = 0{,}41$$

თუ გამოვალთ იმ მოსაზრებიდან, რომ ქვეყანაში კვების ფაქტიური რაციონის ენერგეტიკული ფასეულობა შეადგენს 2401,1 კკალ. დღეს, ხოლო ხელმისაწვდომობის დონეა 0,41, მაშინ შეიძლება სრულიად დასაბუთებულად ვამტკიცოდ, რომ სურსათის საკმარისობა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის არის 984,5 კკალ. დღეს დონეზე (2401,1X0,41) და იგი FAO-ს ექსპერტების მიერ დადგენილ სიცოცხლისუნარიანობის კრიტიკულ დონეზე ქვემოთ იმყოფება. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ ჩვენი გაანგარიშებები გასაშუალებულია და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის შემოსავლები და, შესაბამისად, მათ მიერ სურსათის მოხმარება ნაკლებია ქვეყანაში საშუალო სულადობრივ მაჩვენებელთან შედარებით, ადვილი წარმოსადგენი ხდება ის საფრთხე, რაც სიღატაკის ზღვარს ქვემოთ დარჩენილ მოსახლეობასა და მთლიანად ქვეყანას ემუქრება.

მოსახლეობისათვის სურსათის მისაწვდომობა შეიძლება შეფასდეს როგორც ხარჯების, ისე კალორიების მოხმარების მაჩვენებლების მიხედვით. ხარჯების მაჩვენებლებისა (მედიანური სამომხმარებლო ხარჯები, სიღარიბის ამა თუ იმ ზღვარს ქვემოთ მყოფთა პროცენტული წილი და განაწილება, სასურსათო ხარჯების საშუალო წილი სამომხმარებლო ხარჯებში, შინმოწეული სურსათის წილი სრულ სასურსათო ხარჯებში, სამომხმარებლო ხარჯების ჯინის ინდექსი) და კალორიების მოხმარების მაჩვენებლების (კალორიების მედიანური მოხმარება; იმ მოსახლეობის პროცენტული წილი და განაწილება, რომელთა მიერ დღიურად მოხმარებული კალორიების რაოდენობა

შერჩეულ ზღვრებზე ნაკლებია; კალორიების მოხმარების ჯინის ინ-დექსი) ანალიზის შედეგად გამოვლენილ მოსახლეობის დაუცველ ჯგუფებს წარმოგვიდგენს 32-ე ცხრილი.

ცხრილი 32. მოსახლეობის ყველაზე დაუცველი ჯგუფები ხარჯებისა და კალორიების მოხმარების მაჩვენებლების მიხედვით*

	მედიანური სამომხმარებლო ხარჯები (კალორია დღეში სულზე)				კალორიების მედიანური მოხმარება (კალორია დღეში სულზე)			
	აბსოლუტური მაჩვენებელი		ფარდობითი გადახრა საქართ. მაჩვენებ. %		აბსოლუტური მაჩვენებელი		ფარდობითი გადახრა საქართ. მაჩვენებ. %	
	2000წ	2001წ	2000წ	2001წ	2000წ	2001წ	2000წ	2001წ
საქართველო, სულ	51.2	49.5	-	-	2678	2423	-	-
მათ შორის:								
I კვინტილი	20	21	-61	-58	1707	1662	-36	-31
II კვინტილი	34	34	-33	-31	2016	1894	-25	-22
2 ბავშვიანი ოჯახები	41	40	-20	-19	1986	1822	-26	-25
3 და მეტ ბავშვიანი ოჯახები	29	33	-43	-34	1778	1649	-34	-32
ქალაქად მცხოვრები ოჯახები 1 დასაქმებულზე მოსული 3 ან მეტი წევრით	42	40	-19	-20	1830	1725	-32	-29
ბავშვიანი გაფართოებული ოჯახები	40	40	-21	-19	1971	1804	-26	-26
ოჯახები, სადაც არაერთ არ არის დასაქმებული	41	44	-20	-11	2083	1974	-22	-19
ოჯახები, სადაც არაერთ არ მუშაობს	41	42	-19	-16	2052	1956	-23	-19
თბილისში მცხოვრები ოჯახები	50	55	-3	12	1981	1907	-26	-21
დიდ ქალაქებში მცხოვრები ოჯახები	49	49	-4	0	1986	1881	-26	-22
სოფლად მცხოვრები ოჯახები 0.5 ა-ზე ნაკლები მიწით და 0-1.5 ძროხით (5 ცხვარი ან თხა=1 ძროხას)	45	43	-12	-12	2495	2293	-7	-5
ძირითადად ტრანსფერტების ხარჯებზე მცხოვრები ოჯახები	44	44	-14	-11	2178	2106	-19	-13
მარტოხელა მოზრდილი ან პენსიონერი ბავშვებით	57	47	12	-6	2339	2129	-13	-12
ოჯახები, რომელთა არსებობის ძირითადი წყაროა აქტივების გაყიდვა, ფულის სესხება ან საკუთრებიდან მიღებული შემოსავალი	43	45	-17	-10	2163	2015	-19	-17
მცირე ქალაქებში მცხოვრები ოჯახები	43	43	-16	-13	2276	2094	-15	-14

* ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების მიხედვით[1.7, გვ.21].

ცხრილში მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ ხარჯებისა და კალორიების მოხმარების მაჩვენებლები ყოველთვის ერთნაირად არ მიუთითებს დაუცველობაზე. თუმცა, არსებობენ კატეგორიები, რომელთათვისაც ორივე მაჩვენებელი მეტად ძლიერ დაუცველობას გვიჩვენებს.

აღნიშნულ კატეგორიაში I და II კვინტილების ყოფნა სავსებით ბუნებრივია. გარდა ამისა, მონაცემები გვიჩვენებს, რომ ოჯახში ბავშვების არსებობა ზრდის როგორც სიღარიბის, ისე სურსათის არასაკმარისი მისაწვდომობის რისკს. ქალაქად მცხოვრები ოჯახები, რომლებშიც ერთ დასაქმებულზე 3 და მეტი ადამიანი მოდის, ასევე მეტად დაუცველია, უფრო მეტად, ვიდრე ის ოჯახები, სადაც არავინ მუშაობს (ამ უკანასკნელთაგან ბევრი საზღვარგარეთიდან მიღებული გზავნილების ხარჯზე ცხოვრობს).

სხვა დაუცველი კატეგორიები სიღარიბისა და უკმარისობის ნაკლებ დონეზე იმყოფებიან. მათ შორის, მიწისა და პირუტყვის მინიმალური რაოდენობის მქონე სოფლად მცხოვრები ოჯახები უფრო საერთო სიღარიბით გამოირჩევიან, ვიდრე სურსათის უკმარისობით (რაც სავსებით ბუნებრივია), ხოლო მცირე ქალაქის მოსახლეობა, რომელთა ცხოვრების სტილი სოფლისასთან საკმაოდ ახლოსაა, ერთნაირად განიცდის სიღარიბეს და სურსათის უკმარისობას. ცხრილში მოტანილი დანარჩენი სამი კატეგორია არა იმდენად სურსათის უკმარისობას განიცდის, რამდენადაც საერთო სიღარიბეს.

ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების დონის ასევე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი, რომელიც გაიანგარიშება, როგორც საკუთარი წარმოების მოხმარებულ კვების პროდუქტთა ღირებულების შეფარდება მთლიანად მოხმარებულ კვების პროდუქტთა ღირებულებასთან. ჩვენს მიერ, 2002 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, ჩატარებული გაანგარიშების თანახმად, საქართველოს სურსათით თვითუზრუნველყოფის ზოგადი კოეფიციენტი ტოლია 0,42-ის:

$$K_{\text{თ.უ.}} = \frac{567{,}6 \text{ მლნ.ლარი}}{1340{,}4 \text{ მლნ.ლარი}} = 0{,}42$$

თვითუზრუნველყოფის ზოგადი კოეფიციენტის აღნიშნული სიდიდე ნათლად მიგვანიშნებს იმაზე, რომ საქართველო ჯერ კიდევ შორს არის მოსახლეობის საკუთარი წარმოების სასურსათო პროდუქტებით უზრუნველყოფის მდგომარეობისაგან.

სურსათით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი, მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი სასურსათო პროდუქტების მიხედვით, კრიტიკულად მიჩნეულ 0,50 მნიშვნელობაზე გაცილებით დაბალია. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეთი პოზიციები, როგორიცაა მცენარეული ზეთი (23,6%), ხორბალი (31,0%), ფრინველის ხორცი (34,1%) და შაქარი (34,7%). დამაფიქრებელია აგრეთვე ის გარემოება, რომ ბოლო პერიოდში არ შეინიშნება აღნიშნული კოეფიციენტების გაუმჯობესების ტენდენცია. პირიქით, მთელი რიგი სასურსათო პროდუქტებისათვის იგი უარესდება კიდეც.

ზემოაღნიშნულს თუ დავუმატებთ იმასაც, რომ ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ვერ მოქმედებს ეკოლოგიურად დაბინძურებული პროდუქციის წარმოებაზე, შემოტანაზე, გასაღებასა და მოხმარებაზე კონტროლის მეტ-ნაკლებად ეფექტიანი მექანიზმები, მივიღებთ ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების მეტად ნეგატიურ ფონს, რომლის შედეგად გავრცელებას იწყებს საშიში დაავადებები, განსაკუთრებით მოზარდ თაობაში, რაც ქმნის მოსახლეობის დეგრადაციისა და გენოფონდის გადაგვარების საშიშროებას.

საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების დონეზე 2002 წლისათვის კომპლექსურ წარმოდგენას გვაძლევს ჩვენი გაანგარიშებების საფუძველზე შედგენილი 33-ე ცხრილი.

ცხრილი 33. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების დონე 2002 წლისათვის

მაჩვენებლები	მოხმარება, კგ/კაცზე		ინდექსები
	ნორმატიული	ფაქტიური	
1	2	3	4
პური და პურპროდუქტები	130	130.2	1.00
კარტოფილი	61	47.7	0.78
ბოსტნეული	135	58.4	0.43
ხილი	86	40.1	0.47
შაქარი	35	19.6	0.56
მცენარეული ცხიმები	12	10.7	0.89
ხორცი და ხორცის პროდუქტები	72	19.7	0.27

1	2	3	4
რძე და რძის პროდუქტები	350	213.8	0.61
კვერცხი, ცალი	241	125.5	0.52
საკმარისობის ზოგადი კოეფიციენტი (ნატურალურ გამოხატულებაში)	–	–	0.95
საკმარისობის ზოგადი კოეფიციენტი (ღირებულებით გამოხატულებაში)	–	–	0.40
ხელმისაწვდომობის ზოგადი კოეფიციენტი	–	–	0.36
მოხმარება, გრ/დღეში:			
ცილების	138	105	0.76
ცხიმების	88	62	0.70
ნახშირწყლების	345	379	1.09
მოხმარების ინტეგრალური ინდექსი	–	–	0.59
ენერგეტიკული ფასეულობის ინტეგრალური ინდექსი	2530.0	2401.1	0.94
კალორიების დეფიციტის კოეფიციენტი	–	–	0.06
ცილების დეფიციტის კოეფიციენტი	–	–	0.22
ცხიმების დეფიციტის კოეფიციენტი	–	–	0.28
ნახშირწყლების დეფიციტის კოეფიციენტი	–	–	-0.10
კვებითი ფასეულობის ინტეგრალური ინ-დექსი	–	–	0.9

ყოველივე ზემოთქმულიდან ნათელია, რომ საქართველოს სასურსათო უსაფრთხოება ბევრი მახასიათებლის მიხედვით. იმყოფება კრიტიკულ ზღვარს მიღმა. მიუხედავად კვების ფაქტიური რაციონის ენერგეტიკული ფასეულობის შედარებით საკმარისი დონისა, მისი სტრუქტურა, საკვებ ნივთიერებათა შემადგენლობის თვალსაზრისით, არადამაკმაყოფილებელია. მოსახლეობის უმეტეს ნაწილს არა აქვს საშუალება იმისა, რომ უზრუნველყოს თავისი თავი შედარებით დაბალფასიანი პროდუქტების ნაკრებით და მისი კვების ენერგეტიკული ფასეულობა შიმშილობის ზღვარზეც კი დაბალია (FAO-ს კლასიფიკაციით). იმის გამო კი, რომ არ არსებობს მოსახლეობის სამამულო წარმოების სასურსათო პროდუქტებით უზრუნველმყოფი დარგების, მთლიანად აგრარული სექტორის განვითარებისა და დაცვის მკვეთრად გამოკვეთილი, თანმიმდევრულად მწყობრი და ეფექტიანი სტრატეგიული კურსი, სურსათის იმპორტზე დამოკიდებულების ისედაც არასასურველი დონე კიდევ უფრო უარესდება.

V თავი

საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრიორიტეტები და პერსპექტივები

5.1. სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების თეორიულ-მეთოდოლოგიური და მეთოდური საფუძვლები

სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავება შემდეგი ძირითადი პრინციპების რეალიზაციას ემყარება:

- განვითარების ისტორიული გამოწვევებისა და მუქარების გათვალისწინებას;
- გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნებისა და ინტერესების განსაზღვრას;
- ადამიანის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების დაცვას; მათი ურთიერთპასუხისმგებლობის გაძლიერებას სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;
- ეროვნულ და საერთაშორისო უსაფრთხოებასთან თავსებადობას.

სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავებისადმი პრინციპული მიდგომისაგან დამოკიდებულებით, მსოფლიოს ქვეყნები პირობითად შეიძლება შემდეგ სამ ჯგუფად დაიყოს:

1. იმპორტზე ორიენტირებული ქვეყნები;
2. პროდუქციის ექსპორტიორი ქვეყნები;
3. საკუთარი წარმოების ხარჯზე შიდა სასურსათო ბაზრის უზრუნველმყოფი ქვეყნები.

სურსათის იმპორტზე ორიენტაცია დამახასიათებელია მის საწარმოებლად არახელსაყრელი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების მქონე ქვეყნებისათვის, აგრეთვე ზოგიერთი მდიდარი ქვეყნისათვის (ტიპიური წარმომადგენელია ინგლისი), რომელსაც გააჩნია ეკონომიკურად დამოკიდებული სახელმწიფოები, მაგრამ სასურსათო „იარაღს“ არ იყენებს მეტროპოლიების წინააღმდეგ.

მსოფლიო ბანკი განასხვავებს სურსათის იმპორტზე ქრონიკულ და დროებით დამოკიდებულებას. ქვეყანა ქრონიკული სასურსათო დამოკიდებულების მდგომარეობაში იმყოფება მაშინ, როდესაც კვების პროდუქტების მოხმარება არასაკმარისია მუდმივად ერთი წლის განმავლობაში, სურსათის აუცილებელი რაოდენობის წარმოების ან შეძენის შეუძლებლობის გამო.* დროებითი სასურსათო დამოკიდებულების მდგომარეობა ჩნდება პერიოდულად, მოუსავლიანობის, კვების პროდუქტებზე ფასების ზრდის ან შემოსავლების დონის დაცემის მიზეზით, სურსათზე ხელმისაწვდომობის სტაბილურობის დარღვევების შემთხვევაში.

სურსათის იმპორტზე ქრონიკულ და დროებით დამოკიდებულებას აუცილებელია დაემატოს პოტენციური სასურსათო დამოკიდებულება. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ესა თუ ის სახელმწიფო უძლური აღმოჩნდება გარე კრიზისებისა და რყევებისადმი. ამ შემთხვევაში პოტენციური სასურსათო დამოკიდებულების საფრთხე შეიძლება გადაიზარდოს დროებით ან ქრონიკულ სასურსათო დამოკიდებულების მდგომარეობაში.

სასურსათო დამოკიდებულების პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას და რთულად წყდება დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში. ასეთ პირობებში შიმშილის საფრთხისაგან თავის დასაცავად ამ პრობლემის ცნობილი მკვლევარი პ.ლინდერტი გვირჩევს შიმშილის გამომწვევი შემდეგი ვარიანტების გათვალისწინებას: დროებითი ცუდი მოსავალი; ბუნების არახელსაყრელი მოვლენებით (გვალვები, ყინვები და ა.შ.) გამოწვეული ცუდი მოსავალი; მტრულად განწყობილი სახელმწიფოს მიერ დროებითი დაპყრობა ან ბლოკადა[3.14, გვ.53].

პირველ ორ ვარიანტში იგულისხმება, რომ ეროვნულ აგრარულ სექტორს არ ძალუძს საკუთარი წარმოების გადიდება. სურსათის ეროვნულ მწარმოებელთა დაცვისაგან მიღებული პირდაპირი მოგება დიდი არ იქნება, რამდენადაც არ არსებობს გარანტია იმისა, რომ მოსავლიან წლებში დამატებით წარმოებული პროდუქტების მნიშვნელოვანი ნაწილი საგანგებო გარემოებათა შემთხვევებისათვის დასაწ-

---

* ასეთ სიტუაციებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში ადგილი ჰქონდა 90-იანი წლების დასაწყისისა (სურსათის დეფიციტი ფულის არსებობისას) და დასასრულისათვის (სურსათის არსებობა ფულის დეფიციტის პირობებში).

ყობდება და არ წავა მიმდინარე მოხმარებაში. ასეთი მარაგების გარეშე ქვეყანა ვერაფერს ვერ მოიგებს ფორს-მაჟორულ გარემოებათა მიზეზით მოსავლის განადგურების პირობებში ეროვნულ მწარმოებელთა დაცვისაგან.

მხოლოდ მოსავლიანი წლების სურსათის საკმარისი მოცულობის მარაგების პირობებში შეიძლება შეიქმნას საგანგებო გარემოებებში მისი მიწოდების გარანტიები. ამ შემთხვევაში ამოსავალ მომენტს წარმოადგენს სურსათის შენახვა და არა მხოლოდ მისი შიდა წარმოება. თუ მოსავლიან წლებში ქვეყანაში იმპორტირებული სურსათი უფრო იაფია ადგილობრივ წარმოებულთან შედარებით, სახელმწიფო ზოგავს რესურსებს საიმპორტო მოწოდებათა გზით თავისი საგანგებო მარაგების ფორმირების, და არა შედარებით ძვირი ადგილობრივი წარმოების ხარჯზე.

თუ იმპორტით სურსათის შემოსვლა შეფერხდება მტრულად განწყობილი სახელმწიფოს ქმედებებით, ეროვნულ მწარმოებელთა დაცვის პოლიტიკა დამოკიდებული იქნება ჩარევის ვადების მოსალოდნელი ხანგრძლივობისაგან.

სასურსათო უსაფრთხოების პრობლების გადაწყვეტის ოპტიმალური (და გარკვეული გაგებით იდეალურიც) პირობაა სასურსათო ფონდის ფორმირება და მარაგების დაგროვება საგანგებო გარემოებათა შემთხვევებისათვის საკუთარი წარმოების ხარჯზე, იმპორტისათვის ყოველგვარი ბარიერების გარეშე. ამ შემთხვევაში უზრუნველყოფილი ხდება შიდა წარმოების მაღალი კონკურენტუნარიანობა და შრომის საერთაშორისო დანაწილების უპირატესობათა გამოყენება.

სურსათის იმპორტზე დამოკიდებულების მდგომარეობა ძირითადად ყალიბდება აგროსასურსათო წარმოების დაბალი ეფექტიანობის შედეგად. ამასთან, სასურსათო დამოკიდებულების საფრთხე შეიძლება გაჩნდეს არა მხოლოდ კვების პროდუქტების დეფიციტის, არამედ აგრეთვე მათი ექსპორტის (თუ ეს უკანასკნელი თვითმიზნად იქცევა), საგარეო ვალდებულებათა შესრულების და ეროვნული ვალუტის არასტაბილური კურსის პირობებშიც.

სურსათის ექსპორტზე ორიენტირებული ქვეყნები, როგორც წესი, ფლობენ მისი წარმოებისათვის საუკეთესო ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს ან იყენებენ ფასობრივი რეგულირების ღონისძიებათა ისეთ კომპლექსს, რომლის დროსაც კვების პროდუქტების გატანა არა მხო-

ლოდ მიზანშეწონილი, არამედ აგრეთვე ეკონომიკურად ხელსაყრელი-ცაა. უკანასკნელ პერიოდამდე რეგულირების ეს ფორმა, საექსპორტო სუბსიდიებთან ერთად, ძირითადს წარმოადგენდა აშშ-ისა და ევრო-კავშირის ქვეყნების სოფლის მეურნეობის ფინანსურ მხარდაჭერაში (შესაბამისად 60 და 70 პროცენტი).

ძირითადად საკუთარი წარმოების ხარჯზე შიდა ბაზრის სურ-სათის უმნიშვნელოვანესი სახეებით უზრუნველმყოფი ქვეყნები სასურ-სათო უსაფრთხოების გარანტირებისათვის ატარებენ პროტექციონის-ტულ პოლიტიკას. სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა საკუთარი წარმოების ხარჯზე სულ უფრო მეტ გავრცელებას ჰპოვებს როგორც ცალკეულ სახელმწიფოებში, ასევე მათ ბლოკებშიც.

მიუხედავათ იმისა, რომ ეკონომიკური უპირატესობის კრიტე-რიუმები ფართოდ პროპაგანდირდება მრავალი ეკონომისტის მიერ, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების თანამედროვე პრაქტიკაში იგი არ გამოიყენება. პრიორიტეტულად ითვლება ეროვ-ნული ინტერესები. ამიტომ სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა ყოველი სახელმწიფოს მიერ განიხილება განცალკევებულად, მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრები კი განისაზღვრება ქვეყნის საერთო ეკონომიკური განვითარების დონის გათვალისწინე-ბით.

მსოფლიო რესურსების ფორმირებაში თანამედროვე და მოსა-ლოდნელი ტენდენციების სირთულეების გათვალისწინებით, სახელმ-წიფოთა სასურსათო უსაფრთხოება პერსპექტივაში, ისევე როგორც ამჟამად, უზრუნველყოფილი იქნება საკუთარი წარმოების ხარჯზე. ეს, ჯერ-ერთი, მოხსნის მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურისაგან დამო-კიდებულებას და, მეორეც, უზრუნველყოფს ქვეყნის ხელთ არსებული აგროსასურსათო პოტენციალის უფრო სრულად და ეფექტიანად გა-მოყენებას. ამასთან, სურსათით თვითუზრუნველყოფა არ გამორიცხავს ამ რესურსების როგორც იმპორტის, ასევე ექსპორტის შესაძლებლო-ბებს, რაც იძლევა შრომის საერთაშორისო დანაწილების უპირატესო-ბათა სრულად გამოყენების საშუალებას.

სასურსათო სიტუაციის სირთულე საქართველოში და მისი შე-საძლო დამოკიდებულება პროდუქტების საზღვარგარეთ შესყიდვისაგან დღის წესრიგში აყენებს პროდუქტების გარკვეული ჩამონათვალის მი-ხედვით სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველმყოფ ღონისძიებათა

კომპლექსის შემუშავების გადაუდებელ ამოცანას. მათგან უმნიშვნელოვანესია შემდეგი:

- აგროსასურსათო კომპლექსის სტაბილური განვითარების სტიმულირება, კვების პროდუქტების ძირითადი სახეების სახელმწიფოებრივი სასურსათო ფონდების სრულად ფორმირებისა და საექსპორტო ორიენტაციისათვის საკმარის დონემდე;
- კვების პროდუქტების მიმართ მსყიდველობითუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა 3500 კკალ/დღის მოხმარების დონემდე, საოჯახო ბიუჯეტში სურსათზე დანახარჯების 30-35%-მდე შემცირების პირობებში;
- სურსათის დანაკლისის იმპორტისათვის აუცილებელი სავალუტო რესურსების რეზერვის შექმნა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის გაფართოებისა და მისი სტრუქტურის სრულყოფის ხარჯზე.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, ამ პრობლემის გადაწყვეტა მოუწევს საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, აგროსასურსათო კომპლექსის სტაბილური განვითარების გზით. ამ მიმართულებას ალტერნატივა არა აქვს.

სასურსათო უსაფრთხოების საიმედობის მისაღწევად საკუთარი წარმოების ხვედრითმა წილმა სასურსათო რესურსებში უნდა შეადგინოს 80-85% (უსაფრთხოების ქვედა ზღვარია – 60%).

ქვეყნის სასურსათო ბაზრის დამოკიდებულება მსოფლიო ბაზართან უნდა აიგოს შემდეგი ორი ფაქტორის გათვალისწინებით:

- მსოფლიო ბაზარი წარმოადგენს იმ საქონლის ბაზარს, რომელიც წარმოებულია ხელსაყრელ პირობებში, ანუ აქვს საექსპორტო ორიენტაციისა და მხარდაჭერის მაღალი დონე და, ამიტომ მსოფლიო ფასები ყოველთვის დაბალი იქნება არახელსაყრელ პირობებში წარმოების თვითღირებულებასთან შედარებით.
- სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამჟამინდელი პირობები საქართველოში არა თუ მთლად ხელსაყრელი არაა, არამედ გარკვეული არასტაბილურობითაც კი გამოირჩევა, რაც სულ უფრო მატულობს წარმოების ინტენსიფიკაციისა და ქვეყანა-

ში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების შედეგად. მაშასადამე, საქართველოს აგროსასურსათო სფერო უახლოეს მომავალში კვლავ იქნება არახელსაყრელ პირობებში და გამოირჩევა დანახარჯების შედარებით უფრო მაღალი დონით.

ზემოაღნიშნულ ფაქტორებთან ერთად, აუცილებელია მხედველობაში იქნას მიღებული სამამულო სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო პროდუქციის რესურსტევადობა, რომელიც რამდენჯერმე აჭარბებს საზღვარგარეთულ ანალოგებს. იმის გამო, რომ რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება წლიურად 2-3%-ითაც კი გრძელვადიან პერსპექტივაში ძალიან მაღალი მაჩვენებელია, გამომდინარეობს დასკვნა, რომ ქვეყნის აგროსასურსათო სექტორი ჯერ კიდევ ხანგრძლივი ვადით იმუშავებს ნაკლებად ეფექტიანი ტექნოლოგიების გამოყენებით მსოფლიო ბაზარზე მდგომარეობის განმსაზღვრელ სახელმწიფოებთან შედარებით, და პრაქტიკულად ამა თუ იმ ზომით ყოველთვის მოითხოვს სახელმწიფოებრივ მხარდაჭერას.

სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველმყოფ ღონისძიებათა მრავალგვარობის მიუხედავად, მათი ამოცანა ერთია — მომწოდებელ სახელმწიფოთა დიქტატის თავიდან აცილება, რომლებიც მოქმედებენ საკმაოდ ცნობილი სცენარით, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში. ჯერ — ჰუმანიტარული დახმარება, შემდეგ — პროდუქციის კომერციული მიწოდებები დაბალი ფასებით, ხოლო ბოლოს — ეროვნული აგროსასურსათო კომპლექსის მოშლა და შედეგად ექსპორტიორთა პირდაპირი დიქტატი. ასეთი პერსპექტივის თავიდან აცილება შესაძლებელია მხოლოდ საბაზო კვების პროდუქტების ქვეყნის შიდა მოხმარებისა და საექსპორტო მიწოდებისათვის საკმარისი მოცულობის პირობებში, სტაბილური საკუთარი წარმოების გზით.

საქართველოს აგროსასურსათო კომპლექსის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების მიღწევა და შენარჩუნება, ე.ი. პროდუქტთა 9 უმნიშვნელოვანესი ჯგუფის მიხედვით სურსათით თვითუზრუნველყოფამ საკუთარი წარმოების ხარჯზე უნდა შეადგინოს საერთო მოთხოვნის არანაკლებ 85%.

სასურსათო და სანედლეულო რესურსების უმნიშვნელოვანესი სახეების რაოდენობრივი პარამეტრები, რომლებიც საკმარისია მოსახლეობის ერთ სულზე შიდა მოხმარების უზრუნველყოფისათვის, მეც-

ნიერულად დასაბუთებული ნორმებიდან გამომდინარე, და აგრეთვე საექსპორტო პოტენციალის ფორმირებისათვის (ოპტიმალური დონე), შემდეგნაირად ყალიბდება: მარცვლეული–1400 ათასი ტონა, კარტოფილი–460, ბოსტნეული–550, ხილი და კენკრა–600, მცენარეული ცხიმები–30, შაქარი–180, ხორცი (ცოცხალი წონით)–140, ძროხის რძე–960 ათასი ტონა და კვერცხი–600 მლნ. ცალი.

აღნიშნული სტრატეგიული მიზნის რეალიზაცია მოითხოვს აგროსასურსათო კომპლექსის დარგთა ტექნიკურ-ტექნოლოგიურ გადაიარაღებასთან, საწარმოო პოტენციალის განმტკიცებასთან, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ინტენსიფიკაციასთან, სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნებთან დაკავშირებულ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელებას.

საქართველოში არსებული ეკონომიკური სიტუაციის გათვალისწინებით, სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიული მიზნის მისაღწევად საჭირო იქნება რამდენიმე ეტაპი. უახლოესი პერიოდისათვის პარამეტრები გათვლილია რესურსული პოტენციალის რაციონალური გამოყენების ფარგლებში წარმოების შემდეგი მოცულობებით: მარცვლეული – 1150 ათასი ტონა, კარტოფილი – 420, ბოსტნეული – 450, ხილი და კენკრა – 400, მცენარეული ცხიმები – 25, შაქარი – 150, ხორცი (ცოცხალი წონით) – 120, ძროხის რძე – 800 ათასი ტონა და კვერცხი – 500 მლნ. ცალი. ეს უზრუნველყოფს სასურსათო ბაზრის ბალანსს ძირითადად საკუთარი წარმოების ხარჯზე. იმპორტისა და ექსპორტის წილი პროდუქციის ცალკეული სახეების მიხედვით იქნება 15-20 პროცენტი.

სასურსათო პროდუქტების მოცულობის შემდგომი ზრდა მოითხოვს სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიული დონეების, მათი მიღწევის მექანიზმების დაკონკრეტებას, აგრარული პოლიტიკის პრიორიტეტების შემუშავებას, სახელმწიფოებრივი ხასიათის ღონისძიებათა გატარებას სტრატეგიული მიზნის ეტაპობრივი რეალიზაციის მიმართულებით.

თანამედროვე ეტაპზე გათვალისწინებული უნდა იქნეს საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების კრიტიკული დონეც, რომლის დროსაც შიდა სასურსათო ბაზრის საერთო ბალანსი საკუთარი წარმოების ხარჯზე უზრუნველყოფილია დაახლოებით 60%-ით.

საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების კრიტიკული დონისათვის, რომლის ქვემოთაც უკვე იწყება სასურსათო და ეკონომიკური უსაფრთხოების შესუსტება და დაკარგვა, საიმპორტო მოწოდებებისაგან დამოკიდებულების გაძლიერება, რაოდენობრივ გამოხატულებაში სავსებით რეალურია შემდეგი პარამეტრები: 800 ათასი ტონა მარცვლეული, 240 ათასი ტონა კარტოფილი, 250 ათასი ტონა ბოსტნეული, 330 ათასი ტონა ხილი და კენკრა, 20 ათასი ტონა მცენარეული ცხიმები, 110 ათასი ტონა შაქარი, 85 ათასი ტონა ხორცი (ცოცხალი წონით), 580 ათასი ტონა რძე და 360 მილიონი ცალი კვერცხი. ეს დონე უნდა იქცეს სურსათის წარმოების ზრდის ტემპებისა და სასურსათო ბაზრის გაჯერებულობის ათვლის საზღვრად.

საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიის პარამეტრები ასახულია 34-ე ცხრილში. მე-5 დიაგრამა კი წარმოგვიდგენს სასურსათო უსაფრთხოების ოპტიმალური, რეალური (2002 წლის) და კრიტიკული დონეების გრაფიკულ შედარებას.

ცხრილი 34. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიის პარამეტრები*

(ათასი ტონა)

პროდუქციის სახე	პარამეტრები		
	ოპტიმალური	რეალური	კრიტიკული
მარცვლეული	1400	672	800
კარტოფილი	460	415	240
ბოსტნეული	550	406	250
ხილი და კენკრა	600	172,6	330
მცენარეული ცხიმები	30	7,7	20
შაქარი	180	47,9	110
ხორცი (ცოცხალი წონით)	140	106,9	85
ძროხის რძე	960	720,7	580
კვერცხი, მლნ. ცალი	600	408,8	360

ამრიგად, სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგია უნდა დაეფუძნოს სურსათით ქვეყნის თვითუზრუნველყოფის პრინციპს, როგორც

* ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების მიხედვით[1.11, გვ.32-45]. ოპტიმალური და კრიტიკული პარამეტრები გაანგარიშებულია ავტორის მიერ.



სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის მტკიცე ეკონომიკური საფუძვლის უმნიშვნელოვანეს პირობას (საკმარისობისა და ხელმისაწვდომობის პრინციპებთან ერთად). თვითუზრუნველყოფაზე ყურადღების გამახვილება არ გულისხმობს ქვეყნის თვითიზოლაციას სასურსათო რესურსების ფორმირებაში. პირიქით, საუბარი მიდის ექსპორტისათვის წარმოების ზრდის და იმპორტის სტრუქტურის სრულყოფის შესახებ, რაც, შრომის საერთაშორისო დანაწილების უპირატესობებისა და ბაზრის ხელსაყრელი კონიუნქტურის გამოყენებასთან ერთად, ხელს შეუწყობს სახელმწიფოს სასურსათო დამოუკიდებლობის განმტკიცებას.

5.2. სასურსათო უსაფრთხოების საკანონმდებლო-სამართლებრივი უზრუნველყოფა

ქვეყნის აგროსასურსათო კომპლექსის მდგრადი განვითარება სახელმწიფოს მხრიდან მოითხოვს მისდამი, როგორც სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველმყოფი პრიორიტეტული ეკონომიკური სისტემისადმი, მიდგომას. ამიტომ ზემოაღნიშნული სტრატეგიული მიზნის მიღწევის ხელშესაწყობად აუცილებელია სასურსათო უსაფრთხოების საკანონმდებლო-სამართლებრივი უზრუნველყოფა, რაც იმავდროულად შექმნის ხელსაყრელ პირობებს აგროსასურსათო კომპლექსის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის.

საკანონმდებლო-სამართლებრივი ბაზა, როგორც წესი, დარგის განვითარების ან პრობლემის გადაწყვეტის წინასწარ შემუშავებულ კონცეფციას ემყარება. ამჟამად საქართველოს აგროსასურსათო კომპლექსის ტრადიციულად წამყვანი დარგის – სოფლის მეურნეობის განვითარების კონცეფცია არსებობს და მის ბაზაზე შესაბამისი საკანონმდებლო საქმიანობა უკვე მიმდინარეობს. აგრარული რეფორმის დაწყებიდან დღემდე მიღებულია და ფუნქციონირებს სამ ათეულზე მეტი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტი, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფოს ეკონომიკურ და ორგანიზაციულ საქმიანობას აღნიშნულ სფეროში.

აღნიშნულ საკანონმდებლო-სამართლებრივ ბაზაზე დაყრდნობით განხორციელდა მიწაზე კერძო საკუთრების დამკვიდრება საქართველოში. 1992-1996 წლებში, მიწის რეფორმის პირველი ეტაპის ჩატარების შედეგად, მიწა კერძო საკუთრებაში გადაეცათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. მაგრამ სასოფლო-სამეურნეო მიწების ნაწილი სპონტანურად იქნა პრივატიზებული, მაშინ როდესაც მიწაზე საკუთრების ფორმალური უფლება კვლავ სახელმწიფოს ხელში რჩებოდა. ასეთმა ნაწილობრივმა პრივატიზაციამ გარკვეული პრობლემები შექმნა აგრარულ სექტორში. ვინაიდან მიწის კერძო მფლობელებს არ გააჩნდათ ფორმალური უფლება მიწაზე, მათ არ შეეძლოთ სრულყოფილად გამოეყენებინათ თავიანთი უფლებები (ყიდვა-გაყიდვა, იჯარით გაცემა, დაგირავება და სხვა). ამ ფაქტორმა მნიშვნელოვანი უარყოფითი როლი ითამაშა აგრარული სექტორის განვითარებაში ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით.

1996 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონები: „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“, „მიწის რეგისტრაციის შესახებ“ და „სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის შესახებ“, რომლებმაც გარკვეულწილად მოახდინეს მიწის კანონმდებლობის ლიბერალიზება. ამ კანონებისა და მოგვიანებით (1997 წელს) ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღებამ ფაქტიურად საფუძველი ჩაუყარა მიწის რეფორმის მეორე ეტაპის დაწყებას და შესაძლებელი გახადა მიწაზე სხვადასხვა გარიგებების დადება. ამრიგად, საფუძველი ჩაეყარა საქართველოში მიწის ბაზრის ჩამოყალიბების პროცესს.

2003 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, სასოფლო-სამეურნეო მიწების 25.2 პროცენტი გადაცემულ იქნა კერძო მფლობელობაში. აქედან 57.2 პროცენტი სახნავ-სათესი მიწაა, 23.8 პროცენტი მრავალწლიან ნარგავებს უკავია, 16.4 პროცენტი კი სათიბებსა და საძოვრებს. უნდა აღინიშნოს, რომ კერძო საკუთრებაში გადაცემული მიწის ნაკვეთების ფართობი ძალზე მცირეა (საშუალოდ, ერთ კომლზე 0.9 ჰექტარი მიწა მოდის). მიწის ნაკვეთების ფართობის სიმცირე და სასოფლო-სამეურნეო მიწის დაქუცმაცება ხელს უშლის მიწის ეფექტურ გამოყენებას. აღნიშნულმა დღის წესრიგში დააყენა პრივატიზებული მიწების კონსოლიდაციის, მიწის ნაკვეთების გამსხვილების საკითხი.

დღეისათვის სახელმწიფო საკუთრებაშია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის დაახლოებით 75 პროცენტი. აქედან იჯარითაა გაცემული 975.5 ათასი ჰექტარი, სასოფლო-სამეურნეო სავარგულის 31.7 პროცენტი. გაუცემელი დარჩა 1298.9 ათასი ჰექტარი მიწა, საიდანაც 1115.9 ათასი ჰექტარი საძოვარია (მთლიანი სავარგულის 27.6 და საკუთრებაში გაუცემელი სავარგულის 86 პროცენტი, რომელიც არ ექვემდებარება პრივატიზაციას და პერსპექტივაშიც დარჩება საერთო სარგებლობაში), ხოლო დანარჩენი 183 ათასი ჰექტარიდან სახნავია 86.1 ათასი ჰექტარი, მრავალწლიან ნარგავებს უჭირავს 55.0 ათასი ჰექტარი, სათიბებს კი - 41.9 ათასი ჰექტარი[1.5, გვ.34].

მიწის საკუთრებაში და იჯარით გაუცემლობის მიზეზად შესაძლებელია დასახელებულ იქნეს იმგვარი ფაქტორები, როგორიცაა ნაკვეთების არახელსაყრელი მდებარეობა, ნიადაგის დაბალი ნაყოფიერება, ძველი სარწყავი და დამშრობი სისტემების გაუმართაობა, გაუდაბნოება, მეორადი დაჭაობება, დამლაშება, ეროზიული პროცესები. გარ-

და ამისა, მიწაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის ნელი ტემპი გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ არსებული სარეგისტრაციო სისტემა ითვალისწინებდა მხოლოდ მესაკუთრეთა რეგისტრაციას, რაც არ იყო საკმარისი მიწაზე საკუთრების უფლების სრული გამოყენებისა და შემდგომი გარიგებების დასადებად. ამასთანავე, მიწის რეგისტრაცია და საკუთრების უფლების დადასტურება საკმაოდ ხანგრძლივ დროსაც მოითხოვს, ვინაიდან საჭიროა ძველი მონაცემების ძალზე დეტალური გადამოწმება.

მიწის პირველადი რეგისტრაციის დაჩქარებისა და მიწაზე კანონიერი გარიგებების დადების ხელშეწყობის მიზნით 1999 წელს მიღებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის №327 ბრძანებულება „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციის გადაუდებელ ღონისძიებათა და საქართველოს მოქალაქეთათვის სარეგისტრაციო მოწმობების გაცემის შესახებ". აღნიშნულმა ბრძანებულებამ უზრუნველყო საქართველოს მოქალაქეთათვის მიწის ნაკვეთების უფასო პირველადი რეგისტრაცია, რამაც გამოიწვია მიწაზე კერძო საკუთრების რეგისტრაციის მიმართ კერძო მესაკუთრეთა ინტერესების გაზრდა და პირველადი რეგისტრაციის პროცესის დაჩქარება. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს 2002 წლის 10 აპრილის კანონმა „სარეგისტრაციო მოსაკრებლის შესახებ" პირველადი რეგისტრაცია კვლავ ფასიანი გახადა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოში მიწის რეფორმა დაიწყო პოლიტიკური დესტაბილიზაციის პირობებში, სამოქალაქო ომის, მოსახლეობის ცხოვრების დონის მკვეთრი დაქვეითების ფონზე და სათანადო საკანონმდებლო, ტექნიკური, მეთოდოლოგიური თუ ადმინისტრაციული ბაზის გარეშე. შედეგად, რეფორმის პროცესში ადგილი ჰქონდა მიწის გამოყენებასთან დაკავშირებულ ბევრ დარღვევას.

მიწის პრივატიზაციამ, უძრავი ქონების ბაზრისა და მიწის მართვის ახალი ფორმების ჩამოყალიბებამ გამოიწვია მიწასთან დაკავშირებული ინფორმაციის ახალი საკადასტრო სისტემის შექმნის მზარდი მოთხოვნილება. დღეს მიწის რესურსებსა და მიწასთან დაკავშირებული ურთიერთობების შესახებ სწორი ინფორმაციის ფლობა ძალზე მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მიწის სპონტანური პრივატიზაციის შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მიწის რეფორმის ფარგლებში განხორციელებული მიწის განაწილება და კერძო საკუთრებაში გადაცემა, განსაკუთრებით სასოფლო დასახლებებში, არ მომხდარა ახალი აზომვებისა და დაზუსტებული რუკების შედგენის საფუძველზე. ბუნებრივია, რომ საბჭოთა პერიოდში შედგენილი მიწათსარგებლობის რუკები, რომლებიც უნებლიე, თუ გამიზნულ შეცდომებს შეიცავდნენ, უცვლელად იქნა გადატანილი იმ მიღება-ჩაბარების აქტებში და თანდართულ ნახაზებში, რომელთა საფუძველზეც განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზება. ექსპერტთა აზრით, ამგვარი შეცდომების გამო, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწის ფონდი შესაძლებელია მნიშვნელოვნად გაიზარდოს, ვიდრე ამჟამადაა დაფიქსირებული.

უკანასკნელად, საკადასტრო სამუშაოები საქართველოში 80-იან წლებში ჩატარდა და მოიცავდა მიწის რაოდენობრივი, ხარისხობრივი და ეკონომიკური შეფასების მონაცემების შეგროვებას. 1994 წლიდან ასალი საკადასტრო სისტემის დანერგვაში საქართველოს აქტიურად ეხმარებიან სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები. ამჟამად საქართველოში შვიდი დონორი ორგანიზაცია ახორციელებს პროექტებს მიწის მართვის სფეროში, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ მოიცავენ მიწის კადასტრისა და რეგისტრაციის სამუშაოების ჩატარებას. სწორედ, ამ დონორების დახმარებით ფინანსდება თითქმის ყველა საკადასტრო სამუშაოები საქართველოში.

მიწასთან დაკავშირებული ურთიერთობების მართვას ამჟამად რამოდენიმე სახელმწიფო უწყება განახორციელებს. მაგალითად, საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი პასუხისმგებელია „მიწის რეფორმის, მიწების გამოყოფის, გასხვისების, დანიშნულების შეცვლის, მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კონტროლის, მიწის კადასტრისა და რეგისტრაციის, მიწათმოწყობის, მიწის მონიტორინგისა და შეფასების სამუშაოთა“ ორგანიზებასა და განხორციელებაზე. საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო პასუხისმგებელია სივრცითი განვითარების დაგეგმვის ღონისძიებების გატარებაზე. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო კი პასუხისმგებელია ბუნებრივი რესურსების (მათ შორის მიწის) დაცვისა და რაციონალური გამოყენების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორ-

ციელებაზე. ჩამოთვლილ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს ემატებათ უწყებები, რომლებიც ზონირების გზით მონაწილეობენ მიწის მართვასთან დაკავშირებული ურთიერთობების რეგულირებაში. უნდა აღინიშნოს, რომ მიწასთან დაკავშირებული ურთიერთობების მართვაში მონაწილე ზემოაღნიშნულ უწყებებს შორის კოორდინაცია ძალზე სუსტია.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს კიდევ ერთი გარემოება. 1996 წლის 6 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტის №160 ბრძანებულებით შეიქმნა საქართველოს მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომისია. აღნიშნული კომისიის შექმნის მიზანი იყო „მიწათსარგებლობის წესების, მიწის რეფორმის, მიწების დაცვისა და ეფექტიანი გამოყენების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება“.

უნდა აღინიშნოს, რომ შვიდი წლის წინ მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომისიის შექმნა შესაძლოა გამართლებული ყოფილიყო იმ გარემოებით, რომ იმ დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო სრულყოფილი მიწის დაცვის, გამოყენებისა და მართვის მარეგულირებელი კანონმდებლობა, ჩამოყალიბების პროცესში იყო ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები, მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი. დღეს აღნიშნული კომისია ფაქტიურად ახდენს ზემოთ ჩამოთვლილი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებისათვის მინიჭებულ ფუნქციათა დუბლირებას. ამიტომ საჭიროა მისი გაუქმება.

ზემოაღნიშნული მცირე ნაწილია იმისა, რაც აგრარულ სფეროში საკანონმდებლო ბაზის შექმნისა და რეალიზაციის მიმართულებით ხორციელდება. თუმცა, ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ დარგის საკანონმდებლო-სამართლებრივი ბაზის შექმნა ხორციელდება არათანმიმდევრულად, ფრაგმენტული ნორმატიული აქტების მიღების გზით, რომლებიც აგროსასურსათო სექტორთან დაკავშირებული ურთიერთობების მხოლოდ გარკვეულ, ვიწრო სპექტრს არეგულირებენ.

სამწუხაროდ, საქართველოში დღემდე არ არის შემუშავებული აგროსასურსათო კომპლექსის განვითარების მთლიანი კონცეფცია, რომელიც საფუძვლად დაედებოდა კომპლექსის ყველა დარგის ერთიანი სქემით განვითარებას, ქვეყნის აგროსასურსათო პოტენციალის

მაქსიმალური გამოყენების გზით სასურსათო უსაფრთხოების მისაღები დონის უზრუნველყოფას.

ერთიანი კონცეფცია, სადაც მთლიანობაში იქნებოდა გააზრებული აგროსასურსათო კომპლექსის ყველა დარგის შეთანხმებული განვითარების ამოცანები და, რომელიც იმავდროულად კოორდინირებული იქნებოდა ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგიასთან, ჯერ კიდევ შესამუშავებელია. შესაბამისად, არსებული საკანონმდებლო-სამართლებრივი ბაზა ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს და შემდგომ სრულყოფას საჭიროებს, ცალკეული სამართლებრივი აქტების სტრატეგიული ამოცანების ადეკვატური კანონებით შევსების თვალსაზრისით.

სასურსათო უსაფრთხოების ნორმატიულ ბაზას, კანონის თვალსაზრისით, უწინარეს ყოვლისა, წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია და სამოქალაქო კოდექსი, რომელთა სხვადასხვა თავებსა და განყოფილებებში დაფიქსირებული და განმტკიცებულია აგროსასურსათო სფეროს სამართლებრივი რეგულირების საფუძვლები.

სასურსათო უსაფრთხოება, ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის სახით, გარკვეულ ასახვას პოულობს საქართველოს სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროსა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ შემუშავებულ „საქართველოს აგრარული პოლიტიკის კონცეფციაში", რომელიც მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 7 აპრილის №171 ბრძანებულებით. ამ დოკუმენტში ჩამოყალიბებულია საქართველოში აგრარული პოლიტიკის ხაზით 1997-2010 წლებში გასატარებელ ღონისძიებათა კონკრეტული გეგმა, რომლის შესრულება სახელმწიფოს მხრიდან აყვანილია სათანადო კონტროლზე.

საქართველოს აგრარული პოლიტიკის კონცეფციის თანახმად, აგრარული პოლიტიკის ძირითადი მიზანია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცება აგროსასურსათო კომპლექსის პოტენციალის სრულად გამოყენებით.

აღნიშნული მიზნის მიღწევისათვის გადასაწყვეტი ძირითადი ამოცანებია: სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობაში რეფორმირებისა და რესტრუქტურიზების გაღრმავება მყარ საკანონმდებლო ბაზაზე; კონკურენტული გარემოს ფორმირება, კონკურენტუნარიანი

საწარმოო ერთეულების ხელშეწყობა და განვითარება; შიდა ბაზრის ტევადობის გადიდება, დასაქმებისა და შემოსავლების დონის არსებითი ამაღლება; საგარეო ბაზრებზე პოზიციების აღდგენა, ახალი ბაზრების ათვისება; რესურსების კონცენტრაცია პრიორიტეტულ მიმართულებებზე; წარმოების აღმავლობის უზრუნველმყოფი საბაზრო ინფრასტრუქტურის ფორმირება და ინტენსიური განვითარება; თანამედროვე საბაზრო (შერეული) ეკონომიკის თვითრეგულირებისა და სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმების ფუნქციონირება[3.5, გვ.10].

ქვეყნის აგრარული პოლიტიკის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, მიმდინარე ეტაპზე და პერსპექტივაშიც თვით აგროსასურსათო კომპლექსი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. ამასთან, საშუალოვადიან პერიოდში (1997-2003 წწ.) ძირითად პრიორიტეტად მიჩნეულია ადგილობრივი წარმოების სურსათით მოსახლეობის მოთხოვნის უზრუნველყოფის დონის მნიშვნელოვანი ამაღლება, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში (2010 წ.) კი – ტრადიციული და ახალი საექსპორტო პროდუქციის წარმოების გადიდება, რათა საექსპორტო შემოსავლებმა უზრუნველყოს არა მარტო სურსათზე მოთხოვნის დაბალანსება, არამედ აგრეთვე სხვა საჭიროებებისათვის უცხოური ვალუტის რესურსების ფორმირება.

საშუალოვადიან პერიოდში პრიორიტეტულად მიჩნეული მარცვლეულის, კარტოფილის, მცენარეული ზეთის, ხილ-ბოსტნეულის, მეცხოველეობის პროდუქტების (ხორცის, რძის, კვერცხის) წარმოების გადიდება განხორციელდება მეურნეობრიობის ექსტენსიური და ინტენსიური მეთოდების შეთანაწყობით. გრძელვადიან პერსპექტივაში პრიორიტეტულად მიჩნეული ტრადიციული საექსპორტო პროდუქციის მწარმოებელ დარგთა (მევენახეობა, მეხილეობა, მეჩაიეობა, მებოსტნეობა, შესაბამისი გადამამუშავებელი მრეწველობა, მინერალური და მტკნარი წყლების წარმოება) განვითარება კი მოხდება უპირატესად ინტენსიური გზით. ამასთან, საერთაშორისო ბაზრებზე გასვლა და პოზიციების დამკვიდრება შესაძლებელი გახდება ეკოლოგიურად სუფთა კვების პროდუქტებით, მათ შორის ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით. ყველა ეტაპზე პრიორიტეტული იქნება აგროსასურსათო კომპლექსის საწარმოო, სოციალური და საბაზრო ინფრასტრუქტურა.

საქართველოს აგრარული პოლიტიკის კონცეფციით განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულების დარგთა განვითარების ხელშეწყობისაკენაა მიმართული სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამები, რომელთა შემუშავებისა და რეალიზების წესი დამტკიცებულია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 30 მარტის №264 დადგენილებით.

დღევანდელი რეალური სიტუაციიდან გამომდინარე, სათანადო სახსრების სიმწირის პირობებში, საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო პირველ რიგში სარეალიზაციოდ მიიჩნევს აგროსასურსათო კომპლექსის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ შემდეგ პროგრამებს: „მცენარეული ზეთი", „კარტოფილი", „მარცვალი", „სოიო", „თხილი", „ჩაი", „შაქარი", „სოფლის მეურნეობის ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება", „სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი მცირე ქარხნებისათვის მოწყობილობების შექმნა", „ბავშვთა კვება" და ა.შ.

თანამედროვე პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს მიერ აგროსასურსათო სექტორის განვითარებისა და სასურსათო უსაფრთხოების რეალური საკანონმდებლო გარანტიების შექმნას. ამის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია „სასურსათო უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის შემუშავება და მიღება. ამ საქმეში სხვა ქვეყნებს საკმაოდ კარგი გამოცდილება აქვთ.*

დასახელებული კანონი უნდა შემუშავდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად და, აქედან გამომდინარე, ქმნიდეს მოქალაქეთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის აუცილებელ საკანონმდებლო გარანტიებს.

კანონში საკანონმდებლო დონეზე უნდა განისაზღვროს სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში, და ამით, საფუძველი ჩაეყაროს აგროსასურსათო სექტორის აღდგენის, მოსახლეობისათვის

---

* საგულისხმოა, რომ რუსეთის ფედერაციაში, რომ არაფერი ვთქვათ მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ქვეყნებზე, ანალოგიური კანონი ფუნქციონირებს 1999 წლიდან.

აუცილებელი და ხელმისაწვდომი კვების პროდუქტებით ქვეყნის ბაზრის გაჯერების მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის შექმნას.

კანონმა უნდა ახსნას ისეთი ფუძემდებლური ცნებების შინაარსი, როგორიცაა სასურსათო უსაფრთხოება, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სასურსათო კრიზისი, კვების ფიზიოლოგიური ნორმები, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კვების პროდუქტები, სასურსათო დამოუკიდებლობა, კვების პროდუქტების წარმოების აუცილებელი დონე, კვების პროდუქტების ფიზიკური და ეკონომიკური ხელმისაწვდომობა, სახელმწიფო სასურსათო რეზერვი.

კანონის შესაბამისად, საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას და მის ადგილობრივ ორგანოებს, სასურსათო უსაფრთხოებისა და სასურსათო ბაზრის სახელმწიფოებრივი კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით, უნდა მიენიჭოთ აუცილებელი უფლებამოსილებანი. კერძოდ, ეს უნდა შეეხოს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციის, სახელმწიფო სასურსათო რეზერვების მართვის, აგრეთვე სურსათის წარმოების აუცილებელი და ფაქტიური დონეების ბალანსის შედგენის საკითხებს.

ამასთან ერთად, სასურსათო ბაზრის სახელმწიფოებრივი კონტროლის სისტემამ უნდა მოიცვას არა მხოლოდ სურსათის წარმოებისა და მიწოდების, მისი სასაქონლო მარაგების აღრიცხვა, სურსათის საბითუმო პარტიების მოძრაობაზე კონტროლი მისი წარმოებიდან ან ქვეყნის ტერიტორიაზე იმპორტით შემოტანიდან მომხმარებლებისადმი მიწოდებამდე, არამედ ასევე სურსათის (იმპორტულის ჩათვლით) ხარისხის სერთიფიკაციაც ეკონომიკური და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მოთხოვნების შესაბამისად.

ასეთი კანონის შემუშავება და მიღება აუცილებელია იმ მხრივაც, რომ საქართველო ემზადება ევროკავშირში შესასვლელად. საქმე ისაა, რომ, ჯერ ერთი, საქართველოს პარლამენტმა მიიღო სპეციალური დადგენილება, რომლის მიხედვითაც 1998 წლის 1 სექტემბრიდან ქვეყანაში მიღებული ყველა ახალი საკანონმდებლო აქტი უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის სამართლებრივ აქტებს; და მეორეც, ევროკავშირი ატარებს ერთიან პოლიტიკას, რომელიც წევრი ქვეყნების მონაწილეობით მუშავდება და სავალდებულია ყველა მათგანისათვის.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების მაღალგანვითარებული აგროსასურსათო სექტორი, ინტენსიური მეურნეობრიობის ტრადიციები, საბაზრო მექანიზმებისა და სახელმწიფოებრივი რეგულირების შეხამების დიდი გამოცდილება და ევროკავშირის საშინაო ბაზრის გაჯერების თანამედროვე მდგომარეობა საქართველოს აგროსასურსათო სექტორში მოითხოვს სიტუაციის ადეკვატური საკანონმდებლო, ეკონომიკური და ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელებას შრომის მწარმოებლურობის გადიდების, სასურსათო ბაზრის სტაბილიზების, სურსათით მოსახლეობის უზრუნველყოფის და სოფლად ცხოვრების დონის ამაღლების ამოცანების შესრულების მიზნით.

5.3. აგროსასურსათო კომპლექსის მდგრადი განვითარებისა და სასურსათო ბაზრის სახელმწიფოებრივი რეგულირება.

ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მყარ საფუძველს ქმნის ძლიერი და მაღალეფექტიანად ფუნქციონირებადი აგროსასურსათო კომპლექსი. ამიტომ მისი მდგრადი განვითარების სათანადო სახელმწიფოებრივ მხარდაჭერასა და სტიმულირებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ აგროსასურსათო კომპლექსის სახელმწიფოებრივი რეგულირების მოქნილი სისტემის ქმედითად გამოყენებით, თვითრეგულირებისა და რეგულირების მექანიზმების ოპტიმალური შეთანაწყობით.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად დასუსტდა საქართველოს აგროსასურსათო კომპლექსის საწარმოო-ტექნიკური პოტენციალი: ფუნქციონირება შეწყვიტა მრავალმა მეცხოველეობის კომპლექსმა, მეფრინველეობის ფაბრიკამ და სასათბურე კომბინატმა; შემცირდა სახნავი და მრავალწლიანი ნარგავების ფართობები; განიავდა დიდი ოდენობით სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და პრაქტიკულად მოიშალა აგრარული სექტორის ტექნიკური ბაზა. ეს ძირითადად გამოწვეული იყო აგროსასურსათო კომპლექსის ცენტრალიზებული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების

სისტემის მოშლით და ძირეული სამეურნეო სუბიექტების რეორგანიზებით.*

ამ და სხვა ცნობილი მიზეზების გამო, სახელმწიფომ უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში თითქმის მთლიანად მოიხსნა საკუთარი მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის ვალდებულებები და ეს საქმე ფაქტობრივად თვითდინებაზე იქნა მიშვებული.

თანამედროვე ეტაპზე, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნათა გათვალისწინებით, აგროსასურსათო კომპლექსის სახელმწიფოებრივი რეგულირების ქმედითი ინსტრუმენტი უნდა გახდეს მიზნობრივი კომპლექსური პროგრამები, რომელთა ხანგრძლივობა 3-5 წელია და მოიცავენ, როგორც საკუთრივ წარმოების სფეროს, ასევე წარმოებით ურთიერთობათა სხვა მხარეებსაც.

ასეთი პროგრამის სახით, უწინარეს ყოვლისა, უნდა მოგვევლინოს საქართველოს და მისი ცალკეული რეგიონების სასურსათო ბაზრის ფორმირების პროგრამა. მასში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ღონისძიებათა ფართო სისტემა, რომელიც მოიცავს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის წარმოების განსაზღვრული დონის მიღწევას, საბაზრო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას, სურსათის სამამულო მწარმოებელთა მხარდაჭერას, სურსათზე გარანტირებული ფასების დადგენა-შენარჩუნებას, ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრას და მთელ რიგ სხვა ღონისძიებებს, რომელთა გატარებაც აუცილებელია სასურსათო ბაზრის ფორმირებისა და ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

ამასთან, პროგრამაში ასახულ უნდა იქნეს, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტური დაფინანსების მოცულობები, ასევე სხვადასხვა სახის შეღავათები და სტიმულები პროგრამაში მონაწილე სამეურნეო სუბიექტებისათვის. სადღეისოდ აგროსასურსათო კომპლექსის სახელმწიფოებრივი რეგულირების ასეთი პროგრამების არარსებობა დღის წესრიგში აყენებს მუშაობის გააქტიურების აუცილებლობას მათი შემუშავების მიმართულებით.

---

* ამ გზით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი და მისი გადამამუშავებელი ყოფილი სახელმწიფო საწარმოების ბაზაზე ჩამოყალიბდა სხვადასხვა იურიდიული სტატუსის მქონე სამეურნეო სუბიექტები (ფერმერული მეურნეობები, კოოპერატივები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, ამხანაგობები, სააქციო საზოგადოებები და სხვა).

აქ მთავარი ორიენტირებია: დასახული მიზნების მიღწევა, სასურსათო ბაზრის სტაბილურობა, რყევების თავიდან აცილება, კონკურენტული გარემოს შექმნა და შენარჩუნება, დასაქმების დონის ამაღლება, სოფლის მეურნეობასა და მთლიანად კომპლექსში დასაქმებულთა შემოსავლების სტაბილური ზრდა.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ქვეყანაში სასურსათო რესურსების ფორმირება უნდა განხორციელდეს უპირატესად კერძო სექტორის ინტენსიური განვითარებით. ამასთან, რეგულირებისათვის სახელმწიფომ შესაძლოა გამოიყენოს რეზერვების ფორმირების მექანიზმი მწარმოებელთაგან პროდუქციის გარანტირებულ ფასებში შესყიდვით.

ამ მიზნით ათვისებულ უნდა იქნეს განვითარებულ ქვეყნებში მწარმოებელთა მხარდაჭერის აპრობირებული ფორმები და მეთოდები (სუბსიდირება, დოტირება, საექსპორტო დაკრედიტება) იმ ზომით და ფარგლებში, რაც დაშვებულია საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დოკუმენტებით, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სტანდარტებითა და წესდებით, საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებით. ამასთან, რეგულირებისათვის ფართოდ არ უნდა იყოს გამოყენებული არაპირდაპირი სუბსიდირების მექანიზმები. ამ ფორმების გამჭვირვალობა და მიზნობრიობა განპირობებულ უნდა იქნეს შესაბამისი სახელმწიფოებრივი პროგრამებით.

ქვეყანაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის, შესაბამისი ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკის ფარგლებში, შესაძლებლობათა არსებობის კვალობაზე უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის სამამულო მწარმოებელთა მხარდაჭერის, აგროსასურსათო კომპლექსის დარგებში დასაქმებულთა შემოსავლების სტაბილურობის უზრუნველყოფის, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამები, რომელთა დაფინანსება განხორციელდება კონკურსის საფუძველზე.*

აგროსასურსათო კომპლექსის საბაზრო რეგულირების მექანიზმში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფასები და ფასწარმოქმნის პო-

---

* ამ პროგრამების დაფინანსებისათვის, საბიუჯეტო სახსრებთან ერთად, მობილიზებულ და გამოყენებულ უნდა იქნეს ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციები, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების გრანტები და კრედიტები.

ლიტიკა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულსა და სურსათზე. ფასები, ერთი მხრივ, ასტიმულირებენ მიწოდების ზრდას, ხოლო მეორე მხრივ, გავლენას ახდენენ მოსახლეობის გადახდისუნარიან მოთხოვნაზე, მისთვის მეტად ან ნაკლებად ხელმისაწვდომს ხდიან სასურსათო საქონელს.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის ძირითად სახეობებზე ფასების გათავისუფლება მოხდა 1992 წლის თებერვალსა და ივლისში განხორციელებული ფასების ლიბერალიზაციის მეორე რაუნდის შედეგად. მთავრობის კონტროლის ქვეშ დარჩა მხოლოდ პურის, რძის და ზოგიერთი საზოგადოებრივი მომსახურების (ენერგომომარაგება, კომუნალური მომსახურება და სატრანსპორტო გადაზიდვები) ფასები. 1995 წლის დასაწყისისათვის სასურსათო პროდუქტებიდან მხოლოდ პური და რძე იყიდებოდა ფიქსირებული ფასებით, ე.წ. „რეკომენდებული ფასები" გამოიყენებოდა სახელმწიფო მაღაზიებში გაყიდულ ბევრ სასურსათო საქონელზე (ჩამოსასხმელი ღვინო, ლუდი, მინერალური წყალი, ძეხვის სხვადასხვა სახეობები, ხილი და დაკონსერვებული ბოსტნეული). ამასთან, აღნიშნული ფასები საზოგადოდ 30-80%-ით უფრო დაბალი იყო ანალოგიურ პროდუქტებზე კერძო მწარმოებლებისა და იმპორტიორების მიერ დადგენილ ფასებთან შედარებით.

განვითარების დღევანდელ ეტაპზე აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო ნედლეულსა და სურსათზე ფასწარმოქმნის მკვეთრი სახელმწიფოებრივი კონცეფციის შემუშავება და გატარება. ასეთი კონცეფცია გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე გარანტირებული, ხოლო სურსათზე კი — ზღვრული საბაზრო ფასების დადგენას. ასეთმა ფასებმა უნდა დაფაროს წარმოების დანახარჯები და უზრუნველყოს გაფართოებული კვლავწარმოების პირობები. ამასთან, წლის განმავლობაში უნდა მოხდეს მათი ყოველთვიური ინდექსაცია მატერიალურ რესურსებსა და მომსახურებაზე ფასების, კრედიტისათვის სარგებლისა და სხვა პირობების ცვლილებასთან დაკავშირებით.

ქვეყნის აგროსასურსათო კომპლექსის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მის სათანადო საბიუჯეტო დაფინანსებას. დღეისათვის აგროსასურსათო კომპლექსის დარგთა საბიუჯეტო დაფინანსება ფაქტობრივად ვერ უზრუნველყოფს ამ სფეროში წარმოების სტაბილურობას; გამოყო-

ფილი საბიუჯეტო საშუალებები აშკარად არასაკმარისია სასურსათო მეურნეობის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის.

ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია აგროსასურსათო კომპლექსის მიმართ გატარებული საფინანსო პოლიტიკის გარდაქმნა, საბიუჯეტო საშუალებათა ძირითადი ნაწილის (დაახლოებით 5%-ის) მიმართვა ცენტრალური და რეგიონული მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების დაფინანსებაზე. აგროსასურსათო კომპლექსის ფინანსური მხარდაჭერა უნდა წარიმართოს შემდეგი მიმართულებებით: საბიუჯეტო ასიგნებანი მიზნობრივ კომპლექსურ პროგრამებზე; კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება; დოტაციები პროდუქციასა და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებზე; ასიგნებანი დაზღვევაზე; ბანკების სესხების ნაწილობრივი კომპენსაცია. ამასთან, სასურსათო მეურნეობის დაფინანსებისათვის ფართოდ უნდა იქნეს მოზიდული არასაბიუჯეტო ფონდების სახსრები, მათ შორის საკრედიტო რესურსები.

აგროსასურსათო კომპლექსის დარგთა სამეურნეო სუბიექტების დაკრედიტების დღეისათვის მოქმედი სისტემა „აგრობანკის" და „აგრობიზნესბანკის" სახით მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს ახალ ეკონომიკურ გარემოში მყოფი ქვეყნის სასურსათო მეურნეობის საკრედიტო მოთხოვნებს. აღნიშნული ვაკუუმის შესავსებად საჭიროა დროებითი, მეტნაკლებად ოპტიმალური სტრატეგიის შემუშავება აგროსასურსათო კომპლექსის საკრედიტო რესურსებით უზრუნველსაყოფად.

თანამედროვე პირობებში ობიექტურად უნდა განისაზღვროს კრედიტების განთავსების წესი; შემუშავდეს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროსა და შესაბამის კომერციულ ბანკებს შორის ურთიერთობათა პრინციპები, თანამშრომლობის მექანიზმები. საჭიროა სეზონურ დაკრედიტებასთან ერთად ფართოდ იქნეს გამოყენებული გრძელვადიანი დაკრედიტების ისეთი სპეციფიკური ფორმა, როგორიცაა ლიზინგი. ეს უკანასკნელი დიდ როლს შეასრულებს მოწყობილობათა ტექნოლოგიური მოძველებისაგან დაცვაში. საქართველოში ლიზინგური ოპერაციები უნდა განახორციელოს ს/ს „საქაგრომომარაგებამ", ან შეიძლება შეიქმნას სხვა ალტერნატიული სტრუქტურა[4.29, გვ.455-456].

სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის ინდივიდუალურ მწარმოებელთათვის კრედიტის ხელმისაწვდომობის გაზრდის

დამატებით მექანიზმს წარმოადგენს ადგილობრივი საკრედიტო კავშირების შექმნა. საქართველოში მსოფლიო ბანკისა და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ფონდის დახმარებით 1995 წლიდან დაიწყო სოფლად გლეხთა საკრედიტო კავშირების ჩამოყალიბება. დღეისათვის საქართველოში სულ რეგისტრირებულია 171 საკრედიტო კავშირი 1540,5 ათასი ლარის საპაიო კაპიტალით. გლეხთა საკრედიტო კავშირების ფორმირებისა და განვითარების ხელშეწყობას უზრუნველყოფს აგრეთვე ევროკავშირის RARP-1 პროექტი, რომლის ფარგლებში უკვე შექმნილია 7 საკრედიტო კავშირი, რომლებზეც ევროკავშირის საპარტნიორო ფონდიდან გაცემულია 1,9 მლნ. ლარის კრედიტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, საშუალოვადიან პერიოდში შენარჩუნებულ უნდა იქნეს საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც საჭიროებს მოსალოდნელი ნეგატიური გამოვლინებებისაგან დაზღვევის წინასწარი კონტროლის გაძლიერებას გრძელვადიან პერსპექტივაში, კონკურენტული საკრედიტო ბაზრის ჩამოყალიბების კვალობაზე, რაც ხელისუფლების აქტიური მხარდაჭერით უნდა განხორციელდეს. ამასთან, ინტენსიურად უნდა წარიმართოს აგროსასურსათო კომპლექსში თვითდაკრედიტების სისტემის ფორმირება, საწყის ეტაპზე სასოფლო საკრედიტო კავშირების ჩამოყალიბებით, შემდგომში კი — ეტაპობრივად ამ კავშირების რეგიონული ასოციაციების, და საბოლოოდ, ქვეყნის მასშტაბით ერთიანი სასოფლო დაკრედიტების კოოპერაციული ორგანიზაციის შექმნით.

ქვეყნის სასურსათო სტაბილურობის უზრუნველყოფა და ამ სფეროში მთავრობის მიერ უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი ფუნქციების განხორციელება დამოკიდებულია სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების მეშვეობით სახსრების მობილიზაციაზე. აგროსასურსათო კომპლექსში ამჟამად მოქმედი გადასახადების სისტემა მოიცავს ისეთ გადასახადებს, როგორიცაა: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი; დამატებული ღირებულების, საშემოსავლო, მოგების, ქონების გადასახადები, აქციზი და სხვადასხვა ადგილობრივი გადასახადები.

საგულისხმოა, რომ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის მწარმოებლებზე დაკისრებული გადასახადები მაქსიმალურად არ ითვალისწინებს ქვეყნის რეგიონებისა და ადმინისტრაციული რა-

ონების სპეციალიზაციას, არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს მეცხოველეობის მიმართულების სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ფერმერულ მეურნეობებს და სტიმულს უკარგავს მათ ტენდენციას გამსხვილებისაკენ, რაც, თავის მხრივ, უარყოფით გავლენას ახდენს წარმოების ინტენსიფიკაციასა და მუშაობის შედეგობრივ მაჩვენებლებზე.

ჩვენი აზრით, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის წარმოებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადი არ უნდა აჭარბებდეს მოგების 8%-ს, როგორც ამას ადგილი აქვს განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში. ამასთან, დაბეგვრისაგან უნდა გათავისუფლდეს ქვეყნის აგროსასურსათო კომპლექსის ეკონომიკურ სუბიექტთა ის მოგება, რომელიც მიმართულია კაპიტალურ დაბანდებებზე, რეკონსტრუქციაზე, წარმოების ტექნიკურ გადაიარაღებასა და სოციალური სფეროს განვითარებაზე.

ამასთან დაკავშირებით, უახლოეს მომავალში განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს აგროსასურსათო კომპლექსის განვითარების მასტიმულირებელი საგადასახადო სისტემის ფორმირების დასრულებას, ეკონომიკურ სუბიექტებზე საერთო საგადასახადო ტვირთის შემცირებით და საგადასახადო ბაზის გაფართოებით, სისტემის მაქსიმალური გამარტივებით. მიზანშეწონილია უშუალოდ სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იურიდიული და ფიზიკური პირების დაბეგვრის სისტემის მაქსიმალური გამარტივება მიწისა და ქონების გადასახადზე ორიენტაციით.

ქვეყნის აგროსასურსათო კომპლექსის განვითარება და ამ სფეროში დასაქმებულთა შემოსავლების სტაბილურობა დიდადაა დამოკიდებული სადაზღვევო სისტემის მწყობრ და გამართულ მუშაობაზე. ცნობილი მიზეზების გამო, საქართველოში 1991 წლიდან გაუქმებულ იქნა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სახელმწიფო დაზღვევა და ეს ფუნქცია გადაეცა კერძო სადაზღვევო კომპანიებს. ამჟამად ფერმერული მეურნეობები არც თუ ისე ხალისით მონაწილეობენ კომერციულ დაზღვევაში ფულადი საშუალებების უკმარისობის, სადაზღვევო შენატანების მეტისმეტად მაღალი განაკვეთებისა და არახელსაყრელი სადაზღვევო პირობების გამო.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დღეისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია ერთიანი სახელმწიფო-კომერციული სადაზღვევო სის-

ტემის ჩამოყალიბება, სადაზღვევო გასაცემლებში ბიუჯეტის წილობრივი მონაწილეობის საფუძველზე. ამასთან, აუცილებელია დამკვიდრდეს სავალდებულო დაზღვევა, უწინარეს ყოვლისა, სარისკო წარმოებაში, სადაზღვევო ბაზარზე შესაბამისი კერძო კომპანიებისათვის თანაბარი კონკურენტული გარემოს შექმნით. სადაზღვევო საქმის განვითარება უნდა გახდეს გრძელვადიანი ინვესტირებისათვის შინაგანი დანაზოგების წარმართვის მნიშვნელოვანი საფინანსო არხი.

სურსათით ქვეყნის მოსახლეობის საიმედო უზრუნველყოფის მიღწევაში განსაკუთრებული როლი განეკუთვნება სასურსათო ბაზრის რაციონალურ სახელმწიფოებრივ რეგულირებას.

ზოგადად, სასურსათო ბაზრის სახელმწიფოებრივი რეგულირების მიზანი შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად: სამამულო წარმოების ხარისხიანი სასურსათო პროდუქტებით მომხმარებელთა გადახდისუნარიანი მოთხოვნის შესაბამისი დონის ფასების მიხედვით ეფექტიანი, ეკონომიკურად მისაღები მომარაგებისათვის კეთილსასურველი პირობების შექმნა. ასეთი პირობები შეიძლება შეიქმნას მხოლოდ სასურსათო ბაზრის მთავარი კომპონენტების — მიწოდებისა და მოთხოვნის დაბალანსებისას. ამიტომ აუცილებელია ცალ-ცალკე განვიხილოთ მიწოდებისა და მოთხოვნის რეგულირების სისტემები.

სასურსათო ბაზრის პროდუქციის მიწოდების სახელმწიფოებრივი რეგულირების სისტემა, უწინარეს ყოვლისა, მიმართულ უნდა იქნეს შემდეგი ძირითადი მიზნების მიღწევაზე: აგროსასურსათო კომპლექსის მდგრადი განვითარებისათვის სტაბილური ეკონომიკური და სოციალური პირობების უზრუნველყოფა; სახელმწიფო და რეგიონული სასურსათო ფონდების ფორმირება; მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილება ხარისხიან სასურსათო პროდუქტებზე სოციალურად მისაღები ფასებით; სახელმწიფო და რეგიონული სასურსათო ბაზრების დაცვა საგარეო ბაზრის მხრიდან "ჩაგვრისაგან"; საბაზრო სივრცის ინტეგრირება; გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება.

ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად, სასურსათო ბაზრის საქმიანობაში სახელმწიფოებრივი ჩარევის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს: სახელმწიფო გარანტიები მწარმოებელთა მიერ სარეალიზაციოდ წარდგენილი მთელი სასურსათო პროდუქციის შეუფერხებელ

შეძენაზე;* სახელმწიფო გარანტიები მწარმოებელთა მიერ ჩაბარებული სასურსათო პროდუქციის ანაზღაურებაზე გარანტირებული, წინასწარ დათქმული ფასებით; სასურსათო პროდუქტების წარმოების, გადამუშავების, შენახვისა და რაციონალური გამოყენების ტექნოლოგიათა სრულყოფის დაფინანსება და შეღავათიანი დაკრედიტება.

სასურსათო ბაზრის საქმიანობაში ჩარევისათვის აუცილებელი მარაგების არარსებობის შემთხვევაში (რომელიც ამჟამად მონოპოლიური და ფარული სტრუქტურების ხელშია) თვით სახელმწიფო უნდა იყოს დაინტერესებული რეზერვების დაგროვებით. იმავდროულად პროდუქციის შეძენის გარანტია განამტკიცებს მწარმოებელთა რწმენას, იცავს მათ გაკოტრებისაგან, ასტიმულირებს წარმოების განვითარებას, რაც, საბოლოო ანგარიშში, იწვევს სასურსათო ბაზრის სტაბილურობას.

პერსპექტივაში მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროდუქციის გასაღებაზე სახელმწიფო გარანტიის რეალიზების შემდეგი ორი ფორმის გამოყენება:

- საკონტრაქტო სისტემა, რომელიც ითვალისწინებს წლის დასაწყისში ხელშეკრულების გაფორმებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვაზე, ფიქსირებული დონის გარანტირებული ფასებით;
- სასურსათო პროდუქციის მიღება გირაოდ გარკვეული ვადით და ანგარიშსწორებისას საგირავნო ფასების გამოყენება.**

სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის მწარმოებელთა დაცვა მდგომარეობს იმაში, რომ მათ შეუძლიათ ნებასურვილით აირჩიონ საკუთარი პროდუქციის რეალიზების ფორმები, სახელმწიფო გარანტიების შემოთავაზებული სისტემა კი ხელს შეუწყობს ქვეყა-

---

* სახელმწიფოს მიერ პროდუქციის შეძენის გარანტია არ გამორიცხავს მწარმოებელთა უშუალო გასვლას ბაზარზე. გარანტია გულისხმობს, რომ თუ მწარმოებელი ამა თუ იმ მიზეზით მიზანშეწონილად არ ჩათვლის პირდაპირ მიმართოს საბაზრო არხებს, სახელმწიფო იძლევა გარანტიას მიიღოს მისი პროდუქცია გარანტირებული (შესასყიდი და გირავნობის) ფასებით.

** თანამედროვე პირობებში სასურსათო პროდუქციის მიღება გირავნობის პრინციპით მთლად სასურველი არ არის, რამდენადაც ქვეყანაში გირავნობითი ურთიერთობები ჯერ კიდევ არაა სრულფასოვნად ათვისებული.

ნაში აგროსასურსათო კომპლექსის დარგთა რაციონალურ ტერიტორიულ გაადგილებას და ერთიანი საბაზრო სივრცის ფორმირებას.

ამასთან დაკავშირებით, დღეისათვის არსებითად მოსაგვარებელია საკითხი პროდუქციის გასაღების სახელმწიფო გარანტიებზე ქვოტების შესახებ. აგროსასურსათო კომპლექსის ინტერესების თვალსაზრისით, პროდუქციის მიღების ნებისმიერი შეზღუდვა არასასურველია. იგი ასევე მიუღებელია სახელმწიფოებრივი პოზიციიდანაც, რამდენადაც ანელებს სახელმწიფო სასაქონლო მარაგების დაგროვების ტემპებს. თუმცა, ზოგიერთი სახეობის დოტირებული პროდუქციის მიხედვით ბიუჯეტურმა შესაძლებლობებმა შეიძლება მოითხოვოს შესაბამისი შემზღუდავი ქვოტების შემოღება. ამ შემთხვევაში აუცილებელია დავეყრდნოთ რეგიონული დიფერენციაციის პრინციპს, რომელიც ასახავს აგროსასურსათო კომპლექსის დარგთა რაციონალური ტერიტორიული გაადგილების მოთხოვნებს.

შრომის ტერიტორიული დანაწილების გათვალისწინებით და ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური პირობების საფუძველზე ერთიანი სასურსათო ბაზრის ფორმირებისათვის აუცილებელია: საქართველოს მთელი ტერიტორიისათვის ერთიანი ფასწარმოქმნის სტრატეგია და მწარმოებელთა სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა; სასოფლო-სამეურნეო ნედლეულსა და სურსათზე ფასების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა; სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის მწარმოებელთა (განსაკუთრებით, არახელსაყრელ ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებში მომუშავეთა) სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამები; სახელმწიფო და რეგიონული სასურსათო ფონდების ფორმირება.

დღეისათვის ძირითადი ყურადღება გადატანილ უნდა იქნეს ერთიანი სახელმწიფო სასურსათო ფონდის ფორმირებაზე, რომლის სიდიდეც ეფექტურ გავლენას ახდენს ქვეყნის სასურსათო ბაზარზე. სასურსათო ბაზრის საქმიანობაში ეფექტური ჩარევისათვის სახელმწიფო უნდა ფლობდეს კრიტიკული მასის მქონე სასაქონლო მარაგებს. რუს სპეციალისტთა გაანგარიშებით, ამისათვის საკმარისია იმ პროდუქტის სასაქონლო მოცულობის 50-55%, რომლის მიმართაც ხორციელდება სახელმწიფოებრივი რეგულირება[3.12, გვ.63].

ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია შემუშავდეს საჭირო მოცულობებით ფონდების შევსების უზრუნველმყოფი ეკონომიკური მე-

ქანიზმი. თანამედროვე პირობებში გამოირიცხება მწარმოებლებზე გარე-ეკონომიკური ზეწოლის შესაძლებლობა. სახელმწიფო და რეგიონულ ფონდებში სასურსათო პროდუქციის მიწოდების კონტრაქტი უნდა იყოს ეკონომიკურად მიმზიდველი. მისი გაფორმებისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს მწარმოებელთა დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებები, რაც, ბუნებრივია, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საბაზრო მექანიზმის მოქმედებას.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში, მიწოდების მხარდაჭერის პოლიტიკასთან ერთად, სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს მოთხოვნის მხარდაჭერასა და რეგულირებას, მომხმარებელთა შემოსავლების სტაბილიზაციისა და ამაღლებისათვის.

ფასების ლიბერალიზების შედეგად ქვეყანაში შექმნილი პარადოქსული სიტუაციის გათვალისწინებით, მთლიანად აგროსასურსათო კომპლექსის მიხედვით, მოთხოვნის რეგულირების შესაძლო ვარიანტებიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საცალო ფასების შეზღუდვას სასოფლო-სამეურნეო ნედლეულსა და სურსათზე*. შესაძლოა საცალო ფასების შეზღუდვის შემდეგი მეთოდების გამოყენება:

- სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და ცალკეული სახეობის სასურსათო პროდუქტების გაყიდვა ფიქსირებული საცალო ფასებით;
- ზოგიერთი სასურსათო პროდუქტის გაყიდვა რეალიზაციის ყველა არხის მიხედვით ზღვრული საცალო ფასებით;
- სასურსათო პროდუქტების გაყიდვა „მცურავი“ ფასებით (მათი მინიმალური და მაქსიმალური დონეების ფარგლებში)**;

---

* უნდა შევნიშნოთ, რომ საცალო ფასების დონის შეზღუდვა გამოდის წმინდა საბაზრო საშუალებათა არსენალიდან. მისი გამოყენება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც უფრო „რბილი“ საშუალებები სასურველ შედეგს არ იძლევა.

** „მცურავი“ ფასები, ისევე როგორც ფიქსირებული და ზღვრული ფასები, რეგულარულად უნდა გადაისინჯოს და ინდექსირდეს ამა თუ იმ პროდუქტზე მოთხოვნის რეალური ცვლილების შესაბამისად.

- საცალო ფასების რეგულირება სასურსათო ბაზარზე ინტერვენციის გზით (საინტერვენციო მარაგების შექმნა).

სასურსათო ბაზრის რეგულირების ზემოაღნიშნული მეთოდებიდან საბაზრო ეკონომიკის პირობებს ყველაზე მეტად შეესაბამება სასაქონლო ინტერვენციის მეთოდი. იგი შესაძლებლობას იძლევა შენარჩუნდეს ნორმალური კონკურენტული გარემო და კომპენსირდეს კონკრეტულ სიტუაციაში საბაზრო ინფრასტრუქტურების არასაკმარისი სიმტკიცე და მობილურობა. სასაქონლო ინტერვენციის დროული განხორციელებისათვის აუცილებელია სახელმწიფოს გააჩნდეს საკმარისი სასურსათო მარაგები.

განვითარებული სასურსათო ბაზრებისა და ცხოვრების მაღალი დონის მქონე ქვეყნების გამოცდილების შესწავლა და განზოგადება, აგრეთვე ჩვენი დაკვირვებანი ახლად წარმოქმნილ საკუთარ ბაზარზე შესაძლებლობას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ საცალო ვაჭრობისა და მოხმარების დონის რეგულირება მეტად რთულია. ამ პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საინტერვენციო მარაგებიდან (სახელმწიფო სასურსათო რესურსებიდან) სასურსათო პროდუქტებით ვაჭრობის წესებს. ისინი უნდა იყოს კანონმდებლობით რეგლამენტირებული, სადაც აუცილებელია ჩაიდოს შემდეგი ძირითადი პირობები:

- სახელმწიფოს მხრიდან სასაქონლო ინტერვენციის გასატარებლად, სასურსათო პროდუქციის საინტერვენციო მოცულობები არ უნდა იყოს მისი რეალიზაციის საერთო ოდენობის 45-50%-ზე ნაკლები;
- სახელმწიფო სასურსათო რესურსებიდან პროდუქციის რეალიზაციის ფასები, ერთი მხრივ, უნდა იყოს გარანტირებულ შესასყიდ ფასებზე 30-40%-ით მაღალი, ხოლო მეორე მხრივ, არ უნდა იყოს საბაზრო ფასებზე არსებითად დაბალი;

სახელმწიფო რესურსებიდან სარეალიზაციო პროდუქციის მოცულობები სისტემატურად უნდა ქვეყნდებოდეს, რათა მომხმარებლები და სავაჭრო ფირმები ფლობდნენ ინფორმაციას არსებული რესურსების შესახებ.

სახელმწიფო სასურსათო რესურსებიდან სასაქონლო მარაგების რეალიზაციის მოცულობები მიზანშეწონილია გაიზარდოს საცალო ფასების მკვეთრი ამაღლებისას, რათა დაცულ იქნეს მომხმარებელთა

ინტერესები. საცალო ფასების მკვეთრი შემცირების შემთხვევაში სახელმწიფომ არ უნდა გაყიდოს პროდუქცია. ამ სიტუაციაში მიზანშეწონილია მისი შესყიდვა, რათა დაცულ იქნეს მწარმოებელთა ინტერესები.* ამრიგად, სახელმწიფო მარაგებიდან სასურსათო პროდუქციის რეალიზაციის აღწერილი მექანიზმი არ არღვევს საბაზრო პირობებს და ხელს უწყობს სასურსათო ბაზრის სტაბილურობას.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ მოთხოვნის რეგულირება საცალო ფასების შეზღუდვის გზით გათვლილია ყველა მომხმარებელზე, როგორც მდიდრებზე, ასევე ღარიბებზე.

არ გამოვრიცხავთ რა სახელმწიფო კონტროლს საცალო ფასებზე, მათი შეზღუდვის ამა თუ იმ მეთოდების გამოყენების გზით, აუცილებლად მიგვაჩნია მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის სტიმულირება, მისი ნაკლებუზრუნველყოფილი ფენებისათვის დახმარების გაწევის მეშვეობით. ასეთი დახმარების გაწევის ფორმები (უფასო კვების ბარათების გაცემა, უფასო კვების ორგანიზება სკოლებში, საავადმყოფოებში და სხვა სოციალურ დაწესებულებებში და ა.შ.) საკმაოდ კარგადაა ცნობილი და დიდი ხანია გამოიყენება განვითარებულ ქვეყნებში. მოსახლეობის ნაკლებუზრუნველყოფილი ფენების მხარდაჭერა, სოციალური მიმართულების გარდა, მწარმოებელთა მხარდაჭერის ღონისძიებასაც წარმოადგენს, რამდენადაც იგი ადიდებს ერთობლივ მოთხოვნას მათ პროდუქციაზე და შესაბამის გავლენას ახდენს ფასებზე.

მთლიანად, აგროსასურსათო კომპლექსისა და სასურსათო ბაზრის სახელმწიფოებრივი რეგულირებისა და საბაზრო თვითრეგულირების ზემოაღნიშნული მექანიზმების შეთანაწყობა და ეფექტიანი გამოყენება საშუალოვადიან პერიოდში (2005 წლამდე) შესაძლებელს გახდის ქვეყანაში სურსათით უზრუნველყოფის სფეროში არსებული კრიზისული მდგომარეობის დაძლევას, ხოლო გრძელვადიან პერიოდში (2010 წლამდე) კი – სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემის არსებითად გადაჭრას და ქვეყნის დამოუკიდებლობის მყარი საფუძვლების შექმნას.

---

* ამ პროცესების დროულად და ეფექტურად დარეგულირებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროსთან სპეციალური სტრუქტურის (სააგენტოს, დეპარტამენტის, ფონდის და ა.შ.) შექმნა.

VI თავი

საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საგარეო ეკონომიკური ასპექტები*

6.1. საქართველოს როლი საერთაშორისო სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანობაში

საქართველოს აგროსასურსათო კომპლექსის პრობლემები განკერძოებული კი არ არის, არამედ ისინი გამომდინარეობენ მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ზოგადი ტენდენციებიდან, რომლისთვისაც დამახასიათებელია გლობალიზაციის მიმართულება, თავისი პოზიტიური და ნეგატიური შედეგებით.

ასეთ პირობებში, გლობალური სასურსათო პრობლემის გადაწყვეტის ხელშემწყობი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორც წესი, უპირატესად გამოდიან მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ინტერესების გამომხატველად და მათი პოლიტიკის გამტარებლად. თუმცა, ისინი, იმავდროულად, განვითარებად ქვეყნებსაც უქმნიან ფუნქციონირებისათვის ხელსაყრელ პირობებს, გასცემენ რა მათზე კრედიტებსა და სხვა სახის დახმარებებს, ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების კაპიტალისათვის მათი ეკონომიკის გახსნილობის ხარისხის შესაბამისად. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: გაერო-ს სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია (FAO), მსოფლიო სასურსათო პროგრამა (WFP) და სასოფლო-სამეურნეო განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD).

ქვემოთ მოკლედ იქნება დახასიათებული ზემოჩამოთვლილ ორგანიზაციათა საქმიანობის ძირითადი პრინციპები, მათთან საქართველოს თანამშრომლობის რეალიებისა და პერსპექტივების გათვალისწინებით.

<u>გაერო-ს სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია (FAO)</u> ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი სამთავრობათაშორისო და ავტორიტეტული სპეციალიზებული ორგანიზაციაა, რომელიც შეიქმნა

---

* ამ თავის თანაავტორია ე.მ.კ., დოცენტი ვ.ზეიკიძე, რომელსაც მადლობას ვუხდი მთლიანად მონოგრაფიის მომზადებაში აქტიური დახმარებისა და მეგობრული მხარდაჭერისათვის.

1945 წლის ოქტომბერში კვებეკში (კანადა), როდესაც დღის წესრიგში დადგა კვების პროდუქტების წარმოებისა და განაწილებისადმი უფრო ეფექტიანი მიდგომებისათვის ღონისძიებათა შემუშავების აუცილებლობის საკითხი.

დღეისათვის FAO-ს წევრთა შემადგენლობაში შედის 180-ზე მეტი სახელმწიფო (ევროკავშირის ჩათვლით).* მისი სამდივნოს შტაბ-ბინა მდებარეობს ქ.რომში.

FAO-ს უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს კონფერენცია, რომელიც მოიწვევა ორ წელიწადში ერთხელ. კონფერენცია განსაზღვრავს ორგანიზაციის საქმიანობის სტრატეგიას და პოლიტიკას, ამტკიცებს ბიუჯეტს ორწლიანი პერიოდისათვის. კონფერენციის მოწვევებს შორის პერიოდში FAO-ს ხელმძღვანელობს საბჭო, რომელშიც შედის კონფერენციის მიერ არჩეული 49 ქვეყნის წარმომადგენელი. საბჭოს სესიები ჩვეულებრივ ტარდება წელიწადში ორჯერ.

ამჟამად FAO-ს სტრუქტურა მოიცავს 8 დეპარტამენტს. მას აქვს თავისი მუდმივი რეგიონული ბიუროები აფრიკაში, აზიასა და წყნარი ოკეანის რეგიონში, ლათინურ ამერიკაში, ახლო აღმოსავლეთში, ევროპაში, ჩრდილოეთ ამერიკაში და აგრეთვე 74 განყოფილება სხვადასხვა განვითარებად ქვეყანაში. გარდა ამისა, FAO-ს ფარგლებში შექმნილია სუბრეგიონული განყოფილებები სამხრეთ და აღმოსავლეთ აფრიკისათვის, წყნარი ოკეანის კუნძულებისათვის, აღმოსავლეთ ევროპისათვის, კარიბის აუზის ქვეყნებისა და ჩრდილოეთ აფრიკისათვის. FAO-ს თავისი წარმომადგენლები ყავს 100-ზე მეტ სახელმწიფოში.

დღეისათვის ორგანიზაციაში მუშაობს 6500-ზე მეტი კაცი წევრი-ქვეყნებიდან. FAO-ს მეთაურობს გენერალური დირექტორი, რომელიც აირჩევა კონფერენციის მიერ 6 წლის ვადით. FAO-ს ბიუჯეტის ფორმირება ხდება წევრი-ქვეყნების, სატრასტო ფონდების შენატანების, გაერო-ს განვითარების პროგრამის სახსრების, მსოფლიო ბანკის შენატანების ხარჯზე ორწლიანი პერიოდისათვის. 2000-2001 წლებში მისი სიდიდე შეადგენდა დაახლოებით 700 მლნ. აშშ დოლარს (მხოლოდ საწევრო შენატანებით). საგარეო წყაროებიდან მოზიდული

---

* საგულისხმოა, რომ საქართველომ FAO-ში გაწევრიანება გააფორმა 1995 წელს, აზერბაიჯანთან, მოლდავეთთან, ტაჯიკეთთან და თურქმენეთთან ერთად.

არასაბიუჯეტო სახსრების გათვალისწინებით, FAO-ს მთლიანი ბიუჯეტი აჭარბებს 1 მლრდ. აშშ დოლარს[1.18].

FAO-ს სტრატეგიულ ამოცანას შეადგენს შემდეგი ორი მთავარი მიზნის მიღწევა:

- სასურსათო უსაფრთხოებისა და ნორმალური, დაბალანსებული კვების უზრუნველყოფა;
- სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების კონცეფციის რეალიზაციის უზრუნველყოფა. ამასთან, მეორე მიზანი განიხილება პირველის მიღწევის გარანტად.

ასრულებს რა თავის საწესდებო ამოცანებს, FAO ანხორციელებს ოთხ ძირითად ფუნქციას:

- წარმოადგენს საერთაშორისო ფორუმს კონსულტაციებისათვის მის წევრ-სახელმწიფოებს შორის;
- კონსულტაციებს უწევს მთავრობებს სასურსათო პოლიტიკის საკითხებზე;
- აგროვებს, აანალიზებს და ავრცელებს ინფორმაციას;
- ანხორციელებს ტექნიკურ თანამშრომლობას საკუთარი კომპეტენციის სფეროში.

FAO დიდ ძალისხმევას მიმართავს სურსათის წარმოების ზრდისა და საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობაზე, იყენებს რა ამისათვის საერთო კონსულტაციებს და ქმედებებს სათანადო საერთაშორისო შეთანხმებებისა და მექანიზმების შესაქმნელად.

FAO-ს ძირითადი მიზნებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის და სურსათის წარმოების, მეთევზეობისა და მეტყეევობის განვითარების ხელშეწყობა, მათი გადამუშავების, რეალიზაციის, შენახვისა და განაწილების ჩათვლით;
- ადამიანთა კვების გაუმჯობესებაზე, შიმშილის ლიკვიდაციისა და ცხოვრების დონის ამაღლებაზე მიმართული პროგრამებისა და პროექტების შემუშავება;
- პროგრესული ტექნოლოგიების გადაცემა განვითარებადი სახელმწიფოებისათვის და მათში სასოფლო-სამეურნეო გამოკვლევების განვითარების ხელშეწყობა, აგროსასურსათო სექტორში კაპიტალდაბანდებების ჩათვლით;

- დახმარების აღმოჩენა განვითარებადი სახელმწიფოებისათვის საინვესტიციო პროექტების შემუშავებაში სოფლის მეურნეობის, მეთევზეობისა და მეტყეველობის სფეროში[3.9, გვ.422].

FAO-ს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს:

- მდგრადი განვითარების სტრატეგიის რეალიზაციაზე მიმართული პროგრამებისა და პროექტების შემუშავება, მთავრობებისათვის საკონსულტაციო დახმარების აღმოჩენა აგრარულ სფეროში პოლიტიკისა და დაგეგმვის, ტყის, ნიადაგის, თევზის და წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხებზე;
- ქვეყნებში ეროვნული სატრასტო ფონდების მიერ დაფინანსებული პროგრამების განხორციელება, FAO-ს და შესაბამისი მთავრობების ერთობლივი პროგრამების ჩათვლით;
- FAO-ს მიერ სპეციალურ ოპერაციათა ჩატარება საგანგებო დახმარების აღმოსაჩენად, გაერო-ს სისტემის სხვადასხვა დაწესებულებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ერთობლივად დაფინანსებული პროექტებისა და პროგრამების მეშვეობით;
- გაერო-ს განვითარების პროგრამასთან ერთად ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამის განხორციელება და დახმარების აღმოჩენა განვითარებადი ქვეყნების მთავრობებისა და მოსახლეობისათვის. 90-იანი წლებიდან მოყოლებული გაერო-ს განვითარების პროგრამა ყოველწლიურად არასაბიუჯეტო სახსრების დაახლოებით 60%-ს გადასცემს FAO-ს ტექნიკური დახმარების გასაწევად, დანარჩენი ნაწილი კი შემოდის დონორი ქვეყნებიდან;*
- მსოფლიო მეტეოროლოგიურ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით განვითარების საინვესტიციო პროექტების შემუშა-

---

* ამ თანხიდან ძირითადი ნაწილი ხმარდება სპეციალურ ქმედებათა მხარდაჭერას, რომელიც მოიცავს შემდეგი პროგრამების განხორციელებას: „სასურსათო უსაფრთხოების დახმარების აღმოჩენის გეგმა“, „გაფრთხილება სასურსათო დანაკარგების შესახებ“, „მეთესლეობის გაუმჯობესება და განვითარება“, „მეხორცული მეცხოველეობის საერთაშორისო განვითარება“, „რძის მრეწველობის საერთაშორისო განვითარება“, „სასოფლო-სამეურნეო კრედიტი“, „მეთევზეობა გამონაკლის ეკონომიკურ ზონებში“, „სატყეო მეურნეობა და აღგილობრივი თემების განვითარება“ და ა.შ..

ვება, რომლებიც მიმართულია აგრომეტეოროლოგიური საქმიანობის განხორციელებაზე სურსათის წარმოებაში დახმარების აღმოსაჩენად;

- მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოების პროგრამის სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის რეალიზაციის ხელშეწყობა. ამასთან დაკავშირებით, FAO-ს მიერ გამოქვეყნებული მოხსენება „სოფლის მეურნეობა 2000 წელს" საფუძვლად დაედო სურსათისა და სოფლის მეურნეობის შესახებ განყოფილების ფორმირებას განვითარების საერთაშორისო სტრატეგიაში.

მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოების რეზოლუციაში ჩაწერილია, რომ „მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოების ძირითად პირობას გრძელვადიან პერსპექტივაში წარმოადგენს სურსათის წარმოების არსებითი ზრდა, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში"[2.6, გვ.19]. მისი რეალიზაციისათვის მეტად მნიშვნელოვანია დახმარების აღმოჩენა განვითარებადი ქვეყნებისათვის, სასოფლო-სამეურნეო საინვესტიციო პროექტების შემუშავებაში FAO-ს საინვესტიციო ცენტრის საქმიანობის მეშვეობით.

სურსათის წარმოების განვითარების სტრატეგიული მიმართულებების შემუშავებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების ორგანიზაციასა და ჩატარებას, FAO-ს საქმიანობის სფეროს განმსაზღვრელ აქტუალურ პრობლემებზე. ასე მაგალითად, 1974 წელს მოწვეულ იქნა პირველი მსოფლიო სასურსათო კონფერენცია. მისი გადაწყვეტილებების შესაბამისად შექმნილ იქნა მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოების ახალი კომიტეტი, ამ სფეროში პოლიტიკის გატარების სრული უფლებამოსილებებით, და აგრეთვე სასურსათო დახმარების ახალი კომიტეტი. ამასთან, კონფერენციამ მიიღო საერთაშორისო და ეროვნულ დონეებზე სასურსათო მდგომარეობის ნორმალიზაციის გრძელვადიან და საშუალოვადიან ღონისძიებათა კომპლექსური პროგრამა.

კონფერენციის დეკლარაციაში აღინიშნა, რომ „შიმშილის ლიკვიდაცია წარმოადგენს საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა ქვეყნის საერთო ვალდებულებას"[2.3, გვ.2].

FAO-მ 1979 წელს მოიწვია მსოფლიო კონფერენცია აგრარული რეფორმისა და სასოფლო რაიონების განვითარების საკითხებზე, რომ-

ლის შედეგებმაც, საერთო შეფასებით, საფუძველი ჩაუყარა „მესამე სამყაროს“ მომავალ განვითარებასა და კეთილდღეობას. კონფერენციაზე დამტკიცებულ იქნა მოქმედებათა გეგმა მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოებასთან მიმართებით. გაცხადდა, რომ მსოფლიოში არსებობს „გლობალური განგაშის“ სიტუაცია და აუცილებელია სხვადასხვა ზომების მიღება ახალი მსოფლიო სასურსათო კრიზისის თავიდან ასაცილებლად.

1984 წელს FAO გამოვიდა თევზის რესურსების განვითარებისა და რაციონალური გამოყენების საკითხებზე მსოფლიო კონფერენციის ჩატარების ინიციატივით, ხოლო 10 წლის შემდეგ – 1994 წელს FAO-მ, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციასთან ერთად, მოაწყო საერთაშორისო კონფერენცია კვების საკითხებზე.

საერთოდ, 90-იანი წლების განმავლობაში FAO-ს მონაწილეობით ჩატარებულ იქნა კონფერენციათა სერია, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებული იყო სასურსათო უსაფრთხოების პრობლემებთან. ფართო საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა გაერო-ს კონფერენციას გარესამყაროსა და განვითარების საკითხებზე, რომელმაც მიიღო რეზოლუცია სოფლის მეურნეობისა და სურსათის პრობლემებზე სახელწოდებით „XXI საუკუნის დღის წესრიგი“. აღნიშნული დოკუმენტი შეიცავს კონკრეტულ რეკომენდაციებს სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პროგრამათა რეალიზაციის სფეროში, და აგრეთვე სასურსათო უსაფრთხოების პრობლემასთან უშუალოდ დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან საერთაშორისო კონვენციებს.

1996 წლის ნოემბერში ქ.რომში ჩატარებულ იქნა მსოფლიო შეხვედრა (სამიტი) უმაღლეს დონეზე სასურსათო უზრუნველყოფის პრობლემებზე. ფორუმზე გამოითქვა ღრმა შეშფოთება მსოფლიოში სასურსათო სიტუაციის გამწვავების გამო. შეხვედრის მონაწილეების მიერ გაკეთებული მთავარი პოლიტიკური დასკვნა მდგომარეობს იმაში, რომ მწვავე მსოფლიო სასურსათო პრობლემების გადაჭრა წარმოადგენს საერთაშორისო უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს.

სამიტზე მიღებული რეზოლუციების, დეკლარაციებისა და მოქმედებათა გეგმის შესრულების ორგანიზაციამ ხელი შეუწყო იმას, რომ 1999 წელს FAO-მ ორგანიზაციის ყველა წევრთა კონფერენციაზე

მიიღო თავისი საქმიანობის სტრატეგია 2001-2015 წლებისათვის. სტრატეგიაში განსაზღვრულია ძირითადი მიმართულებები და ამოცანები საქმიანობის ყველა განყოფილების მიხედვით, აგრეთვე შემუშავებულია მათი შესრულების კონკრეტული ღონისძიებანი.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველო აქტიურად თანამშრომლობს FAO-სთან, როგორც მისი სრულუფლებიანი წევრი, ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ უკანასკნელ პერიოდში FAO-ს მიერ ჩვენს ქვეყანაში ჩატარდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება. კერძოდ, 2000 წლის 4-8 დეკემბერს FAO-ს ეგიდით საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში ჩატარდა მე-10 საერთაშორისო სემინარი თემაზე: „რესურსებისა და გამოყენების ანგარიშები და სასურსათო ბალანსები", ხოლო 2002 წლის 8-12 აპრილს კი — მე-4 საერთაშორისო სემინარი თემაზე: „სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და ვაჭრობის სტატისტიკა". აღნიშნული სემინარების შემაჯამებელი დოკუმენტების შესაბამისად საქართველოში დაინერგა სასურსათო ბალანსების შემუშავების ახალი მეთოდოლოგია, რომელიც საფუძვლად დაედო შესაბამის ახალ საბალანსო გაანგარიშებებს 1996-2002 წლებისათვის (დანართი 2).

<u>მსოფლიო სასურსათო პროგრამამ (WFP)</u> თავისი საქმიანობა დაიწყო ექსპერიმენტულ საფუძველზე 1961 წელს და მუდმივ საფუძველზე გადაყვანილ იქნა 1966 წლიდან. პროგრამა დაფუძნებულ იქნა გაერო-ს გენერალური ასამბლეის და FAO-ს კონფერენციის პარალელური რეზოლუციების მიღების საფუძველზე, სხვა დაინტერესებულ დაწესებულებებთან და შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, გაერო-ს სისტემაში სასურსათო დახმარების აღმომჩენი ორგანიზაციის სტატუსით. მისი შტაბ-ბინა მდებარეობს ქ.რომში.

მსოფლიო სასურსათო პროგრამას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია FAO-ს საქმიანობაში. იგი ფაქტობრივად წარმოადგენს სურსათისა და ფულადი საშუალებების ფონდს, რომელიც ეძლევა ცალკეულ სახელმწიფოებს და დანიშნულია იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც საჭიროებენ მოცემულ დახმარებას. პროგრამის საერთო წესებით გათვალისწინებულია ისეთი პროექტების განხორციელების მხარდაჭერა, რომლებიც სურსათს იყენებენ როგორც დახმარებას ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის, სურსათზე საგანგებო მოთხოვნილე-

ბათა დაკმაყოფილებისათვის და მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოების ხელშეწყობისათვის, გაერო-სა და FAO-ს რეკომენდაციების შესაბამისად.

პროგრამის რეგულარული საბიუჯეტო რესურსები ყალიბდება ქვეყნების ნებაყოფლობითი შენატანებისაგან შესაბამისი პროდუქტების, მისაღები მომსახურებისა და ფინანსური საშუალებების ფორმით.* ამასთან, ნაღდი ფულადი საშუალებები და მომსახურება უნდა შეადგენდეს მთლიანი შენატანების არანაკლებ ერთ მესამედს.

ნიშანდობლივია, რომ 2000 წელს მსოფლიო სასურსათო პროგრამამ დახმარება აღმოუჩინა 83 მლნ. კაცს 83 სხვადასხვა სახელმწიფოდან, უწინარეს, ყოვლისა, მათ, ვისი კრიტიკული სასურსათო მდგომარეობაც განპირობებული იყო სიღარიბითა და სიღატაკით, ბუნებრივი კატასტროფებითა თუ საომარი კონფლიქტებით. ამ მიზნებისათვის ქვეყნებზე მიმართულ იქნა 3.5 მლრდ. ტონა სურსათი, რაც 3%-ით მეტია 1999 წელთან შედარებით[3.9, გვ.430].

2000 წელს პროგრამაში შეტანილი წვლილის მიხედვით ძირითად დონორ ქვეყნებს წარმოადგენდნენ: აშშ (797 მლნ. დოლარზე მეტი), იაპონია (260 მლნ. დოლარი), ევროკავშირის სახელმწიფოები (117 მლნ. დოლარი), ნიდერლანდები (62 მლნ. დოლარზე მეტი) და დიდი ბრიტანეთი (დაახლოებით 60 მლნ. დოლარი). ამავე წელს სასურსათო დახმარების მთავარი მიმღები ქვეყნები იყო: ეთიოპია, კორეის დემოკრატიული რესპუბლიკა, რუსეთი და ინდონეზია.

მსოფლიო სასურსათო პროგრამის მიერ განვითარების ხაზით დახმარებათა გაწევა წარმოებს პროექტების საფუძველზე, რომლებიც ხორციელდება თვით განვითარებადი ქვეყნების მთავრობების მიერ. თავისი ოპერაციების დაწყების მომენტიდან პროგრამამ გამოყო 5 მლრდ. დოლარზე მეტი თანხის სასურსათო დახმარება, განვითარების 100-ზე მეტ პროექტზე, 120 განვითარებად ქვეყანაში. ამ დახმარების 70%-ზე მეტი წარიმართა შემოსავლების დაბალი დონის მქონე ქვეყნებზე, რომლებიც სხვებზე მეტად განიცდიან სურსათის უკმარისობას.

---

* უნდა შევნიშნოთ, რომ 1998 წელს შენატანების საერთო სიდიდემ მიაღწია 1.7 მლრდ. აშშ დოლარს, რაც ითვლება რეკორდულად ორგანიზაციის არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე. ამავე წელს პროგრამიდან დახმარება გაეწია დაახლოებით 90 მლნ. კაცს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან.

პროგრამა სათანადო ყურადღებას უთმობს აგრეთვე სხვა განვითარებადი ქვეყნების სასურსათო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, მხარს უჭერს რა მოსახლეობის უღარიბესი ფენებისათვის სპეციალურად გამიზნულ პროექტებს. მთლიანად პროექტის მეშვეობით ხორციელდება გაწეული სასურსათო დახმარების მთელი მოცულობის დაახლოებით მეხუთედი ნაწილი.

მსოფლიო სასურსათო პროგრამის მიერ მხარდაჭერილი პროექტების განხორციელების მსვლელობაზე კონტროლი დაკისრებული აქვს პოლიტიკისა და სასურსათო დახმარების პროგრამების კომიტეტს, რომელიც შეიქმნა 1973 წელს გაერო-ს გენერალური ასამბლეის რეზოლუციისა და FAO-ს კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესაბამისად. 1991 წელს კომიტეტის წევრთა რიცხვი გაიზარდა 30-დან 42-მდე, რომელთაგან 27-ს წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნები.

კომიტეტი სწავლობს და ამტკიცებს მის განსახილველად წარმოდგენილ პროექტებს, ასევე ადმინისტრაციულ ბიუჯეტს და პროექტების ბიუჯეტებს, ისევე როგორც პროგრამის მოხსენებებს, რომლებიც ეხება პროექტების შესრულების მიმდინარეობასა და მათ შეფასებას. გარდა ამისა, კომიტეტი კოორდინაციას უკეთებს სასურსათო დახმარების მოკლე — და გრძელვადიანი პოლიტიკის შემუშავებას. კერძოდ, იგი ხელს უწყობს იმას, რომ მის კონტროლქვეშ მყოფმა სასურსათო დახმარების პროგრამებმა არ დაარღვიონ კომერციული ბაზრების მუშაობა და ნორმალურად განვითარებადი ვაჭრობა, და რომ სოფლის მეურნეობა დახმარების მიმღებ-ქვეყნებში საიმედოდ იყოს დაცული, როგორც მათი შიდა ბაზრების, ისე სურსათის წარმოების ეფექტიანად განვითარების თვალსაზრისით.

კომიტეტმა შეიმუშავა სასურსათო დახმარების სახელმძღვანელო პრინციპები და კრიტერიუმები და ყოველწლიურად ადგენს პოლიტიკისა და სასურსათო დახმარების პროგრამების მიმოხილვებს, განსაკუთრებით კი სასურსათო დახმარების გაუმჯობესების სფეროში.

გაერო-ს და FAO-ს სხვადასხვა რეზოლუციები და მათი რეკომენდაციები მსოფლიო სასურსათო პროგრამისაგან მოითხოვს მოშიმშილეთათვის დახმარების უშუალოდ აღმოჩენას სხვადასხვა ქვეყანაში. მაგრამ, ამ გაგებით, პროგრამის საქმიანობა ჯერ კიდევ ვერ პასუხობს მისდამი წაყენებულ მოთხოვნებს. ორგანიზაციის ხელმძღვანე-

ლობა შეშფოთებულია იმით, რომ მსოფლიო სასურსათო პროგრამა შეიძლება გადაიქცეს უბრალოდ სურსათის განაწილების პროგრამად, რასაც აშკარად არ ექნება პერსპექტივა, და რაც ავტორიტეტს დაუკარგავს ამ ორგანიზაციას.

საგულისხმოა, რომ მსოფლიო სასურსათო პროგრამამ, FAO-ს პატრონაჟის ქვეშ, 1995 წელს 120 მლნ. დოლარზე მეტი თანხით ტექნიკური დახმარება გაუწია ᲓᲡᲗ-ს 5 სახელმწიფოს — სომხეთს, აზერბაიჯანს, საქართველოს, მოლდავეთსა და ტაჯიკეთს.

აღსანიშნავია ისიც, რომ პროგრამის წარმომადგენლობა საქართველოში გაიხსნა 1993 წელს, რომელიც ამ დროიდან მოყოლებული მნიშვნელოვან დახმარებას უწევს ჩვენს ქვეყანას. თავდაპირველად იგი ანხორციელებდა „გადაუდებელ სასურსათო დახმარებას იძულებით გადაადგილებულ პირთათვის და საქართველოს მოსახლეობის სხვა ღარიბი ფენებისათვის". 1997 წლის მაისიდან მან დაიწყო ახალი პროგრამის — „სურსათი სამუშაოსათვის" განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს დახმარების აღმოჩენას სახელმწიფო, რეგიონული და მუნიციპალური ორგანოებისათვის, აგრეთვე ასოციაციებისა და კავშირებისათვის, რათა მათ ეფექტიანად განახორციელონ საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროექტის ფარგლებში უკვე შესრულებულმა სამუშაოებმა მოიცვა ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები, სარწყავ-სადრენაჟო სისტემები და სოციალური ინფრასტრუქტურის სხვადასხვა ობიექტები. ამავე დროს, პროექტი ითვალისწინებს მასში ჩართულ რეგიონებში მცხოვრებ ყველაზე ღარიბ და უმუშევარ პირთა დასაქმებასა და მათთვის როგორც ფულადი, ისე სასურსათო კომპენსაციის გაცემას.

<u>სასოფლო-სამეურნეო განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)</u> წარმოადგენს გაერო-ს სპეციალიზებული დაწესებულების სტატუსის მქონე სამთავრობათაშორისო ორგანიზაციას, რომელმაც 1977 წელს გაერო-სთან გააფორმა შეთანხმება ამ ორი ორგანიზაციის ურთიერთობების შესახებ, გაერო-ს წესდების 57-ე და 63-ე მუხლების შესაბამისად. ფონდი შექმნილია მსოფლიო სასურსათო კონფერენციის რეკომენდაციით გაერო-ს გენერალური ასამბლეის XXIX სესიის რეზოლუციის საფუძველზე, და წარმოადგენს პირველ საერთაშორისო დაწესებულებას, რომელიც მოწოდებულია „დამატებითი რესურსების მობილიზაციისაკენ, მათი განვითარებად ქვეყნებში სოფ-

ლის მეურნეობის განვითარებისათვის შეღავათიან პირობებში გასაცემად"[2.9].

2000 წლის დასაწყისისათვის ფონდის წევრი იყო 160 ქვეყანა, მათ შორის 22 სახელმწიფო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციიდან (ეთგო), 11 ქვეყანა ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციიდან (ნავთექო) და 127 განვითარებადი სახელმწიფო. ორგანიზაციის შტაბ-ბინა მდებარეობს ქ.რომში. მმართველთა საბჭო ირჩევს ფონდის პრეზიდენტს.

სასოფლო-სამეურნეო განვითარების საერთაშორისო ფონდის პოლიტიკა ძირითადად ორიენტირებულია სოფლის სიღარიბეზე. მისი რესურსების ძირითადი ნაწილი გაიცემა მაღალშეღავათიანი სესხების ფორმით, რომლებიც იფარება 50 წლის განმავლობაში 10 წლიანი გადავადებით და მომსახურებისათვის 1%-ის სიდიდის საფასურით. ფონდი ასევე იძლევა სესხებს ჩვეულებრივი პირობებით, რაც ითვალისწინებს, 8%-იან განაკვეთს დაფარვის 15-18 წლიანი პერიოდის განმავლობაში, და შუალედური პირობებით, რაც ითვალისწინებს დაფარვას 20 წლის განმავლობაში 4%-იანი წლიური განაკვეთით.

ფონდის საწყისი რესურსები (დაახლოებით 1 მლრდ. დოლარის ოდენობით) შედგებოდა ნებაყოფლობითი შენატანებისაგან, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად: 567.3 მლნ. დოლარი — ეთგო-ს წევრი განვითარებული ქვეყნებისაგან (I კატეგორია), 435.5 მლნ. დოლარი — წევრი განვითარებადი ქვეყნებისაგან (II კატეგორია), და 19.3 მლნ. დოლარი — სხვა განვითარებადი ქვეყნებისაგან (III კატეგორია).* ამრიგად, განვითარებადი ქვეყნების წილად მოდის ფონდის საწყისი რესურსების დაახლოებით 45%, ხოლო ნავთექო-ს ქვეყნების წილად — 42%-ზე მეტი (დიაგრამა 6).

ფონდს გააჩნია სამმხრივი სტრუქტურა, რაც ასახულია მის საწყის რესურსებში, და აგრეთვე აღმასრულებელ საბჭოში მმართველთა საბჭოს ხმის მიცემის სისტემაში. მთელი ძალაუფლება ეკუთვნის ყველა წევრი-ქვეყნის წარმომადგენლებისაგან დაკომპლექტებულ მმართველთა საბჭოს. აღმასრულებელი საბჭო შედგება მმართველთა საბჭოს მიერ არჩეული 18 წევრისა და 18 მოადგილისაგან,

---

* საგულისხმოა, რომ სასოფლო-სამეურნეო განვითარების საერთაშორისო ფონდი ერთ-ერთი პირველია მრავალმხრივ საფუძველზე შექმნილი ფონდებიდან, რომლებიც ერთობლივად ფინანსდებიან განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების მიერ.

რომლებიც პასუხს აგებენ ფონდის საერთო ოპერაციების განხორციელებაზე, კერძოდ კი, — სესხებისა და სუბსიდიების დამტკიცებაზე.

სასოფლო-სამეურნეო განვითარების საერთაშორისო ფონდმა თავისი არსებობის პირველ წლებში 65 სესხი გასცა 48 ქვეყანაში (აფრიკის — 22 ქვეყანაში, აზიის — 13 და ლათინური ამერიკის — 13 ქვეყანაში) 885 მლნ. დოლარის საერთო თანხით. რეგიონულმა წილებმა ამ სესხებში შეადგინა: აფრიკისათვის — 303.6 მლნ. დოლარი (24 სესხი), აზიისათვის — 445.7 მლნ. დოლარი (23 სესხი) და ლათინური ამერიკისათვის — 135 მლნ. დოლარი (18 სესხი). 2000 წლის მონაცემებით, ფონდმა დაარსების მომენტიდან 115 ქვეყანასა და დამოუკიდებელ ტერიტორიებზე დააფინანსა 578 პროექტი დაახლოებით 7 მლრდ. აშშ დოლარის საერთო თანხით[3.9, გვ.438].

დიაგრამა 6. სასოფლო-სამეურნეო განვითარების საერთაშორისო ფონდის საწყისი რესურსების განაწილება



სასოფლო-სამეურნეო განვითარების საერთაშორისო ფონდის ფინანსური საქმიანობა სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო სავალუტო ფონდში მოქმედ პრინციპებთან, ხოლო ფულადი საშუალებების კონცენტრაცია და ფონდის ყოველი ოპერაცია ხორციელდება დასავლეთის ხელისუფალთა კონტროლქვეშ მყოფი საერთაშორისო ბანკების არსებული სისტემის მეშვეობით.

საქართველო სასოფლო-სამეურნეო განვითარების საერთაშორისო ფონდის წევრი გახდა 1995 წლის თებერვლიდან. ფონდი, მსოფლიო

ბანკთან და საქართველოს მთავრობასთან ერთად, 26.5 მლნ. აშშ დოლარის საერთო თანხით მონაწილეობს „სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტში", რომლის სტრატეგიულ მიზანსაც წარმოადგენს საქართველოს აგროსასურსათო კომპლექსის დარგთა განვითარების ხელშეწყობა. პროექტი ასევე ითვალისწინებს საქართველოში კრედიტის მართვის საბანკო სისტემის, სოფლად საკრედიტო კავშირების, მიწის ბაზრის განვითარების ხელშეწყობასა და კადრების მომზადებას.

ამ პროექტის ფარგლებში ფონდი აფინანსებს ორ კომპონენტს: 1. საკრედიტო კავშირების ქსელის შექმნა და განვითარება, საკრედიტო განვითარების ცენტრის მეშვეობით; 2. მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია, რომელიც დაიწყო 1997 წლიდან გარდაბნისა და მცხეთის რაიონებში.

დღეისათვის აღნიშნული ფონდის პროექტით მუშავდება საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა მაღალმთიანი რეგიონებისათვის, რომელიც ითვალისწინებს სოფლებისა და თემების მასშტაბით მოქნილი საშემნახველო და საკრედიტო მექანიზმის შექმნას და სოფლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. ამასთან, პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია მთიანი რეგიონების განვითარების სააგენტოს შექმნა.

62. საქართველო ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სისტემაში

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციამ (ვმო) ფუნქციონირება დაიწყო 1995 წლიდან, როგორც ტარიფების და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების (GATT) ფარგლებში ჩატარებულ მოლაპარაკებათა შედეგად მოწონებული სამართლებრივი დოკუმენტების რეალიზაციის უზრუნველმყოფმა ორგანიზაციულმა მექანიზმმა. ორგანიზაციის შტაბ-ბინა მდებარეობს ჟენევაში.

2001 წლის ბოლოსათვის ვმო-ს წევრი იყო 142 სახელმწიფო, განვითარებული ქვეყნებისა და 100-ზე მეტი განვითარებადი სახელმწიფოს ჩათვლით. საქართველო ვმო-ში გაწევრიანდა 1999 წლის

28 ივლისიდან. ამჟამად დაახლოებით 30 ქვეყანა აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს ᲛᲛᲝ-ში გაწევრიანების თაობაზე.

ᲛᲛᲝ-ს სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს 1994 წელს რედაქტირებული GATT-ი. ᲛᲛᲝ, GATT-ის გარდა, მოიცავს გენერალურ შეთანხმებას მომსახურებით ვაჭრობის შესახებ, შეთანხმებას ინტელექტუალური საკუთრებით ვაჭრობის შესახებ და ა.შ. მასში რამდენიმე ათეული შეთანხმება, ოქმი, დეკლარაცია, გადაწყვეტილება და მოლაპარაკება შედის, რომელთაც წევრი-ქვეყნებისათვის ერთნაირი ძალა აქვთ.

ამ დოკუმენტების უმეტესი ნაწილი ᲛᲛᲝ-ს წევრი-ქვეყნებისათვის სავალდებულოა, ხოლო ორგანიზაციაში გაწევრიანების მსურველი ქვეყნებისათვის მხოლოდ შემდეგი ოთხი მათგანის შესრულებაა აუცილებელი:

- შეთანხმება სამოქალაქო საავიაციო ტექნიკით ვაჭრობის შესახებ;
- შეთანხმება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;
- საერთაშორისო შეთანხმება რძის პროდუქტების შესახებ;
- საერთაშორისო შეთანხმება საქონლის ხორცის შესახებ;

ᲛᲛᲝ-ს უმაღლესი ორგანოა მინისტრთა კონფერენცია, რომელიც წევრი-ქვეყნების წარმომადგენლებისაგან შედგება და, რომლის ფარგლებშიც წარმოებს საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული ყველა ძირითადი საკითხების შეთანხმება. ორგანიზაციის დაფუძნებიდან ჩატარებულია სამი ასეთი კონფერენცია: პირველი – სინგაპურში (1996 წლის დეკემბერში), მეორე – ჟენევაში (1998 წლის მაისში) და მესამე – სიეტლში (1999 წლის ნოემბერ-დეკემბერში). კონფერენციის სხდომებს შორის პერიოდში მის ფუნქციებს ასრულებს ᲛᲛᲝ-ს გენერალური საბჭო, რომელიც პასუხს აგებს მიმდინარე სამუშაოების შესრულებაზე და კომისიის სახით იწვევს სხდომებს დავების გადაჭრისა და სავაჭრო პოლიტიკაზე კონტროლის საკითხების გადაწყვეტისას.

ᲛᲛᲝ-ს სამდივნოს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი და მისი ოთხი მოადგილე. ისინი პასუხს აგებენ ᲛᲛᲝ-ს ორგანოების (საქონლით ვაჭრობის საბჭო, მომსახურებით ვაჭრობის საბჭო და ინტელექტუალური საკუთრებით ვაჭრობის სამართლებრივი ასპექტების საბჭო) საქმიანობაზე, რომელიც მოლაპარაკებების წარმართვას, ხელ-

შეკრულებების დადებას და განვითარებადი ქვეყნებისათვის ტექნიკური დახმარების წარდგენას უკავშირდება.

მთლიანად, ვმო-ს საქმიანობის შინაარსი და ძირითადი მიმართულებები განისაზღვრება მისი წევრი-ქვეყნების მუდმივი წარმომადგენლების მიერ. ვმო-ს წევრებისათვის დადგენილია ქვოტა, რომლის სიდიდეს გენერალური საბჭო განსაზღვრავს. გადაწყვეტილებები მიიღება კონსენსუსის წესით. დავების გადაჭრისას საჭიროა ხმების საერთო რაოდენობის 3/4, ხოლო შესწორებისას — 2/3.

საგულისხმოა, რომ GATT-ის გარდაქმნამ ხელი შეუწყო „ახალი წესების გაჩენას" სასოფლო-სამეურნეო ნედლეულითა და სურსათით მსოფლიო ვაჭრობაში. იმდენად, რამდენადაც სასურსათო ბაზარი მსოფლიო ბაზრის შემადგენელი ნაწილია, იგი ექვემდებარება იგივე კანონებს, პროცესებსა და პრინციპებს, რომლებიც საბაზისოა ვაჭრობისათვის მთლიანად, განსაკუთრებით მსოფლიო ეკონომიკის ლიბერალიზაციის პერიოდში.

ასეთ პირობებში, ჩვენი აზრით, აუცილებელია დეტალურად იქნეს განხილული GATT-ის და ვმო-ს ფუნქციები, და ამასთან, აქცენტი გაკეთდეს ორგანიზაციის ფარგლებში სოფლის მეურნეობის შესახებ არსებულ შეთანხმებაზე, რამდენადაც მოცემული შეთანხმების სრულმაშტაბიანი რეალიზაცია იწვევს სერიოზულ ცვლილებებს მსოფლიო ბაზარზე და არსებით გავლენას ახდენს ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით სახელმწიფოთა უზრუნველყოფაზე, რაც საბოლოო ჯამში მჭიდროდაა დაკავშირებული სასურსათო უსაფრთხოების პრობლემასთან.

წარსულში GATT-ის წესები აგროსასურსათო სექტორთან მიმართებით იყო ნაკლებად მკაცრი ან გამოიყენებოდა რბილად. ზოგიერთი განვითარებული ქვეყანა მკაცრად იცავდა თავის ძვირ და დაბალეფექტიან სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, მაღალ ტარიფებზე დამატებითი რაოდენობრივი შეზღუდვების და/ან იმპორტზე ვარირებადი გადასახადების შემოღების გზით. პროტექციონიზმის ასეთი დონე ხშირად იწვევდა სამამულო წარმოების ზრდას, რომლის პროდუქტებიც, მათი მაღალი ფასების გამო, ვერ რეალიზდებოდა საერთაშორისო ბაზრებზე საექსპორტო სუბსიდიების გარეშე. ამგვარი სუბსიდიები კი ამცირებდა მსოფლიო ფასებს და კონკურენტუნარიან მწარმოებლებს ართმევდა კანონიერ საბაზრო წილს.

ურუგვაის რაუნდის მსვლელობისას სოფლის მეურნეობის შესახებ გაფორმებული შეთანხმების ფარგლებში მიღებული რეფორმების პროგრამა გამიზნულია სოფლის მეურნეობაში სამართლიანი და ბაზარზე ორიენტირებული სავაჭრო სისტემის შექმნაზე. ამ პროგრამის ფარგლებში წარმოებულმა მოლაპარაკებებმა მიგვიყვანა გარკვეულ პროგრესთან სასოფლო-სამეურნეო საქონლით ვაჭრობის ლიბერალიზაციაში.

ყველა მონაწილე ქვეყანა შეთანხმდა იმაზე, რომ სოფლის მეურნეობაში რაოდენობრივი შეზღუდვები და სხვა არასატარიფო ზომები შეეცვალათ საბაჟო ღონისძიებებით. ახალი „სატარიფო" განაკვეთები ექვსწლიანი პერიოდის განმავლობაში (10 წელი განვითარებადი ქვეყნებისათვის) 1995 წლიდან მოყოლებული საშუალოდ მცირდება 36%-ით განვითარებული ქვეყნებისათვის (24%-ით განვითარებადი ქვეყნებისათვის).

გარდა ამისა, ყველა ქვეყანამ ივალდებულა, — არ გაეზარდათ ტარიფები სასოფლო-სამეურნეო საქონელზე. სუბსიდიების გამომყენებელი ქვეყნები (ძირითადად განვითარებული სახელმწიფოები) შეთანხმდნენ გარკვეულ ფარგლებში შეემცირებინათ საწარმოო და საექსპორტო სუბსიდიები სოფლის მეურნეობაში, რამდენადაც აღიარებულ იქნა, რომ ამგვარი სუბსიდიები ამახინჯებენ ვაჭრობას.

საგულისხმოა ისიც, რომ ყველა ქვეყანა (განვითარებული, განვითარებადი და შედარებით ნაკლებ განვითარებული) შემდგომში ვალდებულია თავისი ტარიფები, მომატების შემთხვევაში, დაუკავშირონ მათი დათმობების ჩამონათვალში დაფიქსირებულ დონეებს. მაგრამ განვითარებად და ნაკლებ განვითარებულ ქვეყნებს მიეცათ მოქნილობის უფლება ტარიფების „ჭერის დონის" დადგენაში, არსებულთან შედარებით უფრო მაღალი განაკვეთების გამოყენებასთან დაკავშირებით.

ბიზნესის თვალსაზრისით, გარდაქმნის აღნიშნული პროგრამის ძირითად მონაპოვრად იქცა ის, რომ საფუძველი ჩაეყარა GATT / WTO-ს ფარგლებში დადგენილი წესრიგის გამოყენებას სასოფლო-სამეურნეო საქონლით ვაჭრობის სფეროში.

ᲗᲛᲝ-ს ექსპერტთა შეფასებით, მსოფლიო სასოფლო-სამეურნეო მდგომარეობა დღეისათვის ხასიათდება შემდეგი ტენდენციებით: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ძირითადი სასაქონლო მასის თავმოყრა განვითარებული ქვეყნების გარკვეული ჯგუფის (აშშ, ევროკავშირი,

კანადა, ავსტრალია) ხელში; აზიის რიგი ყველაზე მეტად დასახლებული ქვეყნების (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ინდოეთი, ინდონეზია) თვითუზრუნველყოფაზე გასვლა (სრულად ან ნაწილობრივ); სერიოზული კრიზისი აღმოსავლეთ ევროპის და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების სოფლის მეურნეობაში; სურსათის დეფიციტის გამწვავება აფრიკისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში; მსოფლიო ფასების ზრდა სურსათზე[3.9, გვ.455-456].

აღნიშნული ტენდენციებიდან გამომდინარე განისაზღვრება საქართველოს სოფლის მეურნეობის პერსპექტივები და მისი როლი მსოფლიო აგროსასურსათო კომპლექსში.*

ᲕᲛᲝ-ში გაწევრიანება იძლევა იმის გარანტიას, რომ საქართველო თავისუფლდება „არასაბაზრო ეკონომიკის" მქონე ქვეყნის სტატუსისაგან. შესაბამისად, ქართული ექსპორტის მიმართ სხვა ქვეყნების მხრიდან დისკრიმინაციულად არ იქნება გამოყენებული საგაჭრო შეზღუდვები, მათ შორის არასატარიფო ღონისძიებები (ანტიდემპინგური და საკომპენსაციო გადასახადები, კვოტები და სხვა).

ნებისმიერი სატარიფო დათმობა, რომელიც მიღწეული იქნება მსოფლიოს ფარგლებში სხვა წევრ ქვეყნებს შორის მოლაპარაკების პროცესში, გავრცელდება ქართულ ექსპორტზეც.

ᲕᲛᲝ-ს შემუშავებული აქვს დავების გადაწყვეტის საკუთარი მექანიზმი. მცირე ზომის ქვეყნები განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან გარეგანი ზეწოლის მიმართ. ამიტომაც ასეთი მექანიზმის არსებობა საშუალებას იძლევა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი საქართველოს მიმართ დიდი ქვეყნების ზემოქმედების შესაძლებლობა.

ᲕᲛᲝ-ს წესები იმის საშუალებასაც იძლევა, რომ ეფექტიანად ვებრძოლოთ ქართული სასაქონლო ნიშნის მატარებელი სასურსათო პროდუქციის ფალსიფიკაციას საგარეო ბაზარზე, ეფექტიანად დავიცვათ შიდა ბაზარი ჯანმრთელობისათვის საზიანო სასურსათო საქონ-

---

* ამასთან დაკავშირებით, უწინარეს ყოვლისა, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ საქართველოს მომგებიანი გეოპოლიტიკური მდგომარეობა უკავია მსოფლიო სივრცეში, რაც გამოიხატა კიდეც TRACECA-ს საერთაშორისო მნიშვნელობის პროექტების რეალიზაციის დაწყებით. მათი განხორციელება პირობებს ქმნის იმისათვის, რომ მოზიდულ იქნეს უცხოური ინვესტიციები და ტექნოლოგიები, განვითარდეს ინფრასტრუქტურა და ქვეყანა იქცეს კავკასიის, ცენტრალური აზიის, დსთ-ს რეგიონული ბაზრების ათვისების დასაყრდენ ბაზად მსხვილი უცხოური კომპანიებისათვის.

ლის იმპორტისაგან, გამოვიყენოთ სეზონურად დაფიქსირებული საბაჟო გადასახადები.

დღეისათვის მსოფლიოში მთელი რიგი საქონლით (მათ შორის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით) ვაჭრობაზე სერიოზული შეზღუდვებია დაწესებული. მართალია, არსებობს პრეფერენციათა გენერალიზებული სისტემა, მაგრამ მისი მოქმედების არეალი ვრცელდება მხოლოდ რამოდენიმე ქვეყანასთან ვაჭრობაზე და მხოლოდ რიგ საქონელზე. აქედან გამომდინარე, საქართველოს არ ძალუძს ორმხრივი მოლაპარაკების საფუძველზე მოიპოვოს საერთაშორისო ბაზრებზე დაშვების იმაზე უფრო უკეთესი პირობები, ვიდრე ამას ᲛᲛᲝ სთავაზობს.

ახალ სატარიფო განრიგზე გადასასვლელად საქართველოს მიეცა უფლება გამოიყენოს ხუთწლიანი გარდამავალი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ნებადართულია საიმპორტო ტარიფების ზრდა მთელ რიგ საქონელზე. პირველ რიგში, ეს შეეხება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს.*

ᲛᲛᲝ-ში გაწევრიანება, შესაძლებლობებთან და უპირატესობებთან ერთად, კონკრეტულ ვალდებულებებსაც აკისრებს საქართველოს, იმპორტისათვის შიდა ბაზრის გახსნის თვალსაზრისით. ეს კი, ცხადია მკაცრ კონკურენტულ პირობებში აყენებს ადგილობრივ მეწარმეებს, რომლებიც უფრო არასახარბიელო სასტარტო პირობებში იმყოფებიან, ვიდრე მათი უცხოელი პარტნიორები.

თანამედროვე მსოფლიოში აგროსასურსათო სექტორი ყველაზე მეტად დაცული სფეროა. ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერის ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს მისი სუბსიდირება. ამჟამად თითქმის ყველა ქვეყანაში ამა თუ იმ ფორმით (შეღავათიანი კრედიტები, საბიუჯეტო დავალიანების ჩამოწერა, საგადასახადო განაკვეთების შემცირება და სხვა) მაინც ხორციელდება გარკვეული დარგებისა და რეგიონების განვითარების ფინანსური მხარდაჭერა.

---

* საიმპორტო ტარიფის მაქსიმალურად დასაშვებ დონედ რიგი სასურსათო საქონლის მიმართ მიჩნეულ იქნა 25-30%, პურ-ფუნთუშეულის ნაწარმის მიმართ — 20%, თამბაქოს ნაწარმის მიმართ — 30% და ა.შ. მაშინ, როდესაც ამ საქონელზე ამჟამად არსებული საიმპორტო ტარიფები 12%-ს არ აჭარბებს.

მაშასადამე, „ურუგვაის რაუნდის“ ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო საქონლის ექსპორტზე სუბსიდიების შემცირების თაობაზე წარმოებულ მოლაპარაკებათა შედეგად მიღწეული შეთანხმების მიუხედავად, მათი მოცულობა კვლავ საკმაოდ დიდია.

სუბსიდირებულ იმპორტთან საქართველოს მიერ ღირსეული კონკურენციის გასაწევად აუცილებელია პერსპექტიული დარგების განვითარების ხელშეწყობა, სპეციალური სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და სუბსიდირების არსებული პროექტების დაფინანსების ზრდა. ამ მიზნით საქართველოში შეიძლება დაწესდეს საგადასახადო შეღავათები სასოფლო-სამეურნეო საქონლის წარმოებაზე; გაფართოვდეს საბაჟო შეღავათები სანაშენო პირუტყვის, სათესლე მასალის, შხამქიმიკატების, სასუქებისა და მცენარეთა დაცვის საშუალებათა იმპორტზე; გამოყენებულ იქნეს პირდაპირი სუბსიდირების ის მეთოდები და იმ რაოდენობრივ საზღვრებში, რაც დაშვებულია ᲕᲛᲝ-ს რეკომენდაციებით.

ᲕᲛᲝ-ს შეთანხმება სოფლის მეურნეობის შესახებ ნებას რთავს წევრ-ქვეყნებს განახორციელონ ადგილობრივი წარმოების მხარდამჭერი პოლიტიკა გარკვეული პირობების დაცვით. ამ შეთანხმების ფარგლებში მხარდაჭერის დასაშვები ზომები პირობითად გაერთიანებულია ე.წ. „მწვანე“, „ყვითელ“ და „ცისფერ“ კალათებში. გარდა ამისა, სახელმწიფოებს (136 მონაწილეს და 35 ქვეყანას დამკვირვებლის სტატუსით) ეძლევათ უფლება გამოიყენონ აგრეთვე სხვა ზომები (ე.წ. „აგრეგატული“, „ეკვივალენტური“ და „დე მინიმისი“). ასე, მაგალითად, საქართველოს, იმდროინდელი წარმოებისა და მშპ-ს გათვალისწინებით, უფლება მიეცა ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გამოეყენებინა საკუთარი აგრარული სექტორის მხარდაჭერისათვის 150-200 მლნ. აშშ დოლარის ექვივალენტური საშუალებები.

სოფლის მეურნეობის შესახებ შეთანხმებით დგინდება მხარდაჭერის პოლიტიკის იმ მიმართულებათა კლასიფიკაციის კრიტერიუმები, რომლებიც დამამახინჯებელ გავლენას ახდენენ ვაჭრობაზე („ყვითელი კალათის“ ზომები) და, რომელნიც მსგავს გავლენას არ ახდენენ („მწვანე კალათის“ ზომები). ეს უკანასკნელი ᲕᲛᲝ-ს წევრი-ქვეყნებისათვის არ წარმოადგენს შემცირების ვალდებულებათა საგანს.

„მწვანე კალათაში“ (green box policies) გაერთიანებულია ისეთი ზომები (არახელსაყრელ პირობებში მომუშავე ფერმერთა დახმარება,

მათი საწარმოო მომსახურება, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და რეაბილიტაცია, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ხელშეწყობა, საქონლის მარაგების შენახვა სასურსათო უსაფრთხოების მიზნებისათვის, სასურსათო დახმარება მოსახლეობის გარკვეული ფენებისათვის, ფერმერთა შემოსავლების დაზღვევა და სხვ.), რომლებიც ხორციელდება გადასახადების გადამხდელთა საშუალებების ხარჯზე დაფინანსებული სახელმწიფო პროგრამების მეშვეობით. ასეთი პროგრამები არ ვარაუდობენ მომხმარებელთა საშუალებების გადანაწილებას და არ გულისხმობენ მწარმოებელთა ფასობრივ მხარდაჭერას. ამიტომ მათზე ᲛᲛᲝ-ს შემზღუდავი ვალდებულება არ ვრცელდება.

საგულისხმოა, რომ წარმოების შეზღუდვის პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული ზოგიერთი პირდაპირი გადახდა (ფიქსირებულ მიწის ფართობზე, მოსავალზე და პირუტყვის სულადობაზე დაფუძნებული პირდაპირი გადახდები) ასევე არ ხვდება შემზღუდავ ვალდებულებათა ქვეშ და მიეკუთვნება „ცისფერი კალათის“ (blue box policies) ზომებს[6.5, გვ.21-22].

„მწვანე კალათის“ ზომები განსაკუთრებით დიდ შესაძლებლობებს იძლევა, რამდენადაც მათ გამოყენებაზე არანაირი შეზღუდვა არ არსებობს. ამიტომ აგროსასურსათო სექტორის სამთავრობო დახმარების პოლიტიკის შემუშავებისას ძირითადი ორიენტირი სწორედ მათზე კეთდება.

რაც შეეხება აგროსასურსათო სექტორის კონკრეტული დარგების მიზნობრივ მხარდაჭერას, საწარმოო ხარჯების პირდაპირ სუბსიდირებას და მტკიცე შესასყიდი ფასების არსებობას, სოფლის მეურნეობის შესახებ ᲛᲛᲝ-ს შეთანხმების შესაბამისად, ისინი ექვემდებარებიან „ყვითელი კალათით“ (amber box) განსაზღვრულ ზომებს, რომელთა გამოყენებაზეც დადგენილია გარკვეული რაოდენობრივი შეზღუდვები. კერძოდ, განსაზღვრული ფინანსური მხარდაჭერის ზღვრული სიდიდე, რომელსაც „დე მინიმისი“ (de minimus rule) ეწოდება და გამოითვლება „მხარდაჭერის აგრეგირებული ზომების“ მაჩვენებლის (AMS) შეფარდებით სუბსიდირებული საქონლის წარმოების მოცულობასთან.

ამ მაჩვენებლის მეშვეობით რაოდენობრივად ფასდება და იზღუდება მხარდაჭერის პოლიტიკის „ყვითელი“ მიმართულებები. მხარდაჭერის ერთობლივი ზომა ნიშნავს მხარდაჭერის დონეს წლის გან-

მავლობაში ფულადი გამოხატულებით, რომელიც წარმოადგენს კონ-კრეტული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და მთლი-ანად სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლებისადმი მხარდაჭერის ჯამს. შემზღუდავი ვალდებულებიდან გამოსარიცხი „ცისფერი კალათის" პროგრამები გაითვალისწინება AMS-ის საერთო საბაზო სიდიდის გამოთვლისას, მაგრამ არ ჩაითვლება მის ყოველწლიურად დასაშვებ ზღვარში. გარდა ამისა, ქვეყანა ვალდებული არ არის AMS-ის გამო-თვლისას გაითვალისწინოს და შეამციროს ის შიდა მხარდაჭერა, რო-მელიც შეესაბამება „დე მინიმისა"-ს ან ხორციელდება „მწვანე კალა-თის" ზომების მეშვეობით.

„დე მინიმისის" დონე საქართველოსათვის, განვითარებული ქვეყ-ნების მსგავსად, დადგენილია 5%-ის ფარგლებში, მაშინ როდესაც განვითარებადი ქვეყნებისათვის ის 10%-ია. ხაზგასასმელია ის გარე-მოება, რომ რაც უფრო იმატებს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო წა-რმოების მოცულობა, მით უფრო იზრდება სუბსიდიების გამოყენების შესაძლებლობაც, წარმოების მოცულობის 5%-ის შესაბამისად.

ᲛᲛᲝ-ში გაწევრიანებისას საქართველომ აიღო ვალდებულება არ გამოიყენოს საექსპორტო სუბსიდიები სასოფლო-სამეურნეო და სა-სურსათო პროდუქტებზე. თუმცა, საქართველოს 2001 წლის სახელმ-წიფო ბიუჯეტის კანონის თანახმად, ჩაის ექსპორტის ხელშეწყობის პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილ იქნა 3.0 მლნ. ლარი, რაც გულისხმობს თითოეულ ექსპორტირებულ კილოგრამზე 0.40 ლარის სუბსიდიის გაცემას, და წარმოადგენს ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებათა დარღვევას. ᲛᲛᲝ-ს წევრ-ქვეყნებთან დაპირისპირების თავიდან აცილებისა და AMS-ის საერთო სიდიდის საჭირო შემცი-რების უზრუნველყოფის მიზნით უმჯობესია მოცემული და სხვა ანა-ლოგიური სუბსიდიები სოფლის მეურნეობის შესახებ შეთანხმების „მწვანე", „ყვითელი" და „ცისფერი" კალათებით განსაზღვრული ზო-მების ოპტიმალურ ფარგლებში მოექცეს.

ᲛᲛᲝ-ს სრულუფლებიანი წევრის სტატუსით საქართველომ პირ-ველად მინისტრთა IV კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა, რომე-ლიც 2001 წელს კატარის დედაქალაქ დოჰაში ჩატარდა და დასაბამი მისცა მრავალმხრივ მოლაპარაკებათა ახალ და მეტად მნიშვნელოვან ე.წ. „განვითარების რაუნდს".

2001 წლიდან დოჰას განვითარების რაუნდის ფარგლებში აქტიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები საერთაშორისო სავაჭრო წესების შემდგომი ლიბერალიზაციისათვის. მოლაპარაკებათა დღის წესრიგი მოიცავს საკითხთა ფართო სპექტრს: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზარზე დაშვება, ვაჭრობა და გარემოს დაცვა, ვაჭრობის ხელშეწყობა, დავების მოგვარება და სხვა.

ბაზარზე დაშვების პირობების განსაზღვრა მრავალმხრივ მოლაპარაკებებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. მოლაპარაკებები მიმდინარეობს როგორც სატარიფო ლიბერალიზაციის, ასევე ტექნიკური ბარიერების მაქსიმალურად შემცირების მიმართულებით.

სატარიფო დაკლებების კუთხით წევრ ქვეყნებს შორის აქტიური კონსულტაციების შედეგად ჩამოყალიბდა დაკლების რამდენიმე მიდგომა-ფორმულა: საწყის საბაჟო გადასახადზე დამოუკიდებელი დაკლების ფორმულა; წრფივი დაკლების ფორმულა; დაკლების არაწრფივი ფორმულა და დაკლების შვეიცარული ფორმულა. თითოეულ ფორმულას გააჩნია თავისი მახასიათებლები (კოეფიციენტები), რომელიც უშუალოდ განსაზღვრავს სამომავლო დაკლებების დონეებს. მოლაპარაკებები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციასთან დაკავშირებით დღესაც გრძელდება.

დოჰას რაუნდის ფარგლებში გლობალური პროგრესის უზრუნველყოფისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სოფლის მეურნეობის სფეროში მოლაპარაკებების წარმატებული დასრულება. ᲛᲛᲝ-ს წევრი ქვეყნები დოჰას განვითარების რაუნდის შედეგებს პირდაპირ უკავშირებენ სოფლის მეურნეობის სფეროში მიმდინარე მოლაპარაკებებს, სადაც დღემდე ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა ᲛᲛᲝ-ს სოფლის მეურნეობის კომიტეტის სპეციალური სესიის თავმჯდომარის მიერ შემოთავაზებულ მოლაპარაკებების ძირითად სახელმძღვანელო დირექტივებთან დაკავშირებით.

ᲛᲛᲝ-ს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნები, სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე საბაჟო ტარიფების შემდგომი შემცირების მიზნით, პრიორიტეტს ანიჭებენ შვეიცარულ ფორმულას, რომლის საშუალებით მნიშვნელოვნად შემცირდება წევრი ქვეყნების საკმაოდ მაღალი მოქმედი და ბმული ტარიფები, რაც საკვლევით შეესაბამება დოჰას მინისტრთა კონფერენციით მინი-

ჭებულ მოლაპარაკებების მანდატს. ტარიფების მნიშვნელოვან შემცირებას მხარს უჭერს ასევე ამერიკის შეერთებული შტატებიც.

ᲛᲛᲝ-ს წევრი ქვეყნის დიდი უმრავლესობა, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნები, ასევე ევროკავშირი, შვეიცარია, ნორვეგია, და სხვა განვითარებული ქვეყნები, მხარს უჭერენ ტარიფების შემცირების ურუგვაის ფორმულას იმ მოტივით, რომ შვეიცარული ფორმულა საკმაოდ ამბიციურია ტარიფების შემდგომი შემცირების მიმართებით, და სერიოზულად ეწინააღმდეგება მის მიღებას.

ამჟამად აშშ აქტიურ ორმხრივ კონსულტაციებს მართავს ევროკავშირთან სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზარზე დაშვების ძირითად საკითხებთან დაკავშირებით. ევროკავშირის სოფლის მეურნეობის ერთიანი პოლიტიკის (**Common Agricultural Policy, CAP**) ფარგლებში ბოლოდროინდელმა რეფორმამ გარკვეული მოქნილობის დემონსტრირების საშუალება მისცა ბრიუსელს, რის შედეგადაც მოსალოდნელია შეთანხმების მიღწევა მოლაპარაკებების ძირითად მიდგომებზე, რაც უსათუოდ მნიშვნელოვანი იქნება სოფლის მეურნეობის სფეროში მიმდინარე მოლაპარაკებებში საერთო პროგრესის უზრუნველყოფისათვის. მხარეებს შორის პრაქტიკულად მიღწეულია შეთანხმება სატარიფო შემცირების მაჰარმონიზირებელ ფორმულასთან დაკავშირებით, რომელსაც შეჯერებული ფორმულა (**blended formula**) უწოდეს. შეჯერებულ ფორმულას ძირითადად საფუძვლად უდევს შვეიცარული ფორმულა. თუმცა, იმავდროულად გათვალისწინებულია ახალი სატარიფო ქვოტების შემოღება და არსებულის გაფართოება.

წევრმა ქვეყნებმა დააყენეს ასევე საკუთარი კანონზომიერი მოთხოვნები, რომ რეფორმირების პროცესი უნდა შეეხოს სოფლის მეურნეობის ყველა სექტორს. ამასთან შენარჩუნებული და დაცული უნდა იქნეს დელეკატური ბალანსი სოფლის მეურნეობის მოლაპარაკებების სამივე მიმართულების გათვალისწინებით: ბაზარზე დაშვება, საექსპორტო კონკურენცია და ადგილობრივი მხარდაჭერა. წევრმა ქვეყნებმა ასევე ხაზი გაუსვეს იმ გარემოებებს, რომ ე.წ. შეჯერებული ფორმულის შერჩევისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ საკითხებზე:

- ფორმულის საშუალებით მიღწეული კონცესიები მნიშვნელოვნად შეეხოს საერთაშორისო სატარიფო პიკებსა და სატარიფო ესკალაციას;

- გათვალისწინებულ იქნეს სპეციალური და დიფერენციალური რეჟიმი;
- ბაზარზე დაშვების სფეროში არსებული ამბიციები შენარჩუნდეს დანარჩენი ორი მიმართულებით.

ამასთან ერთად, რიგი ქვეყნები საკმაო კატეგორიულობით გამოირჩევიან. კერძოდ, ინდოეთი, რომელსაც მხარს უჭერდნენ განვითარებადი ქვეყნებიც, აცხადებს, რომ მიუღებელი იქნება ნებისმიერი დირექტივა, რომელიც არ გაითვალისწინებს სასურსათო უსაფრთხოების საკითხებს.

ასევე საკმაოდ შორს არიან წევრი ქვეყნები საექსპორტო კონკურენციისა და შიდა დახმარების საკითხებთან დაკავშირებით შეთანხმების მიღწევისაგან. კანსის ჯგუფის* ქვეყნები, რომელთაც უერთდებიან განვითარებადი ქვეყნებიც, მოითხოვენ საექსპორტო სუბსიდიების დაუყოვნებლივ აღმოფხვრას ან უკიდურეს შემთხვევაში მათ მნიშვნელოვან შეკვეცას. მათი არგუმენტი საკმაოდ სერიოზულია – საექსპორტო სუბსიდიები სერიოზულად ზღუდავს ჯანსაღ კონკურენციას საერთაშორისო ვაჭრობაში და არათანაბარ პირობებში აყენებს ᲛᲛᲝ-ს წევრ ქვეყნებს. სოფლის მეურნეობის სფეროში საექსპორტო სუბსიდიების აღმოფხვრას მხარს უჭერს აშშ-ც.

საექსპორტო სუბსიდიების აღმოფხვრის მოწინააღმდეგე წევრი ქვეყნების კოალიცია, რომელშიც შედის ევროკავშირი, იაპონია, ნორვეგია, შვეიცარია, ისლანდია, უნგრეთი და სხვა, ხაზს უსვამენ საექსპორტო კონკურენციის ყველა მიმართულებით საერთო ბალანსის დაცვას და ამტკიცებენ, რომ მხოლოდ საექსპორტო სუბსიდიების გაუქმებაზე საუბარი არ წარმოადგენს მოლაპარაკებებისადმი კონსტრუქციულ მიდგომას. მათი განმარტებით, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ასევე საექსპორტო კრედიტებიც, სასურსათო დახმარების, საექსპორტო შეზღუდვებისა და გადასახადების საკითხებიც.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მიმდინარე მოლაპარაკებებში ევროკავშირის დამოკიდებულება საექსპორტო სუბსიდიების საკით-

---

* კანსის ჯგუფი ჩამოყალიბდა 1986 წელს და ამჟამად მის შემადგენლობაში შედის 18 ქვეყანა: ავსტრალია, არგენტინა, ბოლივია, ბრაზილია, კანადა, ჩილე, კოლუმბია, კოსტა რიკა, ფიჯი, გვატემალა, ინდონეზია, მალაიზია, ახალი ზელანდია, პარაგვაი, ფილიპინები, სამხრეთ აფრიკა, ტაილანდი და ურუგვაი.

სთან დაკავშირებით. მიუხედავად ევროკავშირის სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებული ბოლო დროინდელი რეფორმებისა, ევროკავშირი წინააღმდეგია საექსპორტო სუბსიდიების აღმოფხვრისა და აცხადებს, რომ მოთხოვნა არ არის გათვალისწინებული დოჰას მანდატით. მისი ამგვარი დამოკიდებულება რიგი ქვეყნების მნიშვნელოვანი შეშფოთების საგანია. მოლაპარაკების ამ ეტაპზე ყველაფერი დამოკიდებულია ევროკავშირზე — მსოფლიოში ყველაზე დიდ „მასუბსიდირებელზე", თუ როგორ მოახდენს იგი **CAP**-ის რეფორმების ასახვას დოჰას რაუნდის მოლაპარაკებების მანდატთან.

წევრ ქვეყნებს შორის ცხარე კამათი მიმდინარეობს შიდა დახმარების (ადგილობრივი მხარდაჭერის) ღონისძიებებთან დაკავშირებით. განვითარებადი ქვეყნები ძირითად ექსპორტიორ ქვეყნებთან ერთად ცალსახად ითხოვენ ვაჭრობის ხელის შემშლელი ადგილობრივი მხარდაჭერის ზომების სრულ ლიბერალიზაციას. მათი მოსაზრებით უნდა მოხდეს "ყვითელი და ცისფერი კალათების" გაუქმება და გამკაცრდეს "მწვანე კალათის" დებულებები. ამასთანავე გადაიხედოს "მწვანე კალათით" განსაზღვრული შიდა დახმარები, ვინაიდან შესაძლოა რიგ შემთხვევებში ამ მიმართებით განხორციელებულ ფინანსურ მხარდაჭერას გავლენა ჰქონდეს წარმოების პროცესზე ან პროდუქციის თვითღირებულებაზე.

ᲕᲛᲝ-ს წევრ ქვეყნებს შორის არსებობს განსხვავებული დამოკიდებულება "ცისფერი კალათის" ფარგლებში განხორციელებულ მხარდაჭერასთან დაკავშირებით. ქვეყნების ერთი ჯგუფი მოითხოვს მის გაუქმებას, მეორე ჯგუფი თვლის, რომ უნდა მოხდეს მისი შერწყმა "ყვითელ კალათასთან" და შემდეგ გათვალისწინებულ იქნეს მხარდაჭერის საერთო აგრეგირებულ ფორმულაში. ქვეყნების მესამე ჯგუფი კი მხარს უჭერს მის შენარჩუნებას იმ მოტივით, რომ "ცისფერი კალათა" აუცილებელია ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერისათვის. "მწვანე კალათის" მნიშვნელობის გათვალისწინებით, ევროკავშირი ცდილობს მოახდინოს სხვა ფორმის შიდა დახმარების ზომების "მწვანე კალათის" მოთხოვნებთან მისადაგება. თუმცა, კანსის ჯგუფისა და განვითარებადი ქვეყნების აზრით, ამგვარი ტრანსფორმაცია გამოიწვევს ადგილობრივი მხარდაჭერის მხოლოდ დასახელების და არა მისი შინაარსის შეცვლას.

სოფლის მეურნეობის სფეროში მიმდინარე მოლაპარაკებებში საქართველოს მთავრობის პოზიცია საკმაოდ ახლოს დგას ᲛᲛᲝ-ს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნების კანსის ჯგუფის პოზიციასთან, რომლებიც მიისწრაფიან წევრი ქვეყნების სოფლის მეურნეობის სექტორის მნიშვნელოვანი ლიბერალიზაციისაკენ, საექსპორტო სუბსიდიებისა და ვაჭრობის ხელის შემშლელი ადგილობრივი მხარდაჭერის ზომების აღმოფხვრის საშუალებით. ამასთანავე, კანსის ჯგუფის ქვეყნები სატარიფო შემცირების მიპნით მხარს უჭერენ შვეიცარულ ფორმულას, რომელიც საკმაოდ ეფექტურად "ჭრის" მაღალ სატარიფო პიკებს და იმავდროულად ლიბერალური ტარიფების უმნიშვნელო შემცირებას იწვევს.

გარემოს დაცვაზე ვაჭრობის ლიბერალიზაციის ზეგავლენას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბოლო წლებში, მათ შორის ანტიგლობალისტური მოძრაობის და გარემის დაცვის სხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან. დოჰას მოლაპარაკების დღის წესრიგშიც (31-33 მუხლები) გათვალისწინებულია მოლაპარაკებები ᲛᲛᲝ-ს წესებისა და გარემოს დაცვითი კონვენციების დებულებათა ჰარმონიზაციის მიზნით.

ევროკავშირმა წამოაყენა ახალი ინიციატივა ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით საბაჟო პროცედურებისა და ვაჭრობასთან დაკავშირებული სხვა ადმინისტრაციული ბარიერების გამარტივების ხელშესაწყობად, რომლის მხარდასაჭერად ევროკავშირი მზადაა გამოყოს 500 მილიონი ევრო 4 წლიანი პროგრამის ფარგლებში ეკონომიკურად სუსტი ქვეყნებისათვის დასახმარებლად.

დავების მოგვარების მექანიზმის სრულყოფის მიზნით (მუხლი 30), წევრმა ქვეყნებმა შეიმუშავეს ᲛᲛᲝ-ს შესაბამის შეთანხმებებში კონკრეტულ შესწორებათა ვრცელი პაკეტი.

საქართველო, ᲛᲛᲝ-ში ახლად გაწევრიანებული ქვეყნების ჯგუფთან* ერთად, აქტიურად ჩაერთო დოჰას დეკლარაციის შემუშავებაში

---

* დოჰას 2001 წლის ᲛᲛᲝ-ს მინისტრთა IV კონფერენციაზე საქართველომ შეძლო 8 ახლად გაწევრიანებული ქვეყნის (ალბანეთი, ხორვატია, ლიტვა, ომანი, იორდანია, ყირგიზეთი, მოლდოვა და საქართველო) კოალიციის ჩამოყალიბება და რამდენჯერმე გამოვიდა მათი სახელით პლენარულ სხდომაზე, რათა დეკლარაციაში რაც შეიძლება სრულად ასახულიყო ამ ჯგუფის ქვეყნების ინტერესები.

და მის საფუძველზე მიმდინარე მოლაპარაკებებში, ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებისა და მოლაპარაკებათა შემაჯამებელ დოკუმენტებში შესაბამისი ასახვის მიზნით.

დოჰას მინისტრთა IV კონფერენციაზე საქართველო სათავეში ჩაუდგა ახლადგაწევრიანებული ქვეყნების კოალიციას და მიაღწია მინისტრთა დეკლარაციის მე-9 მუხლში იმ ფაქტის დაფიქსირებას, რომ აღნიშნულ ქვეყნებს გაწევრიანების პროცესში მეტად ფართო ვალდებულებები აქვთ ნაკისრი ბაზრის ლიბერალიზაციის თვალსაზრისით. 38-ე მუხლში აგრეთვე გაკეთდა ჩანაწერი, რომ ახლადგაწევრიანებული გარდამავალი ეკონომიკის დაბალშემოსავლიანი ქვეყნები საჭიროებენ განსაკუთრებულ ტექნიკურ დახმარებას, მრავალმხრივ სავაჭრო სისტემაში მათი სრულფასოვნად ჩართვის უზრუნველსაყოფად.

სწორედ აღნიშნული ორი დებულება დაედო საფუძვლად საქართველოს და სხვა ახლადგაწევრინებული ქვეყნების პოზიციებს დოჰას „განვითარების რაუნდის" მოლაპარაკებებზე გარკვეული შეღავათების მისაღებად საერთაშორისო ვაჭრობის შემდგომი ლიბერალიზაციის პროცესში.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანია იმ ქვეყნების ჯგუფის შერჩევა, რომელთა ინტერესები მიმდინარე მოლაპარაკებებში ახლოსაა ჩვენი ქვეყნის ინტერესებთან, და არ აწყდება გადაულახავ წინაამდეგობას სხვა წევრი-ქვეყნების მხრიდან. მიმდინარე მოლაპარაკებებში ახლადგაწევრინებული ქვეყნების დეფინიციის გამოყენება გარკვეულ დაზუსტებას მოითხოვდა ჩინეთის ფაქტორის გამო, რომელიც 2001 წელს გაწევრიანდა ᲛᲛᲝ-ში, ხოლო მისი მონაწილეობა ახლადგაწევრიანებული ქვეყნების ინიციატივებში ამ ინიციატივებისადმი დიდი წინააღმდეგობის მიზეზი შეიძლება გამხდარიყო. ჟენევაში მიმდინარე მოლაპარაკებისას წევრი ქვეყნების (აშშ, ევროკავშირი და სხვ) მიერ დაფიქსირდა, რომ დეფინიცია "ახლადგაწევრიანებული ქვეყნები" გამოიყენება მხოლოდ იმ წევრებისათვის, რომლებმაც დოჰაში კოალიცია შექმნეს.

საქართველო იმედოვნებს, რომ ახალგაწევრიანებული ქვეყნების პრობლემები სათანადოდ იქნება ასახული დირექტივების საბოლოო ტექსტში. გაწევრიანების პროცესში საქართველომ იკისრა სერიო-

ზული ვალდებულებები, რამაც საბოლოო ჯამში განაპირობა სოფლის მეურნეობის სექტორში ბაზარზე დაშვების პირობების მნიშვნელოვანი ლიბერალურობა. ასევე, გაწევრიანების პროცესში საქართველომ მოახდინა საექსპორტო სუბსიდიების ნულოვან დონეზე მიბმა და პრაქტიკულად არ იყენებს ვაჭრობის ხელისშემშლელ შიდა დახმარების მექანიზმებს. ამ ვალდებულებების გათვალისწინებით სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე საბაჟო ტარიფების მნიშვნელოვანმა ლიბერალიზაციამ შესაძლოა საზიანოდ იმოქმედოს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის სექტორზე და ადგილობრივ მწარმოებლებზე. შესაბამისად, საქართველოსათვის რთული იქნება ისეთი დირექტივების მხარდაჭერა, რომლიც მხედველობაში არ მიიღებს ახლადგაწევრიანებული ქვეყნების სპეციფიკურ მდგომარეობას და არ გაითვალისწინებს მათთვის შესაბამისი გონივრული, მოქნილი და შეღავათიანი რეჟიმის მინიჭებას[4.3, გვ.96].

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ოთხწლიანი ინტენსიური მუშაობისა და მოლაპარაკებების შედეგად ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან საქართველოს მიერთება გლობალური და რეგიონული თანამშრომლობის განვითარებისათვის, თავისი სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების დივერსიფიკაციისათვის ჩვენი ქვეყნის მიერ გადადგმული წარმატებული ნაბიჯია. ეს წარმატება შეუძლებელი იქნებოდა საქართველოს პრეზიდენტის მკაფიო პოლიტიკური ნების, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების აქტიური თანამშრომლობის, და აგრეთვე განვითარებული ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების (მათ შორის თვით ᲛᲛᲝ-ს) მხრიდან უდიდესი დახმარების გარეშე. საქართველოს ამ საქმეში განსაკუთრებული დახმარება აღმოუჩინა აშშ-მა და ევროკავშირმა, რომლებმაც USAID-ისა და TACIS-ის პროგრამების ფარგლებში შეასრულეს სპეციალური პროექტები ᲛᲛᲝ-ში საქართველოს გაწევრიანებისა და შემდგომი ეფექტიანი თანამშრომლობის ხელშეწყობისათვის.

6.3. საქართველოს აგროსასურსათო კომპლექსის საგარეო-სავაჭრო კავშირების ეფექტიანობა

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში მყოფი საქართველოსათვის საგარეო ეკონომიკური სფერო მხოლოდ შრომის საერთაშორისო დანაწილების უპირატესობათა ხარჯზე წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საშუალება კი არაა, არამედ — მსოფლიო მეურნეობაში ქვეყნის ჩართვის ერთ-ერთი მიმართულებაცაა. საბაზრო რეფორმა ქმნის საგარეო ეკონომიკური კავშირების სიღრმისეული გარდაქმნის პირობებს, რომლებიც წარმოადგენენ მისი საერთო სტრატეგიის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს.

მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ შრომის საერთაშორისო დანაწილებასა და კოოპერაციაში მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია კრიზისული მდგომარეობის სწრაფად და ეფექტიანად დაძლევა და აგროსასურსათო კომპლექსის რაციონალური ფუნქციონირების უზრუნველყოფა. თანამედროვე პირობებში ქვეყნის საგარეო ეკონომიკური კავშირები იქცა ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ წამყვან ფაქტორად. ამასთან, მიმდინარეობს მათი არსებითად გაფართოება და გამდიდრება არა მხოლოდ საგარეო ვაჭრობის ტრადიციული ფორმების ჩართვის, არამედ აგრეთვე უცხოური კაპიტალის მოზიდვის გაფართოების, სავალუტო-საფინანსო ურთიერთობათა ახალი სისტემის ფორმირების, სამუშაო ძალის თავისუფალი მიგრაციის, მომსახურებისა და ინფორმაციის ახალი სახეების გაცვლის ჩართვის ხარჯზე.

ნებისმიერი სახელმწიფოს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მდგომარეობა აუცილებელია განხილულ იქნეს ისტორიული განვითარების კონტექსტში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიო ეკონომიკაში აღდგენითი პერიოდის დასრულებით სწრაფი ტემპებით იქმნებოდა ეკონომიკური ზრდის სრულიად ახალი ტიპის ჩამოყალიბების წანამძღვრები, რამაც შეცვალა სოციალურ-ეკონომიკური კავშირების მთელი ერთობლიობა.

ომის წლებში სახალხო მეურნეობის ნგრევის ხარისხის და აღდგენითი პერიოდის პრობლემების გათვალისწინებით, ეკონომიკური პოლიტიკა ყოფილი საბჭოთა კავშირის ფარგლებში მნიშვნელოვანწილად ეყრდნობოდა ექსტენსიური განვითარების იდეოლოგიას. მსოფლიო ეკონომიკაში 60-იანი წლების ფართომასშტაბიან გარდაქმნათა

პერიოდში კიდევ უფრო გამწვავდა საბაზო შეუსაბამობები ორ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას შორის. ამას შედეგად მოჰყვა დასავლეთთან საგარეო ვაჭრობის მოცულობის შემცირება. სახელმწიფო საკუთრებაზე დაფუძნებული სამეურნეო სტრუქტურები, რომელთაც არ გააჩნდათ ეკონომიკური არჩევანის, სრულფასოვანი სამეწარმეო ქცევის და საკანონმდებლო დაცვის რეალური შესაძლებლობა, არ წარმოადგენდნენ ინტერესს დასავლეთელი პარტნიორებისათვის.

აგროსასურსათო კომპლექსის მიხედვით სავაჭრო-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა ხორციელდებოდა 200 სამთავრობათაშორისო შეთანხმებისა და 90 საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში. აგროსასურსათო კომპლექსის სისტემის საქონლითა და მომსახურებით საგარეო ვაჭრობაში ექსპორტისა და იმპორტის თანაფარდობა შეადგენდა 1:6-7. საქართველოს წილი საერთოსაკავშირო ექსპორტში 1,5-2,0%-ს არ აღემატებოდა, თუმცა მემცენარეობის ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი სახეობის პროდუქციისა და მათი სამრეწველო გადამუშავებით მიღებული კვების პროდუქტების მიხედვით იგი იყო მნიშვნელოვნად უფრო მაღალი.*

საქართველო საკმაოდ აქტიურად მონაწილეობდა ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში. 1966-1986 წლების სასურსათო პროდუქციის წარმოებისა და განაწილების დარგთაშორისი ბალანსის მიხედვით, საქართველოს კვების მრეწველობის პროდუქციის გაზიდვა-შემოზიდვაში მკვეთრად გამოხატული აქტიური ბალანსი ჰქონდა. კერძოდ, კვების მრეწველობის პროდუქციის გაზიდვა მის შემოზიდვას ჭარბობდა: 1966 წელს — 1,4-ჯერ, 1970 წელს — 1,7-ჯერ, 1980 წელს — 2,1-ჯერ, ხოლო 1986 წელს — 2,6-ჯერ.

იმპორტში გადამწყვეტ როლს ასრულებდა კვების პროდუქტები, მაშინ როდესაც სასოფლო-სამეურნეო მანქანები და მოწყობილობები გადამამუშავებელი მრეწველობისათვის 15-20%-ს არ აჭარბებდა. საკავშირო საგარეო-სავაჭრო ორგანიზაციები ატარებდნენ არაშორსმხედველობით ეკონომიკურ პოლიტიკას. მდგომარეობას ართულებდა იმპორტულ მოწყობილობათა ცენტრალიზებული განაწილება, რაც და-

---

* საგულისხმოა, რომ იმდროინდელი საკავშირო ბაზრის მთლიან საექსპორტო ბრუნვაში საქართველოს ღვინის, ჩაის, ხილის, ბოსტნეულის, ხილ-ბოსტნეულის კონსერვების, მინერალური წყლების და სხვა სასურსათო პროდუქციის წილი (ღირებულებით ფორმაში) 10%-ს შეადგენდა.

კავშირებული არ იყო რეგიონთა დაფინანსებასთან და რეალურ მოთხოვნილებებთან.

საქართველოს საგარეო ეკონომიკურ კავშირებში უკანასკნელი ათწლეულის სტრუქტურულმა ცვლილებებმა პრინციპში შეინარჩუნეს ყოფილი საბჭოთა კავშირის ნეგატიური ტენდენციები. პირველ რიგში, ეს ეხება საგარეო ვაჭრობის ორიენტაციის შეცვლას საექსპორტო-საიმპორტოდან უპირატესად საიმპორტო მიმართულებაზე, საგარეო ეკონომიკური ბრუნვის მოცულობის საერთო შემცირების პირობებში. 1991-2000 წლებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი შემცირდა 12-ჯერ, ხოლო იმპორტი კი მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2000 წელს საქართველოს საგარეო-სავაჭრო ბალანსის დეფიციტმა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიხედვით 6,3 მლნ. აშშ დოლარი, კვების მზა პროდუქტების მიხედვით კი – 18,0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა[1.11, გვ.14; 1.9, გვ.273-276].

ქვეყანაში საექსპორტო პროდუქციის ძირითად სახეებს ტრადიციულად წარმოადგენდა ჩაი, ხილი, ბოსტნეული, ხილ-ბოსტნეულის კონსერვები, ციტრუსი, ყურძენი, ღვინო, მინერალური წყლები. უკანასკნელ წლებში, წარმოების მნიშვნელოვან დაცემასთან და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ბაზრების დაკარგვასთან დაკავშირებით, ექსპორტმა განიცადა არსებითი ცვლილებები, თუმცა მისი სტრუქტურა პრაქტიკულად არ შეცვლილა (ცხრილი 35).

35-ე ცხრილი იმ ძირითად საკვებ პროდუქტებს წარმოგვიდგენს, რომელთათვისაც ოფიციალურად აღრიცხული იმპორტი და ექსპორტი ასე თუ ისე მნიშვნელოვანია. ცხრილში მოტანილი რაოდენობრივი პარამეტრები რეალური იმპორტისა და ექსპორტის მხოლოდ ნაწილს ასახავს. 2002 წლის უმნიშვნელოვანესი საიმპორტო პროდუქტებია შაქარი, ხორბალი, ხორბლის ფქვილი, მცენარეული ზეთი, ფრინველის ხორცი, კარტოფილი და მაკარონი. სურსათის წილი ოფიციალურად აღრიცხული იმპორტის სრულ ღირებულებაში დაახლოებით 16%-ია. 2002 წლის უმნიშვნელოვანესი საექსპორტო პროდუქტებია ხორბალი, შაქარი, ციტრუსები, ღვინო, ჩაი და თხილი. სურსათის წილი ოფიციალურად აღრიცხული ექსპორტის სრულ ღირებულებაში დაახლოებით 25%-ია.

ცხრილი 35. სურსათის ოფიციალურად აღიარებული იმპორტისა და ექსპორტის დინამიკა საქართველოში 1998-2002 წლებში*

(1000 ტონა)

	იმპორტი					2002 წ %-ობით 1998 წ.	ექსპორტი					2002 წ %-ობით 1998 წ.
	წ. 1998	წ. 1999	წ. 2000	წ. 2001	წ. 2002		წ. 1998	წ. 1999	წ. 2000	წ. 2001	წ. 2002	
ხორბალი	217.2	161.1	168.6	82.4	133.9	61.6	11.3	10.6	7.9	10.0	55.8	4.9ჯერ
ხორბლის ფქვილი	111.8	85.6	111.4	80.7	32.1	28.7	1.7	3.5	9.8	7.9	-	-
კარტოფილი	12.6	9.1	5.1	9.1	3.9	30.9	-	-	-	-	-	-
ციტრუსები	-	-	-	-	-	-	31.2	10.9	13.3	11.0	11.8	37.8
თხილი	-	-	-	-	-	-	3.0	5.5	7.4	4.0	4.3	143.3
ჩაი	-	-	-	-	-	-	10.2	14.3	9.7	9.6	8.9	87.2
მცენარეული ზეთი	14.6	4.4	2.5	4.7	16.6	113.7	-	-	-	-	-	-
შაქარი	58.4	77.3	103.6	110.8	186.4	3.2ჯერ	5.9	8.0	10.5	10.3	47.8	8.1ჯერ
ღვინო	-	-	-	-	-	-	17.7	12.6	20.8	22.2	24.9	140.7
ხორცი	2.1	0.8	0.9	1.7	6.4	3.0ჯერ	-	-	-	-	-	-
ფრინველის ხორცი	5.2	9.5	6.2	7.3	21.6	4.1ჯერ	-	-	-	-	-	-
კარაქი	3.6	2.9	1.9	0.9	1.2	33.3	-	-	-	-	-	-
ძეხვეული	2.5	0.9	2.0	3.3	2.5	100	-	-	-	-	-	-
მაკარონი	3.1	1.5	2.8	3.0	3.9	125.8	-	-	-	-	-	-

როგორც ცხრილში მოტანილი მონაცემების ანალიზით ირკვევა, 1998-2002 წლებში იმპორტი გაიზარდა შემდეგი სასაქონლო პოზიციების მიხედვით: შაქარი – 58,4-დან 186,4 ათას ტონამდე (3,2-ჯერ), ფრინველის ხორცი – 5,2-დან 21,6 ათას ტონამდე (4,1-ჯერ), ხორცი – 2,1-დან 6,4 ათას ტონამდე (3,0-ჯერ), მაკარონი – 3,1-დან 3,9 ათას ტონამდე (25,8%-ით), ხოლო მცენარეული ზეთი – 14,6-დან 16,6 ათას ტონამდე (13,7%-ით). ექსპორტის ზრდა კი აღინიშნა შემდეგი სასაქონლო პოზიციების მიხედვით: შაქარი – 5,9-დან 47,8 ათას ტონამდე (8,1-ჯერ), ხორბალი – 11,7-დან 55,8 ათას ტონამდე (4,9-ჯერ), თხილი – 3,0-დან 4,3 ათას ტონამდე (43,3%-ით), ღვინო – 17,7-დან 24,9 ათას ტონამდე (40,7%-ით).

* ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების მიხედვით[1.7, გვ.16].

აღნიშნულ პერიოდში იმპორტი შემცირდა შემდეგი სასაქონლო პოზიციების მიხედვით: კარაქი — 3,6-დან 1,2 ათას ტონამდე (3,0-ჯერ), ხორბალი — 217,2-დან 133,9 ათას ტონამდე (38,4%-ით), კარტოფილი — 12,6-დან 3,9 ათას ტონამდე (69,1%-ით), ხოლო ხორბლის ფქვილი — 111,8-დან 32,1 ათას ტონამდე (71,3%-ით). ექსპორტის შემცირება კი აღინიშნა შემდეგი ორი სასაქონლო პოზიციის მიხედვით: ციტრუსები — 31,2-დან 11,8 ათას ტონამდე (66,2%-ით) და ჩაი — 10,2-დან 8,9 ათას ტონამდე (12,8%-ით).

საგარეო-სავაჭრო კავშირების ეფექტიანობის შეფასება ზემოთმოტანილი მაჩვენებლების დახმარებით შეუძლებელია, რამდენადაც ისინი ახასიათებენ მხოლოდ საგარეო-სავაჭრო საქმიანობის მაშტაბურობას და არა მის ეფექტიანობას. საგარეო ეკონომიკური კავშირების ეფექტიანობის ყველაზე რეალურ მაჩვენებელს წარმოადგენს ამა თუ იმ ოპერაციის შედეგად მიღებული წმინდა მოგება (შემოსავალ-გასავლის სალდო).

საგარეო-სავაჭრო სალდო შეიძლება მიგვეჩნია საგარეო-სავაჭრო საქმიანობის განვითარების დონის შეფასების უნივერსალურ მაჩვენებლად როგორც სასაქონლო ჭრილში, ასევე ცალკეული სახელმწიფოს მიმართაც. მაგრამ დროის განსაზღვრული პერიოდისათვის ამ მაჩვენებლის შედარება არ იძლევა ზუსტ შეფასებას შესადარ ფასებში მონაცემთა არარსებობის გამო.

ამიტომ, თუ მოვაჭრე მხარეთა ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრისათვის საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის შედეგის სახით ავიღებთ სალდოს, მაშინ ამ მხარეთა საზოგადოებრივად აუცილებელი დანახარჯების სახით უნდა გამოვიდეს იმავე ზომის მქონე სიდიდე.

სავაჭრო ოპერაციების რენტაბელობის დონის მაჩვენებლის გამოანგარიშებისას, რომელიც გამოისახება საქონლის რეალიზაციიდან მიღებული მოგების შეფარდებით საქონელბრუნვასთან, მნიშვნელის სახით გამოიყენება საქონელბრუნვა, რომელიც ჩვეულებრივ გამოდის საგარეო-სავაჭრო კავშირების მოცულობის მახასიათებელ სიდიდედ.

თუ საგარეო-სავაჭრო კავშირებს განვიხილავთ ორი სახელმწიფოს საგარეო ეკონომიკური კავშირების ძირითად ფორმად, მაშინ ამ შემთხვევაში საქონელბრუნვა ასახავს საზოგადოებრივად აუცილებელ შრომის დანახარჯებს ამ სახელმწიფოებში საგარეო ეკონომიკურ ურ-

თიერთობათა განხორციელებისას. რამდენადაც საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების თვით ცნება გულისხმობს რამდენიმე მონაწილის არსებობას, იმდენად საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის დანახარჯებიც უნდა იყოს სავაჭრო ურთიერთობებში მონაწილე ქვეყნების დანახარჯები.

თუ მოცემული სახელმწიფოსათვის მისი დანახარჯების სახით მივიჩნევთ ექსპორტს, მაშინ სხვა სახელმწიფოთა დანახარჯები იქნება მათი იმპორტი, ხოლო მოცემული სახელმწიფოს საგარეო-სავაჭრო საქონელბრუნვას წარმოადგენს მის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილე ყველა ქვეყნის საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის დანახარჯები. საგარეო-სავაჭრო სალდო — ეს არის ამ სავაჭრო კავშირების განმახორციელებელ სახელმწიფოთა საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის შედეგი. მაშინ, როგორც სამართლიანად შენიშნავენ ბელორუსი ეკონომისტები — ბ.ილინა და ი.მიროჩიცკაია, საგარეო-სავაჭრო კავშირების განვითარების დონის შემფასებელ მაჩვენებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს საგარეო-სავაჭრო საქმიანობის დაბალანსებულობის კოეფიციენტი ($K_{ს-ს.ს.დ.}$), რომელიც გაიანგარიშება ფორმულით:

$K_{ს-ს.ს.დ.} = ს : სბ;$

$K_{ს-ს.ს.დ.} = (Ე \quad O) \quad (Ე + O) = 1 - [2O \quad (Ე + O)],$

სადაც ს — არის საგარეო-სავაჭრო სალდო;

სბ — საქონელბრუნვა;

Ე — პროდუქციის ექსპორტი;

O — პროდუქციის იმპორტი[3.14, გვ.214].

საქართველოს საგარეო-სავაჭრო საქმიანობის დაბალანსებულობის კოეფიციენტმა, 25-ე ცხრილში მოტანილ მონაცემებზე დაყრდნობით, მოცემული ფორმულის საფუძველზე ჩატარებული გაანგარიშების თანახმად, 1995 წელს შეადგინა — 0,090, 2000 წელს — 0,107 და 2001 წელს — 0,249. იმის გათვალისწინებით, რომ K-ს აქვს 1-ის ტოლი მაქსიმუმი, როცა O = 0 და Ე = 1; -1-ის ტოლი მინიმუმი, როცა Ე = 0 და O = 1; 0-ს ფუნქცია მიმართავს, როცა O = Ე, შეიძლება ვისაუბროდ საქართველოს საგარეო-სავაჭრო საქმიანობის დაბალანსებულობის შესახებ, იმპორტის რამდენადმე გადაჭარბების პირობებში.

ამრიგად, ქვეყნის აგროსასურსათო კომპლექსში საგარეო-სავაჭრო საქმიანობის შემდგომი ეფექტიანი განვითარება და დადებითი საგარეო-სავაჭრო სალდოს მიღწევა დაკავშირებული იქნება სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის იმპორტის რეგულირებასთან, ექსპორტის მოცულობათა გაფართოების პირობებში.

6.4. საქართველოს საგარეო ეკონომიკური კავშირების ოპტიმიზაცია და ეროვნული სასურსათო უსაფრთხოება

ქვეყნის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მოწესრიგება წარმოადგენს ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას. საქართველოს საგარეო ეკონომიკური საქმიანობისა და აგრარული სტრატეგიის რეფორმირების ანალიზმა გვიჩვენა, რომ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის ძირითადი სახეებით ქვეყნის თვითუზრუნველყოფის მისაღწევად აუცილებელია მისი საგარეო ეკონომიკური კავშირების გაფართოება და ოპტიმალური გამოყენება.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში საგარეო ვაჭრობის ლიბერალურმა რეჟიმმა და სამამულო საქონელმწარმოებელთა ფინანსური მხარდაჭერის შემცირებამ განაპირობა ქვეყნის სასურსათო ბაზრის დაბალხარისხიანი და იაფფასიანი იმპორტული სასურსათო პროდუქტებით გაჯერება, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში, სადაც თავმოყრილია ძირითადი გადახდისუნარიანი მოთხოვნა. ეს ზღუდავს სამამულო სასურსათო პროდუქტების გასაღების შესაძლებლობებს და საშიშროებას უქმნის ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას.

აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ დღეისათვის, თავისი ბუნებრივ-ეკონომიკური პოტენციალით, ტექნიკური შეიარაღებით, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურით საქართველოს აგროსასურსათო კომპლექსი არაკონკურენტუნარიანია მსოფლიო ბაზარზე. ასეთ პირობებში საჭირო ხდება ისეთი საგარეო-სავაჭრო პოლიტიკის ფორმირება და გატარება, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის აგროსასურსათო კომპლექსის კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანას და

მისი პოზიციების განმტკიცებას მსოფლიო ბაზარზე. ამასთან, მსოფლიო სასურსათო ბაზართან საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის პრობლემები უნდა დარეგულირდეს განსაკუთრებული სიფრთხილით, როგორც საკუთარ საქონელმწარმოებელთა მხარდაჭერის, ასევე შიდა სასურსათო ბაზრის გაჯერების თვალსაზრისით.

უკანასკნელი წლების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ქვეყანაში სასურსათო სიტუაციის დასტაბილიზება ფაქტობრივად შეუძლებელია აგროსასურსათო კომპლექსის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის, საიმპორტო მოწოდებათა დაფინანსების საკითხის მოგვარების, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის და სურსათის ექსპორტისა და იმპორტის საბაჟო რეგულირების განხორციელების გარეშე. ამასთან, აუცილებელია ამოვიდეთ იქედან, რომ საიმპორტო შესყიდვების უზრუნველყოფა სახელმწიფო სახსრების ხარჯზე შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სახელმწიფო და რეგიონული სასურსათო ფონდების ფორმირებისათვის. ნედლეულის და სურსათის დანარჩენი ნაწილის საიმპორტო შესყიდვა კი უნდა განხორციელდეს ქვეყნის აგროსასურსათო კომპლექსის საწარმოებისა და ორგანიზაციების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ეკონომიკური მიზანშეწონილობის გათვალისწინებით.

პროდუქციის ამ ნაწილის იმპორტისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს დაფინანსების არასაბიუჯეტო წყაროები (საზღვარგარეთის ქვეყნების მიერ გამოყოფილი კრედიტების ჩათვლით). ამასთან, სახელმწიფო უნდა გამოვიდეს გარანტად უცხოელი პარტნიორების წინაშე სესხების დაბრუნების საკითხში. ამგვარი სახელმწიფო გარანტიების მისაღებად აგროსასურსათო კომპლექსის საწარმოებმა და ორგანიზაციებმა უნდა გამოიყენონ თავიანთი უძრავი ქონების (იმპორტით შეძენილი საქონლის ჩათვლით) დაგირავების ფორმა.

საგულისხმოა, რომ სურსათის მრავალი სახის წარმოება საქართველოში ჯერ კიდევ იმპორტით შეძენილი ნედლეულისა და მასალების გამოყენებას ემყარება. ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება: ხორბალს, შაქრის ლერწამს, ყავას, რძის ფხვნილს, თევზის პროდუქტებს, ცხოველურ და მცენარეულ ცხიმებს. ჩვენი აზრით, აღნიშნული სახის სა-

სოფლო-სამეურნეო და სასურსათო ნედლეულის იმპორტი კვლავ მისაღები იქნება უახლოესი მომავლისათვის.*

ნიშანდობლივია ისიც, რომ საკუთარი ნედლეულის უკმარისობის გამო, საქართველო იძულებულია ყოველწლიურად იმპორტით შეიძინოს დიდი რაოდენობით ხორცის პროდუქტები, კვერცხი, საკონდიტრო ნაწარმი, წვენები, ალკოჰოლური სასმელები. ჩვენი აზრით, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, აღნიშნული პროდუქტების იმპორტით შეძენის გაგრძელება მიზანშეუწონელი იქნება. ამიტომ უკვე უახლოეს პერსპექტივაში, სურსათით თვითუზრუნველყოფის საკითხის დარეგულირებით, თანდათანობით უნდა შემცირდეს ზემოდასახელებული პროდუქტების იმპორტი, რამდენადაც ქვეყანას გააჩნია მათი ადგილობრივი წარმოების გადიდების რეზერვები და შესაძლებლობანი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უახლოეს მომავალში საქართველოს საგარეო-სავაჭრო პოლიტიკა მიმართულ უნდა იქნეს იმპორტირებული სურსათის მოცულობის შემცირებაზე, განსაკუთრებით იმ ასორტიმენტული ჯგუფების მიხედვით, რომელთა საკმარისი ოდენობით წარმოებაც ჩვენთან სავსებით შესაძლებელია. იმპორტის შემცირებისას უნდა შემუშავდეს მისგან თანდათანობით გათავისუფლების სახელმწიფო პროგრამა, რომლის განხორციელება, ბუნებრივია, დაასტიმულირებს სურსათის შიდა წარმოების განვითარებას.

ამ მიზნით, ყოველწლიურად უნდა დაზუსტდეს იმპორტის მოცულობები სამამულო ნედლეულისა და სურსათის ჩამოყალიბებული ბალანსის, სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებების შესრულების აუცილებლობის გათვალისწინებით. ამასთან, უნდა დაიხვეწოს იმპორტის სტრუქტურა, მასში ახალი ტექნოლოგიების, მანქანებისა და მოწყო-

---

* ამას ორმხრივი სარგებლობა ექნება ჩვენი ქვეყნისათვის: ჯერ ერთი, შეიკვება აღნიშნული სასურსათო ნედლეულის დანაკლისი; და მეორეც, სამამულო საწარმოებში იმპორტირებული ნედლეულის გადამუშავების ეკონომიკური ეფექტიანობა უფრო მაღალია, ვიდრე იმპორტით შეძენილი ანალოგიური მზა პროდუქციისა. საწარმოთა სტაბილური მუშაობის უზრუნველყოფასთან ერთად, წლის განმავლობაში ბიუჯეტში შემოსავლები იმპორტირებული ნედლეულის გადამუშავებიდან ბევრად უფრო მაღალი იქნება, ვიდრე ანალოგიური მზა პროდუქციის იმპორტით შეძენისას.

ბილობების შეძენაზე ლიცენზიების ხვედრითი წილის ამაღლების მიმართულებით.*

ქვეყნის საგარეო–სავაჭრო ურთიერთობებში არანაკლები როლი განეკუთვნება სურსათისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ექსპორტს, როგორც ეროვნული ინტერესების რეალიზებისა და სასურსათო უსაფრთხოებისათვის კეთილსასურველი პირობების შექმნის მნიშვნელოვან საშუალებას.

ამჟამად საქართველოს ექსპორტის სტრუქტურაში სურსათი და სასოფლო–სამეურნეო ნედლეული წარმოდგენილია ოთხი ძირითადი სასაქონლო ჯგუფით: ციტრუსები, ახალი ან გამხმარი კაკალი (თხილი), ჩაი და სასმელები. ციტრუსები ძირითადად გადის რუსეთსა და უკრაინაში. თხილის ექსპორტი ხორციელდება თურქეთში, რუსეთში, ბელგიასა და გერმანიაში. ჩაი ექსპორტირდება რუსეთში, თურქმენეთსა და ყაზახეთში. ქართული წარმოების უალკოჰოლო სასმელების ძირითადი მომხმარებლები არიან რუსეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი. ალკოჰოლური სასმელების აღრიცხული ექსპორტის 80 პროცენტი მოდის რუსეთზე.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა საქართველოს ექსპორტის მოცულობა, ბიზნეს-გარემო და ქართველი ექსპორტიორების სამუშაო პირობები კვლავ გაუმჯობესებას მოითხოვს. კერძოდ, მოსაგვარებელია საბაჟო და საგადასახადო სამსახურებთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც გარკვეულ ბარიერებს ქმნიან ქართული ექსპორტის განვითარებისათვის.

ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით, ქართველმა მეწარმემ 180 დღის განმავლობაში უნდა მოასწროს ნედლეულის იმპორტი, მისი გადამუშავება და მზა პროდუქციის ექსპორტი. უმეტეს შემთხვევაში აღნიშნული ვადა საკმარისი არ არის ჩამოთვლილი ოპერაციების შესასრულებლად. ამას ემატება ისიც, რომ საექსპორტო პროდუქციის მწარმოებელი იხდის მრავალი სახის გადასახადს, რის გამოც იზრდება მისი პროდუქციის თვითღირებულება და მცირდება კონკურენტუნა-

---

* ამ თვალსაზრისით, საქართველოსათვის გარე სამყაროსთან თანამშრომლობის ყველაზე ხელსაყრელ სფეროდ გვესახება ლიცენზიათა პაკეტის შეძენა, განსაკუთრებით მცირე მექანიზაციის საშუალებების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შენახვისა და გადამუშავების მოწყობილობების წარმოებაზე.

რიანობა მსოფლიო ბაზარზე. ამიტომ, ჩვენი აზრით, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია წინასაიმპორტო პროცედურების გამარტივება, ნედლეულის გადამუშავებისა და მზა პროდუქციის ექსპორტირებისათვის დაწესებული დროის მონაკვეთის გადიდება და მეწარმე-ექსპორტიორის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება.

იმის გათვალისწინებით, რომ სასურსათო პროდუქტების ექსპორტის წყალობით მაღლდება აგროსასურსათო კომპლექსის საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობის ეფექტურობა და იზრდება ბიუჯეტის შემოსავლები, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ექსპორტიდან ამ ნედლეულისაგან სამამულო საწარმოებში გამოშვებული მზა სასურსათო პროდუქტების ექსპორტზე მასიურად გადასვლას. ამასთან, სასურსათო პროდუქტების საექსპორტო მიწოდებათა ეფექტიანობის ამაღლების, ექსპორტიორებისადმი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროსთან ექსპორტიორთა ცენტრალური დარგობრივი გაერთიანების შექმნა. ამ გაერთიანების უმთავრეს ამოცანად გვესახება სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის ექსპორტის ძირითად მიმართულებათა დადგენა და საექსპორტო მიწოდებათა ეფექტურობის განსაზღვრა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უახლოესი მომავლისათვის საქართველოს საგარეო-სავაჭრო პოლიტიკის უმთავრეს მიზანს უნდა შეადგენდეს სურსათის საექსპორტო ბაზის ეფექტიანი განვითარება, მისი საბაზრო და სასაქონლო ნაკადების ფორმირება იმ ქვეყნებში, საიდანაც შეგვეძლება მაქსიმალური მოგებისა და სარგებლის მიღება, სასურსათო უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველყოფა. მოცემულ მოთხოვნათა შესრულება ხელს შეუწყობს ისეთი საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, მიმართული იქნება სამამულო საქონელმწარმოებელთა მხარდაჭერაზე, ერთი მხრივ, იმპორტირებული სურსათის ექსპანსიისაგან მათი დაცვით, ხოლო მეორე მხრივ, უცხოელ მწარმოებლებთან ინტეგრაციული და კოოპერაციული კავშირების სტიმულირებით, რაც პოზიტიურად აისახება ეროვნული საექსპორტო პოტენციალის განვითარებაზე.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა 1999 წლის 28 ივლისს ᲛᲛᲝ-ში საქართველოს გაწევრიანებით. ამ ორგანიზაციის წევრობა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ხელს შეუწყობს ქვეყნის

სრულ ინტეგრაციას მსოფლიო სავაჭრო სისტემაში, ქართული საექსპორტო პროდუქციის პირობების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საერთაშორისო ბაზრებზე, საქართველოსთან ვაჭრობაში დისკრიმინაციულ ქმედებათა თავიდან აცილებას, ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას, დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების ეფექტურ ამოქმედებას.

ᲕᲛᲝ-ში გაწევრიანებით საქართველომ დააფიქსირა „ბმული სატარიფო დონეები" და მომსახურებით ვაჭრობაში სპეციფიკური ვალდებულებების განრიგი. ამასთან, საქართველომ შეინარჩუნა უფლება გაზარდოს საბაჟო ტარიფები განსაკუთრებით მგრძნობიარე პროდუქტებზე (ნატურალური წვენები, ალკოჰოლური სასმელები, თამბაქოს ნაწარმი და სხვ.). ამის გათვალისწინებით შესაბამისი ცვლილებები შევიდა საქართველოს კანონში „საბაჟო ტარიფებისა და გადასახადის შესახებ". აღნიშნული უფლების გამოყენებით, საქართველოს მთავრობამ უკვე განახორციელა საბაჟო განაკვეთების ზრდა ქვეყანაში იმპორტირებულ ზოგიერთ სასურსათო პროდუქტზე, რაც სრულ შესაბამისობაშია ᲕᲛᲝ-ს შეთანხმებებთან.

ᲕᲛᲝ-ში გაწევრიანების შემდეგ საქართველომ მიიღო „ვაჭრობაში უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი" ამ ორგანიზაციის წევრ ყველა ქვეყანასთან, რაც იძლევა იმის გარანტიას, რომ ქვეყნის მიმართ საგარეო ვაჭრობაში რაიმე ფორმით არ იქნება გამოყენებული დისკრიმინაციული პირობები. ამასთან, საქართველოზე ვრცელდება ყველა ის შეღავათი, რაც მიენიჭება ნებისმიერ „მესამე ქვეყანას", ანუ „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის" თანახმად, მხარეები ვალდებულებას კისრულობენ მიანიჭონ სხვა წევრი ქვეყნების პროდუქციას არანაკლებ ხელსაყრელი რეჟიმი, ვიდრე მინიჭებული აქვს ამ რეჟიმის მიმცემ სახელმწიფოში ნებისმიერ სხვა ქვეყნის ანალოგიურ პროდუქციას.

ᲕᲛᲝ-ში გაწევრიანების შედეგად საქართველოში ჩამოყალიბდა შიდა ბაზრის დაცვის უფრო ეფექტური სისტემა, ვიდრე 12 პროცენტიანი საბაჟო ბარიერია. ამასთან, ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით, ქვეყანაში გაუქმებულია საბაჟო გადასახადი ექსპორტზე. ამგვარი ლიბერალური სისტემა ნოყიერ ნიადაგს ქმნის საქართველოს საგარეო ეკონომიკური კავშირების ოპტიმიზაციისათვის.

აგრარულ სფეროში საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ქვეყნის აგროსასურსათო კომპლექსის დარგებში. თანამედროვე ეტაპზე უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პროცესი ქვეყნის აგროსასურსათო სექტორში ჯერ კიდევ დაბალი ინტენსივობით ხასიათდება, მიუხედავად იმისა, რომ ამ ასპექტით ორგანიზაციულ-სამართლებრივი სახის მრავალი საკითხი უკვე მოგვარებულია.* ეს ძირითადად განპირობებულია იმით, რომ საქართველო კაპიტალის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა იმპორტიორი სახელმწიფოა.

უახლოეს მომავალში საინვესტიციო აქტივობის ამაღლებამ შესაძლებელი უნდა გახადოს ქვეყნის აგროსასურსათო კომპლექსის დარგთა ძირითადი საწარმოო ფონდების განახლების ტემპების დაჩქარება, მორალურად მოძველებულ მოწყობილობათა რაოდენობის შემცირება, ფონდუზრუნველყოფისა და ფონდუკუგების მაჩვენებელთა გაუმჯობესება, წარმოებული პროდუქციის მთლიანი მოცულობის გადიდება.

საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურების პოლიტიკა, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის წარმოების გადიდებასთან ერთად, ხელს შეუწყობს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების განმტკიცებას. ამიტომ საინვესტიციო პოლიტიკა უნდა იყოს მიზანმიმართული, რომელიც კაპიტალურ დაბანდებებს, უწინარეს ყოვლისა, მიმართავს აგროსასურსათო კომპლექსის განვითარების განმსაზღვრელ საწარმოო ობიექტებზე, ფერმერულ მეურნეობათა მხარდაჭერაზე.

საინვესტიციო საქმიანობის ამაღლებას სამეწარმეო სტრუქტურების მხრიდან შეიძლება ხელი შეუწყოს ფინანსური ლიზინგის გავრცელებამ, რომელიც ითვალისწინებს დროებით თავისუფალი ან მოზიდული საშუალებების მიმართვას ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის განსაზღვრული ვადით გადასაცემ ქონებაში ინვესტირებაზე.

---

* პრაქტიკულად უკვე შექმნილია ქვეყნის ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს კანონებით: „უცხოური ინვესტიციების შესახებ“, „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“, „საბაჟო ტარიფებისა და გადასახადის შესახებ“.

საქართველოს აგროსასურსათო სექტორში ინვესტიციათა მოზიდვის გააქტიურებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოს მიერ წარმოებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციასა და სურსათზე დამატებული ღირებულების გადასახადის შემცირება 10%-ის ფარგლებში. ამასთან, საჭიროა გარკვეული შეღავათები დაუწესდეს ფერმერებს საწვავ-საცხები მასალების, მინერალური სასუქების, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების, კომბინირებული საკვების, თესლისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენისას. ამ მიზნით, ვფიქრობთ, დადგა დრო, რათა ქვეყნის აღმასრულებელმა ხელისუფლებამ შეიმუშაოს და პარლამენტში განსახილველად შეიტანოს საკანონმდებლო აქტი „სოფლად ინვესტიციების შესახებ", რომელშიც აისახება ახალი კონცეფცია საინვესტიციო პოლიტიკის, გარანტიებისა და ინვესტიციათა დაცვის სფეროში.

აგრარული სექტორის სათანადო მასშტაბებით დაკრედიტებისა და ინვესტიციების სახელმწიფოებრივი რეგულირების უზრუნველყოფის მიზნით, გადაუდებლად გვესახება საქართველოს აგრობანკში გრძელვადიანი დაკრედიტების ცენტრალიზებული ფონდის შექმნა. ამასთან, საკრედიტო ხაზების შექმნისა და გახსნის მეშვეობით შეღავათიანი კრედიტებით, უწინარეს ყოვლისა, უნდა სარგებლობდნენ სტრატეგიული დანიშნულების სურსათის მწარმოებელი საწარმოები და ორგანიზაციები.

საქართველოს აგროსასურსათო კომპლექსის განვითარების მხარდასაჭერად, საინვესტიციო საქმიანობა აგებული უნდა იქნეს FAO-ს, მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ცალკეული დონორი სახელმწიფოების (აშშ, ევროკავშირის ქვეყნები, იაპონია) საინვესტიციო საქმიანობის, მათი თანადგომისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გათვალისწინებით. ეს შესაძლებელს გახდის, არა მარტო გამოვლინდეს უცხოელ ინვესტორთა რეალური ინტერესები კონკრეტული პროექტებისადმი, არამედ აგრეთვე აქტიურად დაახლოვდეს ისინი სამამულო სურსათის მწარმოებელთა მოთხოვნებთან.

უკანასკნელ პერიოდში, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნების ფონზე, განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს FAO-ს ეგიდით განხორციელებული საინვესტიციო პროექტები.

ამ ორგანიზაციის უმთავრეს სამოქმედო პრიორიტეტად იქცა ქვეყნის აგრარული სექტორის ტრანსფორმაციისა და საბაზრო-ეკონომიკურ გარემოში მისი ეფექტიანი ადაპტირების პროცესის ხელშეწყობა. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სურსათით უზრუნველყოფის სპეციალური პროგრამის (SPFS) განხორციელება.*

აღნიშნული პროგრამის არსი მდგომარეობს იმაში, რომ საქართველომ საკუთარი რესურსების გამოყენებით უმოკლეს ვადაში უნდა მოახერხოს სურსათზე მოთხოვნის უზრუნველყოფა და შემდგომ, სათანადო ხელშეწყობით, საექსპორტო პოტენციალის ამოქმედება.

ამავე სტრატეგიულ მიზანს ემსახურება მსოფლიო ბანკის, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, ნოუ-ჰაუ ფონდის, გერმანიის ტექნიკური დახმარების საპროექტო ბიუროს და სხვა დონორების მიერ განხორციელებული ტექნიკური დახმარების პროექტები, რომლებიც ორიენტირებულია აგროსასურსათო სექტორის რესურსული პოტენციალის შესწავლაზე, მის სტრუქტურულ და ინსტიტუციურ რეფორმებზე, ინვესტირების თვალსაზრისით სექტორის მიმზიდველ სფეროდ და კომერციულად სიცოცხლისუნარიან სისტემად ჩამოყალიბებაზე.

საინვესტიციო სფეროში საქართველოს მჭიდრო ურთიერთობები აქვს ევროკავშირთან. ამ ორგანიზაციისაგან ჩვენმა ქვეყანამ 1996-2000 წლებში „სასურსათო უზრუნველყოფისა და ბიუჯეტის დახმარების პროგრამით" გრანტის სახით მიიღო 60,0 მლნ. ევრო. ამასთან, TACIS-ის პროექტის „აგრო-ბიზნესის ცენტრები" ფარგლებში ქვეყანაში ჩამოყალიბდა აგრო-ბიზნესის სწავლებისა და კონსულტირების ექვსი რეგიონული ცენტრი, რითაც ქმედითი დახმარება გაეწია ფერმერებს და მათ ასოციაციებს საბაზრო-ეკონომიკურ გარემოს კონკურენტულ პირობებთან ადაპტირების საქმეში.

TACIS-ის მიერ განხორციელდა აგრეთვე „რეგიონთა სოფლის მეურნეობის რეფორმის პროექტი" 22,33 მლნ. აშშ დოლარის საერთო ღირებულებით. ამ პროექტის ფარგლებში ევროგაერთიანების დახმარებით ქვეყანაში შემოსული სასურსათო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული თანხები ჩაირიცხა მონეტიზაციის ფონდში, რომელიც

---

* საგულისხმოა, რომ საქართველო არის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან პირველი ქვეყანა, სადაც მსგავსი პროგრამა ხორციელდება.

შემდგომ გამოყენებულ იქნა სოფლად საკრედიტო კავშირების შესაქმნელად და („აგრობიზნეს ბანკის") დასაფუძნებლად.* ასევე TACIS-ის დახმარებით ჩამოყალიბდა საქართველოში ექსპორტის ხელშემწყობი სააგენტო (GEPA), რომლის შემადგენლობის 55%-ს კერძო სექტორის წარმომადგენლები შეადგენენ. მისი მიზანია მეწარმეთა ინფორმირება ექსპორტთან დაკავშირებულ საკითხებში, მათთვის მეთოდოლოგიური და საინფორმაციო ხასიათის ტრენინგების ჩატარება.

უახლოესი მომავლისათვის საქართველოს გათვალისწინებული აქვს აგრარულ სფეროში საგარეო ეკონომიკური თანამშრომლობის გაგრძელება საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ცალკეულ დონორ ქვეყნებთან ისეთი პრიორიტეტული მიმართულებებით, როგორიცაა კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობა და სამეწარმეო საქმიანობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის ერთიანი საბაზრო სისტემის შექმნა. ამჟამად მიმდინარეობს მზადება ახალი ეკონომიკური შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების გასაფორმებლად, რომელთა შესრულება ხელს შეუწყობს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

ამრიგად, საქართველოს სასურსათო უსაფრთოების უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით, აგრარულ სფეროში ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები უნდა დაეფუძნოს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სხვადასხვა ქვეყნებთან, რეგიონულ და სუბრეგიონულ გაერთიანებებთან დადებულ შეთანხმებებს და ხელშეკრულებებს. ახალი შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების გაფორმებისას მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული ეროვნული აგროსასურსათო კომპლექსის განვითარების ინტერესები. ძირითადი ძალისხმევა მიმართულ უნდა იქნეს ქვეყანაში ტრადიციულად წარმოებული სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის შემოტანის მოწესრიგებასა და თანდათანობით შემცირებაზე, საკუთარი საექსპორტო პოტენციალის ამოქმედებასა და გამოყენებაზე, ტრადიციულ ბაზრებზე პოზიციების აღდგენასა და ახალ ბაზრებზე გასვლა-დამკვიდრებაზე, საინვესტიციო

---

* ამით საფუძველი ჩაეყარა ქვეყნის აგროსასურსათო კომპლექსის სამეწარმეო სტრუქტურების დაკრედიტების სპეციალური სისტემის ჩამოყალიბებას, რომლის ფინანსური რესურსების მობილიზებაში მონაწილეობის მიღების სურვილი გამოთქვა მრავალმა საერთაშორისო დონორმა ორგანიზაციამ.

საქმიანობის გააქტიურებაზე, უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაზე, პრიორიტეტული საინვესტიციო პროექტების მხარდაჭერასა და განხორციელების ხელშეწყობაზე. მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

დ ა ს კ ვ ნ ა

მონოგრაფიული გამოკვლევის შედეგად მიღებული ძირითადი დებულებების განზოგადების საფუძველზე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი დასკვნები.

1. სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენების, გარემოს დაცვის და სხვა აქტუალურ საკითხებთან ერთად, მსოფლიოს გლობალურ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა გადაჭრაზე დიდადაა დამოკიდებული კაცობრიობის მომავალი.

დღეისათვის მსოფლიოში შექმნილი მძიმე სასურსათო მდგომარეობის დასაძლევად და აღნიშნულ სფეროში სიტუაციის მოსალოდნელი გართულების თავიდან ასაცილებლად, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია ამ პრობლემასთან დაკავშირებული საკითხების სისტემური მეცნიერული შესწავლა და ანალიზი. ამ საკითხების კვლევაზე ყურადღების გამახვილება ეჭვგარეშეა, ვინაიდან ისინი უშუალო კავშირშია კაცობრიობის სასიცოცხლო ინტერესებთან, მისი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის მოთხოვნებთან.

2. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურასა და საერთაშორისო დოკუმენტებში სასურსათო უსაფრთხოება განიხილება ინდივიდუალურ, საოჯახო მეურნეობის, რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე.

ბუნებრივია, როდესაც საუბარია საერთოდ უსაფრთხოებაზე, იგულისხმება გარკვეული საფრთხეები, რომელთა ნეგატიური ზემოქმედების შემცირება ან ნეიტრალიზება აუცილებელია. ადამიანის ფიზიოლოგიური არსებობის საფრთხისაგან დაცვა, ამ საფრთხის შემცირება და ნეიტრალიზება შესაძლებელია სურსათით საკმარის დონეზე უზრუნველყოფისა და მასზე ხელმისაწვდომობის სათანადო პირობების შექმნის გზით. სწორედ ეს ორი მთავარი პირობა – საკმარისობა და ხელმისაწვდომობა არის დაფიქსირებული საერთაშორისო დოკუმენტების უმრავლესობაში სასურსათო უსაფრთხოების განმარტებისას.

ეროვნული სასურსათო უსაფრთხოება უკავშირდება საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოების ძირითად პირობებს. თუმცა, ამ შე-

მთხვევაში სასურსათო უსაფრთხოება უფრო ფართედ უნდა იქნეს განმარტებული, რამდენადაც ეროვნულ დონეზე მისი უზრუნველყოფა, სურსათის საკმარისობასა და მასზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობასთან ერთად, დამოკიდებულია სხვა ისეთ პირობებზე, როგორიცაა სურსათით თვითუზრუნველყოფის დონე და სურსათის ეკოლოგიური სისუფთავის ხარისხი.

ზემოაღნიშნულის განზოგადებით, მართებული იქნება ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების შემდეგნაირი ფორმულირება: სასურსათო უსაფრთხოება — ეს არის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც მიიღწევა საკუთარი მოსახლეობისათვის ეკოლოგიურად სუფთა და ჯანმრთელობისათვის სასარგებლო სურსათის სტაბილური საკმარისობა და მეცნიერულად დასაბუთებული სამედიცინო ნორმების მიხედვით გარანტირებული ხელმისაწვდომობა, იმპორტისაგან დამოუკიდებლობისა და თვითუზრუნველყოფის გარკვეული დონის პირობებში.

3. ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემის გადაწყვეტა მოითხოვს მნიშვნელოვან ძალისხმევას როგორც საერთო-სახელმწიფოებრივ, ასევე რეგიონულ დონეებზე.

რეგიონისათვის სასურსათო უსაფრთხოება განისაზღვრება, როგორც მოცემული რეგიონის ეკონომიკის ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც მიიღწევა რეგიონის მოსახლეობისათვის ადგილობრივი წარმოების ან საკუთარი საშუალებების ხარჯზე მიღებული ეკოლოგიურად სუფთა სურსათის სტაბილური საკმარისობა და გარანტირებული ხელმისაწვდომობა, ქვეყანაში სასურსათო პრობლემის გართულებისა და მსოფლიოში სურსათით ვაჭრობაში დაშვებული დარღვევების შემთხვევაში სასურსათო უზრუნველყოფის პოტენციური ჩავარდნის მცირე რისკის პირობებში.

საერთო-სახელმწიფოებრივი პოზიციიდან, რეგიონთა სასურსათო უსაფრთხოების ასეთი დონე არასაკმარისია, რადგანაც ცენტრალური ხელისუფლების წინაშე დგას სადაზღვევო, სამობილიზაციო და სურსათის სხვა მარაგების შექმნის ამოცანა, რომლის გადაწყვეტაში რეგიონებმა შეძლებისდაგვარად უნდა მიიღონ მონაწილეობა. ამ პრობლემის საბოლოო გადაწყვეტა ხდება საერთო-სახელმწიფოებრივ დონეზე, სურსათის წარმოების სტიმულირებისა და მისი დანაკლისის შესავსებად საჭირო საშუალებათა აკუმულირების გზით.

4. ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების დონის შესაფასებლად აუცილებელია შესაბამისი მაჩვენებელთა სისტემის გამოყენება. ამჟამად საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოების დონის შეფასებისათვის იყენებენ FAO-ს ექსპერტების მიერ დამუშავებულ ორ მაჩვენებელს: მარცვლეულის გარდამავალი მსოფლიო მარაგების მოცულობას და მარცვლეულის წარმოების დონეს საშუალოდ მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით.

მოსახლეობის ერთ სულზე მარცვლეულის წარმოების მაჩვენებელი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების დონის შესაფასებლადაც. მაგრამ, ამ მაჩვენებელთან ერთად, აღნიშნული მიზნით აუცილებელია კონკრეტულ მაჩვენებელთა სისტემის გამოყენება, რომელიც, სასურსათო უსაფრთხოების კლების ან ზრდის ტენდენციების გამოვლენასთან ერთად, საშუალებას მოგვცემს დამუშავდეს სასურსათო პრობლემის გადაჭრის სტრატეგია და განისაზღვროს მისი რეალიზების კონკრეტული გზები.

ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების დონის შეფასების მაჩვენებლების ფორმულირების საფუძვლად მიჩნეულ უნდა იქნეს მის ძირითად პირობათა მოთხოვნები – სურსათის მოხმარების საკმარისობა, სურსათზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობა და სურსათით თვითუზრუნველყოფა. აქედან გამომდინარე, სასურსათო უსაფრთხოების დონის მახასიათებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლები, როგორიცაა: საკმარისობისა და ხელმისაწვდომობის ზოგადი და კერძო კოეფიციენტები, თვითუზრუნველყოფის ზოგადი და კერძო კოეფიციენტები, სურსათით უზრუნველყოფის დამოუკიდებლობის კოეფიციენტი.

იმის გათვალისწინებით, რომ ზემოაღნიშნულ პირდაპირ ფაქტორებთან ერთად, ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე გავლენას ახდენენ რიგი არაპირდაპირი ფაქტორებიც, აღნიშნულ სფეროში არსებულ ვითარებაზე სრული სურათის შესაქმნელად აუცილებელია შეფასდეს მოცემული ქვეყნის (რეგიონის) ბიოგეოკლიმატური პოტენციალისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამსახველ მაჩვენებელთა მთელი სპექტრი.

5. სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემა ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს იკავებს მსოფლიოს წამყვანი სახელმწი-

ფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების პოლიტიკაში, რაც შესაბამის სამართლებრივ დოკუმენტებს ეფუძნება.

საერთაშორისო დონეზე შექმნილია სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სათანადო სამართლებრივი საფუძველი. მაგრამ, სამწუხაროდ, სასურსათო უსაფრთხოების ირგვლივ არსებული თითქმის ყველა საერთაშორისო დოკუმენტი იმდენად რეალურ ძალისხმევას არ ასახავს, რამდენადაც მსოფლიო თანამეგობრობის სურვილებსა და მისწრაფებებს. სინამდვილე კი მთლიანად პრაგმატული მოსაზრებებით იკვებება და გარკვეულწილად ეწინააღმდეგება კიდეც მათში გაცხადებულ იდეებს. ამიტომ საკითხის გადაწყვეტის სიმძიმე ეროვნულ დონეზე გადადის, სადაც ფაქტობრივად კონკრეტდება და რეალიზდება სასურსათო უსაფრთხოების სფეროში არსებული საერთაშორისო სამართლებრივი აქტები.

მრავალ ქვეყანაში უკვე შექმნილია ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების სამართლებრივი უზრუნველყოფის განშტოებული სისტემა. ამ მხრივ დიდი გამოცდილება დაგროვდა იაპონიაში, აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნებში, სადაც სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი პრინციპები იდენტური, ხოლო მათი განხორციელების კონკრეტული გზები რამდენადმე განსხვავებულია.

ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების პერსპექტივები დაკავშირებული იქნება „ტარიფებსა და ვაჭრობაზე გენერალური შეთანხმების“ ურუგვაის რაუნდის გადაწყვეტილებათა შესრულებასთან, რომლის შესაბამისად, მნიშვნელოვნად იკვეცება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ეროვნულ მწარმოებელთა და ექსპორტიორთა სუბსიდირება.

მსოფლიო სასურსათო ბაზრის ლიბერალიზება და სოფლის მეურნეობის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შეზღუდვა, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, განსაკუთრებით აქტუალურს გახდის მსოფლიოს და ცალკეული ქვეყნების საერთო ეკონომიკური განვითარების მნიშვნელობას. ასეთ ვითარებაში უმთავრესი იქნება სურსათზე ხელმისაწვდომობის ზრდა. სწორედ ხელმისაწვდომობის, მოსახლეობის შემოსავლების ზრდა უნდა გახდეს ის ძირითადი ფაქტორი, რომელიც მთავარ ფუნქციას იტვირთებს ეროვნული და საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში.

6. საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა ეტაპზე საქართველოს წინაშე ამა თუ იმ ზომით ყოველთვის იდგა სურსათით უზრუნველყოფისა და სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა. ქვეყნის მოსახლეობამ აღნიშნული პრობლემის სიმწვავე, ყველა მისი განზომილებით (რაოდენობა, ასორტიმენტი, ხარისხი, მარაგები, ხელმისაწვდომობა), განსაკუთრებით იგრძნო 90-იანი წლების დასაწყისიდან, ტრადიციული ეკონომიკური კავშირების მოშლის, ნედლეულის მიღების წყაროებისა და მზა პროდუქციის გასაღების ბაზრების დაკარგვისა და საერთო სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გაუარესების შედეგად.

ქვეყანაში 90-იანი წლების დასაწყისიდან გატარებულმა აგრარულმა რეფორმამ გარკვეული დადებითი გავლენა მოახდინა სასოფლო-სამეურნეო წარმოებასა და სასურსათო მეურნეობაზე, მაგრამ იმავდროულად გამოააშკარავა მისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნაკლოვანი მხარეები, რაც, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატა დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ადრე გამოყენებულ ბერკეტებზე უარის თქმასა და სახელმწიფოებრივი რეგულირების უგულებელყოფაში. ამიტომ საქართველოში აგროსასურსათო სექტორის რეალური გაჯანსაღება, მიუხედავად მისი სტაბილიზაციის ეპიზოდური ნიშნებისა, ვერ მოხერხდა. ამის შედეგად გამწვავდა სასურსათო უსაფრთხოება, შემცირდა მისი საიმედობა.

7. საქართველოს სასურსათო უზრუნველყოფის რეტროსპექტული ანალიზით დადგინდა, რომ უკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად დაეცა მოსახლეობის ერთ სულზე უმნიშვნელოვანესი კვების პროდუქტების მოხმარების მაჩვენებლები. კერძოდ, 1990-2001 წლებში პურისა და პურპროდუქტების მოხმარება შემცირდა 29,5%-ით, ხორცისა და ხორცის პროდუქტებისა 46,0%-ით, რძისა და რძის პროდუქტებისა 31,3%-ით, თევზისა 74,0%-ით, კვერცხისა 10,3%-ით, ბოსტნეულისა და ბაღჩეულისა 28,2%-ით, ხილისა და ყურძნისა - 16,9%-ით.

საგულისხმოა, რომ ზემოაღნიშნული მონაცემები გასაშუალებულია და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ სურსათის მოხმარება ბევრად ნაკლებია ქვეყანაში სურსათის მოხმარების საშუალო სულადობრივ მაჩვენებელთან შედარებით. ამიტომ ადვილად წარმო-

სადგენია ის საფრთხე, რაც სიღატაკის ზღვარს ქვემოთ დარჩენილ მოსახლეობას და მთლიანად ქვეყანას ემუქრება.

ნიშანდობლივია, რომ ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფის არსებული დაბალი დონეც კი უპირატესად სასურსათო პროდუქტების იმპორტის ხარჯზეა მიღწეული. სურსათით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი, მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი სასურსათო პროდუქტების მიხედვით, კრიტიკულად მიჩნეულ 0,6 მნიშვნელობაზე გაცილებით დაბალია (გამონაკლისია მხოლოდ ხილი, კარტოფილი, ბოსტნეული და ბაღჩეული). დამაფიქრებელია ის გარემოებაც, რომ ბოლო პერიოდში არ შეინიშნება ამ მაჩვენებელთა გაუმჯობესების ტენდენცია. პირიქით, მთელი რიგი სასურსათო პროდუქტების მიხედვით იმპორტზე დამოკიდებულების ისედაც არასასურველი დონე კიდევ უფრო უარესდება.

8. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების დონის მაჩვენებელთა ფაქტორულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ დღეისათვის ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება ბევრი მახასიათებლის მიხედვით კრიტიკულ ზღვარს მიღმა იმყოფება. მიუხედავად კვების ფაქტიური რაციონის ენერგეტიკული ფასეულობის შედარებით საკმარისი დონისა (2401,1 კკალ.–2002წ.), მისი სტრუქტურა, საკვებ ნივთიერებათა შემადგენლობის თვალსაზრისით, მაინც არადამაკმაყოფილებელია. კვების ფაქტიურ დღე-ღამურ რაციონში ენერგეტიკული ფასეულობის 68,4% მოდის პროდუქტთა ხუთ სახეობაზე: ხორბლის ფქვილზე, შაქარზე, ხორბლის პურზე, სიმინდის ფქვილზე და მცენარეულ ზეთზე. მაშინ, როდესაც ამ პროდუქტებზე მოხმარების რაციონალური ნორმებით გათვალისწინებულია ენერგეტიკული ფასეულობის მხოლოდ 53,1%. ფაქტიურ მოხმარებაში გაცილებით დაბალია ცილებითა და ცხიმებით მდიდარი ხორცისა და რძის პროდუქტების ხვედრითი წილი. ამასთან, მოსახლეობის უმეტეს ნაწილს არა აქვს იმის საშუალება, რომ უზრუნველყოს საკუთარი თავი შედარებით დაბალფასიანი პროდუქტების ნაკრებით და მისი კვების ენერგეტიკული ფასეულობა შიმშილობის ზღვარზეც კი დაბალია.

ზემოაღნიშნულს თუ დავუმატებთ იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ვერ მოქმედებს ეკოლოგიურად დაბინძურებული პროდუქციის წარმოებაზე, შემოტანაზე, გასაღებასა და მოხმარებაზე კონტროლის მეტ-ნაკლებად ეფექტიანი მექანიზმები, მივიღებთ ეროვნული

სასურსათო უსაფრთხოების მეტად ნეგატიურ ფონს, რომლის შედეგად ქვეყანაში გავრცელებას იწყებს საშიში დაავადებები, განსაკუთრებით მოზარდ თაობაში, რაც ქმნის მოსახლეობის დეგრადირებისა და გენოფონდის გადაგვარების საშიშროებას.

9. ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მყარ საფუძველს ქმნის ქვეყნის ძლიერი და მაღალეფექტიანად ფუნქციონირებადი აგროსასურსათო კომპლექსი. ამიტომ ეს უკანასკნელი, აგრარული პილიტიკის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, მიმდინარე ეტაპზე და პერსპექტივაშიც უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. ამასთან, საქართველოს აგრარული პოლიტიკის კონცეფციის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში (1997-2003 წწ.) ძირითად პრიორიტეტად მიჩნეულია ადგილობრივი წარმოების სურსათით მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილების დონის მნიშვნელოვანი ამაღლება, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში (2010 წ.) კი — ტრადიციული და ახალი საექსპორტო პროდუქციის წარმოების გადიდება, რათა საექსპორტო შემოსავლებმა უზრუნველყოს არა მარტო სურსათზე მოთხოვნისა და მიწოდების დაბალანსება, არამედ აგრეთვე სხვა საჭიროებებისათვის უცხოური ვალუტის რესურსების ფორმირება.

აღნიშნულ პრიორიტეტულ ამოცანათა გადაწყვეტა, უწინარეს ყოვლისა, მოითხოვს აგროსასურსათო კომპლექსის ოპტიმალურ სახელმწიფოებრივ რეგულირებას. აქ მთავარი ორიენტირები უნდა იყოს: დასახული მიზნების მიღწევა, სასურსათო ბაზრის სტაბილურობის უზრუნველყოფა, კონკურენტული გარემოს შექმნა და შენარჩუნება, სოფლის მეურნეობასა და მთლიანად აგროსასურსათო კომპლექსში დასაქმების დონის ამაღლება და დასაქმებულთა შემოსავლების სტაბილური ზრდა.

საქართველოს აგრარული პოლიტიკის კონცეფციის საფუძველზე შემუშავებული პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელებამ, აგროსასურსათო კომპლექსის სახელმწიფოებრივი რეგულირებისა და საბაზრო თვითრეგულირების მექანიზმების ოპტიმალური შეთანაწყობის გზით, საშუალოვადიან პერიოდში შესაძლებელი უნდა გახადოს ქვეყანაში სურსათით უზრუნველყოფის სფეროში არსებული კრიზისული მდგომარეობის დაძლევა, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში კი — სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემის არსე-

ბითად გადაჭრა და ქვეყნის დამოუკიდებლობის მყარი საფუძვლების შექმნა.

10. სურსათით ქვეყნის მოსახლეობის საიმედო უზრუნველყოფაში განსაკუთრებული როლი განეკუთვნება სასურსათო ბაზრის მთავარი კომპონენტების — მიწოდებისა და მოთხოვნის რაციონალურ სახელმწიფოებრივ რეგულირებას.

სასურსათო ბაზრის პროდუქციის მიწოდების სახელმწიფოებრივი რეგულირების სისტემა, უწინარეს ყოვლისა, მიმართულ უნდა იქნეს შემდეგი მიზნების მიღწევაზე: აგროსასურსათო კომპლექსის განვითარებისათვის სტაბილური პირობების უზრუნველყოფა, სახელმწიფო და რეგიონული სასურსათო ფონდების ფორმირება, მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილება ხარისხიან სასურსათო პროდუქტებზე სოციალურად მისაღები ფასებით. აქედან, ძირითადი ყურადღება გადატანილ უნდა იქნეს სახელმწიფო სასურსათო ფონდის ფორმირებაზე. ამასთან, სასურსათო ბაზრის ფუნქციონირებაში ეფექტური ჩარევისათვის სახელმწიფო უნდა ფლობდეს კრიტიკული მასის (ცალკეულ პროდუქტთა სასაქონლო მოცულობის 50-55%) მქონე მარაგებს.

სასურსათო ბაზრის პროდუქციაზე მოთხოვნის რეგულირების შესაძლო ვარიანტებიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საცალო ფასების შეზღუდვას სასოფლო-სამეურნეო ნედლეულსა და სურსათზე. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი უნდა დაეკისროს სასაქონლო ინტერვენციის მეთოდს, რომლის ეფექტიანად განხორციელებისათვის აუცილებელია სახელმწიფოს გააჩნდეს საკმარისი სასურსათო რესურსები.

სახელმწიფო სასურსათო რესურსებიდან სარეალიზაციო პროდუქციის მოცულობები (საინტერვენციო მოცულობები) მიზანშეწონილია გაიზარდოს საცალო ფასების მკვეთრი ამაღლებისას, რათა დაცულ იქნეს მომხმარებელთა ინტერესები. საცალო ფასების მკვეთრი ვარდნის შემთხვევაში სახელმწიფომ არ უნდა გაყიდოს პროდუქცია. ასეთ სიტუაციაში, მწარმოებელთა ინტერესების დაცვის მიზნით, უფრო მართებული იქნება მისი შესყიდვა. მაშასადამე, სახელმწიფო რესურსებიდან სასურსათო პროდუქციის რეალიზაციის აღწერილი მექანიზმი არ დაარღვევს საბაზრო პირობებს. პირიქით, იგი ხელს შეუწყობს სასურსათო ბაზრის სტაბილურობას.

სასოფლო-სამეურნეო ნედლეულსა და სურსათზე საცალო ფასების შეზღუდვის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებასთან ერთად, აუცილებელია მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის სტიმულირებაც, მისი ნაკლებუზრუნველყოფილი ფენებისათვის დახმარების გაწევის გზით. მოსახლეობის ამგვარი მხარდაჭერა, სოციალური მიმართულების გარდა, მწარმოებელთა მხარდაჭერის ღონისძიებასაც წარმოადგენს, რამდენადაც იგი ადიდებს ერთობლივ მოთხოვნას მათს პროდუქციაზე და შესაბამის გავლენას ახდენს ფასებზე.

11. ქვეყნის სასურსათო ბაზრის სახელმწიფოებრივი რეგულირება უნდა ემყარებოდეს სასურსათო ბალანსის მონაცემებს, რომლებიც მუშავდება კვების პროდუქტების ცალკეული სახეობების (ყველა პირველადი პროდუქტის და მრავალი წარმოებული საქონლის) მიხედვით. სასურსათო ბალანსი იძლევა სრულ სურათს ქვეყანაში განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში კვების პროდუქტების მიწოდების წყაროებისა და მათი გამოყენების ფორმების შესახებ და ფართოდ გამოიყენება კვების პროდუქტებზე მოთხოვნილებათა პროგნოზირებისათვის.

FAO-ს მეთოდიკაზე დაყრდნობით, ჩვენს მიერ შემუშავებული ძირითადი სახეობის პირველადი კვების პროდუქტების წარმოების სტრატეგიის ოპტიმალური პარამეტრების თანახმად, უახლოეს პერსპექტივაში საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნილება მთლიანად დაკმაყოფილდება საკუთარი წარმოების ისეთი კვების პროდუქტებით, როგორიცაა კარტოფილი, ბოსტნეული და ბაღჩეული, ხილი და ციტრუსები. რაც შეეხება ქვეყნის მოსახლეობის უზრუნველყოფას ისეთი პროდუქტებით, როგორიცაა, მარცვლეული, შაქარი, ხორცი და ხორცის პროდუქტები, კვერცხი, რძე და რძის პროდუქტები, ეს კვლავ იმპორტით შევსების ხარჯზე მოხდება. აღნიშნული პროდუქტების იმპორტი შესაძლებელი გახდება აგროსასურსათო სექტორის საექსპორტო პოტენციალის გადიდების გზით.

12. ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა ქვეყნის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა მოწესრიგება, მათი გაფართოება და ოპტიმალური გამოყენება.

საქართველოს საგარეო ეკონომიკური საქმიანობისა და აგრარული სტრატეგიის რეფორმირების ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ ეროვ-

ნული სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით, აუცილებელია აგრარულ სფეროში ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები დაეფუძნოს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სხვადასხვა ქვეყნებთან, რეგიონულ და სუბრეგიონულ გაერთიანებებთან დადებულ შეთანხმებებს და ხელშეკრულებებს. ახალი სახელშეკრულებო დოკუმენტების გაფორმებისას მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული ეროვნული აგროსასურსათო კომპლექსის განვითარების ინტერესები. ძირითადი ძალისხმევა მიმართულ უნდა იქნეს ქვეყანაში ტრადიციულად წარმოებული სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის შემოტანის მოწესრიგებასა და თანდათანობით შემცირებაზე, საკუთარი საექსპორტო პოტენციალის ამოქმედებასა და გამოყენებაზე, ტრადიციულ ბაზრებზე პოზიციების აღდგენასა და ახალ ბაზრებზე გასვლა-დამკვიდრებაზე, საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურებაზე, უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაზე, პრიორიტეტული საინვესტიციო პროექტების მხარდაჭერასა და განხორციელების ხელშეწყობაზე.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა 1999 წლის 28 ივლისს – ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანებით. ამ ორგანიზაციის წევრობა ხელს შეუწყობს ქვეყნის სრულ ინტეგრაციას მსოფლიო მეურნეობაში, ქართული საექსპორტო პროდუქციის პირობების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საერთაშორისო სასურსათო ბაზარზე, საქართველოსთან ვაჭრობაში დისკრიმინაციულ ქმედებათა თავიდან აცილებას, ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გააქტიურებას, დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების ეფექტურ ამოქმედებას. მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი საქართველოს ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ბიბლიოგრაფია

1. ოფიციალური დოკუმენტები და მასალები

1.1. სახელმწიფოს უზენაესი კანონი. საქართველოს კონსტიტუცია. – თბ., 1996. – 46 გვ.

1.2. საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ //საქართველოს რესპუბლიკა. – 25 დეკემბერი, 1996.

1.3. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ. – თბ., 1999.–94 გვ.

1.4. საქართველოს კანონი სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ //საქართველოს რესპუბლიკა. – 5 ნოემბერი, 1996.

1.5. საქართველოს მდგრადი განვითარების ეროვნული შეფასების ანგარიში. – თბ., 2002. – 78 გვ.

1.6. საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 7 აპრილის №171 ბრძანებულება „საქართველოს აგრარული პოლიტიკის კონცეფციის შესახებ" /საქართველოს აგრარულ-სამრეწველო და სასურსათო კომპლექსი: მიმდინარე პროცესები, შედეგები, ამოცანები. – თბ., 1998. – გვ. 6-8.

1.7. საქართველო. სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მდგომარეობა. ტენდენციები ციფრებში /სტატისტიკური ბიულეტენი. – თბ., 2003, №10. – 41 გვ.

1.8. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 2002. /საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. – თბ., 2002. – 70 გვ.

1.9. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2001 /საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. – თბ., 2002. – 311 გვ.

1.10. საქართველო ციფრებში. მოკლე სტატისტიკური კრებული. – თბ., 1998. – 79 გვ.

1.11. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2001. სტატისტიკური კრებული. - თბ., 2002. – 154 გვ.

1.12. საქართველოს შინამეურნეობები 1996-2001. ეკონომიკურ-სტატისტიკური კრებული. - თბ., 2002. 323 გვ.

1.13. Народное хозяйство Грузинской ССР в 1985 году. Статистический эжегодник. – ТБ., 1986. – 193 с.

1.14. Народное хозяйство Грузинской ССР в 1989 году. Статистический эжегодник. – ТБ., 1990. – 239 с.
1.15. Россия и страны мира.–М.: Госкомстат России, 2000.–846 с.
1.16. Сельское хозяйство в России. – М.: Госкомстат России, 2000. – 414 с.
1.17. FAO: Статистический бюлетень. – Рим, 1999. – 106 с.
1.18. FAO: Report Budgetary Committee.– Rome, 2000-2001.– 64 p.

2. კონფერენციების და სიმპოზიუმების მასალები

2.1 Материалы сесии ВПС. – Мехико, 1978. – 49 с.
2.2 Доклад Всемирной продовольственной конференции. – Нью-Йорк, 1975. – 32 с.
2.3 Доклад V сесии Всемирного продовольственного совета ООН. – Нью-Йорк, 1979. – 27 с.
2.4 Материалы Конференции ООН по вопросам окружаюшей среды и развития. – Рио-де-жанейро, 1992. – 61 с.
2.5 Римская декларация по всемирной продовольственной безопасности //АПК: экономика, управление.– М., 1997, №2, с. 3-6.
2.6 FAO Report Conference. – Rome, 1979. – 39 p.
2.7 UN Ceneral Assembly Resolution N 1714 (XVI). – New York, 1996. – 23 p.
2.8 UN Ceneral Assembly Budgetary CommiAteeT Current Session. – New York, 1996. – 62 p.
2.9 Resolution of the UN Ceneral Assembly (XXIX)Session. – New York, 1977. – 31 p.

3. წიგნები, მონოგრაფიები და ბროშურები

3.1. პ.კოღუაშვილი, ჰ.გიორგაძე, ბ.რამიშვილი, სასურსათო პრობლემიდან – სასურსათო უსაფრთხოებამდე. – თბ., 1999.– 138 გვ.
3.2. ლესტერ რ. ბრაუნი, და სხვები. სასიცოცხლო ნიშნები 1997/ ინგლისურიდან თარგმნა ვ. მელიქიძემ. – თბ., 1998. –162 გვ.
3.3. ნ. მოდებაძე, ზ. გარაყანიძე, სასურსათო უსაფრთხოების ზოგიერთი პრობლემა საქართველოში. – თბ., 1998. – 30 გვ.

3.4. ო. მოლჩანოვა, რაციონალური კვების საფუძვლები. – თბ., 1952.–253 გვ.
3.5. საქართველოს აგრარულ-სამრეწველო და სასურსათო კომპლექსი: მიმდინარე პროცესები, შედეგები, ამოცანები /სარედ. კოლეგია ბ. გულუა და სხვ. – თბ., 1998.– 267 გვ.
3.6. საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების პრობლემები საბაზრო ურთიერთობის პირობებში. სამეცნიერო შრომათა კრებული. ტ. I. – თბ., 1998.– 263გვ.
3.7. ნ. ქარქაშაძე, მსოფლიო სოფლის მეურნეობა. – თბ., 1993. – 89 გვ.
3.8. ნ. ჭითანავა, გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში. ნაწილი II. – თბ., 1999. – 184 გვ.
3.9. Балабанов В.С., Борисенко Е.Н., Продовольственная безопасность: международные и внутренные аспекты – М., 2002. – 544 с.
3.10. Боев В. Р., Румянцева Е.Е., Дадалко В.А. Продовольственная безопосность СНГ: выбор альтернативы на пороге XXI века. – Москва – Минск, 1998. – 444 с.
3.11. Борисенко Е.Н. Продовольственная безопасность России: проблемы и перспективы. – М., 1997. – 349 с.
3.12. Бурдуков П.Т., Саетгалиев Р.З. Россия в системе глобальной Продовольственной безопасности. – М., 1999. – 121 с.
3.13. Зельднер А.И. Приоритеты, институты и механизмы выхода аграрной сферы из кризиса в XXI веке. – М., 2000.– 387 с.
3.14. Ильина З.М., Мирочицкая И.В. Рынки сельскохозяйственного сырья и продовольствия: Учеб. пособие по изуч. курса „сельскохозяйственные рынки“.– Минск, 2000. – 226 с.
3.15. Назаренко В. И., Проблемы Продовольственной безопасности. – М., 1996. – 221 с.
3.16. Научные основы реформирования аграрного производства при переходе к рынку. – Днепропетровск, 1996. – 169 с.
3.17. Продовольственная проблема в современном мире / Отв. редакторы В.А. Мартынов, В.А. Морозов. – М., 1983. – 236 с.
3.18. Растянников В. Г. Продовольственная проблема в развивающихся странах Азии и Северной Африки: характер основных диспропорций. – М., 1982. – 168 с.

3.19. Хромов Ю.С. Проблемы Продовольственной безопасности России: международные и внутренные аспекты. – М., 1995. – 197 с.
3.20. Шишков Ю.В., Мировицкая Н.С. Международные аспекты продовольственной проблемы. – М., 1983. – 287 с.
3.21. Шмелев Г.И. Продовольственная проблема в современном мире. – М., 1983. – 311 с.
3.22. Agricultural Policies "Market and Trade", OECD. – Paris, 1996. – 98 p.
3.23. Agruculture, Summary, FAO. – 1980. – 72 p.
3.24. FAO Investment center activity. – Rome, 1995. – 112 p.
3.25. FAO "Year Book agriculture Ts productivity" – Rome, 1995. – 87 p.
3.26. FAO: Agriculture Towards 2010. – Rome, 1993. – 39 p.
3.27. FAO: „Food and agriculture Outlook".– Rome, – 2000. – 86 p.
3.28. Population and Food, Population information PACK, Committee o Population and the Economy, UN, FAO. – Rome, 1995. – 166 p.
3.29. The State of Food and agriculture, FAO.–Rome, 2000.– 388 p.
3.30. Way Ioy, WFC, Second Green revolution.–Rome, 1993.–112 p.
3.31. WTO activities. – Geneva, 1996. – 61 p.

4. სტატიები

4.1. მ. ბახია, გ. გაბაიძე, სასურსათო პრობლემა საბაზრო ურთიერთობათა პირობებში და აგრარული რეფორმის მიმდინარეობა საქართველოში //საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. შრომების კრებული. III ტომი.– თბ., 1997, გვ. 356-366.
4.2. დ. ბახტაძე, ნ. ნადირაძე, სასიცოცხლო უზრუნველყოფის კულტურა, სასურსათო უსაფრთხოება და სურსათის უვნებლობის პერიპეტიები //მაკრო მიკრო ეკონომიკა.– თბ., 2000, №10, გვ. 32-35.
4.3. თ. ბერუჩაშვილი, საქართველოს მონაწილეობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მრავალმხრივ მოლაპარაკებათა მიმდინარე რაუნდში //საქართველოს ეკონომიკის მიმართულებები. კვარტალური მიმოხილვა.– თბ., 2003, №2-3, გვ. 88-98.

4.4. ვ.ბურკაძე, საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის აღორძინება ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცების გარანტიაა //ეკონომიკა.– თბ., 1999, №1-3, გვ. 75-81.

4.5. ჰ.გიორგაძე, ნ.თევდორაშვილი, სასურსათო ტექნიკური კულტურების წარმოების სახელმწიფო რეგულირების საკითხები //ეკონომიკა.– თბ., 1999, №1-3, გვ. 94-98.

4.6. მ.ვანიშვილი, მ.სანაძე, ეროვნული სასურსათო უსაფრთხოება და მისი დონის შეფასების მაჩვენებელთა სისტემა //მაკრო მიკრო ეკონომიკა.– თბ., 2000, №4, გვ. 37-39.

4.7. მ.ვანიშვილი, მ.სანაძე, ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების დონის შეფასებისა და სახელმწიფოებრივი რეგულირების მეთოდურ-ორგანიზაციული ასპექტები //ეკონომიკა. – თბ., 2000, №5-6, გვ. 3-10.

4.8. მ.ვანიშვილი, მ.სანაძე, სადაზღვევო ბაზარი და სოციალური დაცვა პოსტ-სოციალისტურ საქართველოში: პრობლემები, ძიება, სიახლენი /საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. შრომების კრებული. II ტომი. – თბ., 1997, გვ. 345-353.

4.9. მ.ვანიშვილი, მ.სანაძე, სასურსათო უსაფრთხოება: არსი, ფაქტორები და მასშტაბები //სოციალური ეკონომიკა.– თბ., 2000, №3, გვ. 60-70.

4.10. მ.ვანიშვილი, მ.სანაძე, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ორგანიზაციულ-სამართლებრივი საფუძვლები და საქართველოს ამოცანები //ეკონომიკა. – თბ., 2000, №9-10, გვ. 66-71.

4.11. ო. ვაშაკიძე, საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსში მიმდინარე ცვლილებები და მისი სრულყოფის მიმართულებები /საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. შრომების კრებული. I ტომი.– თბ., 1996, გვ. 327-359.

4.12. ო. ვაშაკიძე, გ.ყუფუნია, აგრარული რეფორმის კორექტირების აუცილებლობა /ეკონომიკა. – თბ., –1999, №1-3, გვ. 25-38.

4.13. ო. ვაშაკიძე, გ. ყუფუნია, აგრარული რეფორმის კორექტირების აუცილებლობა და ძირითადი მიმართულებანი /საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები

საქართველოში. შრომების კრებული. IV ტომი. — თბ., 1999, გვ. 500-513.
4.14. ვ. ზეიკიძე, მ. სანაძე, სამეწარმეო რისკის დაზღვევა სოფლის მეურნეობაში /საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. შრომების კრებული. III ტომი. — თბ., 1997, გვ. 378-382.
4.15. ს.იაკობიძე, საარსებო საშუალებათა მოხმარების დონე და სტრუქტურა დამოუკიდებელ საქართველოში //მაკრო მიკრო ეკონომიკა. — თბ., 1999, №11-12, გვ. 37-40.
4.16. რ. კაკულია, გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის ტრანსფორმაციის აქტუალური საკითხები /საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. შრომების კრებული. I ტომი. - თბ., 1996, გვ. 33-60.
4.17. ჰ. კოღუაშვილი, ჰ. გიორგაძე, ბ.რამიშვილი, ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების შეფასების ძირითადი კრიტერიუმები //მაკრო მიკრო ეკონომიკა. — თბ., 1999, №11-12, გვ. 52-55.
4.18. ჰ. კოღუაშვილი, ჰ. გიორგაძე, ბ. რამიშვილი, საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევა სასურსათო პრობლემის მოგვარებაში //მაკრო მიკრო ეკონომიკა. — თბ., 1999, №9-10, გვ. 43-46.
4.19. ჰ. კოღუაშვილი, მსოფლიო სასურსათო სიტუაცია და საქართველო //მაკრო მიკრო ეკონომიკა. — თბ., 1998, №9, გვ. 19-21.
4.20. ჰ. კოღუაშვილი, სასურსათო უსაფრთხოება და აგრარული სექტორის სახელმწიფო რეგულირება //მაკრო მიკრო ეკონომიკა. — თბ., 1999, №7-8, გვ. 42-44.
4.21. რ. ოთინაშვილი, ეკონომიკური უსაფრთხოების სახელმწიფო სტრატეგია //საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი. — თბ., 2002, №73, გვ. 2-25.
4.22. მ. სანაძე, სასურსათო უსაფრთხოების ზოგიერთი აქტუალური საკითხი //კვალი. - თბ., 2000, №3-4, გვ. 20-21.
4.23. მ. სანაძე, სოფლის მეურნეობაში საწარმოო რისკის დაზღვევის საკითხები //სოციალური ეკონომიკა. — თბ., 2000, №4, გვ. 83-89.

4.24. ი. ქვაჩახია, ო. ვაშაკიძე, ო. ჯიქია, აგრარული ბაზრის ეკონომიკური რეგულირების მექანიზმი მეურნეობრიობის ახალ პირობებში /საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. შრომების კრებული. II ტომი. - თბ., 1997, გვ. 654-669.

4.25. გ. ყუფუნია, საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა /საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. შრომების კრებული. II ტომი. თბ., 1997, გვ. 627-642.

4.26. თ. ჩიკვაიძე, საქართველოს მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პროგრამა XXI საუკუნისათვის: არსი, შინაარსი, ძირითადი პრობლემები /საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. შრომების კრებული. I ტომი. — თბ., 1996, გვ. 61-85.

4.27. ა. ჯიბუტი, აგროსამრეწველო კომპლექსის სოციალურ-ეკონომიკური ფუნქცია //ეკონომისტი. — თბ., 1990, №8, გვ. 42-47.

4.28. ნ. ჭითანავა, გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს აგრარული პოლიტიკის ჩამოყალიბების პრინციპები და ძირითადი მიმართულებები //ეკონომიკა. — თბ., 1999, №1-3, გვ. 3-24.

4.29. ნ. ჭითანავა, სახელმწიფოს აგრარული პოლიტიკა და აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების პრობლემები //საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. შრომების კრებული. IV ტომი. — თბ., 1999, გვ. 440-465.

4.30. Алтухов А., Вермель Д. Продовольственное самообеспечение страны: Состояние и перспективы //АПК: экономика, управление. – М., 1997, №11, с. 29-34.

4.31. Борисенко Н., Рагрин В. Тенденции формирования государственных ресурсов продовольствия //АПК: экономика. управление. – М., 1993, №8, с. 13-19.

4.32. Бричко В. АПК и внешняя торговля //Экономисти. – М., 1997, №3, с. 87-91.

4.33. Гордеев А., Алтухов А., Вермель Д. Продовольственная безопасность Росии: состояние и меры обеспечения //Экономика

сельскохозяйственных и перерабатывающих предприатии. – М., 1998, №10, с. 10-14.
4.34. Гордеев А. Обеспечение продовольственной безопасности России – задача стратегическая //АПК: экономика, управление. – М., 1998, №8, с. 24-31.
4.35. Дзарасов С., Пилиев С. Продовольственная безопасность России // Экономисти. – М., 1996, №8, с. 23-34.
4.36. Дзарасов С. Продовольственная безопасность России // Вопросы экономической безопасности. – М., 1996, №8, с. 3-11.
4.37. Зволинский В. Обеспечение продовольственной безопасности Росси // АПК: экономика , управление. – М., 1996, №1, с. 9-15.
4.38. Зволинский В. Продовольственное обеспечение – фактор социально-политической стабилизации обшества //Экономисти. – М., 1995, №9. с. 89-93.
4.39. Зельднер А. Государственное регулирование агропромышленного сектора // Вопросы экономики. – М., 1997, №6, с. 83-89.
4.40. Зенин В., Ильичева С. Совершенствование механизма поддержки селькохозяйственных товаропроизводителей //Экономика сельскохозяйственных и перерабатывающих предприатии. – М., 1998, №8, с. 14-21.
4.41. Илларионов А. Критерии экономической безопасности // Вопросы экономики. – М., 1998, №10, с. 35-39.
4.42. Модебадзе Н. Оценка продовольственной безопасности региона // АПК: Экономика, управление. – М., 1997, №12, с. 3-10.
4.43. Пучков А. Аграрная политика стран эвропейскиго сообшества //Экономика сельскохозяйственных и перерабатывающих предприятии.- М., 1998, №10, с. 54-57.
4.44. Радугин Н., Любимов В. Государственное регулирование агропродовольственного комплекса //АПК: экономика, управление.- М., 1999, №7, с. 15-24.
4.45. Руцкой А., Радугин Н. Продовольственная безопасность: зарубежный опыт //АПК: экономика, управление. – М., 1997, №2, с. 7-14.
4.46. Харитонов Н., Радугин Н. Аграрная реформа и продовольственная безопасность России //АПК: экономика, управление. – М., 1998, №8, с. 11-18.
4.47. Хромов Ю. Международная продовольственная безопасность и интересы России //АПК: экономика, управление.- М., 1996, №2, с. 11-16.

4.48. Чирков Е. Государственная поддержка и регулирование агропромышленного производства //АПК: экономика, управление.- М., 1998, №7, с. 37-41.
4.49. Эльдиев М. Экономическое регулирование продовольственного обеспечения в регионе //АПК: экономика, управление.- М., 1998, №2, с. 19-25.
4.50. Ягуткин С. Система прогнозирования федеральных фондов продовольствия //АПК: экономика, управление.- М., 1998, №7, с. 19-24.

5. ავტორეფერატები

5.1. ნ. ალავიძე, საქართველოს მოსახლეობის მარცვლეულით უზრუნველყოფის პერსპექტივები: ავტორეფ. ეკონ. მეცნ. კანდ: 08.00.14. – თბ., 1999. – 34 გვ.
5.2. პ. კოღუაშვილი, აგრარული რეფორმის შედეგები და სრულყოფის ძირითადი მიმართულებები საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მაგალითზე: ავტორეფ. ეკონ. მეცნ. კანდ: 08.00.14. – თბ., 1998. – 24 გვ.
5.3. თ. კუნჭულია, საქართველოს სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის პრობლემები და მისი გადაწყვეტის გზები: ავტორეფ. ეკონ.მეცნ. დოქტ: 08.00.14. – თბ., 1997. – 89 გვ.
5.4. ბ. რამიშვილი, აგრარული ბაზრის ფორმირების ძირითადი მიმართულებები გარდამავალ პერიოდში (საქართველოს მაგალითზე): ავტორეფ. ეკონ.მეცნ.კანდ: 08.00.14. – თბ., 1998. – 33 გვ.
5.5. ლ. წიკლაური, გლეხური (ფერმერული) მეურნეობის როლი მოსახლეობის მეცხოველეობის პროდუქტებით უზრუნველყოფაში: ავტორეფ. ეკონ. მეცნ. კანდ: 08.00.14. – თბ., 1998. – 32 გვ.
5.6. Борисенко Е.Н. Формирование и развитие социально-рыночного механизма обеспечения продовольственной безопасности России: Автореф. дис. д-ра экон. наук: 08.00.05. – М., 1997. – 32 с.
5.7. Восканян Г.Г. Продовольственная безопасность как фактор устойчивого развития обшества (Философско-методологичес-

кие аспекты) : Автореф. дис. канд. философ. наук: 09.00.08. – М., 1996.- 23 с.

5.8. Ильина З.М. Проблемы продовольственной безопасности и их решение: Теория, методология, практика: Автореф. дис. д-ра экон. наук: 08.00.05.- Минск, 1999.- 39 с.

5.9. Кастуев Т.Х. Обеспечение продовольственной безопасности в РСО – Алания в условиях рыночной экономики: Автореф. дис. канд. экон. наук: 08.00.05.- Налчик, 1999.- 26 с.

5.10. Маслаков В.В. Формирование и развитие системы продовольственной безопасности на Среднем Урале: автореф. дис. канд. экон. наук: 08.00.05.- Екатеринебург, 1996.- 24 с.

5.11. Хромов Ю.С. Проблемы международной и нациоанальной продовольственной безопасности в 70-90-е годы и перспективы продовольственной независимости России: Автореф. дис. д-ра экон. наук: 08.00.14. – М., 1996.-58 с.

5.12. Чешинский Л.С. Методологические аспекты продовольственной безопасности России: Автореф. дис. д-ра экон. наук: 08.00.05.- М., 2000. - 78 с.

6. ინტერნეტსაიტები

6.1. Арсеенко А.И., Сытые и голодные в современном мире // http: // www. communist. ru / 19.07.2002. – 6 p.

6.2. Батурин А.К., Состояние питания населения России и пути предупреждения нарушений питания // http: // www. iet. ru / publics / agro / golod / 3. html / 10.10.2002. – 51 p.

6.3. Гордеев А.В., Основные направления агропродовольственной политики правительства на 2001-2010 годы // http: // www. csr. ru / conferences / gord. hatml / 10.10.2002. – 32 p.

6.4. Дриз Дж., Сен А., Голод и общественное действие // http: // ie. boom. ru / sen / sen. htm / 10.05.2002. – 40 p.

6.5. Карлова Н.А., Кобута И.А., Прокопьев М.А., Серова Е.В., Хромова И.Г., Шик О.А., Агропродовольственная политика и международная торговля: Российкий аспект // http: // www. iet. ru / papers / 37 / 01. htm / 10.10.2002. – 64 p.

6.6. Корниенко Л.Б., Формирование эффективной системы продовольственной безопасности // http: // www. pages. nnov. ru / tokarev / hgap / bread. htm / 10.10.2002. – 7 p.

6.7. Коробейников М.А., Совершенствование экономического механизма продовольственного рынка Россий: проблемы теории и практики // http: // www. iuecon. org / doklad. html / 10.05.2002. – 11 р.
6.8. Максаковский В.П., Глобальная продовольственная проблема и его географические аспекты // http: //advsoft. 1 september. ru / 19.07.2002. – 5 р.
6.9. Овчарова Л.Н., Роль социальной политики в сдерживании распространения плохого питания и недоедания // http:// www. iet. ru / publics / agro / golod / 1.html / 10.10.2002.– 47 р.
6.10. Оглуздин Н.С., Продовольственная безопасность России // http: // geopolitika. narod. ru / 10.11.2002. – 6 р.
6.11. Серова Е.В., К вопросу о продовольственной безопасности России // http: // www. iet. ru / personal / agro / PRODSAF 1. htm / 20.08.2002. – 7 р.
6.12. Серова Е.В., Храмова И.Г., Карлова Н.А., Тихонова Т.В., Письменная О.Л., Факторы продовольственной безопасности, проистекающие из агропродовольственного развития // http: // www. iet. ru / publics / agro / golod / 2. html / 10.10.2002. – 30 р.
6.13. Серова Е.В., Храмова И.Г., Структура и функции агропродовольственных рынков России // http: // www. iet. ru / personal / agro / Food – chains. htm / 10.11.2002. – 24 р.
6.14. Черняков Б.И., Овчинников О.Г., Проблема продовольственного обеспечения регионов и социальная стабильность // http: // iskran. iip. net / russ / works 99 / chernyakov 2. html / 10.11.2002. – 22 р.

დანართი I. ძირითადი სახეობის კვების პროდუქტების ექსპორტ-იმპორტის მდგომარეობა საქართველოში 1995-2002 წწ.*

№	პროდუქციის დასახელება	1995 წ.						2002 წ.					
		იმპორტი			ექსპორტი			იმპორტი			ექსპორტი		
		ღირებულება (ათასი აშშ $)	რაოდენობა (ტონა)	%-ობით საერთო ღირებულებაში	ღირებულება (ათასი აშშ $)	რაოდენობა (ტონა)	%-ობით საერთო ღირებულებაში	ღირებულება (ათასი აშშ $)	რაოდენობა (ტონა)	%-ობით საერთო ღირებულებაში	ღირებულება (ათასი აშშ $)	რაოდენობა (ტონა)	%-ობით საერთო ღირებულებაში
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
1	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი (გაყინული)	35	836	0,03				468	558	0,5			
2	ღორის ხორცი (გაყინული)							267	307	0,3			
3	შინაური ფრინველის ხორცი და სუბპროდუქტები (გაყინული)	1571	1410	1,7	170	132	0,6	9005	19804	9,2	976	1457	2,0
4	თევზი ყველა სახის	1289	2564	1,4	92	126	0,3	1187	4176	1,2	230	2638	0,5
5	რძე და რძის პროდუქტები	3013	1892	3,2	17	6	0,003	6158	4059	6,3	15	14	0,03
6	ფრინველის კვერცხი (ათასი ც.)	2276	390000	2,4	76	80	0,3	5534	380000	5,7			
7	კარტოფილი	386	3448	0,4	-	-	-	803	8788	0,8	80	381	0,1
8	ბოსტნეული ყველა სახის	923	8629	1,0	40	261	0,1	2280	4031	2,3	698	789	1,5
9	კაკალი და თხილი	3	5	0,003	1501	1205	5,1	673	837	0,7	4279	5519	8,9
10	ციტრუსები	15	440	0,02	6877	7166	23,5	82	509	0,06	1932	10938	4,0

დანართი 1-ის გაგრძელება

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
11	ბანანი	21	83	0,02	-	-	-	1694	5796	1,7	-	-	-
12	ყავა	1143	1390	1,2	-	-	-	4963	2029	5,1	-	-	-
13	ჩაი	158	154	0,2	8412	14893	28,8	380	2917	0,4	11272	16713	23,3
14	ხილი ყველა სახის	-	-	-	256	906	0,9	68	367	0,06	409	1760	0,8
15	სანელებლები	-	-	-	972	1917	3,3	173	185	0,2	1071	1944	2,2
16	ხორბალი და ჭვავ-ხორბლის ნარევი	7135	296275	7,6	90	3591	0,3	16062	162469	16,4	1375	10556	2,8
17	ხორბლის და ჭვავ-ხორბლის ფქვილი	12876	70852	13,8	-	-	-	12729	85846	13,0	553	3514	1,1
18	ბრინჯი	600	3227	0,6	-	-	-	529	2079	0,5	-	-	-
19	ბურღულეული და მარცვლოვანი გრანულები	125	350	0,1				304	1272	0,3			
20	სოია დანაწევრებული ან დაუნაწევრებელი							33	78	0,03			
21	ალაო	132	3031	0,1	-	-	-	2450	2870	2,5	-	-	-
22	მზესუმზირის ზეთი	6819	8307	7,3	55	48	0,2	1060	1792	1,1	-	-	-
23	მარგარინი	1938	2577	2,1	-	-	-	1527	4346	1,6	-	-	-
24	ძეხვეული და ანალოგიური პროდუქტები	695	962	0,7				2055	1909	2,1			
25	თევზის დაკონსერვებული პროდუქტები	244	323	0,3	48	24	0,2	223	547	0,2			
26	ლერწმის და ჭარხლის შაქარი	28895	59305	30,9				19303	77273	19,7	217	61	0,4
27	შაქრის სხვა სახეობები	319	22	0,3	-	-	-	525	94	0,5	-	-	-
28	საკონდიტრო ნაწარმი შაქრისაგან	274	201	0,3				571	1062	0,6			
29	მაკარონი	710	1826	0,8	-	-	-	548	1314	0,6	-	-	-
30	საკონდიტრო ნაწარმი ფქვილისაგან	1180	2400	1,3				510	1115	0,5			

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
31	ხილ-ბოსტნეულის კონსერვები და წვენები	1251	2316	1,3	677	1769	2,3	2209	1397	2,3	1837	4092	3,8
32	მოკოლადი და კაკაოს შემცველი პროდუქტები	1402	605	1,5	707	206	2,4	891	1134	0,9			
33	ბუნებრივი მინერალური და მტკნარი წყლები (ათასი ლ.)	4028	21967	4,3	1826	6802	6,2	80	167	0,06	3042	9745	6,4
34	ალაოს ლუდი (ათასი ლ.)	7148	18726	7,6	372	994	1,4	103	154	0,06	207	353	0,4
35	ყურძნის ღვინო (ათასი ლ.)	1520	3092	1,6	2905	4646	10,0	243	216	0,2	14619	8906	30,3
36	ეთილის სპირტი 80% სპირტის შემცველობით (ათასი ლ.)	509	752	0,5	2436	2202	8,3	2121	4834	2,2	3208	5823	6,6
37	სპირტიანი მაგარი სასმელები (ათასი ლ.)	4877	2976	5,2	1712	1793	5,8	559	194	0,6	2251	936	4,7
	სულ	93528	-	100	29241	-	100	97822	-	100	48271	-	100

დანართი 2. საქართველოს სასურსათო ბალანსები*

მარცვლეულის რესურსები და გამოყენება

№	მაჩვენებლები	1996 / 1997	1997 / 1998	1998 / 1999	1999 / 2000	2000 / 2001	2001 / 2002	2002 / 2003	2002/2003წწ. %-ობით 1996/1997წწ.
1	ნათესი ფართობი, ათასი ჰა	281	437	416	379	386	380	399	142.0
2	საშუალო მოსავლიანობა, ტ/ჰა	2.3	2.1	1.6	2.1	1.3	2.0	1.8	78.3
	რ ე ს უ რ ს ე ბ ი								ათასი ტონა
3	მარაგი წლის დასაწყისში	250	261	273	235	249	212	196	78.4
4	ადგილობრივი წარმოება	652	902	598	780	420	714	672	103.1
5	იმპორტი	890	766	825	796	863	710	738	82.9
6	სულ რესურსები	1792	1929	1696	1811	1532	1636	1606	89.6
	გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა								
7	სათესლედ	39	75	63	52	53	76	67	171.8
8	პირუტყვის საკვებად	423	495	368	436	315	376	352	83.2
9	სამრეწველო მოხმარება (სპირტის და ლუღის საწარმოებლად)	12	12	12	14	18	23	26	216.7
10	სასურსათო მოხმარება: მარცვლად	991	1004	948	970	869	868	850	85.8
11	ფქვილის სახით	750	770	717	735	656	651	642	85.6
12	დანაკარგები	60	57	56	68	52	61	62	103.3
13	ექსპორტი	6	13	14	22	13	36	56	933.3
14	მარაგი წლის ბოლოს	261	273	235	249	212	196	193	73.9
15	მთლიანი გამოყენება (მარაგის ჩათვლით)	1792	1929	1696	1811	1532	1636	1606	89.6
	მ ო ხ მ ა რ ე ბ ა ერ თ ს უ ლ ზ ე (ფ ქ ვ ი ლ ი ს ს ა ხ ი თ)								
16	კგ. წელიწადში	170	168	160	166	148	148	146	85.9
17	გრ. დღეში	465	460	438	455	405	405	400	86.0
18	კკალ. დღეში	1417	1418	1342	1397	1260	1292	1276	90.0
19	მარცვლეულით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი, %	42	54	42	50	33	51	50	-

№	მაჩვენებლები	1996 / 1997	1997 / 1998	1998 / 1999	1999 / 2000	2000 / 2001	2001 / 2002	2002 / 2003	2002/2003ᲬᲬ %-ობით 1996/1997ᲬᲬ
1	ნათესი ფართობი, ათასი ჰა	24	27	34	34	37	37	39	162.5
2	საშუალო მოსავლიანობა, ტ/ჰა	12.1	13.0	10.6	13.0	8.9	11.6	11.4	94.2
	რ ე ს უ რ ს ე ბ ი								
									ათასი ტონა
3	მარაგი წლის დასაწყისში	128	103	118	110	120	85	130	101.6
4	ადგილობრივი წარმოება	286	353	350	443	302	422	415	145.1
5	იმპორტი	35	40	47	30	71	31	34	97.1
6	სულ რესურსები	449	496	515	583	493	538	579	128.9
	გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა								
7	საოესლედ	71	84	102	105	112	130	136	191.5
8	პირუტყვის საკვებად	7	10	8	15	6	17	16	228.6
9	სასურსათო მოხმარება	211	219	215	230	218	225	220	104.3
10	დანაკარგები	9	12	10	18	12	16	17	188.9
11	ექსპორტი	48	53	70	95	60	20	45	93.7
12	მარაგი წლის ბოლოს	103	118	110	120	85	130	145	140.8
13	მთლიანი გამოყენება (მარაგის ჩათვლით)	449	496	515	583	493	538	579	128.9
	მ ო ხ მ ა რ ე ბ ა ერ თ ს უ ლ ზ ე								
14	კგ. წელიწადში	44	46	46	49	47	51	50	113.6
15	გრ. დღეში	121	127	127	135	130	140	138	114.0
16	კკალ. დღეში	73	76	76	81	78	84	83	113.7
17	თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი, %	105	104	107	117	96	97	103	

№	მაჩვენებლები	1996 / 1997	1997 / 1998	1998 / 1999	1999 / 2000	2000 / 2001	2001 / 2002	2002 / 2003	2002/2003წწ. %-ობით 1996/1997წწ.
1	ნათესი ფართობი, ათასი ჰა	28	32	24	43	46	41	40	142.9
2	საშუალო მოსავლიანობა, ტ/ჰა	13.6	15.1	9.2	9.6	9.3	10.2	10.6	77.9
	რ ე ს ურ ს ე ბ ი								ათასი ტონა
3	მარაგი წლის დასაწყისში	91	93	120	73	79	75	80	87.9
4	ადგილობრივი წარმოება	424	514	380	417	354	396	406	95.7
5	იმპორტი	17	11	23	6	62	31	20	117.6
6	სულ რესურსები	532	618	523	496	495	502	506	95.1
	გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა								
7	სათესლედ	2	3	5	5	3	3	4	200.0
8	პირუტყვის საკვებად	16	25	14	15	14	22	23	143.7
9	სასურსათო მოხმარება	390	418	395	371	382	370	356	91.3
10	დანაკარგები	19	21	16	18	17	22	16	123.1
11	ექსპორტი	12	31	20	8	4	5	7	58.3
12	მარაგი წლის ბოლოს	93	120	73	79	75	80	100	107.5
13	მთლიანი გამოყენება (მარაგის ჩათვლით)	532	618	523	496	495	502	506	95.1
	მ ო ხ მ ა რ ე ბ ა ერ თ სულ ზ ე								
14	კგ. წელიწადში	82	88	84	80	83	84	81	98.8
15	გრ. დღეში	225	241	230	219	227	230	220	97.8
16	კკალ. დღეში	52	55	53	50	52	53	51	98.1
17	თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი, %	98.8	102	99.2	100.5	86	93.8	96.9	

№	მაჩვენებლები	1996 / 1997	1997 / 1998	1998 / 1999	1999 / 2000	2000 / 2001	2001 / 2002	2002 / 2003	2002/2003ᲬᲬ %-ობით 1996/1997ᲬᲬ
	რ ე ს უ რ ს ე ბ ი								ათასი ტონა
1	მარაგი წლის დასაწყისში	1.3	1.2	1.4	1.2	1.1	1.0	1.5	115.4
2	ადგილობრივი წარმოება	1.6	11.3	8.2	14.4	1.3	12.8	7.7	481.2
3	იმპორტი	48.7	43.2	30.5	23.7	36.5	41.8	25.6	52.6
4	სულ რესურსები	51.6	55.7	40.1	39.3	38.9	55.6	34.8	67.4
	გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა								
5	სასურსათო მოხმარება	49.6	53.3	38.0	37.6	37.3	52.9	32.6	65.7
6	დანაკარგები	0.7	0.9	0.8	0.5	0.5	0.7	0.7	100.0
7	ექსპორტი	0.1	0.1	0.1	0.1	0.1	0.5	0.2	200.0
8	მარაგი წლის ბოლოს	1.2	1.4	1.2	1.1	1.0	1.5	1.3	108.3
9	მთლიანი გამოყენება (მარაგის ჩათვლით)	51.6	55.7	40.1	39.3	38.9	55.6	34.8	67.4
	მ ო ხ მ ა რ ე ბ ა ერ თ სულ ზ ე								
10	კგ. წელიწადში	10.5	11.3	8.1	8.1	8.1	12	7.4	70.5
11	გრ. დღეში	29	31	22	22	22	33	15	51.7
12	კკალ. დღეში	256	274	194	194	194	291	132	51.6
13	თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი, %	3.2	21.1	21.9	38.9	3.5	23.6	23.3	

№	მაჩვენებლები	1996 / 1997	1997 / 1998	1998 / 1999	1999 / 2000	2000 / 2001	2001 / 2002	2002 / 2003	2002/2003წწ %-ობით 1996/1997წწ
	რ ე ს ურ ს ე ბ ი								
									ათასი ტონა
1	მარაგი წლის დასაწყისში	7.3	7.2	7.1	7.9	7.5	7.4	9.6	131.5
2	ადგილობრივი წარმოება	25.8	19.7		20.0	35.3		47.9	185.7
3	იმპორტი	87.1	104.9	120.5	97.3	66.4	110.8	186.4	214.0
4	სულ რესურსები	120.2	131.8	127.6	125.2	109.2	118.2	243.9	202.9
	გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა								
5	სასურსათო მოხმარება	109.0	120.4	116.3	113.7	97.6	104.5	120.1	110.2
6	დანაკარგები	4.0	4.3	3.4	4.0	4.2	4.1	9.3	232.5
7	ექსპორტი	-	-			-	-	47.8	-
8	მარაგი წლის ბოლოს	7.2	7.1	7.9	7.5	7.4	9.6	66.7	926.4
9	მთლიანი გამოყენება (მარაგის ჩათვლით)	120.2	131.8	127.6	125.2	109.2	118.2	243.9	202.9
	მ ო ხ მ ა რ ე ბ ა ერ თ ს უ ლ ზ ე								
10	კგ. წელიწადში	23.0	25.2	24.8	24.4	21.2	23.7	27.3	118.7
11	გრ. დღეში	63	70	68	67	58	65	76	120.6
12	კკალ. დღეში	243	270	263	259	224	251	262	107.8
13	თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი, %	22.8	15.8		17	34.7		25.7	

№	მაჩვენებლები	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2002წ. %-ობით 1995წ.
	რ ე ს უ რ ს ე ბ ი									ათასი ტონა
1	მარაგი წლის დასაწყისში	1.3	1.2	1.1	1.8	2.0	1.8	1.5	1.2	92.3
2	ადგილობრივი წარმოება	115.4	117.8	121.0	104.1	100.5	107.9	102.4	106.9	92.6
3	იმპორტი	43.8	40.0	38.5	50.3	52.9	45.0	49.7	51.7	118.0
4	სულ რესურსები	160.5	159.0	160.3	156.2	155.4	154.7	153.6	159.8	99.6
	გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა									
5	პირუტყვის საკვებად	0.2	0.2	0.1	0.1	0.1	0.1	0.1	0.1	50.0
6	სასურსათო მოხმარება	154.2	152.5	152.9	149.7	148.1	147.5	147.3	152.4	98.8
7	დანაკარგები	3.1	3.2	3.2	3.1	3.1	3.1	3.0	3.2	103.2
8	ექსპორტი	1.8	2.1	2.3	1.3	2.3	2.5	2.	2.3	127.8
9	მარაგი წლის ბოლოს	1.2	1.1	1.8	2.0	1.8	1.5	1.2	1.8	150.0
10	მთლიანი გამოყენება (მარაგის ჩათვლით)	160.5	159.0	160.3	156.2	155.4	154.7	153.6	159.8	99.6
	მ ო ხ მ ა რ ე ბ ა ერ თ სულ ზ ე									
11	კგ. წელიწადში	32	32	32	31	32	32	34	35	109.4
12	გრ. დღეში	88	88	88	85	88	88	91	95	107.9
13	კკალ. დღეში	179	179	179	173	179	179	185	191	106.7
14	თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი, %	73.3	75.7	77.0	68.0	66.5	71.7	69.5	75.5	

№	მაჩვენებლები	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2002წ. %-ობით 1995წ.
1	ძროხის სულადობა – ათასი სული	514.3	531.3	543.6	551.0	575.0	640.1	646.3	704.8	137.0
2	საშუალო წველადობა – კგ.	913	982	1090	1087	1073	944	1018	1041	114.0
	რ ე ს უ რ ს ე ბ ი									ათასი ტონა
3	მარაგი წლის დასაწყისში	21.7	17.4	18.2	16.5	16.0	19.8	18.3	19.2	88.5
4	ადგილობრივი წარმოება	469.4	521.9	592.8	611.9	647.5	604.5	710.0	720.7	153.5
5	იმპორტი	228.0	311.3	420.9	364.0	332.0	352.4	328.7	330.3	144.9
6	სულ რესურსები	719.1	850.6	1031.9	992.4	995.5	976.7	1057.0	1072.2	149.1
	გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა									
7	პირუტყვის საკვებად	9.4	10.5	11.8	12.2	13.0	12.0	12.8	13.2	140.4
8	სასურსათო მოხმარება	679.4	805.6	983.6	945.0	943.3	927.2	1004.3	1017.2	149.7
9	დანაკარგები	12.9	16.3	20.0	19.2	19.3	19.1	20.6	20.9	162.0
10	ექსპორტი	-	-			0.1	0.1	0.1	0.1	-
11	მარაგი წლის ბოლოს	17.4	18.2	16.5	16.0	19.8	18.3	19.2	18.8	108.0
12	მთლიანი გამოყენება (მარაგის ჩათვლით)	719.1	850.6	1031.9	992.4	995.5	976.7	1057.0	1070.2	149.1
	მ ო ხ მ ა რ ე ბ ა ერ თ სულ ზ ე									
13	კგ. წელიწადში	143	170	208	201	205	201	228	231	161.5
14	გრ. დღეში	392	466	570	551	562	551	625	633	161.5
15	კკალ. დღეში	235	280	342	331	337	331	375	386	164.2
16	თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი, %	67.3	62.6	58.5	62.7	66.1	63.2	70.7	74.8	

კვერცხის რესურსები და გამოყენება

№	მაჩვენებლები	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2002წ. %-ობით 1995წ.
1	კვერცხმდებელი ფრინველის რაოდენობა – ათასი ფრთა	2641.2	3045.2	3112.6	2838.8	2889.6	2780.0	3616.6	4452.1	168.6
2	საშუალო კვერცხმდებელობა – ცალი	102	115	119	134	135	130	134	129	126.5
	რ ე ს უ რ ს ე ბ ი									
										ათასი ტონ.
3	მარაგი წლის დასაწყისში	8.7	6.9	15.1	11.6	10.1	10.7	8.2	9.1	104.6
4	ადგილობრივი წარმოება	269.4	350.2	370.4	380.4	390.1	361.4	395.4	408.8	151.7
5	იმპორტი	261.4	205.1	200.0	247.6	257.9	295.6	279.1	273.9	104.8
6	სულ რესურსები	539.5	562.2	585.5	639.6	658.1	667.7	682.7	691.8	128.2
	გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა									
7	საინკუბაციოდ	28.3	35.7	37.1	37.8	40.2	36.3	40.8	46.7	165.0
8	სასურსათო მოხმარება	479.8	483.0	506.8	560.4	575.0	593.4	602.6	604.6	126.0
9	დანაკარგები	24.5	28.4	30.0	31.3	32.2	29.8	30.2	31.2	127.3
10	ექსპორტი	-	-	-					-	
11	მარაგი წლის ბოლოს	6.9	15.1	11.6	10.1	10.7	8.2	9.1	9.3	134.8
12	მთლიანი გამოყენება (მარაგის ჩათვლით)	539.5	562.2	585.5	639.6	658.1	667.7	682.7	691.8	128.2
	მ ო ხ მ ა რ ე ბ ა ე რ თ ს უ ლ ზ ე									
13	ცალი წელიწადში	101	102	107	122	124	128	137	138	136.6
14	ცალი დღეში	0.3	0.3	0.3	0.3	0.3	0.3	0.4	0.4	133.3
15	კკალ. დღეში	14	14	14	14	14	14	15	15	107.1
16	თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი, %	51	63	65	61	60	55	66	69	

* ცხრილები შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის პირველადი მასალების მიხედვით[1.II, გვ.32-45], FAO-ს რეკომენდაციების გათვალისწინებით.

დანართი 3. შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისათვის ძირითად საკვებ ნივთიერებებზე ენერგიის ფლიური მოთხოვნილება 1996-2002 წწ.*

№	სამომხმარებლო ფასეულობის დასახელება	1996 წ.			2002 წ.			1996-2002 წ.წ. ქიმიური შემადგენლობა		
		წლიური მოხმარების ნორმა (კგ)	პროდუქციის ერთეულის კალორიულობა (კკალ)	მთლიანი პროდუქციის კალორიულობა (კკალ)	წლიური მოხმარების ნორმა (კგ)	პროდუქციის ერთეულის კალორიულობა (კკალ)	მთლიანი პროდუქციის კალორიულობა (კკალ)	ცილები (გრ)	ცხიმები (გრ)	ნახშირწყლები (გრ)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	ხორბლის პური	120	2336	280320	130	2336	303680	82	13	469
2	ჭვავის პური	10	2084	20840	-	-	-	56	11	432
3	ხორბლის ფქვილი	9	3410	30690	9	3410	30690	105	12	680
4	სიმინდის ფქვილი	15	3100	46500	15	3100	46500	83	12	750
5	მაკარონის ნაწარმი	6	3440	20640	6	3440	20640	108	16	688
6	ბრინჯი	4	3324	13296	4	3324	13296	70	10	707,5
7	რძე მოუხდელი (ლ)	120	585	70200	120	585	70200	28	33	46
8	კარაქი	4	6911	27644	4	6911	27644	7	760	11
9	ხაჭო	5	1718	8590	5	1718	8590	156	97	46
10	არაჟანი	3	2560	7680	3	2560	7680	27	209	32
11	ყველი	9	3910	35190	9	3910	35190	230	255	0
	ხორცი და ხორცის პროდუქტები:									
12	საქონლის	22	1590	34980	22	1590	34980	140	114,8	0

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
13	ღორის	12	3[illegible]	39480	12	3290	39480	120	312,2	0
14	ცხვრის	5	[illegible]429	7145	5	1429	7145	120	105,3	0
15	ფრინველის	[illegible]	1449	17388	12	1449	17388	102	115	0
16	ძეხვეული	4	2946	11784	4	2946	11784	130	266,8	5,1
	თევზი და [illegible]									
	[illegible]:									
17	ახალი და გაყინული	7	705	4935	7	705	4935	89	32,3	0
18	დამარილებული და შებოლილი	3	1066	3198	3	1066	3198	134	193	0
	ბოსტნეული:									
19	კომბოსტო	20	214	4280	20	214	4280	15	0,7	35,4
20	პომიდორი	30	181	5430	30	181	5430	9,3	1,5	27,6
21	კიტრი	15	181	2715	15	181	2715	9,3	1,5	27,6
22	ლობიო	12	309	3708	12	309	3708	223	17	545
23	სტაფილო	7	279	1953	7	279	1953	8,9	59,4	9,4
24	ჭარხალი	6	279	1674	6	279	1674	8,8	0,3	59,3
25	ხახვი	12	275	3300	12	275	3300	8,9	0,3	58,5
26	ნიორი	1	1360	1360	1	1360	1360	5	-	212
27	მწვანილი	27	223	6021	27	223	6021	-	-	24,2
28	კარტოფილი	50	576	28800	50	576	28800	14,4	2,9	117
	ხილი:									
29	ყურძენი	10	579	5790	10	579	5790	5	2	130
30	ციტრუსი	5	450	2250	5	450	2250	5	4	94
31	კურკოვანი	10	400	4000	10	400	4000	8	3,5	83,2
32	თესლოვანი	36	400	14400	36	400	14400	4,8	3,5	83.1

დანართი 3-ის გაგრძელება

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
33	კვერცხი (ცალი)	150	137	20550	150	137	20550	110	10	0,61
34	შაქარი	15	3790	56850	15	3790	56850	0	0	998
35	მცენარეული ზეთი (ლ)	6	8990	53940	6	8990	53940	0	999	0
36	მარგარინი	2	7430	14860	2	7430	14860	3	920	10
37	მარილი	5	-	-	5	-	-	-	-	1,2
38	ჩაი	1	1090	1090	1	1090	1090	1000	-	345
39	ღვინო	12	710	8520	12	710	8520	2	-	2
40	თხევადი აირი (ბალონი)				6					
	სულ	-	-	921991	-	-	924511	-	-	-

* ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის პირველადი მასალების მიხედვით.

დანართი 4. კვების პროდუქტების საშუალო-სულადობრივი მოხმარება და კვების დღე-ღამური რაციონის ენერგეტიკული ფასეულობა 2002 წ.*

№	კვების პროდუქტის დასახელება	პროდუქტის ეროვნული კალორიულობა (კკალ)	ფიზიოლოგიური მოხმარების ნორმა (გრ)	ფაქტიური დღეღამური მოხმარება (გრ)	კვების დღეღამური რაციონის ენერგეტიკული ფასეულობა მოხმარების რაციონალური ნორმების გათვალისწინებით (კკალ)	სტრუქტურა (%)	კვების დღეღამური რაციონის ენერგეტიკული ფასეულობა ფაქტიური მოხმარების გათვალისწინებით (კკალ)	სტრუქტურა (%)
1	2	3	4	5	6	7	8	9
1.	ხორბლის პური	2336	356,2	206,9	831,62	32,8	483,32	20,2
2.	ხორბლის ფქვილი	3410	25,6	145,6	87,30	3,4	496,50	20,7
3.	სიმინდის ფქვილი	3100	41,1	65,3	127,41	5,0	202,43	8,4
4.	მაკარონის ნაწარმი	3440	16,4	17,7	56,42	2,2	60,89	2,5
5.	ბრინჯი	3324	11,0	15,7	36,56	1,4	52,19	2,2
6.	მოუხდელი რძე (ლ)	585	328,8	205,5	192,47	7,6	120,22	5,0
7.	კარაქი	6911	11,0	6,2	76,02	3,0	42,85	1,8
8.	ხაჭო	1718	14,0	2,5	24,05	1,0	4,30	0,2
9.	არაჟანი	2560	8,2	1,1	20,99	0,8	2,82	0,1
10.	ყველი	3910	25,0	30,4	97,75	3,9	118,86	5,0
11.	საქონლის ხორცი	1590	60,3	19,2	95,88	3,8	30,53	1,3
12.	ღორის ხორცი	3290	32,9	8,8	108,57	4,3	28,95	1,2

დანართი 4-ის გაგრძელება

1	2	3	4	5	6	7	8	9
13.	ცხვრის ხორცი	1429	14,0	0,7	20,00	0,8	10,00	0,4
14.	ფრინველის ხორცი	1449	32,9	15,5	47,82	1,9	22,46	0,9
15.	ძეხვეული	2946	11,0	4,9	32,41	1,3	14,44	0,6
16.	ახალი და გაყინული თევზი	705	19,2	3,3	13,39	0,5	2,33	0,1
17.	დამარილებული და შებოლილი თევზი	1066	8,2	0	5,53	0,3		-
18.	კომბოსტო	214	54,8	31,9	12,00	0,5	6,82	0,3
19.	პომიდორი	181	82,2	32,8	15,04	0,6	5,94	0,2
20.	კიტრი	181	41,1	16,4	7,42	0,3	2,97	0,1
21.	ლობიო	309	32,9	19,4	10,20	0,4	5,99	0,3
22.	სტაფილო	279	19,2	5,6	5,30	0,2	1,65	0,1
23.	ჭარხალი	279	16,4	5,3	4,46	0,2	1,48	0,1
24.	ხახვი	275	32,9	21,4	9,07	0,4	5,89	0,2
25.	ნიორი	1360	2,7	1,2	4,08	0,2	1,63	0,1
26.	მწვანილი	223	73,9	22,8	16,50	0,6	5,08	0,2
27.	კარტოფილი	576	136,9	130,5	79,00	3,1	75,17	3,1
28.	ყურძენი	579	27,4	14,1	16,00	0,6	8,16	0,3
29.	ციტრუსები	450	13,7	15,8	6,30	0,2	7,11	0,3
30.	კურკოვანი ხილი	400	27,4	27,8	11,00	0,4	11,12	0,5
31.	თესლოვანი ხილი	400	98,6	54,7	40,00	1,6	21,88	0,9

1	2	3	4	5	6	7	8	9
32.	კვერცხი (ცალი)	137	0,41	0,34	56,17	0,2	46,58	1,9
33.	სულ შაქარი, საკონ-დიტრო ნაწარმსა და ხილის კონსერვებზე დახარჯულის ჩათვლით	3790	41,1	67,8	155,39	6,2	256,96	10,7
34.	მცენარეული ზეთი (ლ)	8990	16,4	22,5	144,04	5,7	202,28	8,4
35.	მარგარინი	7430	5,4	2,3	37,15	1,5	17,09	0,7
36.	მარილი		13,7	10,1		-	-	-
37.	ჩაი	1090	2,7	0,4	3,27	0,1	0,44	0,02
38.	ღვინო	710	32,8	33,5	23,43	0,9	23,78	1,0
	სულ	-	-	-	2533,0	100	2401,1	100

* ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის პირველადი მასალების მიხედვით.

დანართი 5. ერთი თვის კვების რაციონის ქიმიური შემადგენლობა მოხმარების რაციონალური ნორმებით და ფაქტიური მოხმარებით 2002 წ.*

№	კვების პროდუქტის დასახელება	ერთი თვის კვების რაციონი		რაციონის ქიმიური შემადგენლობა ნორმების თანახმად			რაციონის ქიმიური შემადგენლობა ფაქტიური მოხმარებით		
		ნორმებით (კგ)	ფაქტიური (კგ)	ცილა (გრ)	ცხიმი (გრ)	ნახშირწყლები (გრ)	ცილა (გრ)	ცხიმი (გრ)	ნახშირწყლები (გრ)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1.	ხორბლის პური	10,8	6,29	885,6	140,4	5065,2	515,8	81,77	2950,0
2.	ხორბლის ფქვილი	0,75	4,43	78,7	9,0	510,0	465,2	53,16	3012,4
3.	სიმინდის ფქვილი	1,25	1,98	103,7	15,0	937,5	164,3	23,76	1485,0
4.	მაკარონის ნაწარმი	0,5	0,53	54,0	8,0	344,0	57,2	8,48	364,64
5.	ბრინჯი	0,3	0,48	21,0	3,0	212,25	33,6	4,8	339,60
6.	მოუხდელი რძე (ლ)	10,0	6,26	280,0	330,0	460,0	175,0	206,25	287,50
7.	კარაქი	0,3	0,19	2,1	228,0	3,3	1,3	144,4	2,09
8.	ხაჭო	0,4	0,07	62,4	38,8	18,4	10,9	6,79	3,22
9.	არაქანი	0,25	0,03	6,7	52,25	8,4	0,8	6,27	1,0
10.	ყველი	0,75	0,93	172,5	191,25	-	213,9	237,15	-
11.	საქონლის ხორცი	1,83	0,58	256,2	210,08	-	81,2	66,58	-
12.	ღორის ხორცი	1,0	0,27	120,0	312,2	-	32,4	84,29	-
13.	ცხვრის ხორცი	0,41	0,02	49,2	43,17	-	2,4	2,11	-
14.	ფრინველის ხორცი	1,0	0,47	102,0	115,0	-	47,9	54,05	
15.	ძეხვეული	0,3	0,15	39,0	80,04	1,53	19,5	40,02	0,80

დანართი 5-ის გაგრძელება

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
16.	ახალი და გაყინული თევზი	0,58	0,1	51,6	18,73		8,9	3,23	
17.	დამარილებული და შებოლილი თევზი	0,25		33,5	48,25			-	
18.	კომბოსტო	1,67	0,97	25,0	1,17	59,12	14,5	0,68	34,34
19.	პომიდორი	2,4	0,98	23,2	3,75	69,0	9,1	1,47	27,05
20.	კიტრი	1,25	0,49	11,6	1,87	34,5	4,6	0,74	13,52
21.	ლობიო	1,0	0,58	223,0	17,0	545,0	129,3	9,86	316,10
22.	სტაფილო	0,58	0,18	5,2	34,45	5,45	1,6	10,69	1,69
23.	ჭარხალი	0,5	0,16	4,4	0,15	29,65	1,4	0,05	9,49
24.	ხახვი	1,0	0,64	8,9	0,3	58,5	5,7	0,19	37,44
25.	ნიორი	0,08	0,04	0,4		16,96	0,2	-	8,48
26.	მწვანილი	2,25	0,68			54,45		-	16,46
27.	კარტოფილი	4,17	3,97	60,0	12,09	487,89	57,2	11,51	464,49
28.	ყურძენი	0,83	0,42	4,2	1,66	107,9	2,1	0,84	54,60
29.	ციტრუსები	0,42	0,47	2,1	1,47	39,48	2,4	1,05	44,18
30.	ჟურკოვანი ხილი	0,83	0,83	6,6	2,91	69,06	6,6	2,91	69,06
31.	თესლოვანი ხილი	3,0	1,64	14,4	10,5	249,3	7,9	4,92	116,28
32.	კვერცხი (ცალი)	12,5	10,4	1375	125,0	7,63	1144	104,0	6,44
33.	შაქარი	1,25	2,07			124,5			2063,86
34.	მცენარეული ზეთი	0,5	0,68		499,5			679,12	

დანართი 5-ის გაგრძელება

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
35.	მარგარინი	0,17	0,07	0,5	156,4	1,7	0,2	64,40	0,7
36.	ჩაი	0,08	0,02	80,0		27,6	20,0	-	6,9
37.	ღვინო	1,0	1,0	2,0		2,0	2,0	-	2,0
	სულ			4164,7	2711,4	10672,9	3239,1	1916,3	11761,2

* ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის პირველადი მასალების მისედვით.

Мераб Ванишвили

Внутренные и внешние экономические аспекты продовольственнои безопасности Грузии: теория, методология, практика

Реферат

Наряду с использованием алтернативных источников энергии, охраной окружающей среды и других актуальных вопросов, к числу глобальных мировых проблем относится и обеспечение продовольственной безопасности. От ее решения в значительной мере зависит будущее человечества.

Для преодоления трудного продовольственного положения, сложивщегося в указанной сфере и устранения с самого начала возможных осложнений, прежде всего, необходимы изучение и системный научный анализ вопросов, связанных с этой проблемой. Несомненно надо заострить внимание на исследовании данных вопросов, поскольку они непосредственно связаны с жизненными интересами человечества, обеспечением социально-экономической и политической стабильности его существования.

В специальной научной литературе и международных документах продовольственная безопасность рассматривается на индивидуальном уровне, уровне семейного хозяйства, региональном, национальном и международном.

Естественно, когда речь идет о безопасности вообще, имеются в виду опасности, снижение негативного воздействия или нейтрализацию которых обеспечить необходимо. Защита от опасности для физиологического существования человека, сохранение такой опасности и ее нейтрализация возможны путем обеспечения достаточного продовольственного уровня на основе создания соответствующих благоприятных условий. Как раз-то эти два условия – достаточность и доступность – зафиксированы в большинстве международных документах для разъяснения продовольственной безопасности.

Национальная продовольственная безопасность связана с основными условиями международной продовольственной безопасности. Хотя помимо достаточности продовольствия и его доступности для населения национальная безопасность увязывается и

с такими условиями, как уровень самообеспеченности, качества экологической чистоты продуктов.

На основе обобщения вышеизложенного правомерно дать следующую формулировку национальной продовольственной безопасности: это такое состояние социально-экономической системы страны, когда достигается обеспечение собственного населения экологически чистыми и полезными для здоровья продуктами в соответствии с научно обоснованными медицинскими нормами и гарантировано их доступность в условиях независимости от импорта и определенного уровня самообеспечения.

Исходя из общегосударственной позиции, для регионов такой уровень продовольственной безопасности недостаточен, поскольку регионы должны иметь возможность участвовать в решении стоящей перед центральным правительством задачи создания страховых, мобилизационных и других видов запасов. Конечное решение этой задачи обеспечивается на общегосударственном уровне. Активизация производства продовольствия и пополнение его нехватки должна осуществляться путем аккумулирования средств.

Для оценки уровня национальной продовольственной безопасности необходимо использовать систему соответствующих показателей. В настоящее время для оценки уровня международной продовольственной безопасности используются два показателя, разработанные экспертами FAO: обьем переходного мирового запаса зерна и средний уровень производства зерна, рассчитанный на душу населения.

Показатель производства зерна на душу населения можно использовать и для оценки уровня национальной продовольственной безопасности, однако наряду с этим показателем необходимо использовать и систему конкретных показателей, которые в совокупности позволят разработать стратегию разрешения проблемы продовольственной безопасности и определить конкретные пути ее реализации.

На основе формироваия показателей оценки уровня продовольственной безопасности нужно признать требования ее основных условий: достаточность продуктов питания, их доступность для населения и самообеспеченность продовольствием. Отсюда следует, что для характеристики уровня продовольственной безо-

пасности можно использовать такие важные показатели, как: частные и общие коэффициенты достаточности и доступности, общие и частные коэффициенты самообеспеченности и независимый коэффициент продовольственной безопасности.

С учетом того, что на обеспечение национальной продовольственной безопасности, кроме вышеуказанных прямых факторов, оказывает воздействие и ряд опосредованных факторов для формирования полной картины сложившейся ситуации необходимо оценивать и агроэкоклиматический потенциал страны /региона, а также весь спектр показателей, характеризующих социально-экономическое развитие.

Проблема обеспечения продовольственной безопасности занимает одно из центральных мест в политике государственных и международных организаций, что основывается на соответствующих правовых документах.

На международном уровне созданы соответствующие правовые основы для обеспечения продовольственной безопасности. Однако, к сожалению, почти все международные документы не обладают такой реальной силой, как желание и стремление мирового содружества. Реальность же полна прагматичными соображениями и даже в определенной мере противоречит высказанным в них идеям. Поэтому бремя решения вопроса переходит на национальный уровень, где фактически конкретизируются существующие в сфере продовольственной безопасности международные правовые акты.

Во многих странах уже создана разветвленная система правового обеспечения национальной продовольственной безопасности. Большой опыт в этом отношении накоплен в Японии, США и в странах Евросоюза, где идентичны основные принципы обеспечения продовольственной безопасности, различны лишь конкретные пути ее осуществления.

Перспективы национальной продовольственной безопасности увязываются с выполнением решений Уругвайского раунда „Генерального соглашения о тарифах и торговле", в соответствии с которым сокращается субсидирование национальных производителей сельскохозяйственной продукции и ее экспортеров.

Либерализация мирового продовольственного рынка и ограничение государственной поддержки сельского хозяйства, с точки зрения обеспечения продовольственной безопасности, особенно

актуальным сделали значение общего экономического развития мира в целом и отдельных стран. В такой ситуации главнейшим будет доступный рост продуктов. Именно доступность и рост доходов населения должны стать основными факторами, которые должны выполнить главную функцию в деле обеспечения национальной и международной продовольственной безопасности.

На различных этапах общественно-экономического развития перед Грузией в той или иной мере всегда стояла проблема продовольственного обеспечения и продовольственной безопасности. Население страны остроту указанной проблемы по всем параметрам (количество, ассортимент, качество, запасы, доступность) особенно ощущало с начала 90-х годов в результате нарушения традиционных экономических связей, потери рынков сбыта готовой продукции и ухудшения общей социально-экономической обстановки.

С начала 90-х годов проведенная в стране аграрная реформа оказала определенное положительное влияние на сельскохозяйственное производство, производство продовольствия.Однако вместе с тем проявились и некоторые характерные для них отрицательные стороны, что выразилось прежде всего в отказе от ранее используемых рычагов планирования и экономического стимулирования и пренебрежении государственным регулированием. Поэтому реального оздоровления агропродовольственного сектора в Грузии, несмотря на эпизодические признаки стабилизации, не произошло. В результате обострилась продовольственная безопасность, снизилась ее надежность.

Ретроспективным анализом обеспечения продовольственной безопасности Грузии было установлено, что в последний период существенно снизились показатели потребления на душу населения важнейших продуктов питания. В частности, в 1990-2001 годах потребления хлебопродуктов сократилось на 29,5%, мяса и мясопродуктов – на 46,0%, молока и молочных продуктов – на 31,3%, рыбы – на 74,0%, яиц – на 10,3%, овощей и бахчевых – на 28,2%, фруктов и винограда – на 16,9%.

Примечательно, что вышеприведенные показатели усреднены и потребление населением значительной части продовольствия намного меньше в стране по сравнению с показателями среднедушевого потребления продуктов. Поэтому легко представить

ту опасность, которая грозит населению, оказавшемуся за чертой нищеты, и стране в целом.

Следует отметить, что и существующий в стране низкий уровень продовольственного обеспечения в основном достигнут за счет импорта продовольственной продукции. По целому ряду важнейших продуктов питания коэффициент самообеспечения продовольствием значительно ниже критической отметки – 0,6 (исключение составляют только фрукты, картофель, овощи и бахчевые). Причем и в последний период не проявилась тенденция улучшения этого показателя. Наоборот, по ряду продовольственной продукции нежелательный уровень и так зависящий от импорта, еще более снизился.

Факторный анализ показателей уровня продовольственной безопасности Грузии показал, что на сегодняшний день продовольственная безопасность страны по многим показателям находится на критической отметке.Несмотря на сравнительно достаточный уровень энергетической ценности фактического рациона питания (24001,1 ккал – 2002 г.), его структура, с точки зрения содержания питательных веществ, все же неудовлетворительна. В фактическом суточном рационе питания 68,4% энергетической ценности приходится на продукты 4 видов: муку пшеничную, пшеничный хлеб, кукурузную муку и растительное масло, тогда как рациональными нормами питания на эти продукты предусмотрены только 53,1% энергетической ценности. В фактическом потреблении низок удельный вес мяса и мясных продуктов, богатых белками и жирами. Вместе с тем большая часть населения не имеет возможности обеспечить себя сбором сравнительно низкостоимостных продуктов и энергетическая ценность их питания ниже предела голодания.

Если добавить к тому же, что в нашей стране все еще не действует более или менее эффективный механизм контроля за производством, завозом, сбытом и потреблением экологически загрязненной продукции, получим еще более негативный фон национальной продовольственной безопасности, в результате чего в стране получили распространение опасные заболевания, особенно среди подрастающего поколения, что создает опасность деградирования населения, вырождения генофонда.

Прочную основу обеспечения продовольственной безопасности создает функционирование сильного, высокоэффективного продовольственного комплекса. Поэтому это последнее вытекает из целей и задач аграрной политики. Как на современном этапе, так и в перспективе это важнейший приоритет. Вместе с тем в соответствии с концепцией аграрной политики Грузии в среднесрочном периоде (1997-2003 г.г.) основным приоритетом признано значительное повышение уровня удовлетворения потребностей населения в продовольствии за счет его местного производства, а на долгосрочный период (2010 г.) – увеличение производства традиционной и новой экспортной продукции, поскольку экспортные доходы не только удовлетворят потребности в продовольствии и сбалансируют его подачу, но и сформируют ресурсы иностранной валюты для других нужд.

Для решения указанной приоритетной задачи требуется оптимальное государственное регулирование агропродовольственного комплекса. Здесь главными ориентирами должны быть: достижение названных целей, обеспечение стабильности продовольственного рынка, формирование и сохранение конкурентной среды, повышение уровня занятости в сельском хозяйстве и в целом в продовольственном комплексе и стабильный рост доходов занятых.

Путем осуществления программ и мероприятий, выработанных на основе концепции аграрной политики Грузии, оптимального сочетания государственного регулирования агропродовольственного комплекса и механизма рыночного саморегулирования в среднесрочном периоде, можно будет преодолеть существующее в стране кризисное положение в сфере обеспечения продовольствием, а в долгосрочной перспективе – существенного разрешения проблемы обеспечения продовольственной безопасности и создание прочных основ независимости страны.

В надежном обеспечении населения страны продовольствием особая роль принадлежит рациональному государственному регулированию главных компонентов продовольственного рынка – спроса и предложения.

Система государственного регулирования предложения продовольственных продуктов, прежде всего, должна быть направлена на достижение следующих целей: обеспечение стабильных

условий для развития агропродовольственного комплекса, формирование государственного и региональных продовольственных комплексов, обеспечение потребностей населения высококачественными продовольственными продуктами в социально доступных ценах. Отсюда, основное внимание должно быть сосредоточено на формировании государственного продовольственного фонда. Вместе с тем, для эффективного вмешательства государства в функционирование продовольственного рынка оно должно иметь критическую массу (50-55% товарного обьема по каждому продукту) имеющихся запасов.

Из возможных вариантов регулирования спроса в продукции продовольственного рынка особое внимание надо обратить на ограничение розничных цен на сельскохозяйственное сырье и продукты. Важную роль в этом деле должен выполнить метод товарной интервенции, для эффективного использования которого государство должно иметь достаточные продовольственные ресурсы.

Обьемы реализуемой продукции из государственных продовольственных ресурсов (интервенционные обьемы) целесообразно увеличить при резком повышении розничных цен, чтобы защитить интересы потребителей. В случае резкого падения розничных цен государство не должно продавать продукцию. В этой ситуации для защиты интересов производителей более оправданным будет ее закупка. Итак, описанный механизм реализации продовольственной продукции из государственных ресурсов не нарушит рыночные условия. Наоборот, он способствует стабилизации продовольственного рынка.

Наряду с использованием различных методов ограничения розничных цен на сельскохозяйственное сырье и продукты питания необходимо и стимулирование платежеспособного спроса населения путем оказания помощи необеспеченным слоям населения. Такая поддержка населения, кроме социальной направленности, представляет собой и мероприятие по поддержке производителей, поскольку оно увеличивает совокупную потребность в продукции и оказывает соответствующее влияние на цены.

Государственное регулирование продовольственного рынка должно опираться на данные продовольственного баланса, который разрабатывается по отдельным видам продуктов питания (все первичные продукты и множество производных товаров).

Продовольственный баланс дает полную картину об источниках подачи продуктов питания и формах их использования, а также о широком использовании потребностей в продуктах питания для прогнозирования.

Опираясь на методику FAO, мы рассчитали оптимальные параметры стратегии производства основных видов продуктов питания. В ближайшей перспективе потребности населения Грузии полностью будут удовлетворены за счет собственного производства в таких продуктах, как картофель, овощи и бахчевые, фрукты и цитрусы, что же касается таких продуктов, как зерновые, мясо и мясопродукты, сахар, яйца, молоко и молочные продукты, то потребность в этих продуктах все еще будет удовлетворяться за счет импорта. Импорт этих продуктов станет возможным путем увеличения экспортного потенциала агропродовольственного сектора.

Одно из важных условий обеспечения национальной продовольственной безопасности – упорядочение внешнеэкономических отношений, их расширение и оптимальное использование.

Анализ внешнеэкономической деятельности Грузии и реформирования аграрной стратегии показал, что для благоприятствования обеспечения продовольственной безопасности, в аграрной сфере внешнеэкономические отношения страны необходимо увязать с международными организациями, различными странами, соглашениями и договорами с региональными и субрегиональными объединениями. При формировании договорных документов в максимальной мере надо учитывать интересы развития национального агропродовольственного комплекса. Основные усилия должны быть направлены на упорядочение завоза и постепенное сокращение традиционно производимого сельскохозяйственного сырья и продовольствия, задействование собственного экспортного потенциала, на восстановление позиций на традиционных рынках и выход на новые рынки, активизацию инвестиционной деятельности, на создание благоприятной среды для привлечения иностранных инвестиций, поддержание приоритетных инвестиционных проектов и благоприятствование их осуществления.

Важный шаг в этом направлении был сделан 28 июля 1999 года – Грузия стала членом Всемирной торговой организации. Членство в этой организации способствовало полной интеграции нашей страны с мировым хозяйством; значительному улучшению

условий для грузинской экспортной продукции на международном продовольственном рынке, устранению с самого начала дискриминационных мер в торговле с Грузией; активизации привлечения иностранных инвестиций в страну; эффективному задействованию заключенных двусторонних и многосторонних договоров.Только таким путем можно обеспечить национальную продовольственную безопасность Грузии.

მერაბ მიხეილის ძე ვანიშვილი

საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების საშინაო და საგარეო ეკონომიკური ასპექტები: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა

თბილისი – 2003

გამომცემლობის რედაქტორი	ტ. სტურუა
სამხატვრო რედაქტორი	ბ. პუგაჩოვი
ტექნიკური რედაქტორი	ა. ნოდია
კომპიუტერზე დამკაბადონებელი	ნ. ვანიშვილი
კორექტორი	მ. მარტიაშვილი

გადაეცა წარმოებას	0.10.2003
ხელმოწერილია დასაბეჭდად	11.11.2003
საბეჭდი ქაღალდი	60/92,1/16
პირობითი ნაბეჭდი ქაღალდი	21,8
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი	20,0
ტირაჟი	500

ფასი სახელშეკრულებო

გამოსაცემად ნებადართულია ვალერიან მელქაძის სახელობის სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი №29, 23 სექტემბერი, 2003)
0108 თბილისი – 08, ზანდუკელის 16

რედაქციულად დამუშავებული და გაფორმებულია საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნის" გამომცემლობაში
0179 თბილისი 79, კოსტავას 47

დაბეჭდილია საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"-ს ტიპოგრაფიაში
0102 თბილისი – 2, უზნაძის 70